ვერნაკულური საფრთხე და უსაფრთხოება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში

თინათინ ხომერიკი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ხომერიკი

22.07.2022

აბსტრაქტი

2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები მოჰყვა, რომლებიც ხშირად „მოდერნიზაციის“ ცნებაშია გახვეული. პოსტრევოლუციური ანტიკრიმინალური პოლიტიკა, ქალაქგანვითარების ახლებური პატერნები თუ კლასისა და ტერიტორიის მიმართების ცვლილება მოქალაქეთა აღქმაში მათი წინარე გამოცდილების გავლით ინტერპრეტირდება და „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ახლებურ, საგანგებო მნიშვნელობებს ქმნის.

მოცემული ნაშრომი აღქმული „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ამ მნიშვნელობებს პოსტრევოლუციური თბილისის კონტექსტში შეისწავლის. „ვერნაკულური უსაფრთხოების“ ცნებაზე დაყრდნობით, „საფრთხესა“ და „უსაფრთხოებას“ ის პოლიტიკურად კონსტრუირებულ, სოციალურად სპეციფიკურ ფენომენებად ხედავს, რომლებიც ლოკალური, ნაციონალური და გლობალური შინაარსების თანაკვეთის საფუძველზე იწარმოება. ამ თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, ნაშრომი ცდილობს, გასცდეს „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ უნივერსალისტურ, ხშირად „ზევიდან ქვევით“ მიმართულ განსაზღვრებებს და ანალიზის ამოსავალ წერტილად მოქალაქეების „ქვევიდან ზევით“ მიმართულ პერსპექტივას იღებს.

კვლევა აჩვენებს, რომ აღქმული „საფრთხისა“ და უსაფრთხოების“ პოსტრევოლუციური შინაარსები კომპლექსური და ხშირად, ამბივალენტურია. ერთი და იგივე მოვლენა არამხოლოდ ერთი მოქალაქისათვის შეიძლება საფრთხეს მოასწავებდეს, მეორისათვის კი - უსაფრთხოებას, არამედ ერთი და იგივე მოვლენა ერთმა და იმავე მოქალაქემ ერთდროულად საფრთხედაც შეიძლება აღიქვას და - უსაფრთხოებადაც. მოცემული კვლევა სწორედ ამ კომპლექსურობის სიღრმისეული ანალიზის მცდელობაა.

საძიებო სიტყვები: ურბანული კვლევა, პოსტსოციალისტური ქალაქები, უსაფრთხოება, მოდერნიზაცია, ურბანული ტრანსფორმაცია, კლასი, დეტერიტორიზაცია.

Abstract

The Rose Revolution of 2003 in Georgia was followed by multiple political, economic and social transformations often wrapped up in the notion of "modernisation". Post-revolutionary anti-criminal policy, changing patterns of urban development and the remaking of class are filtered through the lived experience of the citizens, producing specific meanings of perceived (in)security.

The present study investigates these perceived meanings of (in)security in the context of post-revolutionary Tbilisi. Based on the concept of *vernacular security*, it looks at (in)security as a politically constructed and socially specific phenomenon produced at the intersection of local, national, and global meanings. Using this framework, the study tries to transcend universalist "top-down" definitions of (in)security, focusing instead on the "bottom-up" perspectives of the citizens.

The research shows that the perceived meanings of (in)security in post-revolutionary Tbilisi are complex and, often, ambivalent. Not only is the same event associated with "security" by one citizen and with "insecurity" by another, but, sometimes, the same citizen might perceive the same event as both the sign of "security" and "insecurity". The present study attempts to conduct an in-depth analysis of this very complexity.

Keywords: urban research, post-socialist cities, (in)security, modernisation, urban transformation, class, deterritorialisation.

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას არაერთმა ადამიანმა გამიწია დახმარება.

პირველ რიგში, გულითად მადლობას ვუხდი კვლევის რესპონდენტებს, რომლებიც მენდნენ, დრო დამითმეს და საკუთარი უნიკალური გამოცდილება გამიზიარეს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს - ქეთევან გურჩიანს. ქეთის არაჩვეულებრივად გულუხვი აკადემიური, ინტელექტუალური და ემოციური მხარდაჭერის გარეშე ეს ნაშრომი ვერ დაიწერებოდა. ნაშრომზე მუშაობისას მასთან გატარებული დრო კი ჩემთვის პროფესიონალიზმის, სამეცნიერო შთაგონების, კოლეგიალურობისა და ღრმა ემპათიის მნიშვნელოვან გაკვეთილებად იქცა.

დიდი მადლობა ტრენტის უნივერსიტეტის პროფესორს, პოლ მენინგს, რომელმაც პროექტში "Reassembling the City: Tbilisi from Safavid Persia to Postsocialism" თანამონაწილეობა შემომთავაზა, რამაც დოქტორანტურის პირველ წლებში თბილისის შესახებ ჩემი ცოდნა გაამდიდრა და კვლევის პირველი ეტაპისათვის საჭირო სახსრების მოპოვების შესაძლებლობა მომცა.

მადლიერებას გამოვხატავ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "Caucasus Survey"-ს რედაქტორის, ლორენს ბროერსისა და ჩემი ორი ანონიმური რეცენზენტისადმი იმ სტატიის საგულისხმო რჩევებით გამდიდრებისათვის, რომელსაც წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი ეფუძნება.

დიდი მადლობა ილიას უნივერსიტეტის პროფესორებსა და ჩემს კოლეგებს - თამთა ხალვაშს, გიორგი მაისურაძეს, მარიამ დარჩიაშვილს, ელენე გავაშელიშვილს, ნინო

რჩეულიშვილს, ალექსანდრე ქავთარაძეს - რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე რჩევებით, რეკომენდაციებითა და გულთბილი გამხნევებით დიდ დახმარებას მიწევდნენ.

მადლობა პროფესორებს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტიდან - ფლორიან მიულფრიდსა და ციპილმა დარიევას, რომლებიც „ერაზმუს+“-ის გაცვლითი პროგრამით იენის უნივერსიტეტში მუშაობისას საგულისხმო შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დამეხმარნენ.

მადლობას ვუხდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს - ქეთევან ხუციშვილს, ლია წულაძეს და ლალი სურმანიძეს - ადრეული რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის.

გულთბილი მადლობა ჩემს კოლეგას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან - ანთროპოლოგს, პროფესორ ანა მგელაძეს - მრავალმხრივი მხარდაჭერისათვის.

მადლობა ჩემს სტუდენტებს საქართველოს საზოგადოებრივი ინსტიტუტიდან და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან, რომლებიც ჩემი საკვლევი სფეროს შესახებ უამრავი საინტერესო კითხვით, მოსაზრებებითა და ახალი გამოწვევებით მამარაგებდნენ.

აქვე, საერთო მადლობა ჩემს ოჯახსა და მეგობრებს მხარდაჭერის, გამხნევებისა და ჩემი ხმამაღალი სამეცნიერო რეფლექსიების მედგრად გაძლებისათვის.

სარჩევი

შესავალი.....10

საკვლევი პრობლემა.....11

კვლევის მიზანი.....13

კვლევის მეთოდები.....14

თეორიული ჩარჩო.....21

ლიტერატურის მიმოხილვა.....26

უსაფრთხოების მოდერნიზაცია.....26

თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაცია და დეტერიტორიზაცია.....30

თავი I - უსაფრთხოების მოდერნიზაცია - პერსონალური საფრთხე და უსაფრთხოება თბილისში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.....35

შესავალი.....35

კანონდარღვევა, საფრთხე და უსაფრთხოება საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“.....39

უსაფრთხოების მოდერნიზაცია საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ....45

ქალების პერსონალური საფრთხე და უსაფრთხოება თბილისის საჯარო სივრცეში.....47

ქუჩის კულტურა, რუსეთი, დასავლეთი და ურბანული ელიტები.....49

უსაფრთხოების ფორმალიზაცია და მისით (უ)კმაყოფილება.....61

თავის შეჯამება.....68

თავი II - თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაცია, საფრთხე და უსაფრთხოება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.....70

შესავალი.....70

თბილისის ურბანული სხეულის მოდერნიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ - ქალაქი, როგორც „სარემონტო ბინა“.....73

„შავ-თეთრი“ და „ფერადი“ თბილისი.....75

”განათებული“ და „ჩაბნელებული“ თბილისი.....80

„გაუმჭვირვალე“ და „გამჭვირვალე“ თბილისი.....84

თბილისის სხეულის მოდერნიზაცია, „ვესტერნიზაცია“ და პრივატიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.....88

სამშენებლო დერეგულაცია საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.....93

სამშენებლო საქმიანობა თბილისში საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.....97

სამშენებლო საქმიანობა თბილისში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.....98

ვერნაკულური საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობები თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის შემდეგ.....105

ეკონომიკური საფრთხე და უსაფრთხოება.....107

საცხოვრებელი გარემოსა და ინფრასტრუქტურის საფრთხე და უსაფრთხოება.....117

კულტურული საფრთხე და უსაფრთხოება.....121

ეკოლოგიური და საზოგადოებრივი საფრთხე და უსაფრთხოება.....135

თავის შეჯამება.....141

თავი III - ქალაქი, კლასი და ტერიტორია - დეტერიტორიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში.....144

შესავალი.....144

კლასი და ტერიტორია თბილისში „ვარდების რევოლუციამდე“ 147

კლასი და ტერიტორია საბჭოთა თბილისში 147

კლასი და ტერიტორია პოსტსაბჭოთა თბილისში.....159

დასკვნა 168

თბილისის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის ლოკალური ასპექტები.....169

დასკვნა 182

თბილისის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის გლობალური ასპექტები.....183

„აქ მინიგლობალიზაცია გვაქვს“ - ინტერნეტი, სოციალური ქსელები და კლასის დეტერიტორიზაცია თბილისში 183

გლობალური მიგრაცია და ლოკალური „ორიენტალური საფრთხეები“ პოსტრევოლუციურ თბილისში.....198

დასკვნა 209

ტრანსფორმაციის ნაციონალური ასპექტები.....210

„ეგენი ყველაფერზე წამსვლელები არიან“ - კლასი, ტერიტორია და პოლიტიკური თამაშები პოსტრევოლუციურ თბილისში.....215

ტრფობა და სიძულვილი პოსტრევოლუციურ თბილისში - კლასი, გენდერი და რომანტიკული ურთიერთობების ბაზარი.....219

დასკვნა 225

თავის შეჯამება.....227

დისერტაციის დასკვნა.....233

გამოყენებული ლიტერატურა.....239

დანართები.....252

დანართი 1: რესპონდენტები.....252

დანართი 2: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში 255

დანართი 3: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული პერიფერია.....256

დანართი 4: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული გარდამავალი/ნეიტრალური ზონები 257

დანართი 5: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული ცენტრი 258

შესავალი

The hardest thing of all to see is what is really there.

- J.A. Baker, *The Peregrine*

როცა ამ სიტყვებს ვწერ, 2022 წელია, „ვარდების რევოლუციიდან“ თითქმის ოცი წელიწადია გასული. საქართველოს დედაქალაქში კლასის, ტერიტორიის, საფრთხისა და უსაფრთხოების საკითხების კვლევას კი 2016 წლიდან შევუდექი. სოციალური სტატუსისა და ტერიტორიის მიმართების საკითხი თბილისში თითქოს „ჰაერში დაკიდებული“, მუდმივად ნაგულისხმევი ცოდნა იყო, რომელსაც დიდხანს ვუტრიალებდი. 2016 წელს, როცა ნიადაგის მოსინჯვა და თბილისის მოქალაქეებთან პირველი სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა დავიწყე, კვლევის სტრუქტურა ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი. რესპონდენტების პირველი მონათხრობები კი თბილისში ცხოვრების შესახებ ზოგად გამოცდილებებს უტრიალებდა. ამ ამბების გასაღები რაღაც მნიშვნელოვანი და მოუხელთებელი „საერთო“ იყო, რომელიც დროდადრო გამოკრთებოდა და შემდეგ ისევ სხლტებოდა. კვლევის ფოკუსი კი მაშინ დავიწროვდა, როცა პირველი რამდენიმე ინტერვიუს თემატურ ანალიზს შევუდექი. რესპონდენტები, რომლებსაც საკუთარ ბინებში, უფრო იშვიათად კი - ოფისებსა თუ კაფეებში ვხვდებოდი, ძალზე მრავალფეროვან და ერთი შეხედვით, ერთმანეთთან დაუკავშირებელ საკითხებს მიზიარებდნენ. რა საერთო უნდა ჰქონოდა რეფლექსიებს ქუჩისა და „მოდერნიზაციის“, ანტიკრიმინალური რეფორმებისა და „ჩამორჩენილობის“, თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციისა და სოციალური სტატუსის, სოფლისა და ქალაქის, გლობალური ცვლილებებისა და ადგილობრივი პოლიტიკური ტრანსფორმაციების შესახებ?

კვანძი მონათხრობების პირველადმა ანალიზმა გაჭრა, რომელმაც მიჩვენა, რომ ჩემი რესპონდენტების ინტერვიუებში განმეორებულ ამ შინაარსებს საერთო ხერხემლად „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ერთსა და იმავე დროს, უნივერსალური და ძალიან სპეციფიკური განცდები გასდევდა. ეს „საფრთხეები“ და „უსაფრთხოებები“ ერთდროულად უკავშირდებოდა მოქალაქის პერსონალურ სხეულს, ქალაქის სხეულსა და მოქალაქეთა საერთო, წარმოსახვით პოლიტიკურ სხეულს. სურათის კომპლექსურობას კი ის ამძაფრებდა, რომ ამ მრავალფეროვან, ურთიერთგადამკვეთ და ხშირად - წინააღმდეგობრივ აღქმებში ერთმანეთს ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური მოვლენების ანარეკლები ეხმიანებოდა.

წინამდებარე ნაშრომში ამ საკითხებს სამ ძირითად თავად განვავრცობ. პირველი თავი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი თბილისის საჯარო სივრცეში მოქალაქეთა პერსონალური საფრთხისა და უსაფრთხოების აღქმებს ეთმობა. მეორე თავში ქალაქის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციას და მასთან დაკავშირებულ საფრთხისა და უსაფრთხოების აღქმებს გავაანალიზებ. მესამე თავში კი საფრთხისა და უსაფრთხოების იმ აღქმებზე ვისაუბრებ, რომლებიც თბილისში კლასისა და ტერიტორიის მიმართების პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციას ეხმიანება. დასასრულს, ნაშრომს საერთო დასკვნით შევაჯამებ.

საკვლევი პრობლემა

Feeling safe is crucial if we hope to have people embrace city space. In general, life and people themselves make the city more inviting and safe in terms of both experienced and perceived security.

- *Jan Gehl, Cities for People*

საცხოვრებლად ვარგისი ქალაქის შესახებ ურბანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი სხვადასხვაგვარი კონცეფცია არსებობს (Sennett 2017; Gehl 2013; Harvey 2008; Jacobs 1961), თუმცა, განსხვავებათა მიუხედავად, ამ განმარტებებს, ჩვეულებრივ, *საფრთხისა* და *უსაფრთხოების* ცნებები აერთიანებს.

საფრთხე/უსაფრთხოება, როგორც ადამიანისათვის ონტოლოგიურად დამახასიათებელი განცდა, კულტურულად უნივერსალურ მოვლენად განიხილება. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულის ლიტერატურა სულ უფრო ხშირად მიუთითებს ამ მოვლენის *ვერნაკულურობაზე.*[1] ბუბანდტისათვის (Bubandt 2005) "ვერნაკულურობა" არამხოლოდ საფრთხე/უსაფრთხოების კულტურულ, სოციალურ თუ გენდერულ სპეციფიკურობას აღნიშნავს, არამედ იმასაც, რომ საფრთხე/უსაფრთხოების მნიშვნელობა პოლიტიკურად კონსტრუირდება და განუწყვეტლივ იწარმოება გლობალური, ნაციონალური და ლოკალური დისკურსების თანაკვეთაზე. ამრიგად, საერთო სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა კლასის, ასაკის, გენდერის, პოლიტიკური პოზიციის მქონე მოქალაქისათვის მისი მნიშვნელობები განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი და ამბივალენტური შეიძლება იყოს.

როგორც საერთაშორისო, ისე - ადგილობრივ ლიტერატურაში, მედიასა და საჯარო დისკურსში *უსაფრთხოების* კონცეპტი ხშირად ზევიდან ქვევით მიმართული ("top-down") პერსპექტივიდან განიხილება და ისეთ ცნებებს უკავშირდება, როგორიცაა

[1] ინგლისურენოვან ტერმინს "vernacular" (ფუძე - ლათინური vernaculus – „შინაური", „მკვიდრი") ქართულად ზუსტი შესატყვისი არ მოეძებნება, რადგან მას საგანგებო მნიშვნელობა მიეწერება - ამა თუ იმ კულტურისა თუ საზოგადოების საზიარო „ენა" (ამ ცნების ფართო გაგებით - ეს შეიძლება იყოს ვერბალური სასაუბრო ენა, ან იმ არქიტექტურული სტილის სიმბოლური ენა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაშია გავრცელებული). მოცემულ ნაშრომში *ვერნაკულურობის* ცნებას ბუბანდტის (Bubandt 2005) გაგებით ვიყენებ, რომელიც *უსაფრთხოების* ჭრილში ამ კონცეპტს კიდევ უფრო სპეციფიკური მნიშვნელობით ტვირთავს - „ვერნაკულური უსაფრთხოება" არამხოლოდ ლოკალურად და სოციალურად სპეციფიკური ფენომენია, არამედ, ასევე, პოლიტიკურად წარმოებული და გლობალური, ნაციონალური და ლოკალური მნიშვნელობების თანაკვეთისას წარმოქმნილი ცოდნა.

„გლობალური“, „ეროვნული“, ან „სახელმწიფო“ უსაფრთხოება. ამ განზოგადებულ ხედვაში რიგითი მოქალაქეების ხმა და ყოველდღიური გამოცდილება თითქოს იკარგება. *საფრთხისა* თუ *უსაფრთხოების* გლობალური თუ ეროვნული დისკურსები კი „ცარიელ ადგილას“ როდი მიდის - ადგილზე მათ მოქალაქეების კულტურულად, სოციალურად თუ გენდერულად სპეციფიკური გამოცდილება ხვდება. ზევიდან ქვევით მიმართული შინაარსები ამ მრავალფეროვან გამოცდილებათა ფილტრის გავლით ინტერპრეტირდება და წინარე ცოდნასთან სინთეზში ახლებურ შინაარსებს წარმოქმნის.

პოსტსოციალისტური ქალაქების ურბანული ტრანსფორმაციის, „ფერადი რევოლუციებისა“ და დანაშაულებრიობის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის კორპუსი ფართო და მრავალფეროვანია. საქართველოში ურბანული იდენტობის შესახებ არსებული ადგილობრივი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება. რაც შეეხება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეებში კლასის ფორმირებას, ამ საკითხის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა მდიდარია, თუმცა, საქართველოს გამოცდილების შესახებ ჯერჯერობით ცოტაოდენი სამეცნიერო ნაშრომი მოგვეპოვება. არაერთი უახლესი საერთაშორისო კვლევა არსებობს უსაფრთხოების ვერნაკულური პერსპექტივიდან კვლევის თვალსაზრისითაც, თუმცა, საქართველოს კონტექსტში ამ მიმართულების აკადემიური გააზრების მაგალითები, დღეისათვის, არ მოიძებნება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე, საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში ასახულ ცოდნასა და ახალ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ურბანული სივრცის, პოლიტიკური ტრანსფორმაციების, ტერიტორიის, კლასისა და საფრთხე/უსაფრთხოების საკითხების თანაკვეთა გამეანალიზებინა და ვერნაკულურ პერსპექტივაზე ფოკუსირებული, ინტერდისციპლინური პერსპექტივით განმევრცო.

კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში ჩამოყალიბებული ურბანული საფრთხისა და უსაფრთხოების ვერნაკულური მნიშვნელობების შესწავლას. ოფიციალური პოსტრევოლუციური პოლიტიკური დისკურსისა და თბილისის მოქალაქეთა პერსპექტივების ურთიერთმიმართების ანალიზის გზით, ის აკვირდება, როგორ ყალიბდება საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობები სამი მიმართულებით: 1) პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოება თბილისის საჯარო სივრცეში. 2) თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხე/უსაფრთხოება. 3) დეტერიტორიზაციისა და რეტერიტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებული საფრთხე/უსაფრთხოება.

ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომში ვცდილობ, შემდეგ შეკითხვებს ვუპასუხო: 1. როგორი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ანტიკრიმინალური, ურბანული და კლასის პოლიტიკა? 2. რა ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ ცვლილებებს მოიცავდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი თბილისში? 3. საფრთხისა და უსაფრთხოების რა შინაარსები უკავშირდება ამ ცვლილებებს მოქალაქეთა აღქმაში? 4. როგორ მიემართება ეს შინაარსები ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსსა და ერთმანეთს?

კვლევის მეთოდები

საკვლევ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კვლევის თვისებრივი მიდგომა გამოვიყენე. კვლევის ძირითად წყაროს ორი კატეგორიის ემპირიული მონაცემები შეადგენდა.

პირველი კატეგორია 2016-2020 წლებში ჩემ მიერ თბილისის მოქალაქეებთან ჩაწერილ სიღრმისეულ ინტერვიუებს მოიცავდა. სიღრმისეული ინტერვიუები ნახევრადსტრუქტურირებულ გზამკვლევს ეყრდნობოდა, რომელიც კვლევის მიზნების დავიწროების კვალდაკვალ, რამდენჯერმე განვაახლე. ინტერვიუს რესპონდენტები

„თოვლის გუნდისა“ და მიზნობრივი შერჩევის მეთოდის კომბინირების გზით შევარჩიე. თავდაპირველად, საცდელი ინტერვიუ რამდენიმე ნაცნობთან ჩავწერე, რომლებმაც სხვა რესპონდენტებთან დამაკავშირეს. საკვლევი თემის ფოკუსის დავიწროების კვალდაკვალ, რამდენადაც კვლევისათვის მნიშვნელოვანი გახდა თბილისის სხვადასხვა სივრცეში მცხოვრები, სხვადასხვა სქესისა და ასაკის მოქალაქეების გამოცდილების გაზიარება, რესპონდენტებს ვთხოვდი, თბილისის ამა თუ იმ კონკრეტულ უბანში მცხოვრებ, ამა თუ იმ სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ნაცნობებთან დავეკავშირებინე.

საბოლოოდ, 31 სიღრმისეული ინტერვიუ ჩავწერე.[2] ნაშრომში რესპონდენტების დაბადების წელსა და საცხოვრებელ ადგილს მივუთითებ, მათი სახელები კი - შეცვლილია. მათ შორის ყველაზე ხანდაზმული 1926 წელს დაიბადა, ყველაზე ახალგაზრდა კი - 1992 წელს. 31 ინტერვიუდან სამი ექსპერტულ ინტერვიუს წარმოადგენს, რომლებიც არქიტექტორებთან და ქალაქის მკვლევრებთან ჩავწერე. ორი მათგანის ვინაობა კონფიდენციალურია. მესამე ექსპერტთან ინტერვიუ, რომელიც ნაშრომში იდენტიფიცირებულია, ინტერვიუების ძირითადი კორპუსისაგან განცალკევებით, 2022 წელს ჩაიწერა. 31 რესპონდენტს შორის 15 ქალი და 16 მამაკაცია. მათი საცხოვრებელი უბნებია: აღმაშენებელი („პლეხანოვი“),[3] გლდანი, დიდუბე, დიღმის მასივი, ვაკე, ვარკეთილი, ვაზისუბანი, ვერა, ისანი, მთაწმინდა, ნაძალადევი,

[2] რესპონდენტების დეტალური ცხრილისათვის იხ. დანართი 1 – „რესპონდენტები“.

[3] ჩუღურეთის უბანიცა და აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე სამეზობლოებიც („პლეხანოვი“) დღეისათვის, ფორმალურად, ჩუღურეთის რაიონს ეკუთვნის. თუმცა, ჩემი რესპონდენტები საკუთარ უბნებს არაფორმალური, პირობითი საზღვრებით გამიჯნული სამეზობლოების სახელებით იხსენიებენ. მაგ., ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ მცხოვრები თამრიკო ამბობს, რომ „პლეხანოველია“, ზემო ჩუღურეთის ერთ-ერთ ქუჩაზე მცხოვრები ლაშა კი თავის უბანს „ჩუღურეთს“ უწოდებს. თბილისის ამჟამინდელი დარაიონების შესახებ იხ.: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №16-35, 2014 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2602734?publication=0 უკანასნელად ნანახია: 06.01.2023.

საბურთალო, სოლოლაკი, ფონიჭალა, ჩუღურეთი.[4] უბნების სახელდებისას დარაიონების ოფიციალური სისტემის ნაცვლად, რესპონდენტების მიერ განსაზღვრულ ვერნაკულურ საიდენტიფიკაციო სახელწოდებებსა და მათ წარმოსახვით გეოგრაფიებს ვეყრდნობი.

მონაცემების მეორე კატეგორია ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის ამსახველ სხვადასხვა დოკუმენტს (საჯარო გამოსვლები, ოფიციალური ინტერვიუები და მიმართვები, სამთავრობო დადგენილებები) მოიცავდა, რომლებიც საკვლევი საკითხების შესაბამისად, მიზნობრივად შევარჩიე. საჯაროდ ხელმისაწვდომი ასეთი მასალის ნაწილი ტექსტური ფორმით იყო გამოქვეყნებული, ნაწილი კი - ვიდეოჩანაწერის. ასეთ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერის მიხედვით ტრანსკრიპტს ვამზადებდი და მიღებულ მასალას სხვა ტექსტურ დოკუმენტებთან ერთად ვაანალიზებდი. ანალიტიკური ჩარჩო მოიცავდა თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ვერნაკულურობის თეორიას ეყრდნობოდა (Bubandt 2005, Jarvis and Lister 2013, Croft and Vaughan-Williams 2017, Jarvis 2019) და კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც თითოეულ თავში განხილული საკითხის შემსწავლელ ლიტერატურას დაეფუძნა.

ანალიზის მეთოდი

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული ანალიზის მეთოდი დისკურსისადმი ცოდნის სოციოლოგიისეულ მიდგომას ეყრდნობა (Keller 2011,2013). დისკურსის ამ ტიპის ანალიზი ობიექტივიზაციისა და მნიშვნელობათა სტრუქტურების ლეგიტიმიზაციის პროცესის რეკონსტრუირებასა და ამ პროცესის სოციალური ეფექტების გააზრებას ცდილობს. ეს მეთოდი "სიმბოლური წესრიგის დისკურსულ კონსტრუირებას აკვირდება, რომელიც ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ცოდნების მიმართებებისა და ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ცოდნის პოლიტიკების ფორმით ვლინდება" და

[4] თვალსაჩინოებისათვის იხ. რესპონდენტების საცხოვრებელი უბნების ამსახველი დანართები: 2, 3, 4, 5.

„აანალიზებს როგორც სოციალურ კონვენციებსა და სიმბოლური წესრიგის სტრუქტურაციას, ისე - სოციალური წესრიგების სიმბოლურ სტრუქტურაციას. ის ინტერპრეტაციის პრაქტიკების ფიქსირებულ და მოქნილ წესებს ეძებს“ და აინტერესებს მონაწილე აქტორების წვლილი „კოლექტივის სიტუაციის განსაზღვრების“ კოლექტიური დონის კონფლიქტებში (Keller 2001,48-49). მისი კვლევის საგანია, ერთი მხრივ, დისკურსის შემქმნელი აქტორების მიერ ცოდნის წარმოება და მეორე მხრივ, „დისკურსული განაცხადების შედეგები, რომლებიც არტეფაქტებში, სოციალურ პრაქტიკებში, კომუნიკაციის პროცესსა და სუბიექტის პოზიციებში განსხეულდება“ (იქვე). მოცემული კვლევის ფარგლებში, დისკურსისადმი ცოდნის სოციოლოგიისეული მიდგომის მეშვეობით ვცდილობ, გავაანალიზო, როგორ კონსტრუირდება საფრთხე-უსაფრთხოების მნიშვნელობები, როგორ გამოიხატება ისინი ოფიციალურ და საზოგადოებრივ დისკურსებს შორის დიალოგში და როგორ გავლენას ახდენს ისინი პროცესის მონაწილე აქტორებსა და მათ გარემომცველ ურბანულ სივრცეზე.

კვლევის დასაწყისში სიღრმისეული ინტერვიუების გზამკვლევი ზოგადი შეკითხვებისაგან შედგებოდა, რომლებიც თბილისში რესპონდენტის ცხოვრების გამოცდილებას (ბავშვობის წლები, ოჯახი, საცხოვრებელი უბანი, სამეზობლო გარემო) შეეხებოდა. ამ ინტერვიუების შედეგად მიღებული ტრანსკრიპტები, თავდაპირველად, სელექციური კოდირების მეშვეობით გავაანალიზე (Keller 2013, 119). პირველადმა ანალიზმა გამოკვეთა, რომ ინტერვიუების ცენტრალურ ღერძს თბილისში ცხოვრების გამოცდილებასთან დაკავშირებული, სხვადასხვა კატეგორიის საფრთხისა და უსაფრთხოების განმეორებადი და ხშირად, წინააღმდეგობრივი შინაარსები წარმოადგენდა. პირველადი ანალიზიდან მიღებული ინფორმაციისა და ფოკუსის დავიწროების შემდეგ, შევარჩიე თეორია (Bubandt 2005), რომელიც, ჩემი აზრით, საუკეთესოდ განმარტავდა უსაფრთხოების პოლიტიკურად კონსტრუირებულ, დისკურსულ ხასიათს, მის სოციალურ და კულტურულ სპეციფიკურობასა და ამბივალენტურობას. ვერნაკულური უსაფრთხოების ირგვლივ არსებული ამ და სხვა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე ავაგე თეორიული ჩარჩო, რომელიც მონაცემთა

ინტერპრეტაციის მთავარ სქემად გავნსაზღვრე. ემპირიული მონაცემების კორპუსის ანალიზის მეორე ეტაპზე სიღრმისეული ინტერიუებისა და ოფიციალური პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტების სელექციური და ღერძისებური კოდირების მეთოდების მონაცვლეობა გამოვიყენე, რამაც დამატებითი, უფრო დეტალური შინაარსების, თემატური კატეგორიებისა და მათი მიმართებების განსაზღვრის საშუალება მომცა. პარალელურად, ძირითადი თემატური კატეგორიების მიხედვით შერჩეული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო ავაგე. დასასრულს, თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოებზე დაყრდნობით, ემპირიული მონაცემების (ინტერვიუებისა და ოფიციალური პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტების) ანალიზის მესამე და საბოლოო ეტაპი განვახორციელე, რომლის მიხედვით ნაშრომში მოცემული სამი ძირითადი თავი მოვამზადე.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ძირითადი შეზღუდვა მისი მეთოდიდან გამომდინარეობს - შერჩევის, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ანალიზის ტექნიკა თვისებრივია, შეგროვებული ემპირიული მონაცემები კი ინტერვიუებისა და დოკუმენტების შეზღუდულ რაოდენობას მოიცავს. შესაბამისად, ნაშრომი განზოგადებადობის პრეტენზიას არ აცხადებს. ამის ნაცვლად, ის ცდილობს, სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური წარმომავლობის მოქალაქის აღქმები მოიხელთოს, რომელთა ხმებიც საფრთხე/უსაფრთხოების მეინსტრიმულ კვლევებში იშვიათად ხვდება (Croft and Vaughan-Williams 2016, 24) და მათი წარმოდგენების კონსტრუირების სოციალურად, გენდერულად და ასაკობრივად სპეციფიკურ გზებს დააკვირდეს.

ჩემი, როგორც საქართველოს დედაქალაქში დაბადებული და გაზრდილი მოქალაქის კულტურული გამოცდილება ერთი მხრივ, კვლევის შეზღუდვად, მეორე მხრივ კი - სიძლიერედ შეიძლება ინტერპრეტირდეს. ერთი მხრივ, კულტურული „ინსაიდერი“ შესაძლოა, მშობლიური საზოგადოების ნორმებისადმი კულტურულად მიკერძოებული,

ან „კულტურულად ბრმა“ იყოს. თუმცა, მეორე მხრივ, ადგილობრივი საზოგადოების წევრად ყოფნამ მკვლევარი, შესაძლოა, ისეთი ცოდნით უზრუნველყოს, რომელიც ამგვარი გამოცდილების არმქონეთათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.

ნაშრომში ვცდილობ, (პოსტ)საბჭოთა და პოსტრევოლუციურ თბილისში კლასის კულტურულად სპეციფიკური მარკერები აღვწერო. ასეთებად ტერიტორიულ კუთვნილებას (ქალაქელობა/სოფლელობა, ცენტრელობა/პერიფერიელობა) და ქუჩის კაპიტალს (ქუჩის გამოცდილება, ან ქუჩის გავლენიან აქტორებთან სოციალური კონტაქტები) ვხედავ. საბოლოო ჯამში, კლასის კულტურულად სპეციფიკური აღწერის მცდელობისას ბურდიეს (Bourdieu 1986; Bourdieu and Wacquant 2013) თეორიის მიერ შემოთავაზებულ ზოგად, მოქნილ სქემას ვეყრდნობი, რომელსაც ჩემი რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული ადგილობრივი ცოდნის საფუძველზე ვსინჯავ. ამრიგად, (პოსტ)საბჭოთა და პოსტრევოლუციურ საქართველოში კლასის რაობის ნაწილობრივ განსაზღვრა ჩემი კვლევის პროცესის ნაწილია და არა წინასწარ მოცემული ცოდნა, რომელზეც შემდეგ ანალიზს ვაგებ. თუმცა, ცხადია, ნაშრომი, თავისი საზღვრების გათვალისწინებით, საქართველოში პოსტსაბჭოთა და პოსტრევოლუციური კლასების ფორმირების სრულ კომპლექსურობას ვერ მოიცავს და ამ ძალზე ფართო საკითხის მხოლოდ ერთი ასპექტის ანალიზით შემოიფარგლება.

ნაშრომის ერთ-ერთი ცენტრალური დიქოტომიური წყვილი „ცენტრი“ და „პერიფერიაა“. ფართო ფოკუსით, *პერიფერია* პოსტსაბჭოთა და პოსტრევოლუციური საქართველოა, რომელიც სწორებას (განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ) წარმოსახვით *ცენტრზე* – „დასავლეთზე“ აკეთებს. მეორე მხრივ, მოქალაქეთა აღქმაში, საქართველო საკუთარ თავს ჰყოფს წარმოსახვით ცენტრად და პერიფერიად - *თბილისად* და *რეგიონად* (ამ საკითხს უფრო დეტალურად მეორე და მესამე თავებში დავუბრუნდები). ამავე დროს, მოქალაქეთა აღქმაში საკუთრივ თბილისიც წარმოსახვითი ცენტრისა და პერიფერიის და მათ შორის მდებარე „ნეიტრალური ზონებისგან“ შედგება. ეს განსაზღვრებები ნაწილობრივ ინტერსუბიექტურია - მაგ. თბილისის ზოგიერთი უბნის სტატუსის შესახებ

რესპონდენტების წარმოდგენა შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს. თუმცა, მოცემულ ნაშრომს თბილისის ცენტრისა და პერიფერიის ერთმნიშვნელოვანსა და ყოვლისმომცველ „მეპინგზე“ (mapping) პრეტენზია არ გააჩნია, რადგან:

1. „ცენტრსა“ და „პერიფერიას“ ნაშრომში რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული წარმოსახვითი გეოგრაფიული სქემის მიხედვით განვსაზღვრავ. მათი აღქმები კი, ინტერსუბიექტურთან ერთად, სუბიექტური/სოციალურად სპეციფიკურიც შეიძლება იყოს (მაგ., „პლეხანოვი“ შედარებით პრესტიჟულია გლდანელისთვის, მაგრამ ნაკლებად პრესტიჟულია ვაკელისთვის).
2. მოცემული ნაშრომი თვისებრივ, არარეპრეზენტატულ კვლევას ეფუძნება, რომელიც თბილისის ყველა მოქალაქის წარმოსახვით გეოგრაფიას არ ასახავს.
3. მოქალაქის ტერიტორიული აფილაციის გარდა, ცენტრი-პერიფერიის განსაზღვრება ტემპორალურადაც ფარდობითია - სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკურ ეპოქაში ცენტრი-პერიფერიის განსაზღვრება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.
4. ქალაქის ცენტრი-პერიფერიის ერთმნიშვნელოვან განსაზღვრებას ართულებს აპადურაის (Appadurai 1996) მიერ აღწერილი გლობალური დეტერიტორიზაციის პროცესიც. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეპოქის თბილისში ახალი სოციალური კლასები ჩვენს თვალწინ წარმოიქმნება და ფორმირების კვალდაკვალ, ტერიტორიის ახლებურ გააზრებას აწარმოებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერიტორიის სტატუსი თბილისში გამალებული მშენებლობებისა და მოქალაქეთა მიმდინარე ფიზიკური და სიმბოლური დეტერიტორიზაციის კვალდაკვალ იცვლება. ნაშრომში შევეცადე, გლობალიზაციისა და მრავლობითი ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საზოგადოებაში კლასისა და ტერიტორიის სწორედ ეს გაურკვევლობა, მოუხელთებლობა, სხლტომადობა და ამბივალენტურობა მეჩვენებინა.

მიუხედავად ამისა, რესპონდენტების მონათხრობის საფუძველზე მათ მიერ წარმოსახული თბილისის ცენტრის, პერიფერიისა და „ნეიტრალური ზონების“

პირობითი რუკების შედგენას შევეცადე (იხ. დანართი 3, დანართი 4, დანართი 5), სადაც მათი საცხოვრებელი უბნები მოვნიშნე. ზემოაღწერილი სირთულეების გათვალისწინებით, ეს პირობითი კლასიფიკაცია, ცხადია, აბსოლუტური ვერ იქნება და ზოგ შემთხვევაში, საკამათოც შეიძლება იყოს (მაგალითად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებული რენოვაციის პროექტები ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიას შესაძლოა, სულ უფრო მზარდად გარდაქმნიდეს „ნეიტრალური ზონიდან“ ქალაქის ცენტრალურ, პრესტიჟულ სივრცედ).

კვლევის ეთიკური მხარე

საფრთხისა და უსაფრთხოების კვლევის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს რესპონდენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. რესპონდენტებთან ჩაწერილი ინტერვიუები მათ ინფორმირებულ თანხმობას ეყრდნობოდა. კონფიდენციალურობის დათქმით, თითოეულ მათგანს წინასწარ ვატყობინებდი, რომ მათი საუბარი აუდიომოწყობილობაზე ჩაიწერებოდა და ვეკითხებოდი, რამდენად მისაღები იქნებოდა ეს მათთვის, ინტერვიუს ჩაწერას კი მხოლოდ მათი თანხმობის შემდეგ ვიწყებდით. ნაშრომში კონფიდენციალურია როგორც რესპონდენტების, ისე - მათ მიერ დასახელებული სხვადასხვა პირის ვინაობა. თანხმობის საფუძველზე, ღიად იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთი რესპონდენტი, რომელმაც ჩემი საკვლევი საკითხის შესახებ საკუთარი ექსპერტული გამოცდილება გამიზიარა.

თეორიული ჩარჩო

უკანასკნელი ორიოდე ათწლეულის განმავლობაში, „ვერნაკულური უსაფრთხოების“ ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად ანაცვლებს უსაფრთხოების ე.წ.

„ადამიანის უსაფრთხოების" პარადიგმებზე აგებულ, უნივერსალისტურ გაგებას (Jarvis and Lister 2012, 160). „ადამიანის უსაფრთხოების" ცნებამ, თავის მხრივ, „უსაფრთხოების" უფრო ვიწრო განმარტება - „სახელმწიფო უსაფრთხოება" - შეცვალა, რომელიც ტერიტორიის გარე საფრთხეებისგან დაცვას, ნაციონალური ინტერესების დაცვასა და გლობალური (მაგ. მასობრივი განადგურების) საფრთხეების თავიდან აცილებას გულისხმობდა. ამისგან განსხვავებით, უფრო „ადამიანზე ორიენტირებული" *"human security"* გულისხმობდა ადამიანის დაცვასშ იმშილის, ავადმყოფობისა და რეპრესიის საფრთხეებისგან, ასევე - ყოველდღიური ცხოვრების წესის უეცარი, მტკივნეული დარღვევისაგან (Paris 2001,89). ამ უკანასკნელის კრიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს მისი ბუნდოვანება წარმოადგენს - როგორც პერისი მახვილგონივრულად შენიშნავს, „ადამიანის უსაფრთხოება „მდგრადი განვითარების" ცნებას ჰგავს - ყველა მისი მომხრეა, თუმცა, ცხადად ცოტას თუ ესმის, მაინც რას ნიშნავს იგი" (იქვე, 88). ამავე ავტორის თქმით, „ადამიანის უსაფრთხოების" განმარტებები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ, მეტისმეტად ფართო და ბუნდოვანია როგორც პოლიტიკის შემქმნელთა (policymakers), ისე - აკადემიური პერსპექტივიდან, რადგან მაინც ვერ გვიქმნის ნათელ წარმოდგენას „ადამიანის უსაფრთხოების" ცნების არსისა და მისი საზღვრების შესახებ (იქვე). ის ფაქტი კი, რომ „ადამიანური უსაფრთხოების" კონცეპტი სწრაფად იქცა საგარეო პოლიტიკური დისკურსის „მუშა" ნაწილად, კრიტიკოსთა ნაწილისთვის, მის „წარმატებულობას" კი არ მოწმობს, არამედ მის ორაზროვნებასა და შესაბამისად - ძალაუფლებით აღჭურვილი, თუ პრივილეგირებული აგენტის მხრიდან მის მიზნისამებრ მოქნილად გამოყენების პოტენციალს ამხელს (Jarvis 2019). კიდევ ერთი და ძალზე ნიშანდობლივი კრიტიკული პოზიცია კი, რომელიც პოსტკოლონიური და ფემინისტური პერსპექტივიდან ისმის, „ადამიანურ უსაფრთხოებას" უნივერსალისტურ კონცეფციად ხედავს (იქვე,113), რომლისთვისაც „უსაფრთხოების" მნიშვნელობის კულტურული, გენდერული, კლასობრივი, ეთნიკური და ა.შ. სპეციფიკურობა უხილავი რჩება.

რაში მდგომარეობს ვერნაკულური უსაფრთხოების არსი და რით განსხვავდება მისი პერსპექტივა წინამორბედი ხედვებისაგან? ვერნაკულური უსაფრთხოებისადმი მზარდი ინტერესი, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ ის კვლევის მიმართულებების ფართო სპექტრს ეხმიანება, რომლებიც უსაფრთხოების "აღმავალ" (bottom-up), „ორდინარულ" ყოველდღიურ გამოცდილებებსა და მათ „პოლიტიკურობას" შეისწავლის; მეორე მხრივ კი, იმით, რომ ვერნაკულური უსაფრთხოების ცნება განზოგადებისა და უნივერსალიზაციის ტრადიციის საპირისპიროდ, უსაფრთხოების ჰეტეროგენულ და წინააღმდეგობრივ ბუნებაზე მიგვითითებს (Jarvis 2019).

აპადურაისეული (Appadurai 1996) „ვერნაკულური მოდერნულობის" ცნებაზე დაყრდნობით, ჰანს ბუბანდტი (Bubandt 2005) „ვერნაკულურ უსაფრთხოებას" სოციალურ სივრცეში მოთავსებულ და დისკურსულად კონსტრუირებულ პრაქტიკად განიხილავს, რომელიც გლობალურის, ნაციონალურისა და ლოკალურის გადაკვეთაზე იწარმოება. ბუბანდტისთვის „უსაფრთხოების" ცნება არც ჰომოგენურია და არც კონცეპტუალურად უცვლელი - მისი მნიშვნელობა ალაგისეულად სპეციფიკური (site-specific) და სოციალურად სპეციფიკურია და ლოკალური ონტოლოგიური გამოცდილების პოლიტიკურ ისტორიას ემყარება (იქვე, 275-276). უსაფრთხოება, ბუბანდტის თქმით, „სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად კონცეპტუალიზდება და პოლიტიკურ პრაქტიკაში მას სხვადასხვა ფორმით იყენებენ" (იქვე, 291). პოლიტიკური მენეჯმენტი საფრთხის ონტოლოგიურ განცდას „უსაფრთხოების" დისკურსის წარმოების გზით აწესრიგებს. ბუბანდტის მიერ წარმოდგენილი ვერნაკულური უსაფრთხოების ანალიტიკური მოდელის მიზანი არა უბრალოდ უსაფრთხოების ფარდობითობის ჩვენებაა, არამედ იმის დემონსტრირების მცდელობა, რომ პოლიტიკური პროცესების მიერ წარმოსახვითი საზოგადოებების წარმოქმნა ძალზე მჭიდროდ უკავშირდება „უსაფრთხოების" ცნების დისკურსულ ფორმირებას გლობალური, ნაციონალური და ლოკალური მნიშვნელობების მუდმივი ურთიერთმიმოცვლის, ურთიერთგანსაზღვრის პროცესში (იქვე, 277).

უსაფრთხოების კვლევაში ვერნაკულური შემობრუნება უსაფრთხოების „აღმავალ“ (bottom-up) პერსპექტივას გვთავაზობს და იმ ჯგუფთა თუ ინდივიდთა აგენტობას გამოკვეთს, რომლებიც გლობალური პოლიტიკის შესახებ მოთხრობილ ისტორიებში ტრადიციულად, მარგინალიზებულნი იყვნენ (Jarvis 2019). ვერნაკულური უსაფრთხოება ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ "როგორ განსაზღვრავენ, განიცდიან და უზრუნველყოფენ უბრალო ადამიანები საკუთარ უსაფრთხოებას" (Luckham 2017,112)[5]. ეს გზები კი, ხშირად „ზოგჯერ რადიკალურად განსხვავდება არამხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების დომინანტური ნარატივების, არამედ - ადამიანისა და მოქალაქის უსაფრთხოების უნივერსალური კონცეფციებისაგან" (იქვე).

კროფტი და ვონ-უილიამსი (Croft and Vaughan-Williams 2017, 11) აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოების ცნებისადმი ვერნაკულური მიდგომა გვიჩვენებს, როგორ აგებენ მოქალაქეები ამა თუ იმ საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და საფრთხის ცნებებს მათ საკუთარ, კულტურულად სპეციფიკურ გამოცდილებაზე, ლექსიკონსა თუ რეპერტუარზე დაყრდნობით. "უსაფრთხოება" აქ ინდივიდიდან ინდივიდამდე და ჯგუფიდან ჯგუფამდე, დროისა და სივრცის მიხედვით სულ სხვადასხვანაირად განიმარტება, ხოლო ის, რაც ერთისთვის „საფრთხეა", მეორისათვის „უსაფრთხოებად" შეიძლება ითარგმნოს. ვერნაკულური უსაფრთხოება, რომელიც „ემპირიულად იკვლევს ინდივიდის ბიოგრაფიულ მონათხრობს", ცდილობს, შეისწავლოს „არაელიტური ცოდნა, გამოცდილების კატეგორიები და საკუთარი თავისა თუ „სხვის" არტიკულაციები უფრო ფართო კულტურულ კონტექსტებთან მიმართებაში და თანამედროვე გლობალიზაციის ლინზის გავლით" (Croft and Vaughan-Williams 2017, 22-23).

არჯუნ აპადურაი (Appadurai 1996) აღნიშნავს, რომ მოდერნიზაციის, როგორც „განვითარების" იდეასთან დაკავშირებული რიტორიკა მსოფლიოში კვლავ გაისმის. თუმცა, ის მუსიკის, კინოსა და ტელევიზიის გავლით „მოშინაურდება" და მისი გავლით,

[5] ციტირებულია წყაროში: Lee Jarvis, "Toward a Vernacular Security Studies: Origins, Interlocutors, Contributions, and Challenges." *International Studies Review* 21 (1) (2019):107-126.

მოდერნულობა „ვერნაკულური გლობალიზაციის“ სახეს იძენს. „გლობალიზაციის“ გაგებას აპადურაი „დეტერიტორიზაციის“ ცნებასათან კავშირებს, რომელიც ერთი მხრივ, ტერიტორიისაგან ადამიანთა მოწყვეტას, მათ მზარდ ფიზიკურ მობილობას (მიგრაციას) გულისხმობს. მეორე მხრივ კი - იდეებისა და კულტურული ცოდნის ტერიტორიისაგან მოწყვეტას თანამედროვე გლობალური მედიის (კინო, ციფრული ტელემაუწყებლობა და ახლა უკვე ინტერნეტი) მეშვეობით. მედიახატების თავისუფალ საინფორმაციო ნაკადში ცირკულაციის გზით, გლობალური მედია ადამიანებისათვის ისეთ კულტურულ ცოდნას ხდის ხელმისაწვდომს, რომელიც მის გაჩენამდე ტერიტორიაზე იყო მყარად მიჯაჭვული. მოცემულ ნაშრომში კლასისა და ტერიტორიის მიმართების პოსტრევოლუციურ ცვლილებებზე საუბრისას, ბუბანდტის (Bubandt 2005) „ვერნაკულური უსაფრთხოების“ პირველწყაროს - აპადურაისეულ გლობალიზაციის თეორიას მივუბრუნდები და ლოკალური, ნაციონალური და გლობალური შინაარსების თანაკვეთის პროცესში „უსაფრთხოებისა“ და „საფრთხის“ შინაარსების ვერნაკულურ პროდუქციას გლობალური დეტერიტორიზაციის ფართო პროცესს დავუკავშირებ.

მოცემულ ნაშრომში თბილისის (პოსტ)საბჭოთა და პოსტრევოლუციური „კლასის“ ადგილობრივად სპეციფიკური გაგების შესწავლისას პიერ ბურდიეს თეორიას ვეყრდნობი, რომელიც, მაგ., რაიტის (Wright 2015) უფრო ხისტი განსაზღვრებისგან განსხვავებით (კაპიტალისტები, წვრილი ბურჟუაზია, მენეჯერები და მუშები) კლასის უფრო მოქნილ, ადგილობრივი კულტურული სპეციფიკისადმი უკეთ ადაპტირებად განსაზღვრებას გვთავაზობს. ბურდიესათვის (Bourdieu 1986; Bourdieu and Wacquant 2013) „კლასი“ იმ ადამიანთა კატეგორიაა, რომლებიც ძალაუფლების ველში ერთნაირ პოზიციებს იკავებენ. კლასებს შორის დიფერენციაციის აღსაწერად ავტორი ეკონომიკური (ქონება), კულტურული (ცოდნა) და სოციალური (სოციალური კავშირები) კაპიტალის ცნებებს იშველიებს. პირის კლასობრივ კუთვნილებას ერთი მხრივ, მისი ჯამური კაპიტალის რაოდენობა და მეორე მხრივ - სტრუქტურა (ე.ი., მისი კაპიტალების პროპორციული ურთიერთშეფარდება) განაპირობებს.

პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში „კლასის“ განსაზღვრება ხშირად განსაკუთრებულად პრობლემურია, რადგან კლასის ქრესტომატიული დასავლური განმარტებები ამ საზოგადოებებში არსებულ წარმოდგენებს კლასის შესახებ ყოველთვის რელევანტურად როდი ასახავს. მაგ., პოსტსაბჭოთა „ინტელიგენციის“ კულტურულად/ისტორიულად/გეოგრაფიულად სპეციფიკური ცნება შეუძლებელია, რაიტის ზემოხსენებულ, კაპიტალისტური დასავლური საზოგადოებების აღმწერ კლასიფიკაციაში მოვაქციოთ. თუმცა, თუკი „კლასის“ განსაზღვრას, ბურდიეს კვალდაკვალ, კაპიტალის ფორმების პროპორციული მაჩვენებლების ნიშნით შევეცდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ (პოსტ)საბჭოთა „ინტელიგენცია“ ვერნაკულური კლასია, რომელიც, სხვა (პოსტ)საბჭოთა ვერნაკულურ კლასთან - მაგ. „ცეხავიკებთან“,[6] ან „ახალ მდიდარ კლასთან“ („ახალი რუსები“, „ახალი ქართველები“) შედარებით, ჩვეულებრივ, მაღალ კულტურულ კაპიტალს და არცთუ მაღალ ეკონომიკურ კაპიტალს ფლობს.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემული ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩოს აგებისას ვეყრდნობოდი სამეცნიერო ლიტერატურის კორპუსს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ანტიკრიმინალურ და ურბანულ რეფორმებს, პოსტსოციალისტურ ურბანულ ტრანსფორმაციასა და კლასის პოლიტიკას განიხილავს. მოცემულ ლიტერატურას ქვევით თემატურად მიმოვიხილავ.

უსაფრთხოების მოდერნიზაცია

[6] „ცეხავიკები“ (რუს. цеховики) - საბჭოთა ჩრდილოვანი „საქმოსნები“, რომლებიც ფორმალურ სახელმწიფო საწარმოებში დამზადებულ საქონელს არალეგალურად ყიდდნენ.

ნაშრომის პირველ თავში იმ ლიტერატურას ვეყრდნობი, რომელიც პოსტსაბჭოთა დანაშაულებრიობას, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ანტიკრიმინალურ რეფორმებს, არაფორმალურობასა და თბილისის ქუჩის კულტურას განიხილავს. ნაშრომში “Organized Crime, Political Transitions and State Formation in Post-Soviet Eurasia“ ალექსანდრე კუპატაძე (Kupatadze 2012) საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ორგანიზებული დანაშაულის დინამიკას სამი ქვეყნის - საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის მაგალითზე აკვირდება. თუკი ამ ქვეყნებში მომხდარ „ფერად რევოლუციებს“ საერთაშორისო დისკურსში, ხშირად, მსგავს ფენომენებად ხედავენ, კუპატაძე ცდილობს, საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის გამოცდილება სიღრმისეულად აღწეროს და ფართო ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტზე დაყრდნობით, თითოეული კულტურის სპეციფიკური გამოცდილება გააანალიზოს. კანონდარღვევისა და ანტიკრიმინალური რეფორმების საქართველოს სპეციფიკურ გამოცდილებაზე საუბრისას, ის არაფორმალური „კანონგარეშე“ აქტორის არქეტიპის ისტორიულ ცვალებადობას აკვირდება და ქართველების ასეთი აქტორებისადმი მაღალ ნდობას *აბრაგის,* როგორც კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი აჯანყებულის სახეს უკავშირებს, რომელიც საბჭოთა ქართულ ყოველდღიურობაში კანონიერი ქურდის „ანტისაბჭოთა“ ფიგურად და მისდამი ქართული საზოგადოების პატივისცემად გარდაიქმნება. ამის საწინააღმდეგოდ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებული გარდამტეხი ცვლილებები და მათი თანამდევი ოფიციალური იდეოლოგიური დისკურსი პროფესიონალ კრიმინალობას „ჩამორჩენილობას“და „პრორუსულობას“ უკავშირებს და მათ კანონის უზენაესობის, როგორც „დასავლური ღირებულების“ იდეას უპირისპირებს. ეს კი, ამ იდეოლოგიის ჭრილში, ის ღირებულებებია, რომლებისკენაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ქართული საზოგადოება უნდა ისწრაფვოდეს. „კრიმინალურობის“ და „რუსეთის“ იდეების გადაჯაჭვულობას კუპატაძე ადგილობრივი გამოცდილებით ხსნის - ის განმარტავს, რომ ჯერ კიდევ 80-90-იანებში ქართველი *ქურდებისა* და პროფესიული კრიმინალების დიდი ნაწილი რუსეთში მიდის - ე.ი. ქართველი კრიმინალი „რუსეთთან დაკავშირებული კრიმინალია“, რომელიც ფულს იქვე შოულობს და რუსული მაფიის

თამაშის წესებით თამაშობს. რუსული კრიმინალური სამყარო, როგორც კუპატაძე აჩვენებს, პოსტსაბჭოთა სივრცეში „დიდი ძმის“ როლის შესრულებას განაგრძობს. ეს გავლენა კი, ავტორის თქმით, ხშირად პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებულია და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი იარაღის ფუნქციას ასრულებს.

გევინ სლეიდი პოსტრევოლუციურ საქართველოში უსაფრთხოების შექმნასა (Slade 2012a) და მაფიის დაღმასვლას აანალიზებს (Slade 2012b). პირველ სტატიაში ის აკვირდება, როგორ ცდილობს საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობა, სახელმწიფოს დაუბრუნოს უსაფრთხოების კონტროლის სადავეები, რომლებიც პოსტსაბჭოთა საქართველოში არაფორმალური აქტორების, ხშირად - პროფესიული კრიმინალების ხელთ იყო. სლეიდი დეტალურად განიხილავს მაფიის წინააღმდეგ საბრძოლველად პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, მათ შორის, 2005 წელს ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის საწინააღმდეგო კანონის შემოღებას და მის ადგილობრივ კონტექსტს. სლეიდის ამ ნაშრომში იკვეთება, რომ ეს ცვლილებები და მათი თანამდევი მზარდი დამსჯელობითობა, ერთი მხრივ, მოსახლეობას ქუჩის დანაშაულისაგან უსაფრთხოების ზრდის განცდას უქმნის, თუმცა, მეორე მხრივ, მოქალაქეთა აღქმაში, თავად კანონაღმასრულებელი ინსტიტუციები იქცევიან საფრთხის წყაროდ, რომლებიც მცირე დანაშაულისათვის ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრ სასჯელს აწესებენ, ზოგჯერ კი პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებულად და „თავად უსამართლოდ“ აღიქმებიან. მეორე სტატიაში (“No Country for Made Men”) სლეიდი ქურდების სუბკულტურასა და არაფორმალურ კრიმინალურ აქტორებს უფრო ახლოს აკვირდება და საქართველოში მათი, როგორც „სანდო არბიტრების“, „ალტერნატიული მოსამართლეების“ ადგილობრივ საზოგადოებრივ აღქმას აანალიზებს. ამისათვის ის ქურდების სუბკულტურის წარმოშობის ისტორიულ კონტექსტს და დროთა განმავლობაში, მისი სტრუქტურის, შინაარსის, ფუნქციებისა თუ სტილის ტრანსფორმაციას მიმოიხილავს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სახელმწიფო უსაფრთხოების ფორმალიზაციასა და ქურდების ყოფილი „სერვისის“ უკან დაბრუნებას ცდილობს. ანტიმაფიოზური კანონმდებლობის დახმარებით, კანონიერი ქურდების

გავლენა საქართველოში მართლაც შესამჩნევად მცირდება. თუკი „ვარდების რევოლუციამდე“ ქურდები მოხერხებულად ადაპტირდებოდნენ ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნებისადმი, „ვარდების რევოლუციის“ ანტიმაფიოზური კამპანიის პირობებში, მათთვის ეს შეუძლებელი გახდა.

ერთობლივ სტატიაში სლეიდი და კუპატაძე საქართველოს ანტიკრიმინალური რეფორმებისა და მათი შედეგების სიღრმისეულ ანალიზს აკეთებენ (Slade and Kupatadze 2017). ისინი აკვირდებიან, რომ გაზრდილმა დამსჯელობითობამ, რეფორმატორების მოლოდინების საპირისპიროდ, მოქალაქეთა კანონმორჩილების გაზრდა ვერ შეძლო. ამის მიზეზებად ისინი უსაფრთხოების და კანონაღსრულების უზრუნველმყოფი ფორმალური ინსტიტუციების არასრულ პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციას მიიჩნევენ. ეს ინსტიტუციები, ავტორების თვალსაზრისით, მოქალაქეების აღქმაში უსაფრთხოების ნაცვლად, საფრთხესთან ასოცირდება, რადგან მათ მიკერძოებულად და ხშირად - პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებულად აღიქვამენ. ეს კი მოქალაქეების კანონისადმი პოსტსაბჭოთა ნიჰილიზმს გაქარწყლების ნაცვლად, ზოგჯერ კიდევ უფრო აღრმავებს. ავტორები აქვე „ქართული ოცნების“ მთავრობის ანტიკრიმინალურ პოლიტიკასაც აკვირდებიან, რომელმაც 2012 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციის“ მთავრობა შეცვალა. „ქართული ოცნების“ უფრო შერბილებული ანტიკრიმინალური პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო 2013-2014 წლებში პატიმრების მასობრივი ამნისტიის კონტექსტში გახდა, სლეიდისა და კუპატაძის აზრით, ასევე ნეგატიურად ზემოქმედებს კანონისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე. ავტორების თქმით, ამნისტიის დაჩქარებული ტემპები ზოგჯერ ეჭვს ბადებდა მათი დასაბუთებულობის შესახებ, რასაც კანონაღმასრულებელი ინსტიტუციებისადმი მოქალაქეთა ნდობა კიდევ უფრო მეტად შეიძლებოდა შეემცირებინა.

კოსტანცა კურო (Curro 2017) თბილისის ურბანული სივრცის პოსტრევოლუციურ მოდერნიზაციასა და ქუჩის არაფორმალურ პრაქტიკებზე მის ზეგავლენას აანალიზებს. მის ნაშრომში პოსტსაბჭოთა არაფორმალობა განხილულია, როგორც გამძლე მექანიზმი,

რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა და “ვერშემდგარი” პოსტაბჭოთა სახელმწიფოების, ან მათი ნეოლიბერალური წესრიგის მიმართ მოქალაქეთა წინააღმდეგობას აჩვენებს. კურო თბილისის ქუჩაში პოპულარულ სოციალიზაციის სივრცეს - „ბირჟას“ აკვირდება, რომელიც საჯარო სივრცეში, ტიპურად, მამაკაცების თავშეყრის ადგილია. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ოფიციალურ იდეოლოგიაში, კუროს თანახმად, „ბირჟა“ ბნელი, ჩამორჩენილი და კრიმინალური წარსულის გადმონაშთად არის გააზრებული, რომლის ადგილი მოდერნიზებულ, „ვესტერნიზებულ“ საქართველოში აღარ არის. ბირჟა, როგორც არაფორმალური პრაქტიკა, სულ უფრო მეტად ფორმალიზებული თბილისის სივრციდან განიდევნება. გაზრდილი დამსჯელობითობა, რომელზეც სლეიდი და კუპატაძე (2017) მსჯელობენ, კუროს ანალიზში ბირჟის წევრებზეც ვრცელდება, რომლებიც ხშირად იქცევიან პოლიციის მიერ კონტროლის, ჩხრეკისა და ზოგჯერ - დაპატიმრების სამიზნედ. ავტორის დაკვირვებით, ეს პოლიტიკა თბილისის საჯარო სივრცეებიდან ბირჟის თანდათანობით გაქრობას იწვევს.

თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაცია და დეტერიტორიზაცია

თბილისის ურბანული სივრცის ტრანსფორმაციის დინამიკის საბჭოთა მონაკვეთს შესანიშნავად აღწერს კლერ პოგ კაიზერის (Kaiser 2015) სადისერტაციო ნაშრომი, სადაც ავტორი თბილისის გვიანდელი საბჭოთა პერიოდის განაშენიანების, ახალი მიკრორაიონების გაჩენის და ქალაქში კლასის განსახლების საკითხებს აანალიზებს. ადგილობრივი არქივების ძალზე საინტერესო მასალასა და ეთნოგრაფიაზე დაყრდნობით, კაიზერი აჩვენებს, რომ საბჭოთა თბილისის სივრცეში პრესტიჟის აღქმული გეოგრაფიული განფენა არა სპონტანური მოვლენა, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების შედეგი იყო.

სიკორასა და ბუზაროვსკის (Sykora and Bouzarovski 2012) თანახმად, სოციალიზმის შემდგომი ტრანზიცია პოსტსოციალისტურ ურბანულ სივრცეებში არა ერთჯერადი, არამედ - მრავლობითია. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სოციალური პრაქტიკების გარდაქმნა და ურბანული ტრანსფორმაცია სხვადასხვა ლოკალურად სპეციფიკური გზებით მიმდინარეობს მაშინაც კი, როცა ინსტიტუციური ტრანსფორმაციები დასრულებულია. მიუხედავად ამისა, პოსტსოციალისტურ ქალაქებს შორის ტრანსფორმაციის გარკვეული საერთო პატერნებიც იკვეთება. პოსტსოციალისტური მთავრობები ხშირად იხრებიან ნეოლიბერალური ურბანული პოლიტიკისაკენ, რომლის პერსპექტივიდან ქალაქის დაგეგმარება თავისუფალი ბაზრის განვითარებას აბრკოლებს. ამის ნაცვლად, ისინი ქალაქის ურბანულ განვითარებას კერძო სექტორს ანდობენ. ამ ფონზე, ტიპურ ცვლილებებს პოსტსოციალისტური ქალაქების საზოგადოებრივი სივრცეების პრივატიზაცია, კომერციალიზაცია და მათში ახალი, „ფუტურისტული“ არქიტექტურული სიმბოლოების გაჩენა შეადგენს. აქვე ავტორები ჯენტრიფიკაციისა და სუბურბანიზაციის მზარდ ტენდენციაზეც საუბრობენ, რომლებიც, მათი დაკვირვებით, არაერთ პოსტსოციალისტურ ქალაქს ახასიათებს. ამ ცვლილებებზე, მათ შორის - სუბურბანიზაციის განვითარებაზე საუბრობს სონია ჰირტიც (Hirt 2012), რომელიც პოსტსოციალისტური ქალაქების ტრანსფორმაციის პატერნების მსგავსებას სოციალიზმის შემდგომი პრივატიზმის კულტურით ხსნის. თუკი სოციალისტურ ყოველდღიურობაში მოქალაქეებისათვის „საჯარო“ და „საზოგადოებრივი“ უხარისხობასთან, არასანდოობასთან და უსარგებლობასთან ასოცირდებოდა, „კერძო“ და „პირადი“ ამის საპირისპირო მნიშვნელობას იძენდა. ეს ცოდნა კი მოქალაქეების ყოველდღიურობაზე პოსტსაბჭოთა რეალობაშიც აგრძელებს ზეგავლენას, სადაც ის ნეოლიბერალური პოლიტიკური იდეოლოგიის გზავნილებს ერწყმის. პოსტრევოლუციური ურბანული პოლიტიკის ამ საინტერესო ჰიბრიდულობის გააზრებაში გლობალური სამხრეთის ქალაქგანვითარების შესახებ ანანია როის ანალიზი დამეხმარა, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფოს არაფორმალურ როლს ეკვირდება (Roy 2013). ამ საკითხებს თბილისის კონტექსტში სწავლობს პერი შერაუზის ნაშრომი თბილისის საზოგადოებრივი სივრცის მზარდი პრივატიზაციის შესახებ (Sherouse 2018).

თბილისის ტროტუარებზე დაკვირვების გზით, ავტორი აჩვენებს, როგორ ებმის ერთმანეთს ადგილობრივი ოფიციალური იდეოლოგიაში სივრცის „პრივატიზაციისა“ და „ევროპეიზაციის“ შინაარსები, რაც შერაუზისათვის საინტერესო პარადოქსია.

სალუქვაძის, ვან აშესა და შავიშვილის (Salukvadze, van Assche, and Shavishvili 2009) მიერ შედგენილი კრებული, “City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet” მრავალი ავტორის წვლილს შეიცავს, რომლებიც თბილისის ურბანულ განვითარებას სხვადასხვა ფოკუსით აკვირდებიან. კრებულის პირველ თავში რონალდ გრიგორ სუნი (Ronald Grigor Suny) მე-19 საუკუნის თბილისის გეოგრაფიასა და კლასობრივ შემადგენლობას აანალიზებს. მის ანალიზში კლასი, ტერიტორია და ეთნიკური იდენტობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და იმ ურბანულ ქსოვილსა და ისტორიულ შრეს ქმნის, რომელსაც შემდგომი თბილისი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) დაეშენება. კრებულის მესამე თავში პოლ მენინგი (Paul Manning) პოსტსაბჭოთა თბილისის ლანდშაფტის, სემიოტიკისა და ელიტის პოლიტიკის ცვლილებას აკვირდება. ის გვიანდელი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის პერსპექტივას და საქართველოს პოსტსაბჭოთა პოლიტიკაში მის როლს აანალიზებს. საბჭოთა ინტელიგენციის კულტურა, მენინგის თანახმად, ანტისაბჭოურობას გულისხმობდა, რაც „ანტისაბჭოთა აქტორებად“ აღქმულ კანონიერ ქურდებთან მათ განსაკურებულ სიახლოვეს განაპირობებს. ინტელიგენციას მენინგი, კრიმინალური სუბკულტურის საბჭოთა აქტორების მსგავსად, კვაზი-არისტოკრატიად ხედავს - იმ გაგებით, რომ *ქურდებიცა* და ინტელიგენციაც საკუთარ თავს „მუშა საბჭოთა ხალხისაგან“ მიჯნავენ თვლიან რა, რომ თავად უნდა „ჭამონ“, სხვებმა კი - „იმუშავონ“. ამავე ტექსტში მენინგი ქალაქის სივრცის ახალი, დახურული ვილებით განაშენიანებაზე მსჯელობს, რომელსაც მისი *ინტელიგენტი* ინფორმანტები თბილისში „ქაჯების“ გაჩენას უკავშირებენ. „ქაჯი“, ამ წარმოდგენაში, „პარვენიუა“ - პერიფერიიდან ცენტრში ჩასული, ახლადგამდიდრებული მოქალაქე, რომელიც ადგილობრივ კულტურულ კოდებს არ ფლობს, ხოლო თბილისისათვის დამახასიათებელი ღია სივრცეების (ავნიანი სახლები) ნაცვლად, „ქაჯეთის ციხეებს“ - გალავნებით შემოსაზღვრულ, დახურულ საცხოვრებელ სივრცეებს

აწარმოებს. კრებულის მეექვსე თავში კარლ ციგლერი (Karl Ziegler) ვრცლად მიმოიხილავს ქალაქგეგმარების ცვლილებას თბილისში სოციალიზმიდან - კაპიტალიზმამდე. ავტორი ქალაქგეგმარების პოსტსაბჭოთა „ხელახალ გამოგონებას“ აკვირდება და აღნიშნავს, რომ ეს პროცესი მრავალი პრობლემით იყო გაჟღენთილი. კერძო სექტორის ძალაუფლება თამაშის ამ ველზე ახალ, ძლევამოსილ მოთამაშეს ქმნის, რომელიც მოგებას ხშირად საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევის ხარჯზე იღებს. დამგეგმარებელი ინსტიტუტები პოლიტიკური და ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ ხშირად უძლურნი არიან. სამშენებლო დერეგულაციის ფონზე მიმდინარე სამშენებლო ბუმი კი ქალაქის ცენტრის უკიდურეს გამჭიდროებას იწვევს. სახელმწიფოს ურბანული პოლიტიკა საქართველოს უნიკალურ გამოცდილებას ასახავს, როცა სახელმწიფო, ერთდროულად, არის და არც არის აქტორი. კრებულის მომდევნო თავებში იოსებ სალუქვაძე (Joseph Salukvadze), ვლადიმერ ვარდოსანიძე (Vladimer Vardosanidze) და ნიკა შავიშვილი (Nick Shavishvili) პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პირობებში მყოფი ქალაქის ურბანული და სოციალური მახასიათებლების ცვლილებას აღწერენ. სალუქვაძე პოსტრევოლუციურ თბილისში ქალაქის ცენტრის განსაკუთრებით თვალსაჩინო განაშენიანებაზე ამახვილებს ყურადღებას და კერძო სამშენებლო სექტორის გააქტიურების დინამიკასა და განმაპირობებელ მიზეზებზე საუბრობს. შავიშვილი დერეგულირებული სამშენებლო ბიზნესის კერძო აქტორების მიერ საზოგადოებრივი, მათ შორის, მწვანე სივრცეების შთანთქმას აღწერს და აკვირდება, რა ეკოლოგიურ, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პრობლემებს ბადებს ქალაქის უკონტროლო განაშენიანება. ვარდოსანიძე თბილისში მოქალაქეთა საბჭოთა განსახლების ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს მიმოიხილავს და პოსტსაბჭოთა საქართველოს ურბანული განვითარების სოციალურ განზომილებას აანალიზებს. ამავე კრებულში, თამარ სულუხიას (Tamar Sulukhia) ნაშრომი თბილისის სუბურბანიზაციის პირველ ნიშნებს, მის გეოგრაფიასა და განმაპირობებელ ფაქტორებს განიხილავს. ავტორის თანახმად, 2010-იან წლებამდე თბილისის სუბურბანიზაციის ტენდენცია არცთუ მკაფიოა. არსებული სუბურბანიზაცია კი ძირითადად, თბილისის შემოგარენისა და მისი სატელიტი სივრცეების ათვისებით შემოიფარგლება, რომლებიც ხშირად თბილისის სუბურბიის

როლს ასრულებენ. სუბურბანიზაციის ტენდენციის თანდათანობით გამოკვეთას ავტორი მიწის ბაზრის განვითარებით, ურბანული დერეგულაციითა და მაღალშემოსავლიან მოქალაქეთა ფენის გაჩენით ხსნის.

ჰაინრიჰ ბიოლის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის მიერ 2015 წელს გამოცემული კრებულში, სახელწოდებით "From Private to Public — Transformation of Social Spaces in the South Caucasus" ქალაქის მკვლევრები (არქიტექტორები, ურბანისტები, ურბანული ანთროპოლოგები და სხვები) სამხრეთ კავკასიის ქალაქებში კერძოსა და საჯაროს მიმართებებს განიხილავენ. ირაკლი ჟვანია (2015) ვერის უბნის „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ტრანსფორმაციას აღწერს. მის ანალიზში, ქალაქი და განსაკურებით, მისი ტრადიციული ცენტრი დერეგულირებული, ქაოტური და მოგების მაქსიმიზაციაზე ფოკუსირებული კერძო სამშენებლო სექტორის ანაბარაა დარჩენილი, რომელსაც სახელმწიფო მაქსიმალურად უწყობს ხელს, სამოქალაქო სექტორი კი მოქალაქეთა ინტერესების დაცვას ეფექტურად ვერ ახერხებს. ამ პირობებში, ქალაქის ძველ უბანში მრავალი ახალი, ხშირად გარემოსთან შეუსაბამო და სამშენებლო სტანდარტების დარღვევით აგებული საცხოვრებელი შენობა ჩნდება. ვერის უბანში საცხოვრისზე მაღალ მოთხოვნას მისი პრესტიჟულობა და მიმზიდველობა განაპირობებს. ეს მიმზიდველობა, ჟვანიას დაკვირვებით, ვერის უბნის ადამიანური მასშტაბებით, ჯერ კიდევ შემორჩენილი ღირებული არქიტექტურითა და ჯანსაღი სამეზობლო სისტემით არის განპირობებული. რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, ამ მახასიათებლებს, რომლებმაც ახალმოსახლე უბნისკენ მიიზიდა, თავად ახალმოსახლეების მზარდი მოთხოვნა და შედეგად, უბნის სივრცის სამშენებლო სექტორის მიერ მაქსიმალური ათვისება ანადგურებს. ამავე კრებულში დათა ჭიღოლაშვილი (David (Data) Chigholashvili) თბილისის გარეგნული იერსახის პოსტრევოლუციურ მოდერნიზაციას აკვირდება. შუშისა და ფოლადისგან აგებული ახალ, თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებს ავტორი საქართველოს მოდერნიზაციის და ვესტერნიზაციის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წარსულიდან ახალ რეალობაში შებიჯების ნიშნებად „კითხულობს". ეს ახალი ფორმები, რომლებიც ზოგჯერ ტრადიციულ სივრცეებს ანაცვლებს, ჭიღოლაშვილის თქმით, იქამდე არსებულ

არქიტექტურულ ფორმებთან კავშირსა და ისტორიულ უწყვეტობას არ ასახავს. ჭიღოლაშვილის მსგავსად, სალუქვაძე და გოლუბჩიკოვიც (Salukvadze and Golubchikov 2016, 49) მსჯელობენ, რომ თბილისის პოსტრევოლუციურ „ფუტურისტულ“ ურბანულ ნიშანსვეტებს მოქალაქეები არაერთგვაროვნად აღიქვამენ, თუმცა, როგორც არ უნდა იყვნენ თბილისელები ახალი არქიტექტურისადმი განწყობილნი, ფაქტია, რომ ამ ნაგებობებმა ქალაქის ახალი ლანდშაფტი შექმნეს, რომელიც მოქალაქეებთან ინტერაქციაში უკვე ახლებურ რეალობას ქმნის (იქვე).

თავი I - უსაფრთხოების მოდერნიზაცია - პერსონალური საფრთხე და უსაფრთხოება თბილისში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ[7]

შესავალი

2016-2020 წლებში თბილისის არაერთ მოქალაქეს შევხვდი, რომლებიც თბილისში ცხოვრების პერსონალური გამოცდილების შესახებ მომითხრობდნენ. მათი მსჯელობა ხშირად პერსონალური „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ საკითხის ირგვლივ იკვრებოდა და ჩვეულებრივ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებულ მრავალფეროვან ცვლილებებზე რეფლექსიას მოიცავდა. ამ განსჯის ერთ-ერთი მთავარი საგანი კი თბილისის საჯარო სივრცეში პერსონალური საფრთხისა და

[7] მოცემული თავი ეფუძნება და განავრცობს 2022 წელს გამოქვეყნებულ სტატიას: Tinatin Khomeriki, "Modernising Security: Vernacular (In) securities in the Public Space of Tbilisi after the Rose Revolution," *Caucasus Survey* 10, no. 3 (2022): 245-270.

უსაფრთხოების აღქმა იყო, რომელსაც ჩემი რესპონდენტები სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავდნენ. 1956 წელს დაბადებული გია, რომელსაც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში - ვაკეში - მდებარე საკუთარ ბინაში შევხვდი, მიყვება:

> *ასე, ათი წლის წინ, ვიღაც 25 წლის ბიჭს, დისტრიბუტორს, 14 წლის ბავშვთან მოუვიდა ჩხუბი. ამბობდნენ, რომ იმ ბავშვმა ეს ბიჭი დანით დაჭრა. მშობლებმა ტელევიზიით თქვეს, ეგო, შვილს გვიკლავდაო და უნდა დალპეს ციხეშიო. აი, როგორ შეცვალა ამ სისტემამ მშობლების ფსიქოლოგია. ყველა თვლის, რომ საქმე ცუდად არის. [მთავრობამ] ხალხის ციხეში გაშვება დაიწყო. გვეუბნებიან, ხალხი პოლიციაში უნდა ჩაუშვათო ...*

ამ მონათხრობში გია საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობის ანტიკრიმინალურ პოლიტიკას განიხილავს, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ქუჩის დანაშაულისა და კონფლიქტის არაფორმალური გზებით მოგვარების ჩანაცვლება უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმალური საშუალებებით. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ ახლებურ მეთოდს გია საფრთხის წყაროდ ხედავს. მის წარმოდგენაში, სახელმწიფო ამ გზით მას კონფლიქტების საკუთარი, არაფორმალური საშუალებებით მოგვარების შესაძლებლობას ართმევს. ამ უკანასკნელს კი გია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქებში სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის, საკუთარი ავტონომიის გამოხატულებად აღიქვამდა.

1990 წელს დაბადებული სანდრო, რომელიც ვაზისუბნის პერიფერიულ მიკრორაიონში დაიბადა და გაიზარდა, ვითარებას განსხვავებულად ხედავს. მისთვის ანტიკრიმინალური პოლიტიკის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი გარდატეხა ურბანულ საჯარო სივრცეში პერსონალური უსაფრთხოების წყაროა:

> [ვარდების რევოლუციის შემდეგ] თბილისში გადაადგილება უფრო უსაფრთხო გახდა, სახელმწიფო ახლა ჩალით აღარ არის დაფარული.

ამბობს სანდრო. მაშ, რატომ აღიქვამენ ეს მოქალაქეები ერთსა და იმავე პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ასე ურთიერთსაწინააღმდეგოდ და როგორ მიემართება ეს წარმოდგენები მათ ასაკს, სქესსა და სოციალურ წარმომავლობას?

სამეცნიერო და ლიტერატურული წყაროების, ოფიციალური პოლიტიკური დისკურსისა და თბილისის მცხოვრებთა მონათხრობების ანალიზზე დაყრდნობით, მოცემულ თავი განიხილავს პერსონალური საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობებს თბილისის საჯარო სივრცეში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. „ვარდების რევოლუციას“ სწრაფი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნა მოჰყვა, რომელიც „მოდერნიზაციის“ დისკურსშია გახვეული - პროექტისა, რომელიც რევოლუციისშემდგომმა მთავრობამ საქართველოში 2003-დან 2012 წლამდე განახორციელა (Jones 2013). თავი, ერთი მხრივ, მოქალაქეების აგენტობაზეა ფოკუსირებული და ცდილობს, ჩვეულებრივ, დაღმავალი (top-down) პერსპექტივიდან შესწავლილ ფენომენს აღმავალი (bottom-up) პერსპექტივიდან დააკვირდეს; მეორე მხრივ კი ეყრდნობა ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს მოქალაქეთა ყოველდღიურ ლოგიკაზე გავლენას „ზევიდან“ მომავალი დისკურსი და ცდილობს, გაიაზროს „მოდერნიზაცია“-„ჩამორჩენილობის“, „კრიმინალურობა“-„კანონმორჩილების“, „ფორმალურობა“-„არაფორმალურობისა“ და „დასავლეთი“-„რუსეთის“ ოპოზიციები, რომლებიც მმართველ ელიტებსა და მოქალაქეებს შორის მუდმივი მოლაპარაკების საგანია.

თუკი „საფრთხე/უსაფრთხოება“ ზოგჯერ უნივერსალურ ფენომენად გაიგება, რომელსაც თითოეული ადამიანი ერთნაირად განიცდის, მოცემულ თავში, „ვერნაკულური უსაფრთხოების“ (Bubandt 2005) ცნებაზე დაყრდნობით და ემპირიული მონაცემების ანალიზის გზით შევეცდები ვიმსჯელო, რომ პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოება არამხოლოდ კულტურულად სპეციფიკური, არამედ - სოციალურად სპეციფიკური და ღრმად ამბივალენტური ფენომენია. მოვლენა, რომელსაც ერთი მოქალაქე საკუთარი უსაფრთხოების წყაროდ მიიჩნევს, მეორე მოქალაქის პერსპექტივიდან საფრთხის წყაროდ

შეიძლება აღიქმებოდეს. ამ ცნების ამბივალენტურობა კიდევ უფრო ღრმავდება მაშინ, როცა ერთი და იგივე ფენომენი ერთი და იგივე მოქალაქის აღქმაში, ერთდროულად, საფრთხედაც ისახება და უსაფრთხოებადაც.

შესაბამისი ლიტერატურული წყაროების, ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის ამსახველი დოკუმენტებისა და თბილისის მოქალაქეთა ინტერვიუების ანალიზის გზით, მოცემული თავი თბილისის საჯარო სივრცეში პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოების აღქმას უსაფრთხოების პოსტრევოლუციური „მოდერნიზაციის“ კონტექსტში აკვირდება. „საჯარო სივრცის“ ტერმინით აღვნიშნავ სივრცის ტიპს ურბანულ ქსოვილში, რომელიც ღიად ხელმისაწვდომია - მაგალითად, საჯარო თავშეყრის ადგილებსა და დამაკავშირებელ სივრცეებს (ქუჩები, გადასასვლელები და ა.შ.). „პერსონალურ საფრთხე/უსაფრთხოებაში“ კი ვგულისხმობ დანაშაულისაგან თუ ფიზიკური, ვერბალური და სექსუალური შევიწროებისაგან დაუცველობის/დაცულობის განცდას მოქალაქის აღქმაში.

ამ თავში შევეცდები, ვუპასუხო რამდენიმე შეკითხვას. 1) როგორ აღიქვამენ თბილისის სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური წარმომავლობის მოქალაქეები პერსონალურ უსაფრთხოებას თბილისის საჯარო სივრცეში? 2) როგორ მიემართება ეს აღქმა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ოფიციალურ დისკურსს? 3) როგორ მიემართება ეს აღქმა მოქალაქეთა ასაკს, სქესსა და სოციალურ წარმომავლობას? ამ შეკითხვებზე საპასუხოდ, პირველ რიგში, მიმოვიხილავ დანაშაულებრიობასა და საფრთხე/უსაფრთხოებას საქართველოში „ვარდების რევოლუციამდე“. შემდეგ, გავაანალიზებ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ უსაფრთხოების მოდერნიზაციას სამი მიმართულებით: 1) პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოება თბილისის საჯარო სივრცეში ქალების პერსპექტივიდან. 2) „ქუჩის კულტურა“, დასავლეთი, რუსეთი და ურბანული ელიტები. 3) უსაფრთხოების ფორმალიზაცია და მისით (უ)კმაყოფილება. დასასრულს, ანალიზს შევაჯამებ და შევეცდები, საკითხის ირგვლივ ახალი შეკითხვები წამოვჭრა.

ქუჩის საფრთხე/უსაფრთხოების ადგილობრივი გაგება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება კანონდარღვევის საზოგადოებრივ აღქმას. კუპატაძე (Kupatadze 2012) და მორჩილაძე (2014) აღნიშნავენ, რომ ქართველების წარმოდგენაში კანონდარღვევა „სიმამაცესთან“ და მამაკაცურობის დემონსტრირებასთან ასოცირდება. ამგვარი კულტურული წარმოსახვის ფესვებს ავტორები „აბრაგებისა“[8] და „ფირალების“[9] ტრადიციულ ფიგურებში ხედავენ. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე, ეს ცნებები მეფისა თუ ფეოდალის ძალაუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ პარტიზანებს გულისხმობდა. 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ კი აბრაგები და ფირალები კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლ, რომანტიკულ „კანონგარეშე პირებად“ ჩანან, რომლებიც თავს ადგილობრივ მთებსა თუ ტყეებს აფარებენ. მორჩილაძისათვის (2014, 44-45) ასეთი „კეთილშობილი კანონგარეშე პირის“ ერთ-ერთი არქეტიპული სახე არსენა ოძელაშვილია - ისტორიული ფიგურა, რომელიც მე-19 საუკუნის მეტად პოპულარული ქართული ხალხური პოემის პერსონაჟად იქცა. პოემაში არსენა ბატონ-ყმობისა და რუსული მმართველობის წინააღმდეგ ამხედრებული „კანონგარეშე პირია“, რომელიც „მდიდარს ართმევს, ღარიბს - აძლევს“ და ხალხში დიდი პატივისცემითა და თანაგრძნობით სარგებლობს. არსენას პერსონაჟი საბჭოთა სოციალისტურ იდეოლოგიაში „ხალხისათვის მებრძოლ გმირად“ ჩაეწერა. 1949 წელს მცხეთაში მისი ქანდაკება აღიმართა, „არსენას ლექსი“ კი საბჭოთა ქართული სკოლების კურიკულუმის ნაწილად იქცა. მორჩილაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგალითად, კახეთსა და იმერეთში) ასეთ კანონგარეშე პირებს უბრალოდ, „ყაჩაღად“ მოიხსენიებდნენ, ე.ი., „კარგ“ და „ცუდ“ ყაჩაღს ერთი და იგივე ტერმინით აღნიშნავდნენ, რაც ამ ორს შორის განსხვავებას აბუნდოვანებდა (იქვე, 44). *ფირალის*

---

[8] *„აბრაგი“* კავკასიაში ფართოდ გავრცელებული, „ყაჩაღის“ აღმნიშვნელი ტერმინის გაქართულებული ფორმაა. იხ. ადიღეური „აბრეგ“, აფხაზური „აბრაგ“, ყაბარდოული „აბრაჯ“ (ბუკია 2016, 70).

[9] ასევე იხ. Mühlfried (2019, 17-18).

ფიგურის მნიშვნელობაზე მსჯელობს ჯონსიც (2018, 174), რომელიც მე-19-მე-20 საუკუნეების გურიაში ჯანყისა და პოლიტიკური წინააღმდეგობის ტრადიციებს აკვირდება. გურულ ფირალებს ის ჰობსბაუმისეულ (Hobsbawm 1971) „სოციალურ ყაჩაღებად“ აღწერს, რომლებიც ცარისტული მპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის მოკავშირის როლს ასრულებდნენ და ამავე დროს, გლეხების თვალში ლეგიტიმიზებული ძარცვა-ყაჩაღობით პირად საჭიროებებსაც იკმაყოფილებდნენ.

კუპატაძეცა (2012) და მორჩილაძეც (2014) მიიჩნევენ, რომ „კანონგარეშე პირებისადმი“ გასაბჭოებამდელი ქართველების კეთილგანწყობა, მოგვიანებით, საბჭოთა 1930-იანებიდან ჩამოყალიბებული პროფესიონალი კრიმინალური სუბკულტურის, ე.წ. „კანონიერი ქურდებისადმი“ საზოგადოების პატივისცემად იქცა. „ქურდების“ სუბკულტურა საბჭოთა შრომით-გამასწორებელ ბანაკებში წარმოიშვა და მათი პირველადი ფუნქცია ციხეებისა და ციხის მიღმა მყოფი დამნაშავეების კონტროლი იყო. თუმცა, თანდათანობით, მათი გავლენა გაიზარდა და 1980-იანი წლებისათვის „ქურდები“ საბჭოთა ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებით წილს აკონტროლებდნენ (Kupatadze 2012).

„ქურდების“ სუბკულტურამ განსაკუთრებული პოპულარობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში მოიპოვა. 1999 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში თითქმის 800 კანონიერი ქურდი აღირიცხა, მათი დაახლოებით მესამედი კი ეთნიკურად ქართველი იყო (Kupatadze 2012, 56). ამისათვის ხელსაყრელ გარემოს, ერთი მხრივ, საბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიის ფართო მასშტაბი ქმნიდა. მეორე მხრივ კი ამ ტენდენციას ის ამძაფრებდა, რომ ქართველები საბჭოთა მთავრობასა და ინსტიტუტებს არ ენდობოდნენ და იმედს, ამის ნაცვლად, არაფორმალურ ინსტიტუტებსა და სამოქმედო გზებზე ამყარებდნენ. ამ გადმოსახედიდან, *ქურდები* „ანტიკოლონიურ“ აქტორებად აღიქმებოდნენ, რომლებიც სხვაგვარად მიუწვდომელ რესურსებს კანონდარღვევის გზით მოიპოვებდნენ და ამასთან, ალტერნატიულ „კანონებსა“ და „წესრიგს“ ქმნიდნენ. 1980-იანი წლებისათვის *ქურდების* კულტურა სუბკულტურის საზღვრებს გასცდა და ფართო ქართული საზოგადოების ნაწილად იქცა. „ქურდების“ „ანტისაბჭოურობა“ მიმზიდველი

გახდა საბჭოთა ინტელიგენციისათვისაც - ფენისათვის, რომელსაც ბათიაშვილი განმარტავს, როგორც „ინტელექტუალთა კვაზი-კლასობრივ ფორმირებას, რომელიც ამბივალენტურად თავსებოდა „სახელმწიფოსა“ და „ხალხს“ შორის“ [და] ნაციონალისტური იდეოლოგიების კონსტრუირების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა“ (Batiashvili 2019, 1085). „ქურდების სამყაროთი“ ინტელიგენციის მოხიბლულობამ ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომ მათ ქურდებთან დამეგობრება და მათი სტილის, მეტყველებისა და მანერების მიბაძვაც კი დაიწყეს (Manning 2009b, 77-78). ამ დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოსტსაბჭოთა 1990-იანების საქართველოზეც, სადაც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ცნობილი „კანონიერი ქურდი“ და დოქტორის ხარისხის მქონე ინტელიგენტი, ჯაბა იოსელიანი იქცა (იქვე, 72). იოსელიანს, როგორც ერთსა და იმავე დროს, ფორმალური კულტურული და არაფორმალური კრიმინალური კაპიტალის ნიშანდობლივ განსხეულებას ჩემი რესპონდენტი, 1990 წელს დაბადებული ვაზისუბნელი სანდროც ახსენებს. „კანონიერ ქურდობასთან“ ერთად, იოსელიანის „ინტელიგენტობა“, სანდროს აღქმაში, დამატებითი მატერიალური და სოციალური „დივიდენდების“ მოპოვების საშუალება იყო და ამ მექანიზმით ის მოხერხებულად სარგებლობდა:

> *ჯაბა იოსელიანმა მოირგო ეს კარგად, კანონიერი ქურდიც იყო და თავისი კორპუსიც ქონდა [საბურთალოზე] და ... ალბათ, ასეთი ადამიანებისთვის ამ ორი რაღაცის შეთავსება უფრო მომგებიანი იყო. ანუ, ამ სტატუსიდან როგორც მატერიალური დივიდენდების, სოციალური სიკეთის მოპოვება, ძალაუფლების მოპოვება. თუკი ამას მოახერხებდა, ბუნებრივია, ეს მისთვის უკეთესი იყო.*

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსის ხანა დაიწყო (Jones 2013, 76). 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მალევე მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება და სამოქალაქო ომი, რომლის შემდეგ „გამაროდიორებულმა გასამხედროებულმა შენაერთებმა და მაფიოზურმა ჯგუფებმა საქართველოს მოსახლეობაზე ტირანულ ძალადობას მიჰყვეს ხელი“ (Stefes 2006, 41). ჯაბა

იოსელიანის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი გასამხედროებული ორგანიზაცია „მხედრიონი“ იყო, რომელიც ხშირად ასოცირდება საქართველოში „ქუჩის კულტურის“ სპეციფიკურ გაგებასთან. „მხედრიონი“, ერთსა და იმავე დროს, „ქურდების“ ტრადიციის მემკვიდრეც იყო და მეტოქეც. ამ ორი ჯგუფის აღწერისას მენინგი (Manning 2009b, 78) „არისტოკრატიული ძარცვის“ ცნებას იყენებს - წარმოდგენას, რომლის თანახმად, საზოგადოების ერთი ნაწილი უნდა მუშაობდეს, მეორე კი - მათ ხარჯზე ცხოვრობდეს, რაც სოციალისტურ ეგალიტარულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. როგორც კუპატაძე აღნიშნავს, „მხედრიონის“ პრაქტიკა, „ომისათვის საჭირო სახსრების მოპოვების“ საბაბით, ხშირად, მოსახლეობის რეკეტსა და ძარცვას გულისხმობდა (Kupatadze 2012,121). თბილისის გარდა, ეს პრაქტიკა განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო მხედრიონის ოპონენტის - ექსპრეზიდენტ გამსახურდიას - მომხრეებით დასახლებულ სამეგრელოს რეგიონში. თუკი „ქურდებსა“ და „მხედრიონს“ „არისტოკრატიული ძარცვისკენ“ მიდრეკილება აერთიანებდა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც იყო. „მხედრიონი“ და მასთან ასოცირებული ქუჩის დაჯგუფებები „კოდექსს“ არ ემორჩილებოდნენ და ქურდებისაგან განსხვავებით, „სიტყვების“ ნაცვლად მათ მთავარ ინსტრუმენტად სამოქალაქო ომის შემდეგ იოლად ხელმისაწვდომი ცეცხლსასროლი იარაღი იქცა. 1990-იანი წლებიდან ახალმა კრიმინალურმა სუბკულტურებმა „ქურდები“ შეავიწროვეს და მათი ძალაუფლების სადავეები გადაიბარეს. „მხედრიონის“ ბევრი ლიდერი თბილისის ცენტრში მცხოვრები, გამორჩეული ეკონომიკური ან კულტურული კაპიტალის მქონე ოჯახებიდან იყო (Kupatadze 2012, 117). ერთი შეხედვით, ქაოტური ყაჩაღობის ხანაში, როცა „მხედრიონის“ წევრები ქუჩაში ავტომობილებს აჩერებდნენ და მგზავრებს ძარცვავდნენ, მათთან პირადი ნაცნობობის პრივილეგია ზოგი მოქალაქისათვის უსაფრთხოებაზე ექსკლუზიურ წვდომას ნიშნავდა. ამ სპეციფიკურ ვითარებაში, პოტენციური პერსონალური საფრთხე თავის თავში პოტენციურ უსაფრთხოებას მოიცავდა. რუსკა, რომელიც 1988 წელს დაიბადა და ვერისა და ვაკის ცენტრალურ უბნებში გაიზარდა, იხსენებს:

მამაჩემი იქ ვიღაცეებს იცნობდა მაინც, მხედრიონელებს და ის მომენტი და შიში არ გვქონია. 90-იანებში, მანქანების პრობლემა რომ იყო და ხალხი რომ

ცდილობდა, [მანქანით] არ ევლო, იმიტომ რომ შეიძლებოდა ვიღაცა იარაღიანი გადაგდგომოდა წინ და მანქანა ჩამოერთვა, ჩემთან ოჯახში მანქანა არ გაჩერებულა არასდროს.

1990-იანი წლებიდან ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფებები განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირდა *უბნის* კულტურულად სპეციფიკურ გაგებას. თბილისელებისათვის „უბანი“ სივრცის არაფორმალური დემარკაციაა, რომლიც დარაიონების ფორმალურ სისტემას ყოველთვის როდი ემთხვევა. უბანთან მიჯაჭვულობა თბილისის მოქალაქეებისათვის იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერია და ამა თუ იმ უბანთან აფილაცია მოქალაქის სოციალურ სტატუსს ირეკლავს. თბილისის ქუჩის დაჯგუფებები ცალკეულ უბნებზე იყვნენ „მიმაგრებული“, რომელსაც იცავდნენ და „პატრონობდნენ“. კუპატაძე აღნიშნავს, რომ ამგვარი კრიმინალური დაჯგუფებების კულტურა პოსტსაბჭოთა ქალაქებში ფართოდ იყო გავრცელებული. ამა თუ იმ ქალაქში ეს დაჯგუფებები ცალკეულ უბნებსა და ტერიტორიებთან ასოცირდებოდნენ და მათ სახელებს ატარებდნენ, მათ შორის ყველაზე გავლენიანი კი მოსკოვური დაჯგუფებები (მაგ. „სოლნცევო“, „ორეხოვო“, „იზმაილოვო“) იყვნენ (Kupatadze 2012,57). არაფორმალური სოციალური კავშირების ლოგიკისა და მოქალაქის ამა თუ იმ უბანთან აფილაციის შესაბამისად, ქუჩის დაჯგუფებები თბილისელისათვის პერსონალური საფრთხის, ან - პერსონალური უსაფრთხოების წყაროს განასახიერებდნენ (Slade 2012b, 638). წვრილმან კრიმინალურ აქტივობებს 90-იანების თბილისში ის პირებიც ეწეოდნენ, რომლებიც გასამხედროებული ორგანიზაციებისა თუ გამოკვეთილი დაჯგუფებების წევრები არასდროს ყოფილან, თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტები, წვრილმანი ქურდობა და ყაჩაღობა მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად „კანონიერ ქურდებსა“ და 1990-იანების კრიმინალურ ჯგუფებს შორის სხვაობისა, ბევრი მოქალაქისათვის სხვადასხვა დანაშაულებრივ ჯგუფსა თუ ქუჩის კრიმინალურ პერსონაჟს შორის ზღვარი ბუნდოვანია. როცა 1990-იანი წლების თვითიდენტიფიცირებულ წვრილმან დამნაშავეებს, 1980 წელს დაბადებულ რეზოსა და ნიკოს ქუჩის სხვადასხვა აქტორის - მაგალითად, „ძველი ბიჭის“, ან „კაი ბიჭის“ აღწერას

ვთხოვ,[10] რესპონდენტები მეუბნებიან, რომ ეს ცნებები ადრე მკაფიოდ განისაზღვრებოდა, თუმცა, ახლა *ძველი ბიჭი* და *კაი ბიჭი* ხშირად ერთმანეთში ერევათ:

> ნიკო: *ქურდს და ძველ ბიჭს შორის განსხვავება არ არის. ქურდები თავის თავს ძველ ბიჭებს ეძახიან.*
>
> რეზო: *კაი ბიჭს მომპარავს ეძახდნენ.*
>
> ნიკო: *[ყოველდღიურ მეტყველებაში] ძველ ბიჭს ეძახიან და მომპარავებს გულისხმობენ, არადა, ძველი ბიჭი - ქურდია.*

მოქალაქეები, რომლებიც რეზოსა და ნიკოსგან განსხვავებით, ამ საკითხში ექსპერტულად განსწავლულები არ არიან, კრიმინალურობისა და კანონდარღვევის მნიშვნელობებს „ქუჩის“ ზოგად ცნებაში აერთიანებენ. ამავე დროს, პირდაპირი მნიშვნელობით, *ქუჩა* „საერთო საჯარო სივრცესაც“ ნიშნავს, რომელიც ყველა მოქალაქის საზიარო საკუთრებაა. ეს საინტერესოდ ეხმიანება ზახაროვას (Захарова 2010, 182-183) არგუმენტს, რომ ქუჩის კულტურა არა რომელიმე ჯგუფის ექსკლუზიური საკუთრებაა, არამედ ცხოვრების წესი, რომლის შესახებ ცოდნას, მეტნაკლებად, თბილისის ნებისმიერ სოციალურ ფენას მიკუთვნებული მოქალაქე იზიარებს.

კუპატაძე (Kupatadze 2012) აღნიშნავს, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში კრიმინალური ქაოსი მაშინ დამთავრდა, როცა ეკონომიკური რესურსების განაწილების ირგვლივ სხვადასხვა კრიმინალურ ჯგუფს შორის გაჩაღებული ომი დასასრულს მიუახლოვდა. ჩემი რესპონდენტის, ყოფილი წვრილმანი დამნაშავის, რეზოს თქმით, თბილისში ქუჩის ცხოვრების წესი და დანაშაულის სტატისტიკა მეტნაკლებად 1997 წლიდან

---

[10] ქუჩის პერსონაჟები - “ძველი ბიჭი“ და „კაი ბიჭი“ - ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში ერთმანეთისგან მკაფიოდ ყოველთვის არ განირჩევიან. ჩემი „ექსპერტების“, რეზოსა და ნიკოს განმარტებით, *ძველი ბიჭი*, „სინამდვილეში“, *კანონიერი ქურდის* სინონიმია. *კაი ბიჭს* კი ქართული სლენგის ონლაინლექსიკონი, „ბიძერი“ ასე განმარტავს: „ინდივიდი რომელიც თეორიულად "ქურდულად" უნდა ცხოვრობდეს თუმცა ამჟამად გამოიყენება 12-16 წლის მოზარდებში რომლებიც ვითომ გაგებულის შთაბეჭდილების დატოვებას ცდილობენ“. იხ.: *კაი ბიჭი,* ბიძერი, 30.03.2018. https://www.bidzer.ge/word/5728 უკანასკნელად ნანახია: 7.5.2022.

„დასტაბილურდა“. თუმცა, სხვა რესპონდენტების მსგავსად, სურათის რადიკალურ ცვლილებას ის 2003 წლის შემდეგ, „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის მიერ განხორციელებულ მკვეთრ ანტიკრიმინალურ რეფორმებს უკავშირებს.

უსაფრთხოების მოდერნიზაცია საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

უსაფრთხოების ადგილობრივი კულტურული აღქმა საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიცვალა, როცა მასობრივი პროტესტის შედეგად, პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობა მშვიდობიანად ჩაანაცვლა პოსტრევოლუციურმა მთავრობამ 36 წლის ყოფილი იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით (Slade 2012b, 626). რევოლუციას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებების მთელი წყება მოჰყვა. ეს ტრანსფორმაციები „მოდერნიზაციის“ ცნებაში იყრის თავს, რომელიც თავის მხრივ, როგორც ოფიციალურ, ისე - ყოველდღიურ ქართულ დისკურსში ხშირად *ევროპეიზაციისა* და *ვესტერნიზაციის* ცნებებთან იგივდება. ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ მისწრაფება, რომელიც პოსტრევოლუციური მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ღერძი იყო, ფართო საზოგადოებაში საქართველოს ერთადერთ სწორ არჩევანად მიიჩნევა - მმართველი ელიტებისა და მოქალაქეების პერსპექტივიდან, ევროინტეგრაცია ადამიანის უფლებების დაცვის საწინდარი და ამავე დროს, რუსეთისაგან მომავალი ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ აღმართული ბარიერია (Tsuladze 2021, 162). მიუხედავად ამისა, ქართველების სენტიმენტები ევროპეიზაციისა და ვესტერნიზაციისადმი ზოგჯერ ამბივალენტურია და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სტაბილურობისა თუ მოდერნიზაციის იმედები „ასიმეტრიული ძალაუფლებრივი მიმართებების, ეროვნული სუვერენულობის გაქრობისა და ეროვნული იდენტობის დაკნინების“ შიშს ერწყმის (Tsuladze 2017, 131).

თუკი რევოლუციამდელი საქართველოს „სუსტი სახელმწიფოს“ პირობებში, როგორც ძალადობის, ისე - უსაფრთხოების კონტროლის სადავეები არაფორმალური ჯგუფების

ხელთ იყო, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომმა მთავრობამ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ძალადობაზე სახელმწიფო მონოპოლიის დაბრუნება განსაზღვრა (Slade 2012b, 626). სააკაშვილის მთავარ ამოცანებს შორის საერთაშორისო დისკურსში ხშირად „არშემდგარ სახელმწიფოდ“ მოხსენიებული[11] შევარდნაძისეული საქართველოს „აყვავებულ სახელმწიფოდ“ გარდაქმნა იყო (სააკაშვილი 2006ა). ამ მიზნის მისაღწევად საქართველოში რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა. მათ შორის, 2005 წელს შემოღებულ იქნა მაფიის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, რომლის თანახმად, „ქურდული სამყაროს წევრობა“ (მათ შორის, „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოში კონფლიქტის კრიმინალური გზებით მოგვარების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა) კანონით ისჯებოდა. ამასთან, 2004 წელს საქართველოში პოლიციის რეფორმა და „კანონმორჩილების კულტურის“ პოპულარიზაციის კამპანია იქნა წამოწყებული (Slade 2012a, 43-44). ამრიგად, მოცემული პროექტის მიზანი არამხოლოდ დანაშაულის შემცირება, არამედ ფართომასშტაბიანი „მენტალური რევოლუციის“ გაჩაღება იყო, რომელსაც კანონისა და კანონაღმასრულებელი ინსტიტუციების მიმართ ქართველების პატივისცემა უნდა გაეზარდა. ტრანსფორმაციის ეს პროცესი საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქეთა მიერ პერსონალური საფრთხისა და უსაფრთხოების აღქმის ცვლილებას.

თავის მომდევნო ნაწილში პოსტრევოლუციური თბილისის საჯარო სივრცეში მოქალაქის პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოების სამ კატეგორიას გავაანალიზებ, რომლებზეც ჩემი რესპონდენტები მსჯელობენ. მოცემულ კატეგორიებს პოსტრევოლუციური ოფიციალური პოლიტიკური დისკურსისა და მასთან ასოცირებული ოპოზიციური

[11] საქართველოს უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია (2011,1) რუსეთის აგრესიას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ „საფრთხედ, რისკად და გამოწვევად“ აცხადებს. მის თანახმად, „რუსეთის ფედერაციის მთავარი მიზანია საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ქცევა, მისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლა და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე ძალით დაბრუნება“ (იქვე, 9). ამრიგად, ამ დოკუმენტის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების გაგება მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის აგრესიისა და საქართველოს არშემდგარი სახელმწიფოს პოზიციაში დაბრუნების საფრთხეს.

მნიშვნელობების კონტექსტში განვიხილავ. ესენია: საფრთხე/უსაფრთხოება, მოდერნიზაცია/ჩამორჩენილობა, ფორმალურობა/არაფორმალურობა და დასავლეთი/რუსეთი.

ქალების პერსონალური საფრთხე და უსაფრთხოება თბილისის საჯარო სივრცეში

საფრთხე/უსაფრთხოების ამ კატეგორიაზე, უმეტესად, ჩემი მდედრობითი სქესის რესპონდენტები საუბრობენ. მათ მონათხრობში თბილისის საჯარო სივრცეები (მაგალითად, პარკები და მიწისქვეშა გადასასვლელები) და ნახევრადსაჯარო სივრცეები (მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი) ხშირად სახიფათო ადგილებად ჩანს, სადაც ქალები შევიწროების სამიზნედ შეიძლება იქცნენ. 1992 წელს დაბადებული ელენე, ტურისტთა გიდი საბურთალოდან, მიყვება:

> *იყო შემთხვევა, რომ [პარკში მოძალადე] გამომეკიდა. საღამო იყო, 8 საათი და კაციშვილი არ იყო იქ, მაგრამ გავექეცი. შიშია რა საქართველოში [...]. ტრანსპორტშიც, ხახუნი და ეგეთი შევიწროებები ძაან ხშირია [...]. არც გოგოს გცემენ პატივს, არც კანონს, არაფერს.*

ელენე კანონაღმასრულებელ ფორმალურ ინსტიტუციებსა და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უსაფრთხოებას შევიწროების წინააღმდეგ ქმედით დამცავ მექანიზმებად არ მიიჩნევს. მის წარმოდგენაში, ძალადობისაგან დაცვის ეფექტური ბარიერი არც „ქალებისადმი პატივისცემის“ ტრადიციული ღირებულებაა. ელენესათვის, ქალებისადმი გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ ერთადერთი ქმედითი დამცავი მექანიზმი მამაკაცებს შორის გაბმული არაფორმალური ძალაუფლებრივი ქსელი შეიძლება იყოს, რომელიც საქართველოში მეგობრებისა და ნათესავების უახლოეს ჯგუფებს აერთიანებს და ქმნის სისტემას, სადაც ქალები „მოლაპარაკების ობიექტებად“ იქცევიან:

ქუჩაში მე ხელს ვერავინ მახლებს. ერთი ბიძაშვილი მყავს ... იმისი ყველას ეშინია და მეც დაცული ვარ.

ყველა ასაკის ქალი და მამაკაცი რესპონდენტი, რომელთა ბინადრობის ადგილი თბილისის ყველაზე ღარიბი უბნებიდან ყველაზე მდიდარ სამეზობლოებამდე მერყეობს, ქალაქის საჯარო სივრცეში ძალადობის ფესვებს ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ გამოცდილებაში ხედავენ. ინტერვიუებში ისინი არქეტიპული „აგრესიული ქართველი კაცის“ ესენციალიზებულ ხატს აღწერენ, რომელსაც „არააგრესიული დასავლელი კაცის“ შესახებ წარმოდგენას უპირისპირებენ. 1992 წელს დაბადებული ტატა დასავლეთ ევროპაში ცხოვრების გამოცდილებაზე მიყვება, რომელსაც ის სქესთა შორის ურთიერთობის იდეალურ მაგალითად მიიჩნევს:

ევროპაში სულ სხვანაირად არის. [იქ] კაცებს აგრესია საერთოდ არ აქვთ.

1976 წელს დაბადებული მარიც მსგავს წარმოდგენას მიზიარებს:

იქ ხო სუ სხვაგან არიან - უცხოეთში რომ ვყოფილვარ - პარიზში, ვენაში - ხომ იცი, შემთხვევით რომ ჩახვალ და დაემთხვევა რაღაც დღეები და ეს მილიონობით კაცი ... მაგრამ აბსოლუტურად აგრესია არა აქვთ.

როგორც იკვეთება, ჩემი ქალი რესპონდენტების მიერ საფრთხე/უსაფრთხოების აღქმა „ქართულ“ და „დასავლურ“ მასკულინობების ოპოზიციურ სურათზეა აგებული. ამ წარმოსახვაში, ტრადიციული ქართული მამაკაცურობა, რომელიც ღია აგრესიასა და საჯარო სივრცეში მის ყოველდღიურ გამოხატვას ეფუძნება, საფრთხის წყაროდ ჩანს, რომელსაც მხოლოდ იმავე ძალადობრივი თამაშის წესებით მოასპარეზე აქტორები (მაგ. ელენეს „საშიში ბიძაშვილი“) შეიძლება გაუმკლავდნენ. ეს აქტორები მათთან პერსონალურად დაკავშირებულ ქალებს მათი პოტენციური მოძალადეების დაშინების გზით იცავენ. ამ ვერნაკულური ლოგიკის მიხედვით, ერთი და იგივე აქტორი, შესაძლოა, ერთსა და იმავე დროს, უსაფრთხოების წყარო იყოს საკუთარი პროტეჟეებისათვის და საფრთხის წყარო როგორც საკუთარ პროტეჟეებზე პოტენციური მოძალადეების, ისე - უცხო ქალებისათვის. სწორედ ისე, როგორც ადგილობრივ კულტურულ აღქმაში ჩაშენებული „კანონგარეშე პირის“ ფიგურა, რომელიც საზოგადოების ერთ ჯგუფს

საფრთხეს უქადის, მეორეს კი - „პატრონობს“. ეს აღქმა ჩემი რესპონდენტების წარმოსახულ „დასავლურ“ მამაკაცურობას უპირისპირდება, რომელიც დაცული, საფრთხისაგან თავისუფალი, „მოდერნული“ მასკულინობის იდეალურ მოდელად ისახება, რომლისაკენაც, მათი აზრით, ქართული საზოგადოება უნდა ისწრაფვოდეს.

თავის მომდევნო ნაწილში შევეცდები, ამ წარმოდგენის კვალს გავყვე, მისი ფესვები მოვჩხრიკო და საფრთხე/უსაფრთხოების, მოდერნულობა/ჩამორჩენილობის, კანონმორჩილება/კრიმინალურობისა და დასავლეთი/რუსეთის ოპოზიციები პოსტრევოლუციური პოლიტიკური დისკურსის უფრო ფართო კონტექსტში გავაანალიზო.

ქუჩის კულტურა, რუსეთი, დასავლეთი და ურბანული ელიტები

„ქუჩა“ ქართულ ენაზე, პირდაპირი მნიშვნელობით, ურბანული ქსოვილის დამაკავშირებელ ნაწილს აღნიშნავს და ხშირად „საჯარო სივრცის“ სინონიმადაც გამოიყენება. გარდა ამისა, გარკვეულ კონტექსტში „ქუჩა“, რომელიც ხშირად მამაკაცთა სოციალიზაციის არაფორმალური სივრცის ფუნქციას იტვირთავს, „კრიმინალური ცხოვრების წესსაც“ შეიძლება გულისხმობდეს (Zakharova 2010, 182). ჩემი რესპონდენტები „ქუჩას“ ექსკლუზიურად მამაკაცურ სივრცედ ხედავენ, სადაც ქალები, ჩვეულებრივ, მამაკაცების „ქუჩური საქმიანობის“ ობიექტები, ან - დამკვირვებლები არიან. 1980 წელს დაბადებული ნიკო, ყოფილი წვრილმანი დამნაშავე, რომელიც ახლა სადაზღვევო კომპანიის დაბალი რგოლის მენეჯერად მუშაობს, ამბობს:

> *მიშამ [ე.ი. მიხეილ სააკაშვილმა - თ.ხ.] ქუჩები [დამნაშავეებისგან] გაწმინდა.*

„მიშას რეფორმები“ საქართველოს „მოდერნიზაციის“ პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს - უსაფრთხოების მოდერნიზაციას უკავშირდება, რომელიც *ქუჩის* არაფორმალური აქტორებისა და კულტურული პრაქტიკების მიერ ოდესღაც

კონტროლირებადი უსაფრთხოების ფორმალიზაციას ისახავდა მიზნად. ამ პროექტის ძირითად ელემენტებს 2004 წლიდან გატარებული პოლიციის რეფორმა, 2005 წელს შემოღებული მაფიის საწინააღმდეგო კანონმდებლობა და „კანონმორჩილების კულტურის“ წამახალისებელი კამპანია შეადგენდა (Slade 2012a, 43-44). ახალმა პოლიტიკამ საქართველოში სურათი სწრაფად შეცვალა. ჩემი ის რესპონდენტებიც კი, რომლებიც სააკაშვილის მთავრობის მიმართ, ზოგადად, ნეგატიურად არიან განწყობილნი (მაგალითად, ისინი, ვინც თავად იქცნენ ანტიკრიმინალური რეფორმების სამიზნედ), პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ თბილისის საჯარო სივრცეში მოქალაქეთა უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მცდელობას დადებითად აფასებენ. მიუხედავად ამისა, ეს დამოკიდებულებები ხშირად ორაზროვანია და კანონაღმასრულებელი ინსტიტუციებისადმი უნდობლობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის არაფორმალური საშუალებებისადმი ნდობა მათში კომპლექსურად არის ურთიერთგადაჯაჭვული.

რა ლოგიკას ემყარება ეს აღქმები და როგორ მიემართება ისინი მოქალაქეთა სოციალურ წარმომავლობასა და იმ ოფიციალურ იდეოლოგიას, რომელსაც ისინი იზიარებენ, ან - ეწინააღმდეგებიან? ამ კითხვებზე საპასუხოდ, უპირველესად, ქუჩის კულტურასთან დაკავშირებული ოფიციალური პოსტრევოლუციური დისკურსის მოხელთებას შევეცდები, შემდეგ კი ჩემი რესპონდენტების მიერ აღქმულ საფრთხე/უსაფრთხოების მნიშვნელობებს გავაანალიზებ და დავაკვირდები, სად წარმოისახავენ ისინი საკუთარ თავს ძალაუფლების წინააღმდეგობრივ ველში.

პოსტრევოლუციური მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ღერძი საქართველოს ევროპული ინტეგრაცია იყო, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის საჯარო გამოსვლებში მჭიდროდ ებმის მოდერნიზაციაზე ორიენტირებული რეფორმებისა და დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის დისკურსულ ხაზს (Saakashvili 2006b). სააკაშვილის პერსპექტივიდან, საქართველოს მოდერნიზაციის მიზნით განხორციელებული ცვლილებები „ევროპულ სტანდარტებს“ შეესაბამებოდა, მისი განთქმული

ანტიკრიმინალური რეფორმები კი ამერიკული და იტალიური ანტიმაფიოზური პოლიტიკის გამოცდილებიდან იყო ნასესხები (Slade 2012a, 43). ევროპული ინტეგრაციას მისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა - მათ შორის, ევროინტეგრაცია ადამიანის უფლებების დაცვის საწინდრად და რუსეთისაგან მომავალი ეროვნული საფრთხისგან დამცავ ფარად წარმოისახებოდა (Tsuladze 2021, 162). ამ წარმოდგენაში „ახალი“, მოდერნიზებული საქართველოს იდეა „ძველი“, ჩამორჩენილი საქართველოს სურათს უპირისპირდებოდა, ეს უკანასკნელი კი არაფორმალური პრაქტიკებით, პერსონალური კავშირებითა და კორუფციით გამსჭვალულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წარსულს აერთიანებდა. სააკაშვილისათვის, ეს „ჩამორჩენილი პრაქტიკები“ ქუჩის კულტურასაც გულისხმობდა, რომელიც პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ წახალისებულ „კანონმორჩილების კულტურას“ უპირისპირდებოდა.

ოფიციალურ პოსტრევოლუციურ დისკურსში ევროპისაკენ სვლა რუსული პოლიტიკური და ეკონომიკური ორბიტისაგან დაშორებასთან იყო გაიგივებული, რომელსაც ხშირად რუსული სოციალური და კულტურული გავლენებისა და ზოგადი პრორუსული განწყობისაგან აუცილებელი დისტანცირების იდეა ერთვოდა (Batiashvili 2019). თუმცა, რუსული გავლენის ეროვნულ საფრთხესთან გაიგივების გარდა, „რუსეთი“ საქართველოში ყოველდღიური კორუფციის, „ქუჩის კულტურისა“ და კრიმინალურობის ლოკალური საშიშროების შესახებ წარმოდგენასაც უკავშირდებოდა. თუკი ევროპის მოდერნიზაციასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირების ლოგიკა შედარებით ნათელია, რატომ იდენტიფიცირდება ქუჩის კულტურისა და კრიმინალურობის ცნებები რუსეთთან?

როგორც საბჭოთა, ისე - პოსტსაბჭოთა ეპოქებში ქართველი პროფესიონალი კრიმინალების გავლენა ყველაზე მკაფიოდ რუსეთში ვლინდებოდა, რომელსაც გვიანდელ საბჭოთა ხანაში ქართველი „კანონიერი ქურდების“ დიდმა ნაწილმა შეაფარა თავი (Kupatadze 2012, 79). „ქურდები“, რომლებსაც სააკაშვილის ანტიკრიმინალური კამპანია აგრესიულად დაუპირისპირდა, ხშირად რუსეთიდან ოპერირებდნენ, ან იქ

მოკავშირეები ეგულებოდათ. რუსული კრიმინალური დაჯგუფებების გავლენა (დამოუკიდებლად, ან - პოლიტიკურ ელიტებთან ალიანსში) ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ინარჩუნებდა პოზიციას. ამ ქვეყნებში ისინი ძველებურად სარგებლობდნენ საბჭოთა ეპოქაში რუსეთისადმი მიწერილი „დიდი ძმის“ სტატუსით, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია კი რუსეთის სახელმწიფოსათვის ხშირად „საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ფუნქციას ასრულებდა (იქვე, 68-69). ამრიგად, თუკი კანონგარეშე პირი და კანონიერი ქურდი „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოში „ანტიკოლონიურ აქტორებად“ ისახებოდნენ, რევოლუციის შემდგომი ანტიკრიმინალური დისკურსის შემობრუნებამ „კრიმინალურობის“ ცნება ასოციაციურად „რუსეთთან (ყოფილ იმპერიასთან) კავშირის“ გაგებას დაუკავშირა.

„რუსეთის“ (როგორც ეროვნული მასშტაბის საფრთხის) და „ქუჩის კულტურის“ (როგორც ლოკალური მასშტაბის საფრთხის) ცნებები ერთმანეთს ებმის 1992 წელს დაბადებული ტატას მონათხრობში, რომელიც 2012 წელს ევროპაში გაემგზავრა განათლების მისაღებად, 2016 წელს კი თბილისში დაბრუნდა. რესპონდენტი მიყვება, რომ უბნის ახალგაზრდა კაცები, რომლებიც ტატას გამგზავრებამდე ინგლისურის სწავლასა და განათლების მისაღებად დასავლეთში წასვლაზე საუბრობდნენ, მისი დაბრუნების შემდეგ უკვე ქუჩაში მდგარ მანქანებში ისხდნენ, ქუჩის ცხოვრებაზე საუბრობდნენ და რუსულ „განგსტერულ მუსიკას“ უსმენდნენ. ტატას არ ესმის, რატომ არის რუსული კრიმინალური კულტურა პოპულარული იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც „სკოლაში რუსულიც კი არ უსწავლიათ“ და მათი განწყობის ამ ცვლილებას ქუჩის კულტურის „დაბრუნების“ მომასწავებელ ნიშნად ხედავს. ასე ირეკლავს ჩემი რესპონდენტის მონათხრობი პოსტრევოლუციური დისკურსის მიერ შემოთავაზებულ ბინარულ ოპოზიციას, რომელიც „ვესტერნიზაციის, მოდერნიზაციისა და კანონმორჩილების“ ჰომოლოგიურ მნიშვნელობებს, შესაბამისი თანმიმდევრობით, „რუსიფიკაციის, ჩამორჩენილობისა და კრიმინალურობის“ ცნებებს უპირისპირებს.

თუმცა, ქუჩის კულტურას ყველა რესპონდენტი ტატას მსგავსად როდი აღიქვამს. ქუჩის კულტურის მიმართ დამოკიდებულება უფრო ფართო იდეოლოგიურ ჭიდილს მიემართება, რაც მას სოციალურ და თაობისეულ განზომილებას ანიჭებს. პოსტრევოლუციური იდეოლოგიური დისკურსი თბილისელთა შორის სიმბოლურ უთანასწორობასა და მის საფუძველმდებარე სივრცით და თაობისეულ ლოგიკას ეხმიანება და მის გაქარწყლებას ცდილობს. ამ ფართო დისკურსული ცვლილებისა და ქუჩის კულტურის მიმართ დამოკიდებულებების მრავალგვარობის ურთიერთმიმართების გასაანალიზებლად, ერთი ნაბიჯით უკან დავიხევ და შევეცდები, პოსტრევოლუციური მთავრობის სოციალური პოლიტიკის ფართო კონტექსტი მოვხაზო.

თუკი სააკაშვილის წინამორბედი, პრეზიდენტი შევარდნაძე საბჭოთა ეპოქის ურბანულ კულტურულ ელიტას („ინტელიგენციას“) თავის მთავარ მოკავშირედ განიხილავდა (Jgerenaia and Sabanadze 2018, 293), პრეზიდენტმა სააკაშვილმა საპირისპირო გეზი აიღო. „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე წელიწადში ის მკაფიოდ გაემიჯნა ინტელიგენციას, რომელსაც საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიურად განწყობილ, „ჩამორჩენილ“ ყოფილ ელიტად მიიჩნევდა და ამის ნაცვლად, ფსონს (ხშირად, პერიფერიულ) ახალგაზრდა თაობაზე ჩამოვიდა. ეს პოზიცია ნათლად ჩანს მის 2007 წლის მიმართვაში ეროვნული საგანმანათლებლო ოლიმპიადების ახალგაზრდა გამარჯვებულებისადმი. სააკაშვილი მიმართვას 14 წლის გიორგი ზერეკიძის გახმაურებული საქმის შესახებ საუბრით იწყებს, რომელიც 2006 წელს მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს და ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს (Mchedlishvili 2006). პრეზიდენტი ზერეკიძის დაპატიმრების გამპროტესტებელ მოქალაქეებს აკრიტიკებს, რომლებიც, სააკაშვილის თქმით, თავს „ელიტებად“ მიიჩნევენ და „უახლოეს ბნელ წარსულს“ ეხმიანებიან. სააკაშვილისათვის ისინი „კრიმინალური კულტურის მატარებლები“ არიან, რომლებიც, მაგალითად, პოლიციასთან თანამშრომლობაზე

აცხადებენ უარს.[12] სააკაშვილი კლასობრივი განსხვავების ვერნაკულურ სივრცით ლოგიკას მოიხმობს და საბჭოთა ეპოქის ამ ურბანულ ელიტებს ახალგაზრდა, არაელიტარულ თაობას უპირისპირებს:

> *თქვენ ხართ ამ ხალხის[თვის] ნიმუში. არა ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ მთავარი არის [...] ეგრეთწოდებული „ქალაქელობა“, „უბნელობა“ და საქართველოს დაქუცმაცება. დაიწყეს ჯერ უბნებით. მე კარგად მახსოვს - „ვერელი უკეთესია, ვიდრე ვაკელი, ვაკელი უკეთესია, ვიდრე საბურთალოელი. აღარ გვასვენებენ ქალაქელებს ქალაქში, ჩამოეთრიენ ესენი სოფლებიდან“ - და ამას ტელევიზორში ლაპარაკობდნენ ღიად, ხო? ეს ხალხი უკვე ჩაირეცხა და ჩაირეცხება ბოლომდე, ასეთი მენტალიტეტის მატარებელი ხალხი“.* [13]

სხვა გამოსვლებში სააკაშვილი 2005 წლის განათლების რეფორმას ახსენებს, რომლის ფარგლებში, საბჭოთა ყაიდის კორუმპირებული მისაღები გამოცდები ახალი ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემამ ჩაანაცვლა და ხაზს უსვამს, რომ ახალმა სისტემამ არაპრივილეგირებულ ახალგაზრდებს წარმატების მიღწევის საშუალება მისცა:

> *[...] ვცხოვრობდით ქვეყანაში* [...] *სადაც დიპლომი იყიდებოდა და განათლება, ძირითადად, ელიტისათვის ხელმისაწვდომი ფუფუნება იყო; [...] უბრალო ადამიანს თითქმის არ ჰქონდა საშუალება საკუთარი შვილებისათვის განათლება მიეცა* [...]. *დღეს ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც [...] უმაღლესი განათლებისათვის სახელმწიფო დაფინანსებას ყველაზე ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდები მოიპოვებენ. ჩვენს უნივერსიტეტებში ირიცხებიან ყველაზე უბრალო*

---

[12] სიცილიური „ომერტის“ მსგავსი ეს ადგილობრივი წარმოდგენა „კანონიერი ქურდების კოდექსს“ ეფუძნება, რომელიც მკაცრად კრძალავს დანაშაულის შეტყობინებას მაშინაც კი, თუ საქმე მტერს ეხება (Kupatadze 2012, 79).

[13] Simon Janashia, “Charecxilebi,” ეროვნული საგანმანათლებლო ოლიმპიადების გამარჯვებულებისადმი მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის მიმართვის ვიდეოჩანაწერი. უკანასკნელად ნანახია: 11, 2021, YouTube Video, 00:04:36, https://www.youtube.com/watch?v=jNvTl71U8Jo&t=116s.

ოჯახების შვილები, რომელთაც არასოდეს ექნებოდათ საშუალება ექირავებინათ რეპეტიტორები ან გადაეხადათ ქრთამი უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად. დღეს ჩვენთან არის თინათინ მახარაძე ოზურგეთიდან, რომელმაც დაამთავრა ოზურგეთის მე-2 სკოლა და შარშან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიიღო ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება - საუკეთესო ათეულში შევიდა, გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და მიიღო სრული სახელმწიფო დაფინანსება. (სააკაშვილი 2007ა) [14]

1977 წელს დაბადებული ქეთი, რომელიც თავს ურბანული ელიტის წარმომადგენლად განსაზღვრავს და თბილისის პერიფერიული მოსახლეობისაგან მიჯნავს, სააკაშვილის სოციალურ პოლიტიკას ასე აღწერს:

> *სააკაშვილმა როდესაც დაინახა, რომ მაღალი ფენების და ასე თუ ისე ერუდირებული ხალხისგან ისეთი მხარდაჭერა არ ქონდა, როგორც უნდოდა, გააკეთა აქცენტი პროვინციელებზე, გლდანში ტოტო კუტუნიოს მიყვანით*[15] *და ესეთი რაღაცეებით. გლდანში კუტუნიოს მიყვანა და კაჩალკის გაკეთება იმათთვის არის ზე[მოვლენა].*

ქეთის აშფოთებს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პერიფერიული მოქალაქეების სოციალური მობილობა. მისი აზრით, ისინი ზოგჯერ პირდაპირი მნიშვნელობით იკავებენ ტრადიციული ელიტების ადგილს, რადგან გაღარიბებული ინტელიგენცია იძულებულია, ქალაქის ცენტრიდან პერიფერიულ უბნებში გადავიდეს და მას „ჩამოსულები“ ანაცვლებენ.

---

[14] საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე. 15.03.2007. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/Documents?4952

[15] თბილისის მერიის მხარდაჭერით, 2012 წელს, გლდანის პარკში, პოპულარული იტალიელი მომღერლის, ტოტო კუტუნიოს კონცერტი გაიმართა.

31 წლის სანდრო, რომელიც ვაზისუბნის პერიფერიულ მიკრორაიონში გაიზარდა, „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ პირველი თაობა იყო და მას შემდეგ სწრაფად აღმავალ სოციალურ მობილობას მიაღწია. მისი მონათხრობი ქეთის წარმოდგენის საპირისპირო პოზიციას გვიჩვენებს:

> *ჩემს ბავშვობაში ყველაზე კარგ ტიპად ითვლებოდნენ ისინი, ვინც ტელევიზორში ჩანდნენ ხშირად. ესენი იყვნენ ხოლმე ვიღაც ცნობილი ტიპების შვილები, რომლებიც იქ იყვნენ და ქადაგებდნენ სხვადასხვა მორალს ტელევიზორიდან. ისინი იყვნენ ჩვენთვის რაღაც ავტორიტეტის მატარებლები. დღეს ჩემი აზრით, ესე უკვე აღარ არი, იმიტომ რომ წარმატებულ ტიპად, კარგ ტიპად ითვლება უკვე, ზოგადად, ჭკვიანი ადამიანი, რომელიც შეიძლება ცხოვრობდეს ვარკეთილშიც, მუხიანშიც, ვაკეშიც და ასე შემდეგ. იმიტომ რომ ეს რაღაც უხილავი საზღვრები ჩემი აზრით, ნელ-ნელა უკვე მოიშალა. ასე რომ „კარგი ოჯახის შვილობა“, იგივე „ინტელიგენციის წარმომადგენლობა“ ავტომატურად შენს იმიჯზე მაინცდამაინც დადებითად აღარ მეტყველებს.*

ქეთისა და სანდროს მონათხრობები ნათლად ასახავს თბილისის მოქალაქეების პერსპექტივიდან დანახულ ძალაუფლებრივ ჭიდილს პოსტრევოლუციურ ახალ ურბანულ ელიტებსა და საბჭოთა ხანის *ინტელიგენციას* შორის.[16] ბედის ირონიით, სანდრო დღეს სატელევიზიო გადაცემის წამყვანად მუშაობს. მის მიერ აღწერილი „ძველი ელიტების“ მსგავსად, სატელევიზიო ეთერში ის ხშირად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს. ვაზისუბნის ნაცვლად კი თბილისის ცენტრთან უფრო ახლოს მდებარე უბანში ცხოვრობს. ამ შემთხვევაში, „ახალი ელიტის“ წარმომადგენლის სოციალური მობილობია მიმიკრიის ტაქტიკას ეფუძნება, რამდენადაც „ძველი ელიტის“ თამაშის წესების უარყოფის ნაცვლად, სანდრო მათ იმიტაციას არჩევს. ქეთისა და სანდროს პოზიციები საფრთხე/უსაფრთხოების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენებს გვიჩვენებს, რომლებიც კლასობრივი განსხვავების ადგილობრივ გაგებას ეფუძნება. თუკი

[16] ამ იდეოლოგიური დუალიზმისა და „ქართველობის“ ეროვნული იდეის ურთიერთმიმართების შესახებ იხ.: Batiashvili (2019) და Mühlfried (2005).

ქეთის გადმოსახედიდან, სააკაშვილის პოლიტიკის მიერ პერიფერიული მოსახლეობის სოციალური დაწინაურება საფრთხედ მოჩანს, სანდრო იმავე პროცესს საკუთარი სოციალური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებად აღიქვამს.

ეს წინააღმდეგობა ქუჩისა და პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოების აღქმაში ითარგმნება. ეხმიანებიან რა ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსს, რომელიც ქუჩის კულტურას ჩამორჩენილ პრაქტიკად განსაზღვრავს, ახალგაზრდა, პერიფერიელი რესპონდენტები, რომლებმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმავალი სოციალური მობილობა განიცადეს, უფრო ირონიულად და სკეპტიკურად არიან განწყობილნი ქუჩის არაფორმალური პრაქტიკებისადმი, ვიდრე ძველი ურბანული ელიტები. უკანასკნელი კატეგორიის წარმომადგენელ რესპონდენტებს უფრო მწირი ნდობა აქვთ ფორმალური კანონაღმასრულებელი ინსტიტუციებისა და მექანიზმებისადმი, რომლებსაც პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებულად მიიჩნევენ. ამასთან, ძველი ელიტებისათვის, უსაფრთხოების ფორმალიზაციას დამატებითი მნიშვნელობა აქვს. მათი პოზიციიდან, ყოველდღიური კონფლიქტების მოგვარების არაფორმალური მექანიზმების გამოყენების (მაგ. ქუჩური „გარჩევის“) აკრძალვა ძველი ურბანული ელიტებისათვის ავტონომიისა და შესაბამისი სიმბოლური ძალაუფლების ჩამორთმევის აქტად აღიქმება.

თბილისის ცენტრში მცხოვრები მოქალაქეების უფრო მაღალ „ქუჩის კაპიტალზე“ ჩემი სხვა რესპონდენტებიც მესაუბრებიან:

> *მთაწმინდელებს, ვთქვათ, ჩხუბი რო მოუვიდოდათ [ვერელებთან], აუცილებლად იყო ვიღაც ვერელი ვინც იცნობდა ვიღაც მთაწმინდელს და ისიც რო მოდიოდა, აგვარებდა ან არიგებდა. ეს მომენტი იყო, დღეს ისე არი ხალხი დაქსაქსული რომ კი, ვიღაცეები მაინც არიან და ისინი აგვარებენ, მაგრამ ვიღაცამ გუშინ რო იშოვა ფული და აბაშიძეზე გადმოვიდა, თემას ეგრე ვერ მოაგვარებს. ისინი - მოაგვარებენ.*

მეუბნება 1988 წელს დაბადებული რუსკა. 1991 წელს დაბადებული სერგი ქუჩის საკუთარ გამოცდილებაზე მიამბობს. ამ მონათხრობში გარეუბნელი, რომელსაც ქალაქის უფრო

გავლენიან ცენტრში კონტაქტების სისტემა არ აქვს, „დაბალი ღობეა“. მცირე სოციალური კაპიტალის მქონე გარეუბნელის დაჩაგვრას ვერელის, ან მთაწმინდელის დაჩაგვრისაგან განსხვავებით, სოციალური შედეგები არ მოჰყვება:

გარეუბნელი რო ყოფილიყო ტიპი, ვთქვათ გლდანელი, უფრო გამეტებით გვიცემია ვიდრე ... იმიტო რო ვერელი როა მაგალითად, ამასთან მერე საერთო გეყოლება გაიგე, მერე მაინც უნდა შერიგდეთ ბოლოს. გლდანელი - მოკალი რა. ურტყი კარობე, აქ ვაბშე რატო ბლატაობ?

იგივე ლოგიკა ვრცელდება თბილისელებსა და „ჩამოსულებზეც“. 1954 წელს დაბადებული საბა ნაძალადევიდან საქართველოს რეგიონებიდან მიგრირებულ ნაცნობებზე მიყვება, რომლებსაც ხშირად უფრო მაღალი ეკონომიკური კაპიტალი აქვთ, ვიდრე მათ „მკვიდრ თბილისელ“ მეზობლებს. თუმცა, ადგილობრივებს *ჩამოსულებისგან* განსხვავებით მეტი „ქუჩის კაპიტალი“ აქვთ, რომლითაც ამ უთანასწორობის კომპენსირებას ცდილობენ:

ძველი მოსახლეობა დახვდათ ღატაკი, ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცი რო ზიან ის ძველი მოსახლეები, უყურებენ ახალი ვინ გამოჩნდა უბანში. ოპა, სახლი აიშენა, ეს, ეს და არაფრის გამკეთებელი არ არი - მიდის უკვე ჯანჯღარი, ფულის გამოძალვა. საბურთალოზე ბულაჩაურის ქუჩა როა, ნაცნობები ცხოვრობენ ფოთელები არიან, ფული აქვთ რა. ბავშვი გავიდა გარეთ და იმის მერე აღარ გადის. ბავშვი რა, ნუ 25 წლისაა რა. დანებით და იმით კი არ დაუწყიათ, მაგრამ შეშინდა რა. ხმა ვერ გასცა, ვერ დაიცვა თავისი თავი. ეხლა ვინ იყვნენ - ქალაქელი, რომელიც გაღატაკებულია და ვერაფერს ... - ამას ფული აქ.

საბას მონათხრობი საინტერესოდ ეხმიანება ტერმინ „გოიმის“ ერთ-ერთ ხალხურ განმარტებას. როგორც მომდევნო თავებში აღვნიშნავ, თბილისურ სლენგში *გოიმი* ერთი მხრივ, „არათბილისელის“, „უკულტუროს“, „ჩამოსულის“ მნიშვნელობებით გამოიყენება. თუმცა, ღია ონლაინლექსიკონის, „ბიძერის“ ერთ-ერთი მომხმარებლის განმარტებით, *გოიმი* ქუჩაში ადვილად დასაჩაგრს, გამოძალვის იოლ სამიზნესაც ნიშნავს:

გოიმი - პიროვნება ადვილად გასაცურებელი, მიმნდობი. ტერმინი ფართოდ გავრცელებულია ე.წ ძველბიჭურ წრეებში. გოიმი ძირითადად მატერიალური სარგებლის წყაროა და წარმოადგენს ობიექტს, რომელიც ადვილად წამოეგება ამა თუ იმ ფანდს.[17]

მოსაზრებას, რომ ურბანული ელიტები კრიმინალური კულტურის მთავარი „მატარებლები“ არიან, საბაც იზიარებს. ის მეუბნება, რომ ქუჩის კულტურა ნაძალადევის უბანშიც არის გავრცელებული, თუმცა, ქალაქის ცენტრში მცხოვრები ჯგუფებისგან განსხვავებით, ადგილობრივ არაფორმალურ აქტორებს არ აქვთ იმდენი ძალაუფლება, რომ ქალაქის სხვა უბნებზე მოახდინონ გავლენა:

[ეს ქუჩის კულტურა ცენტრალური უბნებიდან] გადმოდის ნაძალადევზეც. რომ გითხრა რომ აქ იბადება რაღაცეები-მეთქი, ვერ დაიბადება, იმიტომ რომ აქ არ ცხოვრობს იმ იერარქიის ხალხი, რომლებიც ამინდს ქმნიან.

1956 წელს დაბადებული გია, რომელიც ვაკის პრესტიჟულ უბანში ცხოვრობს, მიიჩნევს, რომ ამ „ამინდს“ მისი წრის ხალხი უნდა ქმნიდეს, მაგრამ ამ შესაძლებლობას პოსტრევოლუციური „სისტემა“ ართმევს:

ჩვენთან განვითარებული იყო ეს ურთიერთობა. ჩვენში ისეთ დონეზე იყო, რომ ჩვენ ერთმანეთში გველაპარაკა, რომ „მე მეკუთვნის“, „მომეცი“, ან „არ მოგცემ“ და ჩვენ ვარკვევდით ამას. დღეს კაცს თავისუფლად შეუძლია დარეკოს [პატრულში], მორალურად არ იყოს მართალი და მოგიგოს.

კონფლიქტების გადაჭრის არაფორმალურ პრაქტიკას გია საერთოქართულ და ზოგადკავკასიურ ტრადიციებს მიაწერს:

ეს საქმის გარჩევა, ყველაფერი - ეს კავკასიური თემა იყო [...]. სვანეთშიც რო დაჯდე, იქ უფროსები გიწყვიტავენ. ჩეჩნეთშიც.

---

[17] „გოიმის“ განმარტებები“, *ბიძერი,* 18.03.2018. უკანასკნელად ნანახია: 18.07.2022. https://www.bidzer.ge/word/294

საკუთარი შეხედულებების რაციონალიზაციას გია იმ არგუმენტის მოხმობით ცდილობს, რომ კონფლიქტების მოგვარების არაფორმალური პრაქტიკა არა კონკრეტული დროის, ალაგისა და სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ექსკლუზიური მოვლენა, არამედ განზოგადებული არქაული ნორმაა, რომელსაც ქართველებისა და სხვა კავკასიელების წარმოსახვითი საზოგადოებები იზიარებენ. მისი არგუმენტაცია არსენასებური ქართველი მამაკაცის არქეტიპულ ფიგურასთან გვაბრუნებს, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებაზე მაღლა და მის მიღმა დგას; პერსონაჟთან, რომელიც ალტერნატიულ კანონსა და წესრიგს საკუთარი შეხედულებისამებრ ქმნის. თუკი გია საკუთარი წრისათვის დამახასიათებელ არაფორმალურ პრაქტიკას - „საქმის სახელმწიფოს გარეშე მოგვარებას“ - უძველეს კავკასიურ ნორმებს მიაწერს, აკა მორჩილაძისათვის (2014) ამ წარმოდგენის ფესვები საბჭოთა დიდი ტერორის „ხალხური“ აგენტების - ე.წ. „ანონიმშჩიკების“ (თანამოქალაქეების საბჭოთა ხელისუფლებასთან დამსმენთა) სიძულვილიდან იღებს სათავეს. ეს დამოკიდებულება, მორჩილაძის თანახმად, მოგვიანებით, „კანონიერი ქურდების“ კოდექსის ერთ-ერთ „მუხლად“ ითარგმნება, რომელიც დამსმენობის („ჩამშვებობის“) სასტიკად დასჯას გულისხმობს მაშინაც კი, თუ დამნაშავე „მტერია“:

მოწმედ ყოფნა ავტომატურად გამორიცხავს გაგებასთან სიახლოვეს. მოწმეს, ქურდულ სამართალში ცვლის თვალი. მოწმე კი სასამართლოს, სახელმწიფოს კაცია და რახან ყველაზე ძველი ქურდული ადათი ამბობს, რომ სახელმწიფოსთან ქურდული სამყაროს მიმდევრის თანამშრომლობა არასგზით შეიძლება, შესაბამისად, მოწმეც უღირსი ვინმეა (მორჩილაძე 2014,153-154).

თავის მომდევნო ნაწილში უსაფრთხოების პოსტრევოლუციური მოდერნიზაციის ცენტრალურ ასპექტს - მის ფორმალიზაციას - და მასთან დაკავშირებული საფრთხე-უსაფრთხოების წინააღმდეგობრივ აღქმებს დავუბრუნდები და უფრო დეტალურად განვიხილავ.

უსაფრთხოების ფორმალიზაცია და მისით (უ)კმაყოფილება

თუკი „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოში ძალადობისა და უსაფრთხოების კონტროლის სადავეები არაფორმალურ აქტორებს ეკავათ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი უსაფრთხოების ფორმალიზაცია - ანტიმაფიოზური კანონმდებლობის შემოღება, პოლიციის რეფორმა და „კანონმორჩილების კულტურის“ წამახალისებელი კამპანია - უპირველესად, მთავრობის მიერ ძალადობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის აღდგენის გზად აღიქმებოდა (Slade 2012b, 626). მიხეილ სააკაშვილის მიერ 2006 წელს გამოცხადებულ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას მართლაც მოჰყვა დანაშაულის მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება და მოქალაქეებში ქუჩის უსაფრთხოების განცდის ზრდა; თუმცა, თავად რეფორმის ავტორების რწმენის საპირისპიროდ, ეს არა „კანონმორჩილების კულტურის“ წარმატებულად დანერგვის მანიშნებელი იყო, არამედ - სასჯელის შიშის შედეგი (Slade and Kupatadze 2017, 882). 2006 წლის შემდეგ, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა გაზრდის მაგივრად, შემცირდა; ამასთან, მიუხედავად რეფორმირებული პოლიციისადმი საზოგადოების დადებითი განწყობისა, პოლიციისათვის დანაშაულის შეტყობინების მაჩვენებლები კვლავაც დაბალი იყო, რადგან მოქალაქეებს ან პოლიციას არ მიიჩნევდნენ ქმედითად, ან - დანაშაულის შეტყობინებისათვის დამნაშავის შურისგებას უფრთხოდნენ (იქვე, 885). 2009 წლისათვის, წვრილმანი დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მეტისმეტად მკაცრად და ზოგჯერ, უსამართლოდ მიიჩნევდა, პროცედურულ სამართალს კი - ხშირად მიკერძოებულად და პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებულად (იქვე, 886). ზოგი მოქალაქე ფიქრობდა, რომ ანტიკრიმინალური პოლიტიკა „სახელმწიფოს მშენებლობისათვის ფულის მოძიების საჭიროებით“ იყო განპირობებული (Slade 2012a, 45), 2004 წლიდან შემოღებული საპროცესო გარიგება კი - გამოძალვის ინსტრუმენტად აღიქმებოდა (Slade and Kupatadze 2017, 891). მოქალაქეების ნაწილში თანდათანობით ჩამოყალიბდა განცდა, რომ *პერსონალური საფრთხის* როლში არაფორმალური აქტორები

ფორმალურმა კანონაღმასრულებელმა ინსტიტუციებმა ჩაანაცვლა. ამ განწყობის კულმინაციად 2012 წლის „ციხის სკანდალი“ იქცა, როცა გლდანის მერვე სასჯელაღსრულების ცენტრში პატიმრების წამებისა და მათდამი არაადამიანური მოპყრობის ამსახველი კადრების გავრცელებას საზოგადოების ფართომასშტაბიანი პროტესტი და საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება მოჰყვა.

ამრიგად, პოსტრევოლუციურმა მთავრობამ, ერთი მხრივ, წარმატებით მიაღწია დანაშაულის მაჩვენებლების შემცირების მიზანს. თუმცა, მეორე მხრივ, მისი ზევიდან ქვევით მიმართული მცდელობა, დაენერგა კანონმორჩილების კულტურა და გაეზარდა საზოგადოების ნდობა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ფორმალური ინსტიტუციებისადმი, წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ამ ღირებულებების სახელით მოსაუბრე მხარეს მოქალაქეები ზოგჯერ „თავად არაკანონმორჩილად“ თვლიდნენ. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შეესაბამებოდა პოსტრევოლუციური იდეოლოგიური გზავნილები მოქალაქეთა ყოველდღიურ გამოწვევებს, ისინი მტკიცედ „ჩაიქსოვა მათ ენაში, იდეალებსა და მოქმედებებში“ და რეალობის მათეულ ინტერპრეტაციაზე ახდენს გავლენას (Pelkmans 2003, 121). სწორედ ამიტომაა თბილისის საჯარო სივრცეში საფრთხე/უსაფრთხოების აღქმაზე მოსაუბრე ჩემი რესპონდენტების მონათხრობები მძაფრი ორაზროვნებით გაჟღენთილი, მერყეობს რა *ფორმალურობისა* და *არაფორმალურობის, მოდერნიზაციისა* და *ჩამორჩენილობის, დასავლეთისა* და *რუსეთის* და *კრიმინალურობისა* და *კანონმორჩილების* საპირისპირო მნიშვნელობათა წყვილებს შორის. ოფიციალური პოსტრევოლუციური დისკურსი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ უსაფრთხოების ფორმალიზება მოდერნიზაციისა და მეტი უსაფრთხოებისაკენ გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯი იყო, თუმცა, ამ პოზიციას კანონაღმასრულებელი ინსტიტუციების ძირეული ტრანსფორმაცია როდი უმაგრებდა ზურგს. „ნათქვამსა“ და „განხორციელებულს“ შორის ამგვარი აცდენა კი მოქალაქეებს შორის ღრმა დაბნეულობას შეიძლება იწვევდეს.

როგორც ზევით აღვნიშნე, პერიფერიული უბნების მცხოვრები ახალგაზრდა რესპონდენტები, რომლებმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმავალი სოციალური მობილობა განიცადეს, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი უსაფრთხოების ოფიციალური დისკურსის რეპროდუქციისაკენ. თუმცა, რესპონდენტები პერიფერიიდან, რომელთაც ამგვარი მობილობა არ განუცდიათ და ისინი, ვინც თავს „ძველ ელიტებად“ მიიჩნევენ, უფრო მერყევ დამოკიდებულებას გამოხატავენ და ზოგჯერ, მსჯელობისას საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან. ჩემი რესპონდენტების მონათხრობზე დაყრდნობით, ქვევით ორ სპეციფიკურ შემთხვევას გავაანალიზებ, რომელიც უსაფრთხოების ფორმალიზაციისადმი ამ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს ასახავს - უსაფრთხოების ბაზრიდან არაფორმალური მოთამაშეების განდევნასა და ე.წ. „ბირჟების“ გაძევებას თბილისის საჯარო სივრციდან.

1990-იანი წლების სუსტი სახელმწიფოსა და უკიდურესად კორუმპირებული პოლიციისა და სასამართლოს პირობებში ქართველებს შორის ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკად იქცა კონფლიქტის მოგვარება, ან ძალადობის თავიდან აცილება *კანონიერი ქურდების* დახმარებით (Slade 2012b, 631). როგორც ზევით აღვნიშნე, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის მიღებისა და „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და კონფლიქტის კრიმინალური გზებით მოგვარების კანონით დასჯად პრაქტიკად გამოცხადების შემდეგ (Slade 2012a, 44), სააკაშვილის მთავრობამ წარმატებით შეძლო საქართველოში „კანონიერი ქურდების“ გავლენის აღმოფხვრა. მიუხედავად ამისა, ჩემი რესპონდენტების აღქმაში, ფორმალურმა კანონაღმასრულებელმა ინსტიტუციებმა ბოლომდე ვერ მოახერხა უსაფრთხოების უზრუნველმყოფის როლში არაფორმალური აქტორების ჩანაცვლება, რადგან თბილისის ზოგი მოქალაქე პოლიციასა და სასამართლოს ნაკლებად ენდობა და ინერციით კვლავ იხრება არაფორმალური აქტორებისა და პრაქტიკის, როგორც საჯარო სივრცეში მათი პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტებისაკენ.

როგორც თავის პირველ ნაწილში აღვნიშნავ, რესპონდენტები ქუჩის უსაფრთხოების აუცილებლობას კულტურულად სპეციფიკური წარმოდგენით ხსნიან. ეს ხედვა ქართველ მამაკაცებს „ქართული მასკულინობის კოდექსის“ მიმდევარ, „ოდითგანვე ძალადობისკენ მიდრეკილ“ ფიგურებად წარმოსახავს, რომლებიც ქუჩის საჯარო სივრცეს აგრესიული ძალაუფლებრივი თამაშების სახიფათო მოედნად აქცევენ. რესპონდენტები, რომლებიც ამის გამო, ქუჩას სახიფათო სივრცედ აღიქვამენ, თუმცა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმალურ საშუალებებს (პოლიცია, სასამართლო) საიმედოდ არ თვლიან, მათ ნაცვლად ნდობას კვლავ უსაფრთხოების უზრუნველყოფის არაფორმალურ საშუალებებზე ამყარებენ. 1976 წელს დაბადებული მარი მკაცრად აკრიტიკებს *კანონიერ ქურდებს* და მათზე „მიშას“ ანტიმაფიოზური კამპანიის გამარჯვებას აქებს. თუმცა, ამავე დროს, ის *ქურდების* განდევნის უარყოფით მხარეზეც საუბრობს, რადგან მათი ყოფილი „სერვისის“ საიმედო ჩამნაცვლებელი არსად ეგულება:

> *მიშამ მოაშორა ქურდები, რაც თავისთავად, რა თქმა უნდა, საზიზღრობა იყო. არავინ არ ჩამომართვას იმაში, რომ რაღაც ისა ვარ [იცინის]. მაგრამ რას ვფიქრობ, იცი? ეს გასაჩერებელი ბერკეტი იყო. აი იმ ყველაფერმა ჩემ თვალწინ ჩაიარა და ის, რომ ვიღაცა მოგყავდა და ვიღაცას იყენებდი წინ, ან შუაში - ეს იყო გასაჩერებელი. ჩერდებოდა ხალხი ამითი. ისიც კულტურა იყო, ქუჩის. ძალიან ცუდი იყო, მაგრამ იყო. ეხლა, როცა არც წიგნი და არც განათლება არ გაჩერებს - კულტურული მენტალიტეტი რასაც ქვია - უკვე არაფერი აღარ გაჩერებს.*

მსგავს მოსაზრებას მიზიარებს 1980 წელს დაბადებული ნიკოც. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, *კანონიერ ქურდებს* ის ქუჩის კონფლიქტის „მარეგულირებელ საშუალებად“ ხედავს, რომლის არარსებობამ ვითარებაზე კონტროლის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს:

> *ქურდების დროს მაინც ბალანსი იყო დაცული. ჩვენც პატარები რო ვიყავით, ჩხუბი ყოფილა, რაღაცა, [...] ყოველთვის იმას ცდილობდნენ, რო გართულება რო არ მომხდარიყო, რომ ან დანა არ ეხმარა ვიღაცას, ან იარაღი არ გვეხმარა. ეხლა რავი, ტელევიზორში დღე არ გავა ისე, რომ ვიღაც თინეიჯერმა ავტომატით*

არაფრის გულისთვის კაცი არ მოკლას როგორც არაფერი. [ქურდების ინსტიტუტი] რეგულირების საშუალება იყო.

თბილისის უფრო პრესტიჟული უბნების ბინადარების - მარის და ნიკოს მოსაზრებას მუშათა კლასის ტრადიციულ უბანში - ნაძალადევში მცხოვრები საბაც იზიარებსს:

არა გაქვს იმედი რომ კანონს ვინმე შეასრულებს და გიწევს ისევ ქუჩაში ამის კეთება.

ამრიგად, უსაფრთხოების ფორმალიზაციამ შეამცირა პროფესიონალი კრიმინალების გავლენა, რომლებსაც თბილისის მოქალაქეების ნაწილი საფრთხედ აღიქცამდა. თუმცა, ეს არაფორმალური აქტორები, რომლებსაც მოქალაქეები ქუჩის კონფლიქტში ადრე შუამავლებად იყენებდნენ, ჩემი რესპონდენტების აღქმაში ფორმალურმა ინსტიტუტებმა ვერ ჩაანაცვლა. ეს წინააღმდეგობრიობა უსაფრთხოების ფორმალიზაციის პროექტს მოქალაქის წარმოდგენაში ერთსა და იმავე დროს, უსაფრთხოებისა და საფრთხის წყაროდ აქცევს.

უსაფრთხოების ფორმალიზაციის კიდევ ერთი სამიზნე ჩემი რესპონდენტების მიერ განხილული ქუჩის კიდევ ერთი ელემენტი - ე.წ. „ბირჟა“ იყო. სოციალიზაციის ეს ტიპურად მასკულინური სივრცე თბილისის უბნების ფიზიკურ სივრცეზეა მიბმული და ზოგჯერ, მამაკაცების წვრილმანი დანაშაულებრივი აქტივობების ადგილად მიიჩნევა. პოსტრევოლუციურ იდეოლოგიაში „ბირჟა“ ჩამორჩენილ, ანტიდასავლურ ფენომენად განიხილებოდა და ითვლებოდა, რომ ის შეუთავსებელი იყო იმ ღირებულებებთან, რომლებისკენაც საქართველო მიისწრაფოდა (Curro 2017, 77). წვრილმანი დანაშაულისადმი სიმკაცრე, ნაწილობრივ, „ბირჟებზეც“ ვრცელდებოდა, რომელთა წევრებს ზოგჯერ აკონტროლებდნენ, აკავებდნენ, ან - ჩხრეკდნენ (იქვე, 78). 2010 წლისათვის „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის ანტიკრიმინალურმა პოლიტიკამ საგრძნობლად შეამცირა თბილისის საჯარო სივრცეში „ბირჟების“ რაოდენობა (Curro 2017; Zakharova 2010). თბილისის საჯარო სივრცეზე უსაფრთხოების ფორმალიზაციის ამ გავლენას რესპონდენტები წინააღმდეგობრივად აფასებენ, რამდენადაც „ბირჟის“

ფენომენისადმი მათი დამოკიდებულებები ორაზროვანია. „ბირჟა“, ერთი მხრივ, „ბნელი წარსულისეულ“ ჩამორჩენილ პრაქტიკად და „ზარმაცებისა და ნარკოდამოკიდებულების“ თავშეყრის ადგილად მიიჩნევა, რომელიც მოქალაქეებისადმი პოტენციურ საფრთხეს განასახიერებს. მეორე მხრივ, ის ადგილობრივი კულტურული ტრადიციების გამოხატულებადაც შეიძლება აღიქმებოდეს - თბილისის უბნების საურთიერთო სივრცედ, სადაც თავს სხვადასხვა ასაკის მამაკაცები იყრიან. იმის გასაანალიზებლად, თუ რა ლოგიკა უდევს საფუძვლად ამ ორ წარმოდგენას შორის განსხვავებას, ორი სხვადასხვა რესპონდენტის მონათხრობს დავეყრდნობი, რომლებიც „ბირჟის“ გამოცდილებას სხვადასხვა პერსპექტივიდან აღწერენ. თბილისის ერთ-ერთი პერიფერიული მიკრორაიონის, გლდანის მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული მაგდა მიყვება:

> *გვყავს, როგორც ყველა უბანს დაბლა [ეზოში], ბირჟას რომ ეძახიან. არიან იქ, სვამენ, სულ აბირჟავებენ. მივესალმები და [მესალმებიან]: „დაიკო“ - და რაღაც ესეთი. ახალგაზრდები [არიან], რომლებიც არ მუშაობენ. მარა არ არიან ბოროტები, ძალიან ვაფასებ და მინდა, დასაქმდნენ, ოჯახებს მოეკიდონ. ჩემი თაობაა ბევრი იქ და ჩემი მეგობრები და მეზობლები. ზოგს ძაან კარგად არ ვიცნობ მარა სახეზე ხო ცნობ. ორი დანი ვართ და არ ყოფილა რომ ჩვენთვის ვიღაცას რაღაცა უხეშად ეთქვას. პატივისცემით და: „ხომ არ დაგეხმაროთ დაიკო?“. ჩანთით რომ დამინახავენ, გამოვარდება ჩანთას აიღებს. ცუდი როგორ უნდა ვთქვა.*

მაგდა არ იზიარებს ოფიციალური იდეოლოგიის ხედვას, რომელიც „ბირჟას“ მავნე პრაქტიკად აცხადებს და „ბირჟის“ წევრ უბნელებს ის მეგობრულ, დამხმარე და უხიფათო „ძმებად“ აღწერს. თუმცა, მაგდასგან განსხვავებით, 1992 წელს დაბადებული საბურთალოელი ელენესათვის „ბირჟა“ საფრთხის წყაროა. წინა სამსახურიდან ელენე მას შემდეგ წამოვიდა, რაც რამდენჯერმე შეესწრო, როგორ ავიწროებდნენ მისი მამაკაცი თანამშრომლები ქუჩაში უცხო ქალებს. მათი ოფისი პირველ სართულზე იყო, ელენეს თანამშრომელი მამაკაცები შესვენებაზე, ჩვეულებრივ, შენობის წინ *აბირჟავებდნენ* და გამვლელ ქალებს სიტყვიერად ავიწროებდნენ (ჩვეულებრივ, სექსუალური შინაარსის რეპლიკებით უმასპინძლდებოდნენ). ჩემი რესპონდენტი ამას საკუთარ ირიბ,

გენდერულად მოტივირებულ შევიწროებად აღიქვამდა და ბოლოს იმდენად დაეძაბა თანამშრომლებთან ურთიერთობა, რომ სამსახურიდან წამოსვლა გადაწყვიტა.

როგორც ზევით მოყვანილ ორ მაგალითში ჩანს, „ბირჟის“ წევრ მამაკაცებთან მეზობლობა და ნაცნობობა მაგდას მათ „დაიკოდ“ აქცევს. ელენეს სამსახურთან გამვლელი ქალები კი მისი თანამშრომლებისთვის უცხოები არიან. „ხომ შეიძლება [გამვლელი ქალი], მათი მეგობრის ცოლი, ან და ყოფილიყო“, ამბობს ელენე და ამით ხაზს უსვამს, რომ შევიწროების წინააღმდეგ ერთადერთი დამცავი მექანიზმი საქართველოში მამაკაცებს შორის არსებული არაფორმალური სანაცნობო ქსელები შეიძლება იყოს. შესაბამისად, ვითარება „ბირჟის“ წევრებთან პირადი ნაცნობობის ხარისხზეა დამოკიდებული. ამის მიხედვით, თუკი ერთი მოქალაქის აღქმაში, „ბირჟა“ შეიძლება, „ქუჩისკენ მიმართული თვალების“ (Jacobs 1961, 35) ფუნქციას ასრულებდეს, მეორე მოქალაქისათვის ის საფრთხის წყარო შეიძლება იყოს.

ქუჩის პრაქტიკებისადმი, მათ შორის, „ბირჟისადმი“ მოქალაქეთა ამბივალენტურ დამოკიდებულებას 1988 წელს დაბადებული რესპონდენტი, რუსკა აჯამებს, რომელიც ვერისა და ვაკის პრესტიჟულ უბნებში გაიზარდა და ამჟამად საჯარო სექტორში, მაღალი რგოლის მენეჯერად მუშაობს:

> *ბირჟაზე რომ უსაქმურები, მერე იქ განარკომანებულები და ბაბულიკა ტიპები [არიან] და მერე ცოლებს რო ურტყამენ პლუს, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია [...]. თუმცა, [1990-იანებში [მეზობელი მამაკაცები] ბირჟაზეც ისხდნენ და ძალიან ბევრი უსაქმური და წყალწაღებულიც ყოფილა, ნარკომანი და უბედურიც, მაგრამ ეს ქუჩა იყო მაინც ის მომენტი, რომ რაღაც ერთიანი იყო. გასწავლიდა მოქცევას, გასწავლიდა კაცობას, რომ შენი ქუჩა უნდა დაიცვა, შენი ქუჩის გოგოებს უნდა სცე პატივი და დაიცვა, აბა ვინმემ გაბედოს და ისე შეხედოს [...]. რაღაც მომენტში ძაან მინდა, რომ იყოს მიქსი 90-იანების და თანამედროვეობის, ანუ ბალანსირებული. მე მგონია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს უფრო მოგვიტანს წარმატებას და წინსვლას. მაკდონალდსი კარგია, მაგრამ ხაჭაპურის ცხობაც არ უნდა დაივიწყო რა.*

აქ რუსკა, ერთი მხრივ, პოსტრევოლუციურ ოფიციალურ დისკურსს იმეორებს, რომელიც „ბირჟის“ ქუჩურ პრაქტიკას „ანტიმოდერნულ“ აქტივობად და საფრთხის წყაროდ ხედავს. მეორე მხრივ კი, რესპონდენტი ბირჟას პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის „ტრადიციულ“ საშუალებად აღიქვამს. „ტრადიციულობასა“ და „მოდერნულობის“ ცნებებს კი, შესაბამისად, „ხაჭაპურისა“ და „მაკდონალდსის“ მეტაფორებით გამოხატავს. რუსკას ვერ გადაუწყვეტია, მაინც რომელი მხარე დაიჭიროს და ამ კოგნიტურ დისონანსს ჰიბრიდული კულტურული მოდელის შემოთავაზებით გადაჭრის, რომელიც „სადღაც შუაში“ თავსდება.

თავის შეჯამება

როგორც მოცემულმა თავმა აჩვენა, თბილისის საჯარო სივრცეში პერსონალური საფრთხისა და უსაფრთხოების შესახებ მოქალაქეთა წარმოდგენა კომპლექსური, ხშირად ღრმად ამბივალენტური ფენომენია, რომელიც ადგილობრივი პოლიტიკური გამოცდილების წიაღში ყალიბდება. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი მთავრობა ერთ-ერთ მთავარ მიზნად ქვეყნის მოდერნიზაციას ისახავდა, ხოლო მისი ერთ-ერთი მთავარი მისწრაფება საქართველოს საბჭოთა და ადრეული პოსტსაბჭოთა წარსულისგან დისტანცირება და ევროპული ინტეგრაცია იყო. ამ თვალსაზრისით, „მოდერნიზაცია“ როგორც ოფიციალურ, ისე - საზოგადოებრივ დისკურსში ხშირად „ვესტერნიზაციისა“ და „ევროპეიზაციის“ ცნებებთან იგივდებოდა, რომლებიც „ბნელი“, „ჩამორჩენილი“ საბჭოთა და ადრეული პოსტსაბჭოთა იდენტობის საპირწონედ იყო დანახული. ამ საერთო „მოდერნიზაციის“ ერთ-ერთ ასპექტს, მათ შორის, უსაფრთხოების მოდერნიზაცია წარმოადგენდა, რომლის განსახორციელებლადაც „ვარდების რევოლუციის“ მთავრობამ პოლიციის რეფორმა განახორციელა, შემოიღო მაფიის საწინააღმდეგო კანონმდებლობა და „კანონმორჩილების კულტურის“ დანერგვას შეუდგა. ამ ცვლილებებს, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველმყოფის როლში მყოფი არაფორმალური ინსტიტუტები (მაგ. „კანონიერი ქურდების“ სუბკულტურა)

ფორმალური ინსტიტუციებით უნდა ჩაენაცვლებინა, ე.ი., უსაფრთხოების ფორმალიზაცია უნდა განეხორციელებინა. ამ გაცხადებული პოლიტიკის ჭრილში, „რუსეთის“ ცნება იკვეთებოდა, როგორც ერთი მხრივ, დანაშაულითა და კორუფციით გაჟღენთილი, ჩამორჩენილი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა წარსულის აჩრდილი და მეორე მხრივ - თანამედროვე ეროვნული საფრთხის წყარო. მის საპირისპირო მნიშვნელობად, „დასავლეთის“, როგორც მოდერნულობის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტორის ცნება ჩანდა. ამრიგად, „დასავლეთის“, „მოდერნიზაციის“, „კანონმორჩილების“, „ფორმალურობის“ ჰომოლოგიური ცნებები შესაბამისად, „რუსეთის“, „ჩამორჩენილობის“, „კრიმინალურობისა“ და „არაფორმალურობის“ ჰომოლოგიური ცნებების ოპოზიციებად ჩამოყალიბდა. ეს ოპოზიციები ოფიციალურ და საზოგადოებრივ წარმოდგენებს შორის მიმდინარე „მოლაპარაკების“ საგნად იქცა. საფრთხისა და უსაფრთხოების შესახებ კვლევის რესპონდენტების ვერნაკულური წარმოდგენები გენდერულად, ასაკობრივად და სოციალურად სპეციფიკურია და მჭიდროდ ებმის იმას, თუ სად წარმოისახავენ თავს ისინი ძალაუფლების ამ სადავო ველში. ქალაქის ცენტრში მცხოვრები ყოფილი ურბანული ელიტის წარმომადგენელი რესპონდენტები, რომელიც პოსტრევოლუციურმა იდეოლოგიამ „ჩამორჩენილად“ მონიშნა და პერიფერიებში მცხოვრები მოქალაქეები, რომელთაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმავალი სოციალური მობილობა არ განუცდიათ, უსაფრთხოების პოლიტიკის პოსტრევოლუციურ ცვლილებებს უფრო სკეპტიკურად უყურებენ, ვიდრე ქალაქის პერიფერიებიდან წამოსული ის რესპონდენტები, რომელთაც რევოლუციის შემდეგ აღმავალი სოციალური მობილობა განიცადეს. ამავე დროს, რესპონდენტები ზოგჯერ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას გამოხატავენ უსაფრთხოების მოდერნიზაციისადმი. ერთი მხრივ, პოსტრევოლუციური პოლიტიკის მიერ არაფორმალური აქტორების (მაგ. კანონიერი ქურდების) „მოშორებას“ და „ქუჩების გაწმენდას“ ისინი დადებითად აფასებენ და საჯარო სივრცეში უსაფრთხოების ხარისხის ზრდად აღიქვამენ. მეორე მხრივ კი, მაგალითად, ქუჩის კონფლიქტის საშიშროების კონტექსტში, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ამ „ტრადიციული“ არაფორმალური აქტორების გაქრობას საფრთხედ აღიქვამენ, რადგან

პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ფორმალურ ინსტიტუციებს არ თვლიან საკმარისად ქმედითად, ზოგ შემთხვევაში კი თავად ამ ინსტიტუციებს მიიჩნევენ საფრთხედ.

ადგილობრივი საფრთხე/უსაფრთხოების შესახებ ეს ამბივალენტური ვერნაკულური წარმოდგენები მრავალ შეკითხვას ბადებს. როგორც სლეიდი და კუპატაძე (Slade and Kupatadze 2017) მსჯელობენ, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ ვერ შეძლო „კანონმორჩილების კულტურის“ დანერგვა. თუმცა, ავტორების აზრით, ეს ვერც 2012 წლის შემდეგ სააკაშვილის მთავრობის მემკვიდრის, „ქართული ოცნების“ უფრო რბილმა ანტიკრიმინალურმა პოლიტიკამ შეძლო. მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ანტიკრიმინალური პოლიტიკის დაჩქარებული ლიბერალიზაცია - მაგ., 2012-2013 წლებში „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ პატიმართა ფართომასშტაბიანი ამნისტიის განხორციელება - შესაძლოა, აფერხებდეს კანონის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებისა და კანონაღმასრულებელი ინსტიტუციების ლეგიტიმურობის აღქმის ჩამოყალიბებას (იქვე). თუკი რესპონდენტებისაგან ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება ლიბერალიზებულ ანტიკრიმინალურ პოლიტიკას თბილისის საჯარო სივრცეში „კრიმინალურობის დაბრუნება“ მოჰყვეს, აქვე დამატებითი შეკითხვა შეგვიძლია დავსვათ - რა შეიძლება იყოს მომავალში უსაფრთხოების არასრული პოსტრევოლუციური ფორმალიზაციის შედეგი და რას შეიძლება მოასწავებდეს ფართო ახალ პოლიტიკურ კონტექსტში მოქალაქეთა მიერ პერსონალური უსაფრთხოების ამბივალენტური აღქმა?

თავი II - თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაცია, საფრთხე და უსაფრთხოება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

შესავალი

2012 წლის სტატიაში პოსტსოციალისტური ქალაქების ტრანსფორმაციის პატერნების შესახებ სიკორა და ბუზაროვსკი (Sykora and Bouzarovski 2012) აღნიშნავენ, რომ სოციალიზმის შემდგომ ტრანზიციას ამ ურბანულ სივრცეებში არა ერთჯერადი, არამედ - მრავლობითი ხასიათი აქვს. თუკი ინსტიტუციური (პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის) გარდაქმნა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მეტნაკლებად, დასრულებულია, მათ ქალაქებში სოციალური პრაქტიკების სახეცვლილება და ურბანული ტრანსფორმაცია კვლავაც გრძელდება და სხვადასხვაგვარ ადგილობრივ ფორმას იღებს. თუმცა, პოსტსოციალისტურ ქალაქებს შორის ტრანსფორმაციის მსგავსი თარგების იდენტიფიცირებაც არის შესაძლებელი. მათ შორის, ავტორები გამოკვეთენ პოსტსოციალისტური მთავრობების სწრაფვას ნეოლიბერალური ურბანული პოლიტიკური კურსისკენ, ქალაქის დაგეგმარების პრინციპის, როგორც თავისუფალი ბაზრის შემაფერხებელი ფაქტორის უგულებელყოფასა და ქალაქგანვითარების, დიდწილად, კერძო სექტორისათვის მინდობას. ასევე: ქალაქების ცენტრის პრივატიზაციასა და კომერციალიზაციას და მათში ახალი, „მომავალზე ორიენტირებული“ ურბანული ნიშანსვეტების გაჩენას, საზოგადოებრივი სივრცეების შემცირებას, ჯენტრიფიკაციასა და მზარდ სუბურბანიზაციას (იქვე). სონია ჰირტი (Hirt 2012) ამ პროცესებს *პრივატიზმის* უფრო ფართო ფენომენის ნაწილად განიხილავს, რომელიც არამხოლოდ ოფიციალურ პოლიტიკური იდეოლოგიაში, არამედ - მოქალაქეთა ყოველდღიურ დისკურსებსა და პრაქტიკებში ვლინდება. „პრივატიიზაციისაგან“ განსხვავებით, რომელიც „მატერიალური რესურსების გადაცემის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესია“, *პრივატიზმი* კულტურული მოვლენა, სოციალისტური მარცხის სოციალური გამოცდილების საპასუხო გამოძახილია, რომელიც „საჯაროსა“ და „საზოგადოებრივის“ მიმართ უნდობლობასა და „პირადისა“ და „კერძოს“ მიმართ ნდობასა და სწრაფვაში გამოიხატება (იქვე, 4).

ნაშრომის პირველი თავი *პერსონალური საფრთხე/უსაფრთხოების* ვერნაკულურ აღქმებს აკვირდებოდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი თბილისის საზოგადოებრივ

სივრცეში, რომელიც ქუჩის უსაფრთხოების მოდერნიზაციისა და ფორმალიზაციის პოლიტიკას, ანტიკრიმინალურ რეფორმებს, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკებს უკავშირდებოდა. მოცემულ თავში კი იმ პოსტრევოლუციურ ცვლილებებზე ვისაუბრებ, რომლებიც არა *მოქალაქის სხეულის* უსაფრთხოების *მოდერნიზაციას,* არამედ - *ქალაქის სხეულის მოდერნიზაციას* ებმის. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არამხოლოდ თბილისის მოქალაქეთა პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შინაარსები შეიცვალა, არამედ - თვით ქალაქის სხეულიც. თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური მოდერნიზაცია სხვადასხვა პოლიტიკური ტრანსფორმაციის, მათთან დაკავშირებული იდეოლოგიური ცვლილებებისა და სივრცითი პრაქტიკისგან შედგება. ყველა ეს ელემენტი, ერთი მხრივ, ქალაქის მატერიალურ სხეულზე აისახება, მეორე მხრივ კი - იმ საზიარო საზოგადოებრივ მნიშვნელობებსა და ცოდნაზე, რომლებიც ამ მატერიალურ სხეულს გარს აკრავს. მოცემულ თავში ქალაქის სხეულის პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხე-უსაფრთხოების შინაარსებს განვიხილავ და შევეცდები, ვუპასუხო შეკითხვებს: 1. როგორი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ურბანული პოლიტიკა? 2. როგორ აისახა ეს პოლიტიკა თბილისის პოსტრევოლუციურ ურბანულ განვითარებაზე? 3. რა ტიპის საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობები უკავშირდება მოქალაქეთა აღქმაში თბილისის პოსტრევოლუციურ ურბანულ განვითარებას? 4. როგორ მიემართება საფრთხისა და უსაფრთხოების ეს მნიშვნელობები მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ კატეგორიებს?

ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, თბილისის ურბანული პოლიტიკის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ცვლილებებს აღვწერ, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი თბილისის ურბანული სხეულის ტრანფორმაციაზე აისახა, რისთვისაც ურბანული პოლიტიკისა და ქალაქის ტრანსფორმაციის ამსახველ ოფიციალურ დოკუმენტებს, მედიის წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას დავეყრდნობი. ამ ანალიტიკურ ჩარჩოზე დაყრდნობით ჩემი რესპონდენტების მიერ გამოკვეთილ საფრთხისა და უსაფრთხოების შინაარსების კონტექსტუალიზაციასა და

ანალიზს შევეცდები. თავის ფარგლებში გაშლილ მსჯელობას კი შეჯამებით დავასრულებ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება. პირველი მიმართულება, რომელსაც ქალაქის სხეულის „მოდერნიზაციის“ ცნებითა და „რემონტის“ მეტაფორით აღვწერ, თბილისის ტრანსფორმაციის იმ ფორმას მოიცავს, რომელშიც სახელმწიფო აქტიური მოთამაშის, ურბანული აგენტის როლს ასრულებს. ამ ცვლილებების გზით, თბილისის ურბანული გარემო პოსტრევოლუციური იდეოლოგიური გზავნილების მატერიალური აღბეჭდვის საშუალება, მოდერნიზაციის შესახებ პოსტრევოლუციური მთავრობის წარმოდგენების თვალსაჩინო ანარეკლი ხდება. მეორე მიმართულება თბილისის სივრცის იმგვარ ტრანსფორმაციას აღწერს, როცა სახელმწიფო ქალაქის სხეულის ახლებურ პროდუქციაში არა პირდაპირ, არამედ ირიბ როლს ასრულებს. ამ მიმართულების ფარგლებში, დებიუროკრატიზაციისა და დერეგულაციის პოლიტიკის შედეგად, სახელმწიფო თბილისის გეგმარებაზე, განვითარებასა და განაშენიანებაზე აგენტობას თითქოს ჩამოიშორებს და საბაზრო ძალებს - დეველოპერებსა და მენაშენეებს გადასცემს, რომლებიც ქალაქს საკუთარი ინტერესების შესაბამისად გარდაქმნიან. ქალაქის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის ამ ორ მიმართულებას ქვევით შესაბამისი თანმიმდევრობით განვიხილავ.

თბილისის ურბანული სხეულის მოდერნიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ - ქალაქი, როგორც „სარემონტო ბინა“

როგორც წინა თავში აღვნიშნე, რევოლუციური მთავრობის ერთ-ერთი მთავარი საჯაროდ გაცხადებული მისწრაფება საქართველოს ადრეული პოსტსაბჭოთა, „არშემდგარი სახელმწიფოდან“ „აყვავებულ სახელმწიფოდ“ გარდაქმნა იყო (სააკაშვილი 2006ა). ეს მიზანი, სხვა ტრანსფორმაციებთან ერთად, საქართველოს ქალაქების (თბილისი, ბათუმი,

სიღნაღი და ა.შ.) მოდერნიზაციასაც გულისხმობდა, სხვა შემთხვევებში კი, საერთოდაც, ახალი ქალაქების შექმნას (მაგ. ლაზიკა). ოფიციალურ დისკურსში ამ პროცესების აღმნიშვნელი საკვანძო ცნება „აღმშენებლობა“ იყო. პოსტსაბჭოთა, „ვარდების რევოლუციამდელი“ საქართველოს და კერძოდ, თბილისის აღსაწერად, მიხეილ სააკაშვილი 2007 წლის გამოსვლაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის ყრილობაზე „სარემონტო ბინის“ მეტაფორას იყენებს, რომელიც, მისი თქმით, „კახელი გლეხისაგან“ მოისმინა. გამოსვლაში სააკაშვილი ამბობს, რომ 2007 წლისთვის საქართველოს ქალაქები „რემონტის პროცესშია“, რაც მოქალაქეებს დისკომფორტს უქმნის, თუმცა, შედეგი ამად ღირს:

> *ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით რეფორმების მდგომარეობაშია. თბილისში თუ გაივლით, ნახავთ, რომ ყველაფერი აყრილია - ზოგან ქვაფენილს აგებენ, ზოგან რაღაც შენდება (...). რემონტის პროცესში მყოფ ბინაში ცხოვრება არავის არ უყვარს, მაგრამ ასეთში ცხოვრება სჯობს იმ ჩამოძონძილ, უსახურავო და უკარფანჯრო ბინას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით* (სააკაშვილი, 2007ა).

გამოსვლაში სააკაშვილი ამ მიმდინარე „სარემონტო სამუშაოებს“ ქვეყნის ზოგად აღმშენებლობას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ამ პროცესს დრო და მოთმინება დასჭირდება. ამისათვის ის ძველი აღთქმისეულ „გამოსვლის“ ტროპს იშველიებს და აქვე, აღმშენებლობის ნიმუშად თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი მოჰყავს, რომლის მშენებლობა 1995 წელს დაიწყო და 2004 წლის 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ ერთი წლის თავზე დასრულდა. სააკაშვილისათვის საქართველო აქ „საუკუნოვანი ტაძარია“, რომელსაც საძირკველი „უკვე ჩაყრილი აქვს“. ამასთან, სააკაშვილი ირიბად იმ ძალებსაც ახსენებს, რომლებმაც ეს პროცესი, შეიძლება, შეაფერხონ და აუდიტორიას მათდამი წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებს:

> *(...) არავის არ ვედრები, მაგრამ მოსეს 25 წელი მოყავდა ხალხი უდაბნოში. სამების ტაძარი უფრო ჩქარა - სამ წელიწადში ამოვიდა. საქართველოს საძირკველი უკვე ჩაყრილი და ამოსულიც არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე რთული მომენტი გადავლილი გვაქვს. ნურავის ნუ შევაჩერებინებთ ამ*

მშენებლობას. ნურავის ნუ შევაჩერებინებთ ჩვენი საუკუნოვანი ტაძრის ამოყვანას, ჩვენი მომავლის შექმნას (სააკაშვილი 2007ა).

ამავე გამოსვლაში სააკაშვილი ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და მის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან ერთად, მისი ცხოვრების მიზანი საქართველოში „ევროპული დონის ცხოვრების დამკვიდრებაა“ (იქვე).

მომდევნო ქვეთავებში იმ ძირითადი სივრცითი პრაქტიკებისა და მათი იდეოლოგიური მნიშვნელობების გაანალიზებას შევეცდები, რომლებიც თბილისის სივრცის პოსტრევოლუციურ მოდერნიზაციას უკავშირდება. ეს შინაარსები, ერთი მხრივ, ოფიციალურ პოლიტიკურ რიტორიკაში, მეორე მხრივ კი - პოპულარულ დისკურსში იკვეთება. ანალიზისას შევეცდები, ვაჩვენო, როგორია ქალაქის სივრცის მოდერნიზაციის ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა და როგორ ითარგმნება ის მოქალაქეების წარმოდგენაში „უსაფრთხოებად“ თუ „საფრთხედ“.

„შავ-თეთრი“ და „ფერადი“ თბილისი

კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქალაქებს შორის განსხვავებებზე მსჯელობისას, სონია ჰირტი სოციალისტურ ურბანულ ესთეტიკას „სპარტანული მოდერნიზმის“ ცნებით აღწერს. ამ ფენომენის აღწერისას ის ვაცლავ ჰაველის დაკვირვებას მოიხმობს, რომლის თანახმად, სოციალისტური ქალაქები საგანგებო, მოწყენილობისმომგვრელი „სინაცრისფრით, ერთგვაროვნებითა ანონიმურობით“ იყო აღბეჭდილი (Hirt 2012, 36-37).[18]„ვარდების რევოლუციის“ მთავრობის მმართველობის დასაწყისში, 2005 წლიდან, „ქალაქის გარემონტების“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი ქალაქში მდებარე შენობების ფასადების ფერადად შეღებვა იყო. ტრანსფორმაციის ეს პროცესი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში თბილისის მოქალაქეთა განხილვის აქტიურ

[18] Hirt, Sonia A. *Iron curtains: Gates, suburbs and privatization of space in the post-socialist city*. Vol. 27. John Wiley & Sons, 2012.

საგნად იქცა, როგორც ოფიციალურ, ისე - საზოგადოებრივ დისკურსში „შავ-თეთრი“ და „ფერადი“ ქალაქის ოპოზიციებად კონსტრუირდება.

2005 წლის გამოსვლაში თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის წინაშე[19] მიხეილ სააკაშვილისათვის მეტაფორული საზღვარი „ვარდების რევოლუციამდელ“ თბილისსა და რევოლუციისშემდგომ თბილისს შორის სწორედ „ფერის ლოგიკაზე“ გადის. მისი თქმით, 2003 წელს, როცა უცხოური ტელევიზიები „ვარდების რევოლუციას“ აშუქებენ, მათ მიერ გავრცელებულ კადრებში ჯერ კიდევ შევარდნაძის ეპოქის, ერთგვარი „გახანგრძლივებული 90-იანების“ თბილისი ჩანს, რომელიც „შავ-თეთრია“. ამ „ფერთა სიღარიბეს“ სააკაშვილი ქვეყნის სიღარიბის, დეგრადაციისა და „ჩამორჩენილობის“ ზოგად სიმბოლოდ ხედავს:

> *ამასწინათ მე და ჩემი არაპოლიტიკოსი მეგობრები ერთად ვუყურებდით ტელევიზორს, სადაც ოთხი წლის წინანდელ კადრებს აჩვენებდნენ. ყველას ერთი აზრი გაგვიჩნდა: ნუთუ უცხოურ ტელევიზიებს ვარდების რევოლუციის მხოლოდ შავ-თეთრი კადრები აქვთ? თუმცა მაშინ ყველაფერი მართლაც შავ-თეთრი და ბნელი იყო; ყველაფერი ჩამორჩენილ და გაუბედურებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა* (სააკაშვილი 2005ა).

„ვარდების რევოლუციამდელი“ თბილისის, როგორც „შავ-თეთრი“, ან - „ნაცრისფერი“ ურბანული გარემოს ხატი ჩემი რესპონდენტების მონათხრობებშიც იკვეთება. მირანდა და დათო 1980-იანი წლების ბოლოს დაიბადნენ. მათი ბავშვობა 1990-იანი წლების მწვავე კრიზისის, სამოქალაქო ომის, ქუჩის ძალადობისა და სიღატაკის პერიოდს დაემთხვა, მათი ახალგაზრდობისა და სტუდენტობის წლები კი - „ვარდების რევოლუციას“ და მის

[19] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 21.04.2005. უკანასკნელად ნანახია: 29.06.2022.
http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2766&i=33

შემდგომ გარდამტეხ პერიოდს. როცა ვეკითხები, როგორ ახსოვთ ბავშვობისდროინდელი თბილისი, მირანდა მიყვება:

> *მე 87-ში დავიბადე. ვცხოვრობდით ვაჟაზე, დელისთან და ის 90-იანების თბილისი მახსოვს ძალიან შავ-თეთრი, ძალიან ნაცრისფერი. ჩემი სკოლის პერიოდი უკვე ძალიან რთულ პერიოდს დაემთხვა - 94 წლიდან უკვე ძალიან ცუდი პერიოდი იყო ქალაქში. რაღაცა ავტომატიანი და შეიარაღებული ხალხი დარბოდა. მახსოვს დანგრეული, დაცხრილული შენობები და შიშის ფაქტორი.*

თბილისის შესახებ ბავშვობის მოგონებებზე საუბრისას, „ნაცრისფერ გარემოზე“ საუბრობს დათოც, რომელიც იმავე წელს დაიბადა. ქალაქის „ნაცრისფერი“ ელფერი მისთვის საზოგადოების სევდიან, ტრაგიკულ ყოფას ასახავს:

> *17 წლამდე [ე.ი. 2004-2005 წლამდე - თ.ხ.] გარემო მახსოვს ბევრად უფრო ნაცრისფერი, ბევრად უფრო სტრესული, სევდიანი, ტრაგიკული.*

გარდატეხა, როგორც დათოსთვის, ისე - მირანდასთვის „ვარდების რევოლუციიდან“ ერთი წლის შემდეგ, 2004 წლიდან იწყება.

> *ვფიქრობ, რომ მე რომ 17 წლის ვიყავი, მანდედან იწყება უკვე განსხვავებები. 16-17 წლიდან გარდატეხის მომენტია. [თბილისში ჩემს ცხოვრებას] თუ გავყოფდი 2 ნაწილად, მაგ პერიოდიდან გავყოფდი.*

ამბობს დათო. მირანდას აღქმაში, „90-იანი წლები“ არა მკაცრად ქრონოლოგიური, არამედ სუბიექტური მოცემულობაა, ერთგვარი „გახანგრძლივებული დრო“, რომელიც 2004 წლამდე გრძელდება. თუკი ეს „გახანგრძლივებული 90-იანები“ მირანდასთვის „ხალხის აზროვნებაშიც“ გრძელდება, 2004 წლიდან ის არამხოლოდ თბილისის მატერიალური სხეულის, არამედ საზოგადოებრივი განწყობის ცვლილებასაც ხედავს:

> *2004 წელს დავამთავრე სკოლა და უკვე იცი როგორი პერიოდია? რაღაც გარდატეხის პერიოდია. 2004-იდან თითქოს ... 90-იანი წლები თითქოს 2000-იანებშიც გაიწელა, მე მქონდა ეგეთი შეგრძნება - იცი როგორ? ხალხის აზროვნებაშიც.*

„გაფერადებული ქალაქი“ ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსში ამ ცვლილებების მატერიალური განსხეულება, რევოლუციისშემდგომი მოდერნიზაციის, განახლებისა და აღმშენებლობის სიმბოლოა. ქალაქის „ფერადოვნება“ თითქოს მისი „მოდერნულობის“ მიმთითებელი, მისი ინდექსი ხდება. სააკაშვილი ამ გამოსვლაში სწორედ ამ ტრანსფორმაციაზე საუბრობს და ფასადების შეღებვის შესახებ მოქალაქეთა ნაწილის სკეპტიკურ შეფასებასაც ეხმიანება:

> *დღეს ტელევიზიით ვნახე, თუ რა აჟიოტაჟია ატეხილი იმაზე, თუ რა ფერად იღებება ქალაქი. თურმე ამაზე საშინელება არაფერი არ მომხდარა. საქართველოში ბოლო 12 წლის განმავლობაში არაფერი არ მომხდარა, არავინ არაფერს არ აკეთებდა, არ ღებავდა და არავინ არ წუწუნებდა. ყველანი ვისხედით ჭაობში და ვიყავით ძალიან ბედნიერები. საკმარისი გახდა, რომ ვიღაცამ საქმის კეთება დაიწყო, ყველა დაირაზმა იქითკენ, რომ თურმე "ეს არ შეიძლება" - ასეთი მიდგომა დამამცირებელია, ეს არის ქალაქის განადგურება (სააკაშვილი 2005ა).*

აქვე სააკაშვილი ამ დებატის საინტერესო მხარეს აჩვენებს - როგორც მის ციტატაში ჩანს, მოქალაქეების ნაწილი თვლის, რომ ეს ცვლილებები ქალაქში არა ადგილობრივი მოქალაქეებისათვის, არამედ საგანგებოდ აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის დაგეგმილი ვიზიტისათვის ხორციელდება (რომელიც საქართველოს 2005 წლის 9 მაისს ესტუმრა):

> *ახლა საუბარია იმაზე, რომ გზები თურმე იმიტომ კეთდება და იმიტომ იღებება ქალაქი, რომ ბუში უნდა ჩამოდის. საინტერესოა ბუში თან წაიღებს ამ გზებს და შეღებილ სახლებს? (სააკაშვილი 2005ა).*

ამ ცვლილებების შესახებ საზოგადოების ნაწილის მოსაზრება „ფასადურობის“ ცნებაში აისახება. ასე აღწერს თბილისის სხეულის პოსტრევოლუციურ ცვლილებებს 1980 წელს დაბადებული ნიკო, როცა ვთხოვ, დააზუსტოს, მისი დაკვირვებით, მაინც როგორ შეიცვალა თბილისის ურბანული გარემო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ:

> *ალბათ უფრო ფასადურია ეს ცვლილებები.*

„ფასადურობა“ აქ ორმაგ მნიშვნელობას ატარებს. ერთი მხრივ, ის რევოლუციის შემდგომი პირველი წლების „ფასადების ღებვის“ პრაქტიკას ეხმიანება, მეორე მხრივ კი - მოქალაქის აღქმაში, ცვლილებების „ზედაპირულ“, მოჩვენებით ხასიათს. სააკაშვილის გამოსვლაში მოქალაქეების სკეფსისი თითქოს იმ დაშვებას ეფუძნება, რომ ქალაქის „გაფერადება“ და „რემონტი“ არა „ადგილობრივი მოხმარებისთვის“ განსაზღვრული პრაქტიკაა, არამედ წარმოსახვითი „დასავლური მზერისათვის“ თავის მოწონების მცდელობა - თითქოს „გაფერადებული“ თბილისი ამით სტუმარი აშშ-ის პრეზიდენტის აღქმაში „უფრო დასავლურად“, „უფრო მოდერნიზებულად“ უნდა წარმოჩნდეს და მან უნდა დაინახოს, რომ თბილისი „შავ-თეთრი“ პოსტსაბჭოთა ქალაქი აღარ არის. სააკაშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ამბობს, რომ ქალაქის „გარემონტება“, ფასადების შეღებვა და გზების მშენებლობა ადგილობრივი მოხმარებისთვის არის განსაზღვრული და ის ბუშის ვიზიტის შემდეგაც გაგრძელდება:

> *რას იტყვის ის ხალხი მაშინ, როცა გზების მშენებლობა გაგრძელდება ბუშის წასვლის შემდეგაც? მე მეორედ მოსვლამდე ვაპირებ გზების გაკეთებას (სააკაშვილი 2005ა).*

„შავ-თეთრი“ და „ფერადი“ თბილისის დიქოტომიური შეპირისპირება და ქალაქის „გარემონტებისა“ და „აღმშენებლობის“ ოფიციალური იდეოლოგიური ხაზი ექოდ ისმის ჩემი რესპონდენტის, 1987 წელს დაბადებული დათოს მონათხრობში:

> *როგორ გაკეთდა, ეს სხვა ამბავია, მაგრამ თუნდაც რუსთაველზე რომ აღარ არის დანგრეული, ნაომარი შენობები, ქალაქი რომ შედარებით ფერადია, ეგეც ნამდვილად აისახება მსოფლმხედველობის ცვლილებაზე. ბევრი რაღაც ბუტაფორიაა, მაგრამ სხვაობა არის და ყოველდღიურ ხასიათზეც გავლენას ახდენს ეს.*

ერთი მხრივ, დათო სკეპტიკურად უყურებს ქალაქის ტრანსფორმაციას. საუბრობს რა „ბუტაფორიულობაზე“, ის შესრულებული „სარემონტო სამუშაოების“, მისი აზრით, საეჭვო ხარისხზე და მათ „ზედაპირულ“, „საჩვენებელ“ ხასიათზე მიგვითითებს. თუმცა, მეორე მხრივ, ამ პროცესს მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოქალაქეთა მსოფლმხედველობისა

და ყოველდღიური განწყობის ცვლილებისათვის. „დანგრეული, ნაომარი“ შენობების „აღარ არსებობა“ ქალაქის ცენტრში მოქალაქეებს თითქოს უსაფრთხოების, დაცულობის მეტ განცდას უქმნის.

”განათებული“ და „ჩაბნელებული“ თბილისი

კიდევ ერთი დიქოტომიური წყვილი, რომელსაც სააკაშვილი იყენებს „ვარდების რევოლუციამდელი“ და რევოლუციისშემდგომი თბილისის აღსაწერად, „განათებული“ და „ჩაბნელებული“ თბილისია. ადრეული პოსტსაბჭოთა ეპოქას, გასაკუთრებით, „შევარდნაძის ხანას“ თბილისელები ხშირად „ბნელი 90-იანების“ სახელით მოიხსენიებენ. ამ კულტურულად ინტიმურ (Herzfeld 2000) ცნებაში, ერთი მხრივ, „შევარდნაძის ეპოქის“ თანამდევი ენერგოკრიზისი იგულისხმება, რომელიც მოქალაქეებს, პირდაპირი მნიშვნელობით, „სიბნელეში ამყოფებდა“.[20] თუკი სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველო საერთო საბჭოთა ენერგომომარაგების სისტემაში იყო ჩართული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მწვავე ენერგოკრიზისი დაიწყო. კრიზისის მიზეზებს შორის, ყველაზე ხშირად, ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობასა და კორუფციას ასახელებენ. როგორც სტეისი კლოსონი აღნიშნავს, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველო per capita აშშ-ის ყველაზე მსხვილი უცხოური დახმარების ადრესატი იყო. მათ შორის, საქართველომ მიიღო 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტისა ელექტროენერგიის წარმოებისათვის და დამატებით 2.5 მილიარდი - ენერგოსექტორის განვითარების, კერძო ივესტირებისა და გაზისა და ელექტროენერგიისათვის განსაზღვრული სესხებისათვის. თუმცა, 2003 წლისათვის საქართველო 1989 წლის დონის ნახევარი ენერგიის გენერირებასაც კი ვერ ახერხებდა და ტექნიკური პრობლემების გამო,

[20] ამ ეპოქის საქართველოსა და ენერგოკრიზისის შესახებ იხ. დოკუმენტური ფილმი: Power Trip, directed by Paul Devlin (2003), 1:26:00 https://www.amazon.com/Power-Trip-Piers-Lewis/dp/B01BIK526C

ყოველწლიურად, 365 მილიონ ლარს კარგავდა (Closson 2009, 759). კლოსონი, რომელიც საქართველოს 1990-იანების „სუსტი სახელმწიფოს“ პირობებში მიმდინარე ამ კრიზისის კონტექსტის გააზრებას ძალაუფლებრივი ქსელების ანალიზის გზით ცდილობს, აღნიშნავს, რომ „ენერგოსისტემის არაეფექტურობა არა იმდენად გამოსასწორებელი მარცხი იყო, არამედ - მათი გასაძლიერებელი იარაღი, ვინც ქსელების ალტერნატიულ სისტემაში ოპერირებდა. ეს ქსელები კი სამთავრობო და ბიზნესსტრუქტურების ძალაუფლების საფუძველს შეადგენდა“ (იქვე, 763).

რაც არ უნდა ყოფილიყო ენერგოკრიზისის მიზეზი, საქართველოს და მათ შორის, თბილისის მოქალაქეებისათვის 1990-იანი წლებიდან ის მძიმე ყოველდღიურ რეალობად იქცა.

> *[შევარდნაძის ეპოქაში] არც შუქი გვქონდა არც გაზი, არაფერი. მოცემულობა იყო კატასტროფა.*

- მეუბნება ჩემი რესპონდენტი, 1977 წელს დაბადებული ქეთი საბურთალოდან. საქართველოში ეკონომიკური ვითარება 1995 წლიდან შედარებით სტაბილური გახდა, თუმცა „უშუქობა“ ამის შემდეგ კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდა. ჯერ კიდევ 2001 წელს მოქალაქეები ბინებს ნავთის ლამპებითა და სანთლებით ანათებდნენ, ზამთრის სიცივეში კი ნავთქურებითა და შეშით თბებოდნენ (Tchiaberashvili 2001). ენერგოკრიზისით გამოწვეული „სიბნელე“ თბილისელებისათვის აღქმულ საფრთხეში, დაუცველობისა და უმწეობის განცდებში ითარგმნებოდა. 1987 წელს დაბადებული მირანდა მეუბნება, რომ 90-იანების „უშუქობით“ გამოწვეული შიშის განცდა თან დიდხანს დაჰყვებოდა:

> *მახსოვს, ეზოში საღამოს ყველას რომ ეშინოდა გასვლა. ეზოში დარჩენა შემეძლო, სანამ სინათლე იყო. უშუქობის პერიოდში სადარბაზოში ჩამომაკითხავდნენ ხოლმე და ისე ავყავდი, იმდენად მეშინოდა სიბნელის და კარგა ხანს გამყვა მერე ეს.*

თუმცა, სიბნელით გამოწვეული უშუალო საფრთხის განცდის გარდა, სასიცოცხლო საშიშროებას ქმნიდა თბილისელების მიერ ენერგოკრიზისთან ადაპტაციისათვის

საგანგებოდ წარმოებული „შემოვლითი“ ტაქტიკებიც, რომლებსაც საბჭოთა ეპოქის გამოცდილების მქონე ქართველები პოსტსაბჭოთა ვითარებასთან გასამკლავებლად არაერთ ვითარებაშო მიმართავდნენ (Gurchiani 2017). ჩემი რესპონდენტი, ლაშა მიყვება, როგორ დაიწვა 1995 წელს ჩუღურეთში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლი. ხანძრის მიზეზი მეზობლის მიერ არალეგალურად, კუსტარულად „გადმოყვანილი“ დენის კაბელი გახდა. ასეთ პრაქტიკებს ლაშას თქმით, 1990-იანების თბილისში მისი ნაცნობების უმრავლესობა მიმართავდა:

> *სახლი დაგვეწვა, იმიტომ რომ იმ დროს ჩემ მეზობელს ჰქონდა ე.წ. „ლევი ხაზი“. მარტო იმ მეზობელს კი არა, ყველას ჰქონდა აბსოლუტურად. მე და ჩემი და ვიყავით მარტო სახლში და შემოგვეწვა სახლი ჩვენ და ორ ჩვენს მეზობელს.*

ამგვარ უშუალო საფრთხეებთან ერთად, ვარდების რევოლუციამდელი ეპოქის „სიბნელე“ ოფიციალურ და საზოგადოებრივ დისკურსში ზოგადი კრიზისის, პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსის, კრიმინალურობისა და კორუფციის წინაშე რიგითი მოქალაქის დაუცველობის მეტაფორული აღმნიშვნელია. მიხეილ სააკაშვილის 2005 წლის აპრილის გამოსვლაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წინაშე „ვარდების რევოლუცია“ პირდაპირ გაიგივებულია „ჩაბნელებულ საქართველოში“ შუქის შემოტანასთან. სააკაშვილის თქმით, ერთადერთი სინათლე, რომელიც 2003 წლის ნოემბრის „ჩაბნელებულ საქართველოში“ ჩანდა, ავტომობილების იმ კოლონიდან მოდიოდა, რომელსაც რევოლუციის მონაწილე მოქალაქეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან თბილისისკენ მოჰყავდა:

> *მაშინ, როდესაც ჩვენ შემოვდიოდით, საქართველო მთლიანად იყო ჩაბნელებული. ერთადერთი სინათლის შუქი იმ მანქანებიდან მოდიოდა, რომელშიც თქვენ ისხედით* (სააკაშვილი 2005ა).

სააკაშვილის თქმით, თუკი „ვარდების რევოლუციამდე“ თბილისის საჯარო სივრცეების დიდი ნაწილი განათებული არ იყო, რევოლუციის შემდეგ მთავრობამ აქტიურად დაიწყო ქალაქის განათება და მისი სიტყვებით, მალე საქართველო მთლიანად განათდებოდა:

ვარაზისხევზე ბოლო რამდენიმე დღეა, ყვითელი განათებაა. ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის დროს თბილისში ასე განათებული იყო მხოლოდ 9 პროცენტი. ასეთი განათებული საქართველო მომავალი წლის ბოლოს იქნება 100 პროცენტით.

ვარაზისხევის განათებას სააკაშვილი შემთხვევით არ ახსენებს. თბილისის ამ მონაკვეთს, სადაც ფეხით ყველაზე ხშირად ახალგაზრდები (მაგ. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტების სტუდენტები) დადიან, არაერთი მოქალაქე მოიხსენიებს „საფრთხის ადგილად“, განსაკუთრებით - ქალები, რომლებიც ვარაზისხევის აღმართზე განცდილ სექსუალური შევიწროების შემთხვევებს იხსენებენ. თუკი „ვარდების რევოლუციამდელ“ თბილისში დაბინდების შემდეგ ვარაზისხევი პოტენციური მოძალადეებისათვის ხელსაყრელი ადგილი იყო, ამ სივრცის განათება გამვლელებისათვის მისი გაუსაფრთხოების საშუალებად იქცა.

ამგვარად, თბილისის „განათებას“ ორგვარი დატვირთვა აქვს - მეტაფორულად, ის „ახალი დროის დადგომას“, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი „მოდერნიზაციის ეპოქის“ შემოსვლის მეტაფორაა, პირდაპირი მნიშვნელობით კი - მოქალაქეთა უსაფრთხოების ხარისხის ზრდის ხილული ნიშანი. ეს წარმოდგენა რესპონდენტების მონათხრობში მკაფიოდ იკვეთება. დენითა და გაზით მომარაგებული პოსტრევოლუციური თბილისი, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის ნავთის რიგებით სავსე 90-იანების ქალაქთან, მათ წარმოდგენაში, უფრო „წინ წასული“ და „განვითარებული“ და მაშასადამე, უფრო უსაფრთხოა:

მახსოვს ნავთის რიგიც და ვუყურე ბევრად წინ წასულ თბილისსაც. უკეთესი მინდა, მაგრამ კარგია. უფრო განვითარებულია, ყოველ შემთხვევაში შუქის და გაზის პრობლემა არ გვაქვს. ნუ ელემენტარული პირობები უკეთესი გვაქვს ნამდვილად საცხოვრებლად და თბილისიც ეხლა უკეთესია, უფრო მშვიდია, უფრო უსაფრთხოა ბევრად.

მეუბნება ჩემი რესპონდენტი, 1988 წელს დაბადებული რუსკა ვაკიდან.

„გაუმჭვირვალე“ და „გამჭვირვალე“ თბილისი

თბილისის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ტრანსფორმაციის ვიზუალური ანალიზისას ჭიღოლაშვილი (Chigholashvili 2015) ქალაქის ცენტრში გაჩენილ ახალ ურბანულ ნიშანსვეტებს (მშვიდობის ხიდი, რიყის პარკი, საკონცერტო დარბაზები, პრეზიდენტის სასახლე, იუსტიციის სახლი) „დროის მარკერებად“ განიხილავს, რომლებიც „მომავლის თბილისს“, როგორც საქართველოს „პოსტრევოლუციური განვითარების სიმბოლოს“, „ტრადიციული“ და „საბჭოთა“ ქალაქისაგან მიჯნავს.[21] როგორც 2006 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, ის საქართველოში თანამედროვე არქიტექტურის შექმნას გეგმავდა, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა. სააკაშვილზე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი თბილისის „არაფორმალურ მთავარ არქიტექტორზე“ საუბრობს ჩემი რესპონდენტი, 1953 წელს დაბადებული ლევანი, რომელიც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ენთუზიასტურ გატაცებას თანამედროვე არქიტექტურით ასე აღწერს:

> *[მიშა სააკაშვილი] რაღაცას ხატავდა თვითონ და მერე სადღაც ამბობდა - რა საინტერესოა - დავხატავ რაღაცას და მერე შენდებაო. პენსიაზე რომ გავალ, არქიტექტორი გავხდებიო. მაგას ეგონა, რომ ნებისყოფის დაძაბვა საკმარისია რომ გამოგდიოდეს.*

ეს ახალი ფორმები, რომლებიც ზოგჯერ ტრადიციულ სივრცეებს ანაცვლებს, ჭიღოლაშვილის თქმით, იქამდე არსებულ არქიტექტურულ ფორმებთან კავშირსა და განგრძობადობას არ ასახავს და ამ პროექტებთან მოქალაქეების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია - ზოგი მათგანი უფრო მეტად იმსახურებს მოწონებას, ვიდრე სხვები (2015, 154-155). თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ მათ ქალაქის ახალი ლანდშაფტი მოხაზეს, რომელმაც ნათლად აირეკლა 2003 წლის შემდგომი სახელმწიფო

[21] ამავე პერიოდში სხვა სამხრეთკავკასიური დედაქალაქის - ბაქოს სივრცეში გაჩენილი ფოლადისა და შუშის ნიშანსვეტების შესახებ იხ.: Bruce Grant, "The Edifice Complex: Architecture and the Political Life of Surplus in the New Baku." *Public Culture* 26, no. 3 (2014): 501-528.

პოლიტიკა და რომელიც მოქალაქეებთან ინტერაქციაში უკვე ახალ რეალობას ქმნის (Salukvadze and Golubchikov 2016, 49).

პოსტრევოლუციური არქიტექტურის გამორჩეული საერთო მახასიათებელი მათი „გამჭვირვალობაა“. ამის საგულისხმო მაგალითი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ აშენებული პოლიციის შენობებია, რომელთა ფასადები საგანგებოდ გამჭვირვალე, მთლიანად შუშისგან დამზადებული იყო, რაც სიმბოლურად პოსტრევოლუციური მთავრობის კურსისა და კონკრეტულად, უსაფრთხოების პოლიტიკის გამჭვირვალობას აღნიშნავდა (Chigholashvili 2015, 168-170). გამჭვირვალე, „შუშისა და ფოლადის“ არქიტექტურული მონუმენტების, როგორც „ახალი ნიშანსვეტების“ გაჩენას მენინგი (2009a) ყოფილი „რესპუბლიკის მოედნის“ (2005 წლიდან - „ვარდების რევოლუციის მოედნის“) მაგალითზე აკვირდება. ეს სივრცე მისთვის საბჭოთა საჯარო სივრცის პოსტრევოლუციურ, განკერძოებულ სივრცედ ტრანსფორმაციის ნიმუშია, სადაც საბჭოთა და ადრეული პოსტსაბჭოთა ნიშნების - სასტუმრო „ივერიისა“ და თბილისელებს შორის „ანდროპოვის ყურების“ სახელით ცნობილი საბჭოთა მონუმენტის ნაცვლად, ახალი ხუთვარსკვლავიანი „შუშისა და ფოლადის“ სასტუმრო, „რადისონ ბლუ ივერია“, ავტოსადგომი და კერძო სავაჭრო სივრცეები ჩნდება, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი მოდერნიზაციის ხილული ნიშნები. თანამედროვე, „გამჭვირვალე“ არქიტექტურის ნიმუშებს პოსტრევოლუციური მოდერნიზაციის იდეოლოგიის მატერიალურ სიმბოლოებად ხედავს არქიტექტორი და ქალაქის მკვლევარი ნანო ზაზანაშვილიც, რომელსაც 2022 წელს ვესაუბრე. მისი თქმით:

> *არქიტექტურა და მისი სცენა - ქალაქი - იქცა იდეოლოგიურ ინსტრუმენტად. „ანდროპოვის ყურების“ მონგრევა - სიმბოლური აქტი იყო, ასევე - ივერიის რენოვაციაც. [იდეოლოგიური ინსტრუმენტი იყო] გამჭვირვალე პოლიციის შენობების შენება ყველა უბანში, თანამედროვე არქიტექტურით, როგორც გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების სიმბოლოსი. იუსტიციის სახლი,*[22]

[22] თბილისის იუსტიციის სახლი (არქიტექტორი - მასიმილიანო ფუქსასი) 2012 წელს გაიხსნა. შენობაში თავმოყრილია საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი, აღსრულების ეროვნული

როგორც რეფორმების საუკეთესო მაგალითი. დოქები, ხიდი[23] - ეს იყო იდეოლოგიური ინსტრუმენტი ჩემი აზრით. [ეს სიმბოლოები აჩვენებდა], რომ ქალაქი თანამედროვეა, თანამედროვე არქიტექტურა აქვს, გამჭვირვალეა. ამ ქვეყანას და ქალაქს აღარაფერი აქვს საბჭოთასთან, ძველთან დამაკავშირებელი. ამ ტრანსფორმაციის იდეის სიმბოლური ნიშნები იყო ასე ვთქვათ. მაგრამ ეს არ ყოფილა ქალაქგეგმარებითი, გააზრებული, გრძელვადიანი პროცესი - ეს იყო სპონტანური, იმპულსური, იდეოლოგიზირებული ცალკეული მოქმედებები.[24]

2011 წლის ივლისში, ბათუმში, სასტუმრო „რადისონ ბლუს“ გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას,[25] მიხეილ სააკაშვილი სასტუმროს გახსნის ფაქტს, ტურიზმის სექტორის გააქტიურებასა და საქართველოს წარმატებას ერთმანეთს უკავშირებს:

დღეს ისტორიული დღეა ამ ქალაქისთვის და ძალზე მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ყველაზე მთავარი ინდუსტრიისთვის - ტურიზმისთვის. აქ იხსნება არამარტო არქიტექტურული შედევრი, არამედ ის, რაც მართლაც გადაიქცევა საქართველოს წარმატების, საქართველოს განვითარების, საქართველოს უკეთესი მომავლის სიმბოლოდ (სააკაშვილი 2011).

ბიურო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. „ვარდების რევოლუციის“ მთავრობისათვის, ის მოქალაქეებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივების, ეფექტური საზოგადოებრივი დაწესებულების ერთ-ერთი საამაყო ნიმუში იყო.

[23] იგულისხმება ე.წ. „რიყის დოქები“ - თბილისის რიყის პარკში მდებარე მუსიკალური თეატრისა და საგამოფენო ცენტრის შენობა, რომლის მშენებლობა 2012 წელს დასრულდა (არქიტექტორი - მასიმილიანო ფუქსასი) და 2010 წელს დასრულებული „მშვიდობის ხიდი“, რომელიც რიყის პარკს ძველ ქალაქს უკავშირებს (არქიტექტორი - მიკელე დე ლუკი). ამ ნაგებობების ძირითადი საშენი მასალა შუშა და ფოლადი იყო.

[24] ნანო ზაზანაშვილი (არქიტექტორი, ქალაქის მკვლევარი), ექსპერტული ინტერვიუ ავტორთან, თბილისი, 19.03.2022.

[25] „საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში კიდევ ერთი მსოფლიო ბრენდის სასტუმრო Radisson Blu ოფიციალურად გახსნა“. *საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.* 20.07.2011. უკანასკნელად ნანახია: 07.08.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=6683&i=12

ამავე გამოსვლაში სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს არქიტექტურის კრიტიკოსებს გამოეხმაურა, რომლებიც ახალ არქიტექტურულ ფორმებს „კიჩს“ უწოდებდნენ და თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციის შედეგად, „პარიზად ქცევის“ შეუძლებლობაზე მიუთითებდნენ:

> *[კრიტიკოსი] არის კლასიკური არქეტიპი რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მონისა საქართველოში. მას ჰგონია, რომ ჩვენ ვართ ყველაზე უბედურები, ყველაზე ჩამორჩენილები, ყველაზე მახინჯები, ყველაზე გამოუსწორებლები და ჩვენგან არაფერი არ გამოვა. აი, ეს ჩაგვიდეს ტვინში და სწორედ ამას ანგრევს „რედისონი", ამას ანგრევს „შერატონი". მთელ ამ ფსიქოლოგიას ანგრევს ის აღმშენებლობა, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს (იქვე).*

კრიტიკის საპასუხო რიტორიკაში ერთმანეთს საინტერესოდ ებმის: 1) რუსეთის, როგორც ნაციონალური მასშტაბის საფრთხის ხატი (რომელიც „საკაშვილის არქიტექტურის“ კრიტიკოსის სახით ვლინდება), 2) საქართველოს ჩამორჩენილობის და ხელმოცარულობის რწმენა, რომელიც, სააკაშვილის თქმით, რუსული გავლენით ჩამოყალიბებული მონური აზროვნების ნაყოფია და 3) თანამედროვე არქიტექტურული ფორმების მქონე ახალი, გლობალური ქსელის სასტუმროების მშენებლობა, რომელიც რუსეთის მიერ ჩანერგილ დამარცხებულისეულ აზროვნებას ანგრევს. ამ ხედვაში, საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარება და ახალი, თანამედროვე არქიტექტურის მქონე სასტუმროების მშენებლობა ერთი მხრივ, ეკონომიკური გაძლიერების საწინდარია, მეორე მხრივ კი - რუსული გავლენებისგან მომავალი საფრთხის განეიტრალების საშუალება. ამავე დროს, „რუსული გავლენები“, რომლებზეც სააკაშვილი მიუთითებს, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ოფიციალური პოლიტიკური ხედვის შესაბამისად, ქალაქის სივრცეში საბჭოთა არქიტექტურულ სიმბოლოებსა და ფორმებშია განსხეულებული, რომლებიც თანამედროვე, დასავლური ტიპის არქიტექტურით უნდა ჩანაცვლდეს. მომდევნო ქვეთავში შევეცდები, ვუპასუხო შეკითხვას - როგორ ვლინდება ეს პერსპექტივა თბილისის ცენტრის მოდერნიზაციაში და ვისთვის იქცევა ეს პროცესი საფრთხისა თუ უსაფრთხოების წყაროდ?

თბილისის სხეულის მოდერნიზაცია, „ვესტერნიზაცია“ და პრივატიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო *სარემონტო,* „ევროპული სტანდარტების მქონე სივრცედ“ გარდასაქმნელ ობიექტად, მენინგის (2009a) თანახმად, სასტუმრო „ივერია“ იქცა. თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე მდგარი ეს შენობა 1964-67 წლებში აშენდა და საბჭოთა თბილისში მოდერნისტული არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშად და ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სივრცედ ითვლებოდა. 1992 წლიდან „ივერიას“ აფხაზეთის ომის შედეგად დევნილმა მოქალაქეებმა შეაფარეს თავი. მენინგი აღნიშნავს, რომ ასეთი ბანაკები, ჩვეულებრივ, ქალაქის პერიფერიებშია განთავსებული და წერს, რომ „ივერიის“ დევნილების „ვერტიკალურ თავშესაფრად“ გარდაქმნამ ქალაქის ცენტრში პერიფერიულობა შემოიტანა (იქვე, 321). ეს პერიფერიულობა ქალაქში კიდევ ერთი თვალსაზრისით შემოდის - ქალაქის ცენტრში კომპაქტურად სახლდება მოქალაქეების ჯგუფი დასავლეთ საქართველოდან, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ქალაქის „ორგანულ ნაწილად“ არ აღიქმება. „პერიფერიულის“ „ცენტრში“ ამგვარი შემოჭრა ზოგი მოქალაქისათვის კულტურული შოკის ტოლფასია, რადგან 1990-იანებისათვის ქალაქის ცენტრში არამხოლოდ „არათბილისელების“, არამედ თბილისის პერიფერიული უბნებიდან წამოსული მოქალაქეების მუდმივი ცხოვრებაც კი ჩვეული სივრცითი წესრიგის დარღვევაა.

თუკი შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში „ივერია“ უხილავად რჩებოდა, მენინგი აღნიშნავს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომმა იდეოლოგიურმა ტრანსფორმაციამ ის ხილული გახადა და ის ერთი მხრივ, ომის ჭრილობისა და დევნილების უკვე მუდმივად ქცეული სტატუსის, მეორე მხრივ კი - პოსტსაბჭოთა სიღატაკის ყოველდღიურ, თვალსაჩინო შეხსენებად იქცა (იქვე, 327). 2004 წელს „ვარდების რევოლუციის“ მთავრობამ შენობა კერძო მესაკუთრეს („სილკ როუდს“) გადასცა, რომელმაც 2005-2009 წლებში ის „გაარემონტა“ და პოსტსაბჭოთა დეგრადაციის ნიშანხატის ნაცვლად, ის

თვალსაჩინო ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიად“, ფუფუნების გლობალურ სიმბოლოდ გარდაქმნა. მენინგის თქმით (იქვე, 325), სასტუმროს პრივატიზაციას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა. პირველი - დევნილთა დასახლების, როგორც მარცხის ხილული სიმბოლოს მხედველობის ველიდან გაქრობა იყო. მეორე კი, ახალი (ავტორის თქმით - ნეოლიბერალური) მიდგომის შესაბამისად, დევნილების საკმარისი საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა საკუთარი საცხოვრისის შესაძენად და მათი თვითკმარ ეკონომიკურ აქტორებად გარდასაქმნელად. თუმცა, მენინგი არ არის დარწმუნებული, დევნილები ამ ცვლილებამ თვითკმარ ეკონომიკურ აქტორებად, ან ბინის მფლობელებად აქცია, აღნიშნავს რა, რომ თითოეული ოთახის მფლობელისთვის განსაზღვრული საკომპენსაციო 7000 ამერიკული დოლარი თბილისის გარეუბანში მდებარე ბინის ნახევარს თუ გასწვდებოდა, „ივერიაში“ კი ოთახებს ხშირად არა ერთი, არამედ - რამდენიმე ოჯახი იყოფდა; ინვესტორსა და დევნილებს შორის შეთანხმება კი არა ნებაყოფლობითი, არამედ - სავალდებულო ხასიათისა იყო. გარდა ამისა, თუკი პოსტრევოლუციური მთავრობის „ახალი მიდგომა“ ინდივიდუალისტურ, თვითკმარ ეკონომიკურ მოდელს გულისხმობდა, „ივერიის“ ბინადრების გადარჩენის ტაქტიკები დასახლების სათემო სოლიდარობაზე, ურთიერთდახმარებაზე იყო დაფუძნებული (იქვე, 332).

„ივერიის“ პოსტრევოლუციურმა გარდაქმნამ ის, მენინგის თქმით, სიმპტომიდან ფეტიშად, რევოლუციის შემდგომი ტრანსფორმაციისა და თბილისის ლანდშაფტის მოდერნიზაციის პროექტის თვალსაჩინო ხატად აქცია (იქვე, 327). ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ტრანსფორმაცია შეეხო არამხოლოდ „ივერიას“, არამედ მისი გარემომცველი ყოფილი „რესპუბლიკის მოედნის“ „ძალიან საბჭოთა“ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც გვიანდელი საბჭოთა სახელმწიფოს „საჯაროობას“ გამოხატავდა. ამით, მენინგის თქმით, მთელი „რესპუბლიკის მოედანი“ განკერძოვდა და „ვარდების რევოლუციის“ პოლიტიკის უტოპიური არქიტექტურული წარმოსახვის ნიმუშად იქცა (იქვე, 331). თბილისის მაშინდელი მერი, ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებდა, რომ „რესპუბლიკის მოედანს“ „სილკ როუდი“ ქალაქის მერიასთან შეთანხმებით გარდაქმნიდა და თუმცა ამ ტრანსფორმაციის

ერთ-ერთი მიზანი „გასული ათწლეულის ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ტრაგედიის სიმბოლოს დასრულება“ იყო, მის მთავარ დანიშნულებას „ქალაქის ცენტრის ეკონომიკური გაფართოება“ წარმოდგენდა (ციტირებულია მენინგთან, 334).

მენინგი საუბრობს 2007 წელს თბილისის ცენტრალური ბაზრის, ე.წ. „დეზერტირების ბაზრის“ პრივატიზაციაზეც. ეს სივრცე, მისი თქმით, მოსწონთ უცხოელებს, თუმცა არ უყვართ ადგილობრივებს, რადგან ბაზარს, ღია ცისქვეშ მოვაჭრეებისა და მეწვრილმანეებთან ერთად, ქაოსის, არაჰიგიენურობის, სიღატაკის ნიშნად და „დასავლურობისა“ და „პროგრესულობის“ საპირწონედ, ორიენტალურ სიმბოლოდ აღიქვამენ, მის სასურველ „ცივილიზებულ“ შემცვლელად კი მენინგის „პროდასავლური ინტელექტუალი“ რესპონდენტი „სუპერმარკეტს“ ხედავს. „სუპერმარკეტი“ ამ ხედვაში ვესტერნიზებულ ელიტებთან და დასავლურ საქონელთან ასოცირდება, მაშინ როცა ღია ბაზარი სოციალისტური წარსულის, „აღმოსავლური უწესრიგობისა“ და „უბრალო ხალხის“ სივრცეა (მაგ., სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობისა და დევნილების, რომლებიც იქ ვაჭრობენ, ან იმ ღარიბი მოქალაქეების, რომლებიც ბაზარში „არაბრენდირებულ საქონელს“ ყიდულობენ). სუპერმარკეტის გაჩენა უბანში კი დასავლური მოდერნულობის შემოსვლის ნიშანია (იქვე, 341-343).

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საჯარო სივრცის განკერძოებისა და პრივატიზაციის გზით ახალი იდეოლოგიური წესრიგის მატერიალიზაციას უსვამს ხაზს რეხვიაშვილიც (Rekhviashvili 2015), რომელიც 2004 წლიდან თბილისის საჯარო სივრცეებში მთავრობის მიერ გარევაჭრობის აკრძალვაზე წერს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კრიზისს წვრილმანი ვაჭრობისა და გარევაჭრობის ინტენსიფიკაცია მოჰყვა. 90-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში თბილისელები არაფორმალურად ვაჭრობდნენ როგორც ქუჩის სახელდახელო ჯიხურებში, რომლებმაც პოსტსაბჭოთა ქალაქში სპონტანურად დაიკავა საჯარო სივრცეები ისე - ღია ცის ქვეშ - საბჭოთა ბაზრების, მეტროებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მიმდებარედ. რეხვიაშვილის თანახმად, რამდენადაც ეს არაფორმალური საქმიანობა ბევრი მოქალაქისათვის გადარჩენის ერთადერთ გზად იქცა,

შევარდნაძის მთავრობა გარემოვაჭრეებს შეღავათს უწევდა და მათ საქმიანობაში, ფაქტობრივად, არ ერეოდა. 2004 წლიდან, „ვარდების რევოლუციის“ მთავრობამ საქართველოში და განსაკუთრებით, მის დედაქალაქში გარევაჭრობის შეზღუდვა და არალეგალურად დადგმული ჯიხურების აღება დაიწყო. 2006 წლიდან აიკრძალა ვაჭრობა თბილისის მერიის სპეციალური ნებართვის გარეშე და ქალაქის პოლიციას ნებართვის არმქონე მოვაჭრეების ტერიტორიიდან იძულებით მოშორება დაეკისრა. 2006-2007 წლებში კი საჯარო ბაზრების პრივატიზაცია დაიწყო. გარემოვაჭრეთა ნაწილი კვლავ აგრძელებდა კერძოდ ქცეული ბაზრების ტერიტორიაზე ვაჭრობას, თუმცა მოგვიანებით, ქუჩის უკანონო ვაჭრობის ზედამხედველობის მიზნით, საგანგებო სახელმწიფო სააგენტო შეიქმნა (იქვე, 483-84).

რეხვიაშვილის ანალიზში, ქუჩის არაფორმალური ვაჭრობა და მისი თანხმლები ვიზუალური სიმბოლოები - ჯიხურები, საჯარო სივრცეებში მჯდარი მოვაჭრეები - დომინანტური იდეოლოგიის მზერიდან სიღარიბისა და ქაოსის სიმბოლოდ, ორიენტალურ კლიშედ ჩანს, რომლის ადგილი მოდერნიზებულ, ვესტერნიზებულ ქალაქში აღარ არის. ფორმალიზაცია, როგორც „ვარდების რევოლუციის“ თანმხლები მოდერნიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, ვაჭრობის ფორმალიზაციასა და რეგულაციაშიც ვლინდება და ისევე, როგორც „ივერიის“ შემთხვევაში, ქუჩის მოვაჭრეებისგან გათავისუფლებული საჯარო სივრცეების პრივატიზაცია და კომოდიფიკაცია ხდება. ამ საკითხს ჩემი რესპონდენტი, პროფესიით არქიტექტორი, 1956 წელს დაბადებული ირაკლი, რომელიც ამჟამად ვაკეში ცხოვრობს, ასე ეხმიანება:

> *ადამიანობის გამოხატულებაც არის არქიტექტურა - როგორ ეპყრობი შენს ქალაქს. ამას რეგულაცია და გაჭირვებული ხალხის ტროტუარიდან აყრა ვერ უშველის, რა. აქ უნდა სისტემური ცვლილებები მოხდეს. უბედურება რა არის იცი? იგივე, რომ აიღეს ეს [გარემოვაჭრეთა] დახლები, [ამ დახლებს] ვინც იღებს, ისიც ზუსტად ისეთივე დამრღვევია. ჯერ შექმენი რაღაცა, რომ ეს ადამიანი რეალურად გადავიდეს.*

პერი შერაუზი, რომელიც 21-ე საუკუნის თბილისში ქუჩისა და ტროტუარის სისტემას აანალიზებს, აღნიშნავს, რომ ამ სისტემაში სივრცის განაწილება მზარდ „ინვესტორულ ურბანიზმს“ აირეკლავს (Sherouse 2018, 453-454). მისი დაკვირვებით, თბილისის „უფრო ევროპულ, პარიზის მსგავს სივრცედ“ გარდასაქმნელად, „ვარდების რევოლუციის“ პოლიტიკამ ტროტუარებიდან მოაშორა „არასასურველი დამაბინძურებლები“ - გარემოვაჭრეები, მათი ადგილი კი კერძო ობიექტებმა - კაფეებმა და რესტორნებმა, ზოგ შემთხვევაში კი - კერძო ავტომობილების სადგომმა დაიკავა. შერაუზის აზრით, ტროტუარზე კაფეების გაჩენა თბილისს „უფრო ევროპულ“ სივრცედ როდი აქცევს. ქვეითებისათვის განსაზღვრული, საზოგადოებრივი სამოძრაო სივრცის - ტროტუარის - განკერძოება, მის თანახმად, საპირისპირო ეფექტს იწვევს. ამასთან, ავტორის დაკვირვებით, ახალი კერძო ობიექტები ქალაქის სივრცეში ყველგან თანასწორად როდი ნაწილდება. შერაუზის დაკვირვებით, კაფეები, რესტორნები და ავტოსადგომები ცენტრალური, ტურიზმისათვის ხელსაყრელი, „მომგებიანი“ ქუჩებისა და გამზირების ტროტუარებზე განლაგდება - მაგალითად, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებსა და 2010 წელს განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე (იქვე). ტურიზმისა და ქალაქის ტრანსფორმაციის მიმართების საკითხს ქვევით უფრო დაწვრილებით დავუბრუნდები.

ამრიგად, „ვარდების რევოლუციის“ მთავრობისათვის თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციას ერთი მხრივ, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა - ქალაქის სხეული „მოდერნიზაციასთან“ დაკავშირებულ იმ მთავარ იდეოლოგიურ შეტყობინებებსა და ხედვას აირეკლავდა, რომლებიც „ჩამორჩენილი წარსულიდან“ „ახალ რეალობაში“ გადასვლას მოასწავებდა. ამ ხედვაში, თბილისი „სარემონტო ბინიდან“ „რემონტის პროცესში მყოფ ბინად“ იქცა, „შავ-თეთრი ქალაქიდან“ - „ფერად ქალაქად“, „ჩაბნელებული ქალაქიდან“ – „განათებულ ქალაქად“, „გაუმჭვირვალე ქალაქიდან“ კი – „გამჭვირვალე ქალაქად“. ქაოტური, პოსტსაბჭოთა სიღარიბისა და მარცხის ნიშნით აღბეჭდილი, „ორიენტალური“ სივრცეები მოწესრიგებულ, „უფრო დასავლურ“ სივრცეებად უნდა გარდაქმნილიყო. ქალაქის სხეულის ეს ცვლილება როგორც ოფიციალურ დისკურსში, ისე - მოქალაქეთა აღქმაში თბილისის გაუსაფრთხოებას

უკავშირდება - თუკი ადრეული პოსტსაბჭოთა თბილის სამოქალაქო ომის შემდეგ დანგრეული ქალაქის ცენტრით, ქაოტური და „შავ-თეთრი“ გარემოთი, „უშუქობითა“ და ბნელი ქუჩებით ხიფათისა და დაუცველობის ადგილია, გაფერადებული, განათებული და „უფრო გამჭვირვალე“ თბილისი მოქალაქეთა ნაწილის აღქმაში, ცვლილებებისადმი ნაწილობრივი სკეფსისის მიუხედავად, უფრო საიმედო, იმედიანი და უსაფრთხო ჩანს. ამასთან, ქალაქის ვიზუალური „მოდერნიზაცია“, რომელიც საქართველოს „ვესტერნიზაციისა“ და „ევროპეიზაციის“ ვიზუალური სიგნალია, უფრო ფართო, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას უკავშირდება, რამდენადაც დასავლური ინტეგრაცია საქართველოსათვის რუსეთის საფრთხისაგან დამცავ ფარად არის გაგებული.

მეორე მხრივ, როგორც მენინგის, რეხვიაშვილისა და შერაუზის ანალიზი აჩვენებს, ამ ცვლილებებს უფრო პრაგმატული ეკონომიკური დატვირთვაც („ქალაქის ცენტრის ეკონომიკური გაფართოება“) ახლავს - ქალაქის სხეულის „მოდერნიზაცია“ ამავე დროს, საჯარო სივრცის მზარდ პრივატიზაციასაც უკავშირდება, რაც შეძლებულ კერძო მესაკუთრეებსა და ბიზნესს საქმიანობის გაფართოებისა და მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას უქმნის. თუმცა, მოქალაქეთა სოციალურად მოწყვლადი ნაწილის - მაგალითად, დევნილებისა და გარემოვაჭრეებისათვის - საარსებო საფრთხედ იქცევა. როგორც რეხვიაშვილი აღნიშნავს, გარემოვაჭრეების შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულაციების ამუშავებას იწყებს, რომლებიც მათ არაფორმალურ საქმიანობას ზღუდავს. თუმცა, რეგულაციის გამკაცრების პრინციპი ყველა მასშტაბისა და ტიპის ბიზნესსა და საქმიანობაზე როდი ვრცელდებოდა. მომდევნო ნაწილში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ანტიბიუროკრატიზაციისა და დერეგულაციის პროცესებს განვიხილავ, რომლებმაც თბილისის სივრცის შემდგომი ტრანსფორმაცია განაპირობა.

სამშენებლო დერეგულაცია საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

2005 წლის 14 აპრილს მიხეილ სააკაშვილი საგანგებო განცხადებით გამოდის, სადაც „ბიუროკრატიის წინააღმდეგ მოსაწყობ ახალ რევოლუციაზე“ საუბრობს. ბიუროკრატიულ პროცედურებსა და მათ განმახორციელებელ სამსახურებს სააკაშვილი ამ განცხადებაში „ხალხის წვალების იარაღად“ განიხილავს. ის პარლამენტში ანტიბიუროკრატიული კანონპროექტის განხილვას აანონსებს, რომლის მიზანი ლიცენზიებისა და ნებართვების წესების გამარტივება და გაუქმებაა. სააკაშვილისათვის, „ანტიბიუროკრატიული რევოლუციის“ მიზანი აგენტობის „ბიუროკრატიისათვის“ ჩამორთმევა და მისი „ხალხისათვის“ გადაცემა, სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს, როგორც ბიზნესის მარეგულირებლის როლის მინიმიზაციაა:

> *საქართველოში რევოლუცია ხალხმა მოახდინა და ვინაიდან რევოლუციამდე საქართველოში ხალხისთვის კანონებსა და წესებს ბიუროკრატია ადგენდა, ამჟამად ბიუროკრატიისთვის და სამოხელეო აპარატისთვის ხალხი შეიმუშავებს კანონებს. აქამდე ბიუროკრატია ისეთ წესებს ადგენდა, რომელიც მას აწყობდა. ბიუროკრატს უნდა გადაეწყვიტა ნებართვის გაცემა, ხალხი კი ემუდარებოდა და ევედრებოდა. ახლა ხალხი გაუგზავნის შეტყობინებას, რომ იწყებს ახალ ბიზნესს, ხსნის ფირმას, შემოაქვს ან გააქვს პროდუქტი, ბიუროკრატი კი, თუ ჩათვლის საჭიროდ, მივა და კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს განახორციელებს, თუ არა, მაშინ ავტომატურად ჩაითვლება, რომ ადამიანს ამ თუ იმ საქმიანობისთვის ნებართვა უკვე აქვს* (სააკაშვილი 2005ბ).

გასაუქმებელ რეგულაციებს შორის, სააკაშვილი ასახელებს საწარმოების სანიტარულ კონტროლს, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის კონტროლს, წინასარეისო სამედიცინო შემოწმებას, ფიტოსანიტარულ კონტროლს. მისი თქმით, ამ საკითხების რეგულაცია „სახელმწიფოს პრეროგატივა არ არის“ და „ამას თავად მომხმარებელი და მესაკუთრე გააკეთებს“. ბიუროკრატიული რეგულაციების გაუქმებას სააკაშვილი ბიზნესის კეთების გამარტივების საშუალებად ხედავს, რადგან, მისი სიტყვებით, „თუ სახელმწიფო [სტანდარტებს] ადგენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის, პრაქტიკულად, კლავს ბიზნესის იდეას“ (იქვე).

მოგვიანებით, 2009 წელს, პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა ეს ცვლილებები რეტროსპექტულად ასე გააანალიზა:

„[ვარდების რევოლუციით] დაიწყო რევოლუცია ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაში. ჩვენ ვთქვით, რომ ნაცვლად რეგულირებული ეკონომიკისა წავალთ ლიბერალური ეკონომიკის მიმართულებით. ვთქვით, რომ გამოსავალი გადასახადების გაზრდა კი არა შემცირება იყო. ვთქვით, რომ გამოსავალი საგადასახადო კოდექსის გართულებაში კი არა მის გამარტივებაში არსებობდა, რომ ეკონომიკას გადაარჩენს არა ახალი მარეგულირებლების და სახელმწიფო მაკონტროლირებლების შემქნა არამედ არსებულების გაუქმება. ჩვენ ვთქვით, რომ მთავრობა უნდა იყო მაქსიმალურად პატარა და მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მისი ჩარევა ეკონომიკაში. მაშინდელი გადმოსახედიდან ეს იყო გაკრიტიკებული, როგორც უტოპიური გადაწყვეტილება, თუმცა ერთი წლის თავზე საქართველოს ბიუჯეტი იყო გაორმაგებული, ფისკალური სტაბილიზაცია კი მიღწეული. სახელმწიფომ პირველად დაიწყო საპენსიო და სახელფასო დავალიანების გასტუმრება და რაც მთავარია, სახეზე იყო ეკონომიკის და ბიზნესის გამოცოცხლების პირველი აშკარა ნიშნები" (სააკაშვილი 2009).

მართლაც, თუ „მსოფლიო ბანკის“ „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველო 2005 წელს 112-ე ადგილს იკავებდა, 2006 წელს მან 37-ე, ხოლო 2007 წელს 21-ე ადგილი დაიკავა, რაც, „დეზიურროკრატიზაციასთან“ ერთად, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებამ, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებამ და სხვა ცვლილებებმაც განაპირობა (დემურია 2022). ქრისტიან ტიმი, ახსენებს რა საქართველოს ეკონომიკური წარმატების ამ და სხვა მაჩვენებლებს, წერს, რომ „2003 წლის შემდეგ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა საზღვარგარეთ ლუდვიგ ფონ მიზესის და ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიების რეალობად ქცევის შესანიშნავ და თანმიმდევრულ მცდელობად მიიჩნეოდა“ (ტიმი 2017). „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეკონომიკურ რეფორმების შედეგად, მისი თქმით, სახელმწიფოსა და ფორმალური ინსტიტუტების მარეგულირებლის როლი ძლიერ დავიწროვდა და ამის

სანაცვლოდ, „სახელმწიფოს ჩაურევლობის“ იდეა განმტკიცდა. „ამას კი მოჰყვა გადანაწილების მექანიზმების გადატანა ფორმალურიდან არაფორმალურ სფეროში. ამიტომაც, ნეოლიბერალურმა რეფორმებმა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ნაცვლად, არაფორმალური, სახელმწიფოსგან მართული კაპიტალიზმი შექმნეს, რომელიც სტრუქტურებსა და აქტორთა ქცევას შორის წინააღმდეგობრიობით ხასიათდებოდა“ (იქვე).[26]

როგორ აირეკლება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეს ეკონომიკური პოლიტიკა თბილისის ურბანულ სხეულზე? ქალაქისა და სახელმწიფოს მიმართების პოსტმოდერნული ცვლილების აღწერისას, დეივიდ ჰარვი სახელმწიფოს, როგორც „ქალაქის მენეჯერის“ პრინციპის „ქალაქის ანტრეპრენერობის“ პრინციპით ჩანაცვლებას აღწერს და დასძენს, რომ სახელმწიფო უკვე არა „ბაზრის მარეგულირებლის“ როლს ასრულებს, არამედ თავად იქცევა ბაზრის აგენტად (Harvey 1989)[27]. ანანია როი კი, რომელიც ქალაქის, სახელმწიფოსა და არაფორმალობის მიმართებას ტრადიციული დასავლური ურბანული თეორიების მიღმა, გლობალური სამხრეთის ქალაქების მაგალითზე აკვირდება, წერს, რომ ასეთი ქალაქების მზარდი პერიურბანიზაცია, ხშირად, არაფორმალური ხასიათისაა და ის მასტერპლანებისა და სახელმწიფო ნორმების გვერდის ავლით მიმდინარეობს, თუმცა, ეს პროცესი ზოგჯერ „სახელმწიფოს მიერ არაფორმალურად არის სანქცირებული“ (Roy 2013,38). თავის მომდევნო ნაწილში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ურბანული პოლიტიკის ამ ორი ძირითადი მახასიათებლის გაანალიზებას შევეცდები და ვაჩვენებ, რომ თბილისის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის კონტექსტში, სახელმწიფოს „ფორმალური

[26] ქრისტიან ტიმი, „საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე“. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი თბილისი, სამხრეთ კავკასია. 5.05.2017. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sakartvelo-saxelmcipo-bazarshi-neoliberalizmidan-martul-kapitalizmamde უკანასკნელად ნანახია: 9.03.2022.

[27] Harvey, David. "From Managerialism to Entrepreneurialism: The Transformation in Urban Governance in Late Capitalism." *Geografiska Annaler: Series B, Human Geography 71 (1)* (1989): 3-17.

ჩაურევლობის“ და მისი „არაფორმალური ჩარევის“ პრინციპები, ზოგჯერ ერთდროულად მოქმედებდა, რაც ქალაქის სხეულზე ძალზე ნიშანდობლივად აისახა.

სამშენებლო საქმიანობა თბილისში საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

თბილისის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის თანამდევი საკვანძო ცნება პრივატიზაცია, საჯაროს განკერძოებაა. თუკი საბჭოთა პერიოდში საქალაქო მიწების მფლობელი სახელმწიფო იყო, 1992 წლის დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“, 1993 წლის კანონმა „საკუთრების უფლების შესახებ“ და 1996 წლის კანონმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიწის კერძო მესაკუთრეობა დააკანონა, 1998 წლიდან კი შემოღებულ იქნა საჯარო რეესტრში მიწების სავალდებულო წესით რეგისტრაცია (Shavishvili 2009). 1990-იანი წლების დასაწყისში მიწა, რომელიც ადრე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში იყო, პრივატიზაციის შედეგად, ახალ მესაკუთრეებს შორის დანაწილდა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ინტერესები ჰქონდა (Ziegler 2009). საბჭოთა პერიოდში თბილისის განვითარებას გენერალური გეგმები განსაზღვრავდა, რომელთაგან უკანასკნელი 1970 წელს დამტკიცდა და ის შემდეგი 25 წელიწადის განმავლობაში იგულისხმებოდა ქმედითად. 1990-იანების დასაწყისში, ქვეყანაში არსებული ქაოტური პოლიტიკური ვითარების ფონზე, 1970 წლის გენგეგმა არც ხელახლა განუხილავთ და არც შეუცვლიათ და მასში გაწერილი ნორმები სისტემურად ირღვეოდა (Shavishvili 2009). თბილისის ცენტრში „იზრდებოდა განაშენების სიმჭიდროვე და სართულიანობა, ირღვეოდა ცენტრის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ქუჩების ქსელი“ (იქვე). 2001 წლამდე არ არსებობდა მიწათსარგებლობისა და მშენებლობისათვის განსაზღვრული კანონები და ინსტრუმენტები, რომლებიც კერძო მესაკუთრეების მზარდი ინტერესის ფონზე, სექტორის დარეგულირებას შეძლებდა (Ziegler 2009). ეს პირობები ხელს აძლევდა მგეგმარებლებს, ინვესტორებსა და ნებართვის გამცემ ჩინოსნებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ვითარებაში

იოლად იღებდნენ პირად სარგებელს (იქვე). შედეგად, თბილისის ცენტრალურ უბნებში გაჩნდა ახალი „ჩანართები“ და ქაოტურად გადაკეთებული, ან სახეცვლილი საცხოვრებელი ფართები და განაშენიანების სიმჭიდროვემ ზღვარს მიაღწია. (იქვე, 178).

2001 წელს თბილისის საკრებულომ შეიმუშავა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“, რომელსაც კერძო მშენებლობა უნდა დაერეგულირებინა. ის ურბანული დაგეგმარების ასპექტებს არეგულირებდა და განსაზღვრავდა მიწის გამოყენების მსხვილ ზონებს და ადგენდა ჰორიზონტალური სიმჭიდროვის (განაშენიანებული და „ღია“ სივრცეების შეფარდება) და ვერტიკალური სიმჭიდროვის (შენობების სიმაღლის) პარამეტრებს. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლებში მიმდინარე კერძო მშენებლობისას, ეს რეგულაციები უგულებელყოფილი რჩებოდა, რასაც, ხშირად, საზოგადოებრივი ღია სივრცეები ეწირებოდა. (Ziegler 2009). არსებული რეგულაციები, ხშირად, ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას უქმნიდა მენაშენეებსა და ინვესტორებს, რაზეც ადგილობრივი მთავრობა, ჩვეულებრივ, თვალს ხუჭავდა (იქვე, 179).

სამშენებლო საქმიანობა თბილისში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

გარდა ახალი ურბანული ნიშანსვეტების წარმოებისა და თბილისის ურბანული სხეულის მოდერნიზაციის პროექტისა, რომლებიც უშუალოდ ხელისუფლების მონაწილეობითა თუ მხარდაჭერით ხორციელდებოდა, ქალაქის სხეულზე არსებითი გავლენა მოახდინა „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის მიერ სამშენებლო ბიზნესის დერეგულაციამ. ერთი მხრივ, სააკაშვილის მთავრობამ გაამარტივა მიწის შეძენა და სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცედურა და ამ სფეროში გაბატონებული კორუფცია შეამცირა, თუმცა მეორე მხრივ ამავე პოლიტიკამ ვერ შეძლო ჯეროვანი ყურადღების დათმობა საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის (Salukvadze and Golubchikov 2015,48).

ციგლერი (Ziegler 2009) აღნიშნავს, რომ 2008 წლამდე, ვიდრე მსოფლიო ფინანსური კრიზისი და რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ადგილობრივი კრიზისი შეიქმნებოდა, მიწისა და უძრავი ქონების ბაზრის მასშტაბების ზრდის ტემპი წინ უსწრებდა გეგმარებისა და მშენებლობის მარეგულირებელი სისტემის (მაგ. მიწათსარგებლობის წესებისა და ზონირების გეგმების) შემუშავებას, რაც მოწესრიგებული, თანმიმდევრული ურბანული მშენებლობის შესაძლებლობას აფერხებდა. თუმცა, იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ 2003 წლის შემდეგ იკვეთებოდა მშენებლობის „დასავლური მეთოდით დარეგულირების მცდელობა“, რომელიც თავისუფალი ბაზრის ქმედითობის რწმენას ეფუძნებოდა (იქვე, 179). 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და თბილისის ცენტრის ზონირების გეგმა მოჰყვა. ეს დოკუმენტი დიდხანს მოქმედებდა, როგორც მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთადერთი საფუძველი (Ziegler 2009) და გენერალური გეგმის მსგავს ამ დოკუმენტს „მთის ფერდობებისა და ცენტრალური უბნების უთავბოლო განაშენიანების“, ასევე - „პარკებისა და ტბის სანაპიროების“ უკონტროლო განაშენიანების რეგულირება ეკისრებოდა. 2008 წელს შეიქმნა „ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმა“, რომლის სტატუსიც, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფონზე, განუსაზღვრელი დარჩა. ეს დოკუმენტი ახალი გენერალური გეგმის საფუძველი უნდა გამხდარიყო და უნდა დაედგინა მიწის გამოყენების ზონირება არამხოლოდ თბილისის ცენტრის, არამედ - მთელი ქალაქისთვის. 2009 წელს თბილისის ახალი გენერალური გეგმა შეიქმნა (იქვე). ქალაქის მკვლევრის, ნანო ზაზანაშვილის (2022) თქმით, 2009 წლის გენგეგმამ სამშენებლო ნებართვის აღება გაამარტივა. მისი განმარტებით, გენგეგმის ქართული მოდელი, რეალურად, უფრო მეტად ამერიკული “zoning map”-ის პრინციპით მუშაობდა და ევროპული მოდელისგან განსხვავებით, განვითარების სტრატეგიულ გეგმას არ მოიცავდა:

> *გერმანული გამოცდილება ისეთია, რომ უფრო დისკრეციული ხასიათი აქვს - გეუბნება - განაშენიანება 3-სართულიანია? ერთ პარცელთან მიმართებაში თუ ამუშავებ, თუ დეტალური გეგმა არ არის გათვალისიწნებული, უნდა ჩაჯდე ამაში* (ზაზანაშვილი 2022).

2009 წლის გენგეგმის მიხედვით კი, ზაზანაშვილის თანახმად, ქალაქი ზონებად დაიყო და თითოეულს თავისი განაშენიანების პარამეტრი მიენიჭა. მისი თქმით, გარკვეული ჩანაწერების არსებობის მიუხედავად, ამ პრინციპზე დაფუძნებული გენგეგმა განაშენიანების რეგულირებისას საერთო კონტექსტს ბოლომდე ვერ ითვალისწინებდა:

> *ჩვენ შემთხვევაში, სავარაუდოდ - ეს ჩემი სპეკულაციაა - კორუფციის აღმოფხვრის მიზნით თუ [კორუფციის] რისკების გათვალისწინებით, დისკრეციულ უფლებამოსილებას [გეგმის ავტორებმა] არჩიეს, რომ [განაშენიანების პარამეტრები] ასე, ზონაში ყოფილიყო თარგმნილი. [ამ პრინციპით], გვერდზე თუ 3-სართულიანი [შენობა] დგას და ზონა 6-სართულიანის აშენების საშუალებას გაძლევს, ეს პრობლემას არ ქმნიდა. კი, იყო ჩანაწერები, მაგრამ პრაქტიკაში მერე ეს სხვანაირად მუშაობდა*
> (ზაზანაშვილი 2022).

უძრავი ქონების ბიზნესი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მზარდ სექტორად იქცა (Salukvadze 2009). 2006 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვამ 1.161 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 16%-ს შეადგენდა (Shavishvili 2009,213). ამავე წლის მაისში თბილისში კერძო მენაშენეების მიერ 2.25 მილიონი კვ.მ. -ის ტოლი ფართობი აშენდა, სადაც უდიდესი წილი (89%) საცხოვრებელ ფართს წარმოადგენდა. 2007 წელს საერთო სამშენებლო ფართი 3 მილიონ კვ.მ-ს გაუტოლდა, საქართველოს მთლიანი რეალური შიდა პროდუქტში მშენებლობის წილი კი 19.8% გახდა, თუმცა, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა სამშენებლო სექტორი საგრძნობლად შეაფერხა (იქვე).

2009 წლამდე მშენებლობის ნებართვას, 2001 წლის დოკუმენტის საფუძველზე, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური გასცემდა. დოკუმენტი განსაზღვრავდა K1 და K2 კოეფიციენტებს - პირველი გულისხმობდა განაშენიანების კოეფიციენტს (მოშენების ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან), მეორე კი - განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს (ნაგებობის მიწისზედა საერთო

სამშენებლო ფართის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან). ამ მაჩვენებლების ყველაზე მაღალი დასაშვები ნიშნული ე.წ. „საზოგადოებრივ-საქმიანი ზონების“ შემთხვევაში იყო მითითებული დასაშვებად. შავიშვილი (Shavishvili 2009) აღნიშნავს, რომ ეს მოცემული რეგულაციის მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენდა, რადგან თბილისის „საზოგადოებრივ-საქმიან ზონებად“ ქალაქის მთავარი ქუჩები, გამზირები, მოედნები და სანაპიროები განისაზღვრებოდა. შესაბამისად, მათი ასეთ ზონად კლასიფიცირება დეველოპერებს საფუძველს უქმნიდა, ქალაქის ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიულ სივრცეებში მოცულობისა და სართულიანობის მაქსიმალური გაზრდის შესაძლებლობით ესარგებლათ და ახალი „ჩანართები“ აეგოთ. ეს კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ქალაქის ახალ განაშენიანებას შორის კონფლიქტს ქმნიდა. ინვესტორების წახალისებაზე ორიენტირებულმა, რეგულაციების თვალსაზრისით ხშირად არასაკმარისად ეფექტურმა ან ორაზროვანმა სახელმწიფო პოლიტიკამ სუსტი, ან არარსებული სამოქალაქო საზოგადოების წნეხის პირობებში ცალკეულ შემთხვევებში ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა და ეკოლოგიური გარემო დააზარალა (Zhvania 2015). შავიშვილის თანახმად, „მენაშენეთა აგრესიული, არაკოორდინირებული, მოგებაზე ორიენტირებული და შეუჩერებელი თავდასხმების სამიზნედ“, ქალაქის ისტორიულ ნაწილთან ერთად, ქალაქის სხვა სივრცეები - საბურთალო, ვაკე, დიდუბე და დიღომიც - იქცა, სადაც ქაოტურმა განაშენიანებამ სიმჭიდროვის ზრდა, მოსახლეობასა და ინფრასტრუქტურაზე ზეწოლის ინტენსიფიკაცია გამოიწვია (Shavishvili 2009, 215). „უმასშტაბო ახალმა მშენებლობებმა უბნების ჩვეული კონტურები შეცვალა, ადგილობრივ მოსახლეებს გაუჩნდათ ინსოლაციის, ბუნებრივი განათების, ვენტილაციისა და აერაციის პრობლემები“ (იქვე).

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში სამშენებლო დერეგულირების აღწერისას, შავიშვილი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიუთითებს. ის წერს, რომ 2007 წლიდან, ლეგალური ზონირების წესები შეიცვალა და ამიერიდან, მენაშენეს შეეძლო, საგანგებო გადასახადის სანაცვლოდ, მერიის „ზონალური კომისიისაგან“ დამატებითი ფართობის (მოცულობისა თუ სართულიანობის) უფლება მიეღო. მენაშენეები, რომელთა

მთავარ ინტერესს მოგების მაქსიმიზაცია შეადგენდა, ამ შესაძლებლობით ძალზე აქტიურად სარგებლობდნენ, რეგულირებასა და ქალაქის ბიუჯეტის შევსების შესაძლებლობას შორის კი საბჭო უკანასკნელს ირჩევდა. შედეგად, განაშენიანების სიმჭიდროვე მკვეთრად გაიზარდა, „კერძოსა“ და „საზოგადოს“ ინტერესთა დაპირისპირებაში კი კვლავ კერძომ გაიმარჯვა (Shavishvili 2009, 215). ქალაქის ცენტრის მზარდი პრივატიზაციისა და კომერციალიზაციის მაგალითად შავიშვილს ჭავჭავაძის გამზირი მოჰყავს, სადაც 2007 წელს „ზონალური ნებართვის“ შემოღების შემდეგ, K1 და K2 კოეფიციენტებმა ჭავჭავაძის გამზირზე, შესაბამისად, 0.9 და 1-ს და 5.0, 7.0 და 10.0-საც კი მიაღწია. შავიშვილი აღნიშნავს, რომ ამ შენობათაგან საზოგადოებრივი დანიშნულებისა არცერთი არ იყო, მათი პირველი სართულები უშუალოდ კომერციული სივრცეებისათვის იყო განკუთვნილი და ამ პროცესმა ჭავჭავაძის გამზირი ყველაზე კომერციალიზებულ და პრივატიზებულ სივრცედ აქცია (იქვე, 216). ჩემი რესპონდენტი, 1988 წელს დაბადებული რუსკა, რომელიც ვაკეში ცხოვრობს, ჭავჭავაძეზე ახალი, მაღალსართულიანი შენობების გაჩენას ასე ეხმიანება:

> *არ შეიძლება იყოს ჭავჭავაძის დასაწყისში ცათამბჯენი. „აქსის თაუერსი“ მომწონს იმიტომ რომ შორს დგას, არც მთლად ჭავჭავაძეა და იმის ბოლოშია. მაგრამ არ მომწონს რომ იქაც დაიწყეს ნელ-ნელა, ჭავჭავაძეზე, ყველგან აშენება, დაშენება. აბაშიძე-არაყიშვილის კუთხეში ჩემთან იყო მინიბაზარი, პატარა ეზოსავით იყო და იქ ყიდდნენ ხილს. დღეს კორპუსი დგას.*

რუსკა, ერთი მხრივ, ცათამბჯენების ესთეტიკურ ღირებულებას აყენებს ეჭვქვეშ, მეორე მხრივ კი - მათ მიერ მისთვის ჩვეული სივრცეების (მაგალითად, უბნის მცირე სავაჭრო სივრცის) დაკავებაზე წუხს. ამავე დროს, ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი ამ მოვლენის ინფრასტრუქტურულ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. მისი დაკვირვებით, ახალი მოცულობების გაჩენა ჭავჭავაძის გამზირის ძველ ინფრასტრუქტურაზე დამატებით ზეწოლას იწვევს, მისი განახლება, ან შეკეთება კი ქალაქის მუნიციპალიტეტის კისერზეა. ამრიგად, კერძო მშენებლობის გვერდითი „გართულებების“ საკომპენსაციო თანხას, ზაზანაშვილის თქმით, საზოგადოება იხდის:

მერე მუნიციპალიტეტს უზარმაზარი კაპიტალდაბანდება სჭირდება - როგორც ჭავჭავაძის გამზირის შემთხვევაში მოხდა - ამხელა მოცულობები დაემატა ხომ გარშემო, „თაუერსი“ და ა.შ. - ეს მოძველებული ინფრასტრუქტურა - მერე მუნიციპალიტეტი დებს თანხებს ამის გამოცვლაში და გაზრდაში. ეს ხომ ჩვენი გადასახდელი ხდება (ზაზანაშვილი 2022).

განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდის კვალდაკვალ, დერეგულაციის ნეგატიურ ასპექტებს შორის შავიშვილი (2009) ქალაქის ცენტრში მოსახლეობის სიმჭიდროვისა და სართულიანობის ზრდასაც უსვამს ხაზს. თუკი 1990 წლისათვის სიმჭიდროვის ნორმად ჰექტარზე 440 კაცი განისაზღვრებოდა, თბილისის დეველოპერთათვის ყველაზე მიმზიდველ უბნებში - ვერაზე, ვაკეში და საბურთალოზე - მოსახლეთა სიმჭიდროვემ შესაბამისად, ჰექტარზე 1200, 1600 და 3000 კაცი შეადგინა. რაც შეეხება სართულიანობას, დერეგულაციის ფონზე, ის საშუალოდ, 4.5 სართულით გაიზარდა (იქვე, 216).

ჟვანია (Zhvania 2015,122) აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი შენობების ზრდამ მოქალაქეთა ნაწილს შვება მოუტანა და საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყო, ამ პროცესს რამდენიმე ნეგატიური ეფექტი ახლავს:

ა) სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული, დაჩქარებული მასობრივი მშენებლობის ხარისხი ხშირად დაბალია - როგორც მასალის, ისე - ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით.
ბ) დეველოპერები ხშირად არ ითვალისწინებენ ურბანული გარემოს მასშტაბს. მრავალსართულიანი შენობები, როგორც „უცხო სხეულები“ უხეშად იჭრებიან ურბანულ ქსოვილში და ისტორიულ განაშენიანებას აზარალებენ.
გ) ჭარბი განაშენიანება და „ჩაშენება“ მოსახლეობის სიმჭიდროვეს ზრდის და შედეგად, შენობებთან არახელსაყრელ წვდომასა და პარკინგის პრობლემას იწვევს.
დ) - უძრავი ქონების ბიზნესის სწრაფი ზრდა ბინების საბაზრო ფასის მატებას იწვევს, ახალ ბინებზე ხელი როგორც წესი, მოსახლეობის მხოლოდ შეძლებულ ნაწილს მიუწვდება. შედეგად, მკვიდრ მოსახლეობას ხშირად ბინის გაყიდვა და სხვაგან გადასვლა უწევს.

ავტორი (იქვე) წერს, რომ ეს ზეგავლენა მხოლოდ ქალაქის მატერიალურ ქსოვილს როდი ცვლის. ქალაქის მატერიალური სივრცე მისი სოციალური და კულტურული განზომილებებისგან განუყოფელია და მატერიალური სივრცის ცვლილება ცხოვრების წესის, სოციალური ურთიერთობების სისტემის, ყოველდღიურობის და შესაბამისად, ადამიანთა ბედისწერის ცვლილებასაც იწვევს.

ქალაქის სივრცისათვის კერძო და საზოგადოებრივი ინტერესებს შორის ბრძოლა, რომელიც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენასა და ადრეულ 1990-იანებში დაწყებულ პრივატიზაციის პროცესს მოჰყვა, თბილისში საზოგადოებრივი ღია სივრცეების მწვავე შემცირებაზეც აისახა. ეს პროცესი 1992 წლის შემდეგ იწყება და 2000 წლისათვის, პარკების, ტროტუარების, საბავშვო სათამაშო მოედნების და საჯარო სპორტული მოედნების რაოდენობა მკვეთრად შემცირებული იყო, მათთვის განკუთვნილი სივრცეები კი - შევიწროებული (Shavishvili 2009,2017). ეს დინამიკა გამძაფრდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში, როცა ახალი რეზიდენციული და კომერციული მშენებლობები ხშირად პირდაპირ ტროტუარებზე, პარკებში და გზაჯვარედინებზე მიმდინარეობდა (ზოგჯერ, სახანძრო გასასვლელების ბლოკირების ხარჯზეც კი) (იქვე). შავიშვილის თქმით, „საქართველოს სახელმწიფომ სრულიად აიღო ხელი მოქალაქეების საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფაზე [იგულისხმება მაგ. მუნიციპალური საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები და ა.შ. - თ.ხ], მის მართვასა და მოვლა-პატრონობაზე, განსაკუთრებით, ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც მიწის ღირებულება მაღალი იყო. თუკი არსებული საზოგადოებრივი სივრცე მაღალი ღირებულებისაა, იქ განთავსებული სერვისები ან სხვაგან ინაცვლებს, ან - ქრება“. ცენტრალური სახელმწიფო, ასეთ ვითარებაში, ურბანული დეველოპმენტის რეგულირებაზე მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ აცხადებს უარს და თუკი ბაზრის სრულ დერეგულაციას გარკვეული დადებითი ეფექტები შეიძლება ახლდეს, ამასთან ერთად მან მძიმე სოციალური შედეგების წინაშე შეიძლება დაგვაყენოს, რის მაგალითადაც შავიშვილს მრავალი ამერიკული ქალაქი მოჰყავს, რომლებიც, მისი თქმით,

მილტონ ფრიდმანის ჩიკაგოს სკოლისეული სრული საბაზრო დერეგულაციის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში განხორციელების ნიმუშია. „ვარდების რევოლუციის“ მთავრობა კი, სამშენებლო სექტორის დერეგულაციის თვალსაზრისით, ავტორის აზრით, როგორც ჩანს, სწორედ ამ იდეებს ეყრდნობოდა (იქვე, 218).

ვერნაკულური საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობები თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის შემდეგ

როგორც თავის დასაწყისში მოცემულმა ანალიზმა აჩვენა, თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ორი ძირითადი ხაზი იკვეთება. პირველი გულისხმობს ქალაქის „რემონტს“ და მასში ახალი არქიტექტურული სიმბოლოებისა და ნიშანსვეტების გაჩენას, რომლებიც თბილისის გარეგნულ „მოდერნიზაციას“ ასახავს. ამ ტრანსფორმაციას ერთი მხრივ, ახალი პოსტრევოლუციური დროების მონიშვნის სიმბოლური დატვირთვა აქვს, მეორე მხრივ კი - ეკონომიკური (მაგ. „ქალაქის ცენტრის ეკონომიკური გაფართოება“). მასში სახელმწიფო იკვეთება, როგორც „ურბანული ანტრეპრენერი“ (Harvey 1989), რომელიც ხშირად უშუალოდ არის ჩართული სივრცის პროდუქციაში და ახალი არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბების ინიციატორია. ამ ჩართულობას ზოგჯერ არაფორმალური ელფერიც აქვს, სადაც სახელმწიფო თავად ჩნდება, როგორც არაფორმალური „აგენტი“ (Roy 2013). ციგლერი (Ziegler 2009,144) აღნიშნავს, რომ 1995 წელს დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავების შემდეგ დეცენტრალიზებული თვითმმართველობის სტრუქტურები შეიქმნა. „1997 წელს ძალაში შევიდა კანონი ადგილობრივი დაგეგმვის ავტონომიურობის შესახებ, რომელიც ქალაქებსა და დასახლებებს ანიჭებდა ურბანული დაგგემარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობის განხორციელების უფლებასა და ვალდებულებას“. თბილისმა 1992 წლიდან სპეციალური სტატუსი მიიღო, თუმცა ურბანულ მშენებლობაში გადამწყვეტ სიტყვას კვლავ სახელმწიფო იტოვებდა. ციგლერის თქმით, „ეს გადაწყვეტილება არასდროს გაუქმებულა“ და როცა საქმე „დიდ პროექტებს“

ეხება, გადაწყვეტილება კვლავ სახელმწიფოს ეკუთვნის. ამის მაგალითად ავტორს (იქვე) 2006 წელს სასტუმრო „აჭარის“ რენოვაცია მოჰყავს, როცა საზოგადოებრივი ღია სივრცეების გასხვისებისას დარღვეულ იქნა 1998 წლის კანონი ქალაქის შესახებ.

ტრანსფორმაციის მეორე ხაზი სივრცის პროდუქციაში სახელმწიფოს ირიბ ჩართულობას გულისხმობს - სახელმწიფო ქალაქში სამშენებლო პროცესის რეგულირების პასუხისმგებლობას იხსნის, რამდენადაც მიიჩნევს, რომ ეს საკითხი „თავად მესაკუთრისა და მომხმარებლის“ გადასაწყვეტია (სააკაშვილი 2004) და სამშენებლო საქმიანობის დერეგულაციის, ნებართვების გამარტივებისა და ნორმების ცვლილების საფუძველზე, ქალაქის განვითარების *აგენტობა* თავისუფალ ბაზარს გადაეცემა.

ამ ორ მიმართულებას, განსხვავებებთან ერთად, ერთი მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი აქვს - როგორც „მოდერნიზაცია“, ისე - დერეგულაცია თბილისის სივრცეში „საზოგადოებრივის“ ნაცვლად, „კერძოს“ მზარდ დომინირებას გულისხმობდა. თუკი ეს ვითარება ბიზნეს-ელიტების - დეველოპერებისა და მენაშენეებისათვის მათი საქმიანობისათვის უფრო თავისუფალ, მოგების მომტან და ჭარბი სახელმწიფო კონტროლის საფრთხისაგან დაცულ გარემოს ქმნიდა, სხვა მოქალაქეებისათვის უკონტროლო სამშენებლო ბუმი ახალ საფრთხეებში, ან მიმდინარე საფრთხეების ინტენსიფიკაციაში ითარგმნებოდა. ზემოაღწერილი ორი მიმართულების თანაარსებობას ციგლერი (Ziegler 2009, 187) აღწერს, როგორც პოსტრევოლუციური საქართველოს უნიკალურ მიდგომას - საბაზრო ეკონომიკისა და ცენტრალიზებული მართვის ერთგვარ შერწყმას, რომლის მაგალითებად ავტორს მოჰყავს ძველი ისტორიული ქალაქის რეაბილიტაცია, სიღნაღის განახლება, სასტუმრო „აჭარის“ რენოვაცია და ა.შ. რომლებშიც მთავრობა უშუალოდ ერეოდა და ასპონსორებდა.

მოცემულ ქვეთავში შევეცდები, ვუპასუხო შეკითხვებს: როგორ აისახება ქალაქის სხეულის ეს ორგვარი ტრანსფორმაცია მოქალაქეების მიერ „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ვერნაკულურ აღქმაზე? რა მნიშვნელობები მიეწერება ამ ცვლილებებით

გამოწვეულ საფრთხისა და უსაფრთხოების განცდებს? მოქალაქეთა რომელი კატეგორიებისათვის წარმოადგენს ცალკეული ცვლილებები „საფრთხესა“ თუ „უსაფრთხოებას“? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, საფრთხისა და უსაფრთხოების იმ ვერნაკულურ მნიშვნელობებს გავაანალიზებ, რომლებიც თბილისის სხეულის პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. მოქალაქეთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, ქალაქის პოსტრევოლუციურ ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხე-უსაფრთხოების შემდეგ კატეგორიებს გამოვყოფ: 1. ეკონომიკური. 2. ინფრასტრუქტურული. 3. კულტურული. 4. ეკოლოგიური.

ეკონომიკური საფრთხე და უსაფრთხოება

როგორც ზევით აღვნიშნე, ქალაქის რებრენდინგს, რომელიც მის „გარემონტებასა“ და მოდერნიზაციას გულისხმობდა, მოქალაქეთა ნაწილი გარემოს უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებად აღიქვამს. ჩემს რესპონდენტს, 1987 წელს დაბადებულ დათოს კარგად ახსოვს 1990-იანების დასაწყისის „ჩაბნელებული და შავ-თეთრი“, ჯიხურებით, სიღატაკითა და ძალადობით სავსე თბილისი. ბავშვობის ამ მძიმე გამოცდილების სიმბოლო, მისი თქმით, ქალაქის ცენტრში სამოქალაქო ომის შემდეგად დამწვარი და განადგურებული შენობები იყო. დათო „ვარდების რევოლუციის“ დროს 16 წლის იყო, 2005 წელს კი „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ პირველი თაობა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი - გახდა. როცა ინტერვიუს ვწერდით, დათოს უკვე ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე შეჰქონდა საბუთები, სხვადასხვა კვლევით პროექტში მონაწილეობდა და თბილისის ცენტრში ნაქირავებ ბინაში მარტო ცხოვრობდა. თუკი დათოსთვის ქალაქის გარეგნული იერსახის *მოდერნიზაცია* მეტწილად, უსაფრთხოების განცდის ზრდას ნიშნავს, მისი თანამოქალაქეებისათვის ეს ყოველთვის ასე არ არის. როგორც მენინგი (2009) და რეხვიაშვილი (2015) აჩვენებენ, ქალაქის ცენტრის რენოვაცია და „მოწესრიგება“ სოციალურად და ეკონომიკურად უფრო მოწყვლადი თბილისელების -

გარემოვაჭრეებისა და დევნილებისათვის - საფრთხედ იქცა. ქალაქის საზოგადოებრივი სივრცეების პრივატიზაცია და არაფორმალური ვაჭრობის აკრძალვა გარემოვაჭრეებისათვის შემოსავლის დაკარგვის საფრთხეს, დევნილებისათვის კი - უკვე ჩვეულად ქცეული საცხოვრებელი სივრცისა და ქალაქის ცენტრთან წვდომის შესაძლებლობის დაკარგვის საშიშროებას ნიშნავდა.

არქიტექტორი და ურბანული მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი მიიჩნევს, რომ სამშენებლო სექტორსა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული „ვარდების რევოლუციის" შემდგომი რეფორმები (მაგ. სამშენებლო ლიცენზიების გაცემის გამარტივება) პოსტრევოლუციური ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი იყო და მის მიზანს სამშენებლო სექტორის გააქტიურება და შედეგად, სწრაფი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენდა:

> *რეფორმები - სამშენებლო სექტორთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებთან მიმართებაში, იუსტიციის მიმართულებით - საჯარო რეესტრის რეფორმა, იმავე პერიოდში - სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებული რეფორმები - მშენებლობის გამარტივება, მიწის შეძენა, დაყოფა - ეს ყველაფერი ძალიან გააზრებული პოლიტიკური ნაბიჯები იყო. ამას უნდა მოეხდინა სამშენებლო სექტორის გააქტიურება და ეს ეკონომიკურ პოლიტიკასთან ბმაში განიხილებოდა - სწრაფი განვითარების იდეა იყო, რომელსაც ეკონომიკური სარგებელი უნდა მოეტანა* (ზაზანაშვილი 2022).

როცა ვეკითხები, საქართველოს მთავრობის პერსპექტივიდან, კერძოდ, როგორ შეიძლებოდა სამშენებლო სექტორის წახალისებას სახელმწიფოსათვის ეკონომიკური სარგებელი მოეტანა, ზაზანაშვილი აღნიშნავს, რომ ამ სფეროს გააქტიურება, ერთი მხრივ, დასაქმების ახალი ადგილების გაჩენას გულისხმობდა, მეორე მხრივ კი - ახალ ინვესტიციებს და სახელმწიფო ბიუჯეტის სამშენებლო გადასახადებით - მათ შორის, აქტორის მიერ დამატებითი სამშენებლო კოეფიციენტების მისაღებად გადახდილი თანხით - შევსებას:

> *ეს ხომ ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი საშუალებაა. მშენებლობაზე დასაქმებული არიან მუშები, [მათი დამსაქმებელი] გადასახადებს იხდის,*

თანხის ბრუნვა ხდება, ინვესტიციების ჩადება. ძალიან ბევრია ზუსტად მშენებლობებზე დასაქმებული ხალხი, რომელიც აქედან შემოსავალს იღებს. ეკონომიკური ჯაჭვია, რომელიც აგენერირებს ამ სარგებელს, მოგებას. კოეფიციენტების კუთხითაც გადასახადი იყო და ეს შემოდიოდა [ბიუჯეტში].

ამ თვალსაზრისით, სამშენებლო დერეგულაციისა და „მშენებლობის ბუმის“ გაჩაღების შედეგად, ეკონომიკურ სარგებელს იღებდა როგორც სამშენებლო სექტორის მოთამაშე, ისე - სახელმწიფო. თუმცა, მსხვილი დეველოპერებისა და მენაშენეებისგან განსხვავებით, სამშენებლო საქმიანობის დერეგულაცია თბილისის მოქალაქეთა ნაწილისათვის ეკონომიკურ საფრთხეს შეიძლება მოასწავებდეს. „სამშენებლო ბუმის“ გაჩაღების შემდეგ, მოქალაქეთა ერთ-ერთ ასეთ კატეგორიას თბილისის ცენტრალური უბნების მოსახლეობა წარმოადგენს, რადგან თბილისის დეველოპერებისათვის სასურველი მიწები, ძირითადად, ქალაქის ცენტრში, ტრადიციულ სამეზობლოებში მდებარეობს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ უბნებში სამშენებლო საქმიანობა, უმეტესად, „შიდა გამჭიდროების“ - „ჩანართების“ (ან „ჩაშენებების“) ფორმით მიმდინარეობდა, რაც უბნის განაშენიანების სიმჭიდროვეს მკვეთრად ზრდიდა. ამ პროცესში, თბილისის ტრადიციულ, ცენტრალურ (და შესაბამისად, მაღალი სიმბოლური კაპიტალით აღბეჭდილ) უბანში ახალი შენობები „იჭრება“, სადაც ბინების შეძენაზე ხელი, უმეტესად, შეძლებულ მოქალაქეებს მიუწვდებათ (Zhvania 2015; Gentile et al. 2015). რამდენადაც 1992 წლის პრივატიზაციის შემდეგ, თბილისის ცენტრის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი ბინის მესაკუთრედ იქცა (Salukvadze and Golubchikov 2015,46), ეს ვითარება, „ჯენტრიფიკაციის“ დასავლური გაგებისაგან განსხვავებით, მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის ბინის ქირის გაძვირებას არ გულისხმობს. თუმცა, ახალი, შეძლებული ფენის გაჩენამ, შესაძლოა, მკვიდრი მოსახლეებისათვის ცხოვრების ირიბი ხარჯები გაზარდოს - მაგალითად, გაზარდოს სურსათის ფასი ადგილობრივ მაღაზიებში. ამ ტიპის ადგილობრივ ჯენტრიფიკაციაზე საუბრისას, ვაკეში მცხოვრებ ჩემს რესპონდენტს, არქიტექტორსა და ქალაქის მკვლევარს, ნანო ზაზანაშვილს პირადი მაგალითი მოჰყავს:

[უბანში ახალი, შეძლებული ფენის გაჩენის შემდეგ] ფასები მატულობს. ჩემი მეგობარი ხუმრობდა - თუ დაინახე, რომ დილით უბანში ვიღაც "jogging"-ობს

და ძაღლებს ასეირნებს - ესე იგი, შარში ვართ, ჯენტრიფიკაცია დაიწყოო. ეს "lifestyle" შემოდის ისეთი, რომელიც მანამდე არ იყო. მე არ ვიცი, ცოტა ხანში რას გავქაჩავ - ძალიან შეიძლება გამიჭირდეს მალე ვაკეში ცხოვრების გაგრძელება. უნდა წავიდე, ბაზარში, იქიდან მოვიტანო [პროდუქტი], ან ნავთლუღში. მე კიდევ პრივილეგირებული ჯგუფი ვარ, მაგრამ შემორჩენილია საბჭოთა ხანდაზმული ინტელიგენცია, რომელმაც ასე ადვილად ადაპტაცია ვერ მოახერხა ამ სისტემაში და გაჭირვებულია (ზაზანაშვილი 2022).

ნანოს თქმით, „ჩაშენებების" გარდა, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ნიშანდობლივი საკითხია ქალაქის ცენტრში ტურიზმისა და უცხოური კაპიტალის შემოდინებაც, რომელიც, ერთი მხრივ, ეკონომიკის ზოგადი სტიმულირების თვალსაზრისით დადებით როლს ასრულებს. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი მაგალითად, ტურისტისათვის მიქირავებული ბინის მეპატრონე ამ პროცესით ეკონომიკურ სარგებელს შეიძლება იღებდეს, ადგილობრივი მოქირავნეები, რომლებიც მოქალაქეთა უფრო ხელმოკლე (და სექტორის არაფორმალურობის გავლენით, ხშირად უჩინარ) ჯგუფს ეკუთვნიან, მისით ეკონომიკურად ზარალდებიან, რადგან ეს ვითარება მათ ქალაქის ცენტრში საცხოვრისზე წვდომას უზღუდავს. ქალაქის ცენტრზე წვდომას კი მხოლოდ სიმბოლური სარგებელი როდი აქვს - მაგალითად, როგორც საჯარო, ისე - კერძო დაწესებულებებისა და სერვისების დიდი ნაწილი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ამიტომ ქალაქის ცენტრში ცხოვრება, მოქალაქეთა დიდი ნაწილისათვის, სამსახურთან, ან - საზოგადოებრივი მომსახურების წერტილებთან და სხვა სიკეთეებთან ახლოს ცხოვრების შესაძლებლობასაც ნიშნავს:

ვინც მესაკუთრეა, ის კიდევ რაღაც სარგებელს ნახულობს აქედან, მაგრამ ვინც მოქირავნეა, ქალაქის ცენტრზე წვდომა ეზღუდება - თუ მანამდე არსებობდა გარკვეული მრავალფეროვნება თუნდაც ქირავნობის ფასების თვალსაზრისით, [ქალაქის ცენტრის] რეაბილიტაციის და უცხოური კაპიტალის მოწოლის შემდეგ, კაფეები და ჰოსტელები რომ იხსნება, აღარ რჩება ქალაქის ცენტრზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ჯგუფებისთვის. თუნდაც ის, რომ იცხოვროს. იქირაოს, ან სიკეთეები, რაც შეიძლება ცენტრს ჰქონდეს - სამსახურთან ახლოს ცხოვრება და ა.შ. - ეს გამოიყენოს.

ქალაქის ტრადიციულ ქსოვილში „ჩანართების“ გაჩენით გამოწვეულ ეკონომიკურ საფრთხეზე საუბრობს ჩემი რესპონდენტი, 1953 წელს დაბადებული ისტორიკოსი ლევანი, რომელმაც აღმაშენებელზე მდებარე თავის ძველ ბინაში მიმასპინძლა. ჩემი მასპინძელი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ სამშენებლო რეგულაციის ცვლილებებზე მესაუბრება და ფანჯრიდან სხვადასხვა შენობას მიჩვენებს:

> *აი, ნახეთ ის სახლი. ვიღაც ტიპი მოვიდა - არც აინტერესებს შენ აქ ცხოვრობ, არ ცხოვრობ, წინ რა პეიზაჟი გეშლება. საერთოდ არ აინტერესებს. იმიტომ რომ ვინც მაგას უფლება მისცეს, იმათ უთხრეს რომ შენ მთავრია ნორმა ააშენო, უნდა იყოს ხუთმეტრიანი შენობა, უნდა იყოს ეგეთი და მეტი არაფერი. იმ სახლს მიუშენეს წინ რაღაცა სახლები. უფუნქციოდ, ვერაფერი გააკეთეს. მეორე სართულები ჩაბნელებულია და პირველი სართულები ქირავდება. ვიღაცას წინ რომ აუშენეს სახლი, იმის გამო ბინის ფასმა დაიკლო - იყო 100 000, ახლა ღირს 40 000. არავითარი შემგუებლობა [ადგილობრივი მოსახლეების ინტერესებისადმი].*

როგორც ლევანის მონათხრობში ჩანს, დერეგულაციით გამოწვეული უკონტროლო მშენებლობა, რომლითაც დეველოპერი სარგებლობს, უბნის მკვიდრ მოსახლეობას ეკონომიკურ საფრთხეს უქმნის. ბინის მესაკუთრეობა, რომელიც თბილისელებისათვის 1992 წლის პრივატიზაციამ გახადა შესაძლებელი, პოსტსაბჭოთა თბილისის ბევრი მოქალაქისათვის შემოსავლის მიღების ერთადერთ წყაროდ იქცა. ბინის გაყიდვა, ან გაქირავება გაღატაკებული თბილისელებისათვის, ხშირად, კრიზისულ ვითარებაში გადარჩენის იშვიათი საშუალებაა. ბინის ღირებულებას კი, მდებარეობასთან და მის ობიექტურ მდგომარეობასთან ერთად, ისეთი მახასიათებლებიც შეადგენს, როგორიც, მაგალითად, ხედი, ბუნებრივი განათებისა თუ აერაციის ხარისხია. დერეგულირებული განაშენიანებისა და „ჩაშენების“ დროს, როგორც ლევანი ამბობს, შემსუბუქებული სამშენებლო ნორმები დეველოპერს თუ მენაშენეს არ ავალდებულებს უბნის მკვიდრი მოსახლეობის კერძო საკუთრების უფლების დაცვას და ახალი ნაგებობის ისე აშენებას, რომ მეზობლები არ დაზარალდნენ. სამეზობლოს წევრების აგენტობა შეზღუდულია იმ თვალსაზრისითაც, რომ დეველოპერებისაგან განსხვავებით, რიგითი მოქალაქეები მშენებლობის სამართლებრივ და ბიუროკრატიულ დეტალებსა და პროცედურებში

ნაკლებად ერკვევიან, ამიტომ საკუთარი უფლებების დაცვას ეფექტურად ვერ ახერხებენ. მათგან განსხვავებით, დეველოპერები კარგად იცნობენ არსებულ რეგულაციებს და მათში არსებულ „ხვრელებს“. ქალაქის მკვლევრის, ნანო ზაზანაშვილის თქმით:

[პოსტრევოლუციური დერეგულაციის პირობებში] კერძო სექტორისადმი მშენებელობის მიმართულებით მაქსიმალური ხელშეწყობა იყო - პროცედურების გამარტივება, გაიოლება. შესაბამისად, ამ პროცესში თანამონაწილეობის ინსტრუმენტები, სამეზობლოს ინტერესების დაცვის შესაძლებლობები პრაქტიკულად არ არსებობდა. სამართლებრივ, პროცედურულ დონეზე - შენ უნდა დაასაბუთო, რომ გადგება ეს ზიანი, იცოდე, ვის მიმართო. სამეზობლოები არ არიან [ამაში გარკვეულები]. დეველოპერები ჩართულები არიან, ზუსტად იციან, ვის, სად, როდის - ასჯერ აქვთ გატკეპნილი ეს გზა. მოსახლეობამ, არ იცის, ინფორმაცია როგორ მოიძიოს, როგორ ნახოს ნებართვა გაიცა თუ არ გაიცა, წერილში რაღაც რომ წერია, რას ნიშნავს - ეს ბიუროკრატიული ენა აბსოლუტურად სხვა რამეა. შესაბამისად, დაზარალებული გამოდის სამეზობლოს ინტერესები, რაც საჯარო ინტერესის ერთგვაირ ფორმაა (ზაზანაშვილი 2022).

ზაზანაშვილს პოსტრევოლუციური სამშენებლო რეგულაციებით მანიპულირების ორი მაგალითი მოჰყავს. პირველ მაგალითში ის გეგმით გაწერილი ზონის ცვლილების პროცედურას აღწერს, რომლის მიზანი მშენებლობის უფლების მოპოვება იყო. თუკი მიწის ნაკვეთი არასამშენებლო - მაგალითად, სარეკრეაციო, ან ლანდშაფტის დაცვის ზონად იყო განსაზღვრული, არსებული რეგულაცია მასზე საცხოვრებელი ნაგებობის განთავსებას მკაცრად კრძალავდა. თუმცა, სამაგიეროდ, ზონის ცვლილება უსასყიდლოდ იყო შესაძლებელი და ამისათვის მხოლოდ შესაბამისი საჯარო სამსახურის ფორმალური თანხმობა იყო საჭირო:

ზონის ცვლილება უფასო იყო. იმსჯელებდა სამსახური, 'შევცვალოთ თუ არა'. კი-არა - ასეთ დონეზე იყო (ზაზანაშვილი 2022).

ამ გზით, მაგალითად, სარეკრეაციო ზონა დეველოპერს/მენაშენეს „საცხოვრებელ ზონა 6“-ად შეეძლო ექცია, სადაც რეგულაციით ყველაზე მაღალი ნაგებობის აშენება იყო

დასაშვები და ამასთან, დამატებით სამშენებლო კოეფიციენტიც „ეყიდა“, რაც კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ნაგებობის აშენების შესაძლებლობას აძლევდა. არასამშენებლო ზონის სამშენებლო ზონად ტრანსფორმაცია მიწის ღირებულებას ზრდიდა, რაც, ზაზანაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტისათვის კერძო სექტორისათვის „ნაჩუქარი ღირებულება“ იყო:

ის გაზრდილი მიწის ღირებულება კერძო მესაკუთრისთვის ნაჩუქარი ღირებულებაა. ზუსტად ეს არის, რომ ამ ზონის ცვლილებებით, როგორც წესი, მუნიციპალიტეტი ტრანზაქციის დროს წარმოქმნილ ამ ეკონომიკურ ღირებულებას პირდაპირ ჩუქნიდა კერძო სექტორს (ზაზანაშვილი 2022).

მკვლევარი თვლის, რომ ზონის ცვლილება არ უნდა იყოს დასაშვები. თუმცა, თუკი ამას მაინც დაუშვებს, მუნიციპალიტეტმა ამით სარგებლის მიღება მაინც უნდა სცადოს, რომ მიღებული თანხა საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის გამოიყენოს. სხვაგვარად, მისი აზრით, საზოგადოებრივი ეკონომიკური (და არამხოლოდ) ინტერესი ზარალდება:

არსებითად დაზიანდა საჯარო ინტერესი ეკონომიკური კუთხით. აღარ ვსაუბრობ იმ ზიანზე, რაც სარეკრეაციო ზონის შემცირებას შეიძლება მოყვეს საერთო ეკოლოგიური, ან კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის თვალსაზრისით - ეს ჩვენი საერთო კოლექტიური სიკეთეა, ხომ? (ზაზანაშვილი 2022)

რეგულაციაში არსებული „ხვრელით“ მანიპულირების მეორე მაგალითად მკვლევარს „ნაკვეთების გაერთიანების“ მექანიზმი მოჰყავს - თუკი მენაშენეს არსებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული რეგულაცია სამშენებლო პარამეტრებს უზღუდავდა, ის ხრიკს მიმართავდა და თუკი ამის შესაძლებლობა ჰქონდა, პირველ ნაკვეთს მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთს „უერთებდა“, შედეგად კი გაზრდილ პარამეტრებს ავტომატურად ავრცელებდა პირველ მიწის ნაკვეთზე:

[რეგულაციაში ასეთი] ხვრელივით იყო, ეს მექანიზმი არ იყო ჩაკეტილი, [მენაშენეებმა] ეს იცოდნენ და გაცილებით დიდი პარამეტრი გამოდიოდა ამ გადაერთებით, ვიდრე ცალ-ცალკე რომ გაგეცა ნებართვა (ზაზანაშვილი 2022).

2019 წელს თბილისის გენგეგმაში შეტანილი ცვლილების შედეგად, ზაზანაშვილის თქმით, რეგულაციაში არსებული ნაპრალები ამოივსო - მაგალითად, მენაშენეს მიწის ნაკვეთზე სხვა ნაკვეთის „მიერთების“ გზით პარამეტრების მექანიკური გავრცელება უკვე ეკრძალებოდა. თუმცა, ამ ცვლილებამდე ეს „შემოვლითი“ პრაქტიკები ფართოდ იყო გავრცელებული და შედეგად, წაგებული რჩებოდა „ყველა, იმის გარდა, ვინც აშენებდა, კვლავაწარმოებდა ამ ფართებს“ და კერძო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოება საჯარო ინტერესისადმი საფრთხის შექმნის ხარჯზე მყარდებოდა, რამდენადაც „აზროვნების, პრაქტიკის მოდელი მიმართული იყო იმაზე, [დეველოპერს] როგორ მოეხერხებინა აშენება და არა - კანონის დაცვაზე“ (ზაზანაშვილი 2022).

როგორც ზევით ვიხილეთ, აღმაშენებელზე მცხოვრები ჩემი რესპონდენტი, ლევანი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ როგორ ექმნება დერეგულაციის შედეგად ახალი ჩანართების უკონტროლო „ჩაშენების“ საფუძველზე ეკონომიკური საფრთხე ქალაქის ტრადიციული სამეზობლოს მკვიდრ მოსახლეობას. მოცემულ სურათში თითქოს ისე ჩანს, რომ ამ თამაშში „მოგებულია“ როგორც დეველოპერი/მენაშენე, ისე - ახალი საცხოვრებელი ფართის მუშტარიც, რომელიც მკვიდრი მოსახლეების ინტერესების დარღვევის ხარჯზე იღებს სარგებელს. თუმცა, ამავე დროს, არქიტექტორი ირაკლი ჟვანია (Zhvania 2015) აკვირდება, როგორ ზარალდება ამ პროცესით თავად ის მოქალაქეც, რომელიც საცხოვრებელ ფართს ტრადიციულ უბანში ახლადაშენებულ საცხოვრებელ „კორპუსში“ იძენს. თბილისის ცენტრში მდებარე ტრადიციული უბნის, ვერის პოსტრევოლუციურ ცვლილებაზე საუბრისას ჟვანია პარადოქსულ სურათს აღწერს, როცა უბნის ახალი განაშენიანება ქალაქის ქსოვილის სწორედ იმ დადებით მახასიათებლებს ანადგურებს, რომლებიც დეველოპერებისათვის - მომგებიან, მათი კლიენტებისათვის კი - ინტერესის აღმძვრელ, მიმზიდველ ფაქტორებს წარმოადგენდა - მაგალითად, ჰარმონიულ განაშენიანებას, სიმყუდროვეს, ხმაურის ნაკლებობას, მჭიდრო სოციალურ ურთიერთობებს, ტრადიციულ სამეზობლო ცხოვრების წესსა და საზოგადოებრივი სივრცეების სიმრავლეს. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არამხოლოდ „მკვიდრი“ მოსახლეობის, არამედ - ახალმოსახლეების აგენტობაც, რადგან კარგი

ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორების ის პაკეტი, რომელიც ბინასთან ერთად შეიძინეს, განაშენიანებისა და „ჩაშენებების“ მასშტაბის ზრდასთან ერთად, ხარისხს კარგავს. ამ პროცესით კი ახალმოსახლეთა ეკონომიკური ინტერესი ზარალდება, რამდენადაც ის, რისთვისაც ძვირ საფასურს იხადიან, თანდათანობით უფასურდება.

რამდენადაც თბილისის პოსტრევოლუციური დერეგულაციის შემდგომი სამშენებლო ბუმი ქალაქის ცენტრალური უბნების მომგებიანობის გათვალისწინებით, დიდწილად თბილისის ცენტრში იჩენდა თავს, მოცემული ქვეთავი, უმეტესად, ამ ტერიტორიის ტრანსფორმაციის ეკონომიკურ შედეგებზე ფოკუსირდებოდა. თუმცა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალი საცხოვრებელი შენობები, მართალია, უფრო მცირე მასშტაბით, თუმცა ქალაქის პერიფერიულ „საძილე უბნებშიც“ გაჩნდა. თუკი ქალაქის ცენტრალური უბნების მკვიდრი მოსახლეებისათვის სამეზობლოში ახალი ჩანართების გაჩენა ეკონომიკურ საფრთხედ აღიქმება, თბილისის პერიფერიული უბნების მოსახლეებისათვის ეს ყოველთვის ასე არ არის. 1978 წელს დაბადებული მაგდა, რომელიც გლდანში ცხოვრობს, აღნიშნავს, რომ ახალი „კორპუსები“, თანდათანობით, მის მიკრორაიონშიც გაჩნდა:

აქაც შენდება [ახალი საცხოვრებელი შენობები], ისევ ისეთი ცივი კორპუსები, როგორიც იყო.

თუმცა, ესთეტიკური არამიმზიდველობის მიუხედავად, მაგდასათვის ახალი „კორპუსების“ გაჩენა დადებითი მოვლენაა. მის მონათხრობში, ეს პროცესი საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი მუდმივი საბინაო კრიზისის საპირისპირო, მისი საკომპენსაციო მოვლენაა. ამ ცვლილებას კი ის საინტერესოდ უკავშირებს თბილისში ოჯახის სისტემასთან და ოჯახურ ეკონომიკასთან დაკავშირებული სოციალური ნორმებისა ტრანსფორმაციას - ტრადიციული „გაფართოებული ოჯახის“ მზარდ ჩანაცვლებას „ბირთვული ოჯახის“ მოდელით:

ძალიან კარგი, რომ ამდენი ბინები შენდება, ოჯახში რამდენი ადამიანიც არის, ყველა ფიქრობს თავის ბინას. ადრე ხო არ იყო ესე? ერთი ბიჭი რო ყავდა ოჯახს,

აბა ის სადმე წავიდოდა? იქვე უნდა მოეყვანა ცოლი. ეხლა შეიცვალა აზროვნება, ყველა მიდის ცალკე.

ოჯახის სისტემის ცვლილება კი მაგდასათვის ქალის გენდერულ როლთან ასოცირებული ნორმებისა და სექსუალური პერმისიულობის ნორმების ტრანსფორმაციასთან არის მჭიდროდ გადაჯაჭვული. მაგდა ფიქრობს, რომ საკუთარი ბინა, როგორც კერძო საკუთრება და დამოუკიდებელი ეკონომიკური კაპიტალი, ქალსაც ისევე უნდა ჰქონდეს, როგორც მამაკაცს. სრულწლოვანი ქალიშვილების ქორწინების გარეშე თანაცხოვრება სექსუალურ პარტნიორთან კი, მისი მშობლებისაგან განსხვავებით, მაგდასთვის მისაღებია:

ორი გოგო მყავს და ვფიქრობ, რომ ორივეს უნდა ქონდეს სახლი. შეიცვალა ის, რომ ადრე უკვირდათ და მე მივესალმები, რომ 18 წლისას ყავდეს მეგობარი. თუნდაც დასახლდეს მეგობართან ერთად. ჩემი და 30 წლის იყო ოჯახი რომ დაანგრია და ეს იყო სენსაცია. მშობლებს ლამის წნევამ დაარტყათ. ყველა ნაცნობი ეკითხებოდა, ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო.

ამრიგად, თუკი თბილისის მჭიდრო ცენტრის მოსახლეებისათვის ახალი ჩანართების მშენებლობით გამოწვეული „შიდა გამჭიდროება“ ეკონომიკურ საფრთხეებს უკავშირდება, ქალაქის უფრო ხალვათ, პერიფერიულ „საძილე“ მიკრორაიონში მცხოვრები მოქალაქისათვის ახალი საცხოვრებელი შენობების გაჩენა ეკონომიკურ უსაფრთხოებას - კერძო საკუთრების შეძენის და ამ გზით, ქონების შვილების მომავლისათვის დაბანდების შანსს შეიძლება უკავშირდებოდეს.

შეჯამებისათვის, 2004 წლის შემდეგ ოფიციალურად გამოცხადებული სამშენებლო დერეგულაციის შედეგად, ამ საქმიანობით დაკავებული კერძო სექტორის ეკონომიკური უსაფრთხოება გამყარდა, რადგან რეგულაციების შემსუბუქებისა და ზოგ შემთხვევაში, გაუქმების პირობებში, მენაშენეებსა და დეველოპერებს საქმიანობის გაფართოებისა და მოგების მაქსიმიზაციის მრავალი ახალი შესაძლებლობა გაუჩნდათ. ამასთან, პოსტრევოლუციური მთავრობის პერსპექტივიდან, სამშენებლო რეგულაციების შემსუბუქება ბიუროკრატიული კორუფციის აღმოფხვრისა და სამშენებლო სექტორის

გააქტიურებისათვის გადადგმული ნაბიჯი იყო, ხოლო სამშენებლო სექტორის სტიმულირება სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენასა და ბიუჯეტის სამშენებლო გადასახადებით შევსებას უკავშირდებოდა. თუმცა, მოქალაქეების ნაწილის - მათ შორის, თბილისში სამშენებლოდ ყველაზე მომგებიანი ცენტრალური უბნების მკვიდრი მოსახლეობისა და ახალმოსახლეების - ეკონომიკური უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან დერეგულაცია სამშენებლო სექტორის აქტორებს სამშენებლო კონტექსტის გათვალისწინებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. როგორც ჟვანია (Zhvania 2015,128-129) აღნიშნავს, იმ პირობებში, როცა სამშენებლო რეგულაციები მაქსიმალურად შემსუბუქებულია და არსებული რეგულაციებიც კი ხშირად ირღვევა, თბილისის ცენტრში მოედანზე ერთადერთ მოთამაშედ დეველოპერი რჩება, რომელიც საკუთარი ინტერესების მიღმა არ ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესს, საჭიროებებსა და უფლებებს, სამოქალაქო საზოგადოება კი მასზე გავლენას თითქმის ვერ ახდენს. თუმცა, თბილისის ცენტრისგან განსხვავებით, ქალაქის უფრო ხალვათად განაშენიანებული პერიფერიების მოსახლეებისათვის „სამშენებლო ბუმი“ შესაძლოა, საფრთხის ნაცვლად, ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობად იყოს აღქმული.

საცხოვრებელი გარემოსა და ინფრასტრუქტურის საფრთხე და უსაფრთხოება

2002 წლის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტი, ედუარდ შევარდაძე წუხილს გამოთქვამს ვაკის რაიონის ქაოტური განაშენიანების გამო და თბილისის მერ ივანე ზოდელავას ძველი გენგეგმით გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვის ზედამხედველობისკენ მოუწოდებს. მიმართვაში შევარდნაძე აღნიშნავს, რომ სამშენებლო ნორმების ამგვარი დარღვევა, როგორც წესი, კორუფციულ გარიგებებს უკავშირდება:

თუ უკანონო მშენებლობაა, პროექტიდან გადახრით კეთდება რაღაც, იქ ფული ტრიალებს. ყველაფერში ფული ტრიალებს, ისე, უფასოდ და მარტო ლამაზი თვალებისთვის არავინ აკეთებს ასეთ სერიოზულ გადახრებს. [28]

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს მთავრობისათვის, სამშენებლო ნორმებისა და რეგულაციების გამარტივების, ან გაუქმების ერთ-ერთი მთავარი დეკლარირებული მიზანი ამ სექტორში გაბატონებული კორუფციის აღმოფხვრა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროკრატიული კორუფცია ამ ნაბიჯების შემდეგ მართლაც შემცირდა, სამშენებლო დერეგულაციას, თბილისის მოქალაქეთა ნაწილისათვის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება მოჰყვა. ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მენაშენისა თუ ინვესტორისათვის სამშენებლო ნებართვის მაქსიმალურად გამარტივებაზე იყო ორიენტირებული და ხშირად მაშინაც კი არ მოითხოვდნენ სამშენებლო სტანდარტების დაცვას, როცა ისინი „ქაღალდზე“ მითითებული იყო:

მუდმივად ხდებოდა როგორი რაღაცეების გამარტივება, იცი? გრგ-ს რასაც ვეძახით - ერთი ტერიტორიის დეტალური ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის - დამუშავების დროს, მაგალითად, გეოლოგიას არ ითხოვდნენ, საინჟინრო კომუნიკაციებს არ ითხოვდნენ. ეს შეიძლება კანონმდებლობაში ეწერა, მაგრამ პრაქტიკაში არ ითხოვდნენ, რადგან ეს ინვესტორისთვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ცდილობდნენ, ამოეყარათ ის ყველაფერი, რაც ცოტა გაურთულებდა მიწის მესაკუთრეს ან ინვესტორს ამ პროცესს (ზაზანაშვილი 2022).

ზაზანაშვილი ამბობს, რომ სამშენებლო ნორმების გაუქმება, შემსუბუქება ან იგნორირება ქალაქის საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგება, გაზმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა) ხარისხის გაუარესებას, ან მასთან წვდომის სირთულეებს

[28] The Eduard Shevardadze Center. „ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე დღემდე აქტუალურია“. ატვირთულია 28.10.2011, 5:29 PM. ფეისბუკის ვიდეო, 1:30 წუთი. უკანასკნელად ნანახია: 30.06.2022. https://www.facebook.com/392260934947245/videos/1533368543682820/

იწვევს. ამის ნიმუშად მას ჟვანიას მოედანზე მდებარე საცხოვრებელი შენობა მოჰყავს, რომლის გაზმომარაგებით უზრუნველყოფა, სამშენებლო სტანდარტების გაუთვალისწინებლობის გამო, ტექნიკურად შეუძლებელი გახდა. მეორე მაგალითად ზაზანაშვილს დიდი დიღმის დასახლება მოჰყავს, სადაც გაზის გაჟონვისა და აფეთქებების განსაკუთრებულად ხშირ შემთხვევებს ინფრასტრუქტურული სტანდარტების გაუთვალისწინებლობით - გაყვანილობის მოუწესრიგებლობით, ან ახალი მშენებლობების შედეგად, მილების არასწორად დაერთებით - ხსნის.

1953 წელს დაბადებული ლევანი საკუთარი უბნის მაგალითზე მიხსნის, რომ განაშენიანების ზრდის ფონზე, ძველი ინფრასტრუქტურა უცვლელად რჩება და არავინ ითვალისწინებს, რა გავლენას მოახდენს მასზე მოსახლეობის ზრდით გამოწვეული ზეწოლა:

> *[ახალი სახლის მენაშენემ] იმ სახლის კანალიზაცია დასვა ჩვენი სახლის კანალიზაციაზე. ყველა კანალიზაცია სკდება მერე იმის გამო, რომ არ არი გათვლილი ამდენ რაღაცაზე. წყალმომარაგება არა, დენი გადაყავთ საიდანღაც - [ბოლოს, მფლობელმა სახლი] გაყიდა და წავიდა სადღაც.*

მშენებლობის დერეგულაციაზე მსჯელობისას, ჩემთან საუბრისას ნანო ზაზანაშვილს მეგობრის მაგალითი მოჰყავს, რომელიც პოსტრევოლუციურ პერიოდში აშენებულ მრავალსართულიან შენობაში ცხოვრობს და მუდმივად წუხს, რამდენად მედეგი აღმოჩნდება მისი საცხოვრებელი მიწისძვრის შემთხვევაში. ნანოს მეგობარს არ ეგულება ფორმალური ინსტანცია, რომლისგანაც ამ შეკითხვაზე საიმედო პასუხი შეიძლება შეიტყოს და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ პასუხს ისევ არაფორმალური გზებით ეძებს - არქიტექტორ მეგობარს ეკითხება.

> *პროცედურები ისე გამარტივდა, რომ ამან საფრთხის განცდაც გააჩინა. ერთ დღეში როცა შეგიძლია მშენებლობის ნებართვის აღება და კონსტრუქციულ ნაწილზე მთლიანად ექსპერტის პასუხისმგებლობაა და დამკვეთი და ნებართვის გამცემი ინსტანცია ამას დიდად თავის პასუხისმგებლობად არ*

აღიქვამს, ასეთი ტიპის რეგულაციების მოხსნამ გააჩინა ასეთი კითხვები (ზაზანაშვილი 2022).

ამბობს ზაზანაშვილი. მისი აზრით, დერეგულაცია, უპირველესად, გადაწყვეტილებების წერტილოვან, არაკონტექსტუალიზებულ ხასიათში ვლინდებოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მისი თქმით, დაგეგმარება ხდებოდა არა დიდ ტერიტორიულ კონტექსტში, არამედ „ნაკვეთ-ნაკვეთ“. ასეთ ვითარებაში ნებართვის გაცემისას კი ცდომილების რისკი დიდი იყო, რადგან:

იმ ადგილას გეოლოგიურად შეიძლება ნამდვილად არ ჩანდეს საფრთხე, მაგრამ როგორც კი ზოგად გეოლოგიურ სურათს დახედავ, აღმოჩნდება რომ ის მაღალი რისკის ზონაშია - ქანები არაა მდგრადი და ა.შ. (ზაზანაშვილი 2022).

დერეგულაციის შედეგად ზედამხედველობის გარეშე დარჩენილ შენობის მედეგობის ხარისხზე საუბრობს ლევანიც. 2007 წელს „ზონალური ნებართვის გაყიდვის წესის“ შემოღების შემდეგ, შენობებს სართულები უკონტროლოდ ემატება, რაც მიწისძვრის შემთხვევაში, დამატებით საფრთხეს ქმნის:

აი, იქითაც - 12-სართულიანი [ააშენეს]. ჯერ აპირებდნენ 5-სართულიანს, მერე ეგეთი წესი იყო - თუ გადაიხდიდი 1500 ლარს, დააშენებდი კიდევ ერთ სართულს. ეგრე 7-სართულიანს დააშენეს კიდევ 5 სართული. მერე სვეტებმა ველარ გაუძლო, გარედან სვეტებს გაუკეთეს „ბაშმაკები“ - არმატურა მიამაგრეს და ბეტონი ჩაასხეს - ის არაფერს არ გაუძლებს. რომ მოხდეს მიწისძვრა, ეს სახლი სულ დაიფშვნება. გაყიდეს რაღაცა მილიონებად ეს სახლები.

ძველ განაშენიანების ინფრასტრუქტურაზე ახალი ჩანართებით გამოწვეული ზეწოლის გარდა, ზაზანაშვილი იმ ინფრასტრუქტურულ საფრთხეებზეც საუბრობს, რომლებიც ძველ ქალაქში ტურისტული ნაკადების ზრდას და შედეგად, ძველი საცხოვრისების კომერციალიზაციას და მოგების გაზრდის მიზნით, მაქსიმალურ ექსპლუატაციას უკავშირდება:

ამ ფუნქციების შესვლით ამ სივრცეებში თითონ შენობების მდგრადობაზეც ახდენს გავლენას - ექსპლუატაცია ხდება მაქსიმალური და ეს არი მხოლოდ

მოგების და სარგებლის მიღების საშუალება. და ის, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრობს, იმათთვის ხდება საფრთხისშემცველი.

ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, განსაკუთრებით, ძველი თბილისის შემთხვევაში, მჭიდროდ ებმის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოებას. ძველი თბილისის ტრადიციული შენობების დიდი ნაწილი, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში, სავალალო მდგომარეობაში იყო და ადგილობრივ მოსახლეთა უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. სხვა საკითხებთან ერთად, პოსტრევოლუციური ქალაქის მთავრობის მიერ განხორციელებული ურბანული პროგრამები ამ პრობლემის მოგვარებასაც ისახავდა მიზნად. მომდევნო ქვეთავში უფრო დაწვრილებით განვიხილავ თბილისის ისტორიული ნაწილის პოსტრევოლუციური რეაბილიტაციის პროცესსა და თბილისის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საფრთხე-უსაფრთხოების მნიშვნელობებს.

კულტურული საფრთხე და უსაფრთხოება

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისის ტრანსფორმაციის შესახებ ჩემი რესპონდენტების მონათხრობში კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობებიც იკვეთება. პოსტრევოლუციურ თბილისში სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა ხშირად სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ირგვლივ მიმდინარეობდა. „კულტურული მემკვიდრეობის“ დაცვა, ერთი მხრივ, მატერიალური კულტურის - ქალაქის ისტორიულ ცენტრში არსებული ისტორიული განაშენიანების ქსოვილის, მეორე მხრივ კი - არამატერიალური კულტურის - სამეზობლო სისტემების, ცხოვრების წესისა და ადგილობრივი პრაქტიკების შენარჩუნებას გულისხმობდა. თბილისის მატერიალური კულტურის შენარჩუნებას უკავშირდებოდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ქალაქის მთავრობის მნიშვნელოვანი პროექტი - „ძველი ქალაქის ახალი სიცოცხლეც“, რომელსაც ვერნაკულური საფრთხისა და უსაფრთხოების კომპლექსური, წინააღმდეგობრივი მნიშვნელობები უკავშირდება. მოცემულ ქვეთავში რესპონდენტების მონათხრობსა და

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შევეცდები, ეს მნიშვნელობები უფრო დეტალურად განვიხილო.

ჩემი რესპონდენტი, 1957 წელს დაბადებული ნანა, პროფესიით არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე, ძველი თბილისის გეოგრაფიასა და მის კულტურულ ღირებულებას ასე განსაზღვრავს:

> *თავი და თავი, ძველი ქალაქი არის სამი ნაწილი - ვახუშტი [ბატონიშვილი] ამბობს, „თბილისი არს სამი ქალაქი: კალა, ისნი და სეიდაბადიო“. ანუ, საკუთრივ თბილისიო. აი, სწორედ ის სამი ნაწილი დაანგრია აღა-მაჰმად-ხანმა,[29] რომელზეც მერე ქალაქი კვლავ აშენდა და შემოინახა ძველი ქუჩათა ქსელი. აი, ეს არის დასაცავი ფასეულობა. იქ დაყრდნობილი მე-19 საუკუნის სახლი სხვანაირია. იქ სივრცე სხვანაირია. იქ სივრცე არის ისეთი, როგორიც ვერ განმეორდებოდა თბილისში მეტი ვერსად.*

ძველი თბილისის პოსტსაბჭოთა და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ განაშენიანებაზე მსჯელობისას, ნანა აღნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში, მიუხედავად „მეგალომანიური“ საზოგადოებრივი შენობების გაჩენისა, ქალაქის ძველი ქსოვილი ადამიანურ მასშტაბს ინარჩუნებდა, პოსტრევოლუციური განაშენიანების შემთხვევაში კი ასე აღარ არის:

> *რა ხდება 1920-იან-30-იან წლებში? [თბილისური] ეზო მაინც ნარჩუნდება, ოღონდ საცხოვრებელ სახლებში. მაგრამ დიდი საზოგადოებრივი შენობები სხვა პრინციპით შენდება, კონსტრუქტივისტულ არქიტექტურას მისდევს. იქ, ცხადია, უფრო მეგალომანიური სივრცეა, მაგრამ იმის წყალობით, რომ ეს ნამდვილი არქიტექტურაა, სივრცე არის ადამიანური. ეს ამ წამს აღარ ხდება. ბოდიში, მაგრამ არ შემიძლია არ დავესესხო დღევანდელ დღეს - აქ სივრცე უკვე აღარ არის ადამიანური, იმიტომ რომ ეს არ არის არქიტექტურა. მე თანამედროვე არქიტექტურის წინააღმდეგი არანაირად არ ვარ, პირიქით,*

[29] აღა-მაჰმად-ხანი (1742-1797) - ირანის შაჰი, ყაჯართა დინასტიის დამფუძნებელი, რომელმაც 1795 წელს ამიერკავკასიაზე გაილაშქრა, კრწანისის ბრძოლაში ქართული ჯარი დაამარცხა და თბილისი მიწასთან გაასწორა.

ძალიან დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ მინდა, რომ თბილისში თანამედროვე არქიტექტურა იყოს ღირსი თბილისის.

ქალაქის კულტურული ავთენტურობის თვალსაზრისით, რესპონდენტები, ახალი შენობების გაჩენასთან ერთად, ძველი შენობების ფასადების რემონტსა და გადაღებვაზეც მსჯელობენ. „ვარდების რევოლუციის“ თანამდევი ტრანსფორმაციის შემდეგ, რუსთაველის გამზირზე მცხოვრები ლუკას აღქმაში, „ავთენტურ თბილისად“ საბჭოთა პერიოდში განაშენიანებული საბურთალო რჩება, რომელიც ქალაქის ძველი ნაწილისგან განსხვავებით არ „გაურემონტებიათ“. ისტორიული ნაწილის „გარემონტებას“ ლუკა მისი „ნამდვილი“ იერსახის დაკარგვად აღიქვამს და ახლა, მისი თქმით, უფრო ავთენტურად „შეუბათქაშებელ“ საბურთალოს კვარტალებს მიიჩნევს:

ძალიან მიყვარდა ცუდად შეღებილი და სამაგიეროდ, კარგად რომ ჩანდა როგორი იყო თავის დროზე, ის სახლები. ეხლა კარგად შეღებილი და სამაგიეროდ, კარგად რომ არ ჩანს, როგორი იყო ადრე, ეგეთი არ მიყვარს. მაშინაც მიყვარდა და ეხლაც მიყვარს ნუცუბიძის პლატო და მიმდბარე ტერიტორია, ვაჟას კვარტლები, სადაც შეიძლებოდა აბსოლუტურად დაკარგვა, მართლა დავკარგულვარ. სხვანაირი დასახლება იყო, იქიდან განსხვავებული საიდანაც ვცხოვრობდი. და ეხლა ვხვდები რომ იმისგან განსხვავებულიც არის რაც შეაკეთეს, შეაბათქაშეს და დარჩა მეტად ავთენტური.

1978 წელს დაბადებული მაგდა მშობლიურ გლდანის მიკრორაიონში ახალი საცხოვრებელი შენობების გაჩენას დადებითად აფასებს, თუმცა, ქალაქის ცენტრში აგებული ახალი შენობები არ მოსწონს. მაგდას აღქმაში, ისედაც მჭიდროდ განაშენიანებულ სივრცეში, ძველი ბინადრების „ცხვირწინ აშენებული“ ახალი ჩანართები ადგილობრივ მოსახლეთა ცხოვრების ხარისხს აუარესებს და სივრცეს უზღუდავს. გარდა ამისა, ჩემი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მატერიალური კულტურის ავთენტურობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია და ქალაქი თბილისის ტრადიციული ურბანული ქსოვილის დარღვევის ხარჯზე არ უნდა ვითარდებოდეს:

ცენტრში ნამდვილად არ მომწონს ძველ უბნებში ეს ახალი შენობები, ფანჯრიდან რომ გაიხედავ, სივრცე არ ჩანს. ცხვირწინ აშენებული ... კი უნდა

განვითარდეს, მაგრამ ეს ძველი სახე რომ იყოს ძველი უბნების შემორჩენილი, ძაან მაგარი იქნებოდა.

მაგდას მოსაზრებას იზიარებს 1988 წელს დაბადებული რუსკაც, რომელიც ახალი განაშენიანების მასშტაბებსა და ესთეტიკურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. რუსკასათვის ტრადიციული თბილისი ძველი „პატარა სახლებია“, რომელთა ნაცვლად, მისი თქმით, ქალაქის ცენტრში ახალი „გიგანტური კორპუსები“ ჩნდება, რომელთა სტილი თბილისის ტრადიციული განაშენიანებისათვის შეუსაბამოა:

მე არავითარ შემთხვევაში არ ვარ წინააღმდეგი რომ თბილისი გაიზარდოს და განაშენიანდეს. მაგრამ პირველ რიგში რაც არ მომწონს - არ შეიძლება, [ძველი ქალაქი] დავანგრიოთ და ვაშენოთ რაღაცა გიგანტური სახლები და არაფერ შუაში არ იყოს ესენი ერთმანეთთან. ვანგრევთ ამ ძველ, ულამაზეს სახლებს - თუნდაც ულამაზესი არ იყოს, მაგრამ პატარა სახლებს - და ვაშენებთ გიგანტურ კორპუსებს, რომლებიც სტილისტურად საერთოდ არაფერ შუაში არ არის. თბილისი ნელ-ნელა დაემსგავსა მახინჯი, უსახური შენობების მუზეუმს. ეს მაღალი შენობები ცოტა შორს ააშენე.

ნიშანდობლივია, რომ მაგდასა და რუსკას აღქმაში ქალაქი, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, თბილისის ცენტრალურ უბნებთან იგივდება. „მაღალი შენობების“ „ცოტა შორს“, მაგალითად, ქალაქის პერიფერიებში აშენებას ისინი ნაკლებად აღიქვამენ პრობლემურად. ეს ხედვა თბილისის ცენტრისა და პერიფერიის კომპლექსურ უთანასწორობას ასახავს - ერთი მხრივ, ეს კულტურული და სიმბოლური ღირებულების მიხედვით უთანასწორობას გულისხმობს, სადაც როგორც ქალაქის ცენტრის, ისე - პერიფერიის მცხოვრების პერსპექტივაში, ცენტრი უფრო „ღირებულად“ აღიქმება, ვიდრე - პერიფერია. მეორე მხრივ, თბილისის პოსტრევოლუციური ცენტრის წმინდა ეკონომიკური ღირებულებაც უფრო მაღალია, ვიდრე - პერიფერიის, რასაც მკაფიოდ აჩვენებს სამშენებლო სექტორის აქტიური დაინტერესება ქალაქის არა პერიფერიული, არამედ - ცენტრალური სივრცეებით.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის საკითხს მჭიდროდ უკავშირდება სარეაბილიტაციო პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, რომლის პირველი ეტაპის შესახებ დადგენილება საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 6 ივლისს გამოაცხადა. როგორც წინა ქვეთავებში აღვნიშნე, პოსტრევოლუციურ თბილისში საცხოვრებელი შენობების მშენებლობა ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან საქმიანობად იქცა, რომელმაც კულმინაციას 2007-2008 წლებში მიაღწია - ამ დროისათვის, ქალაქში თითქმის 2 მილიონი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობი იყო აშენებული. თუმცა, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ამავე წლის აგვისტოს ომმა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშენებლო სექტორი მკვეთრად დააზარალა (Salukvadze and Golubchikov 2015,47). ამავე დროს, თბილისის ძველ ნაწილში მდებარე მრავალი შენობა სავალალო მდგომარეობაში იყო და ადგილობრივ მოსახლეთა ნაწილი მძიმე პირობებში ცხოვრობდა. 2009 წლის სამთავრობო დადგენილების[30] მიხედვით, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ძირითადი ეტაპის მიზნები იყო:

ა) ძველი თბილისის რეაბილიტაცია;

ბ) მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

გ) სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება;

დ) წინაპირობების შექმნა, რათა საფინანსო ორგანიზაციებს მონაწილეობა მიეღოთ ძველი თბილისის აღდგენისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესში (საქართველოს მთავრობა 2009).

პროექტის ძირითადი ეტაპის სამიზნე ძველი თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული უბნები იყო. პროგრამის მონაწილეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ,

[30] საქართველოს მთავრობა, „საქართველოს მთავრობის დადგენილება #238 ‘ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ’ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 ივლისის #121 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://www.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=154&info_id=30074

კვალიფიციური მენაშენეები და საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ქალაქ თბილისის მერიის კომისიის მიერ დადგენილ პირობებს“ და მეორე მხრივ, ქალაქ თბილისის მერია და საქართველოს მთავრობა, რომლებიც პროგრამას აფინანსებდნენ და კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ (იქვე). ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი პროგრამის პირველ ეტაპს ასე აღწერს:

> *შეთავაზება იყო 2008 წლის კრიზისის შემდეგ რომ გაჩერებული მშენებლობების სტიმულირება მოეხდინათ. იფიქრეს, რომ ეს ისტორიული შენობები ინებოდა ერთგვარი რესურსი, რ-საც გამოიყენებდნენ სტიმულირებისთვის. სახელმწიფოს ჩარევას ითვალისწინებდა, გარანტორად გამოდიოდა ქალაქი, ბანკებთან შუამდგომლობა. ბანკები აძლევდნენ დაფინანსებას, რომ დაესრულებინათ გაჩერებული მშენებლობები, ამათ გადაყავდათ ავარიულ საბინაო ფონდებში მცხოვრები მოსახლეობა თავის აშენებულ სახლებში, ნაწილს ყიდდნენ, ნაწილი გადაყავდათ და გამოთავისუფლებული ნაკვეთები თუ შენობები რჩებოდა მუნიციპალურ ბალანსზე (ზაზანაშვილი 2022).*

„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ დამატებითი ეტაპი მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილებით გამოცხადდა. დამატებითი ეტაპის მიზნები, 2011 წლის სამთავრობო დადგენილების[31] თანახმად, იყო „თბილისის სამშენებლო განვითარება, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ამ პროცესში სამშენებლო ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობის სტიმულირება“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2011). ამ ეტაპზე, სამშენებლო კომპანიების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის მერია მათ მიერ აშენებულ საცხოვრებელ ფართს იძენდა. სამშენებლო კომპანია, რომელიც მშენებლობის დასრულებას შეძლებდა, ყოველ აშენებულ

[31] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №08.38.321 ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე” დამატებითი ეტაპის გამოცხადებისა და მისი განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. 15.04.2011. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1304249?publication=0

კვადრატულ მეტრში მერიისაგან 400 აშშ დოლარს მიიღებდა (მჭედლიძე 2011). 2012 წელს, თბილისის მაშინდელი მერი, გიგი უგულავა პროექტს ასე აღწერს:

ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მშენებლობების შეჩერება. გაითიშა წრე – მობინადრე, მშენებელი და ბანკი, თუ ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტი. დავდექით უმუშევრობის პრობლემის გაღრმავების წინაშეც. ამიტომ, შევიმუშავეთ პროგრამა – მშენებლებს ვუთხარით, რომ ძველ თბილისში არის ავარიული სახლები, მოილაპარაკეთ მოსახლეობასთან, წარმოგვიდგინეთ წინადადებები კონკურსში. მერია გამარჯვებულს დაეხმარებოდა მშენებლობების დასრულებაში, სადაც ხალხი გადავიდოდა. ავარიული შენობა, თუ მიწის ნაკვეთი კი მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდოდა. შემდეგ ის აუქციონზე გაიყიდებოდა. ორ წრეზე პროგრამამ იმუშავა. მესამე ეტაპზე მოდიფიცირდა, რომ უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი იყოს – მერია მხოლოდ იმით ერთვება, რომ ვალდებულებას იღებს 400 დოლარი გადაიხადოს 1 კვადრატულ მეტრში უკვე დასრულებული შენობის, თუ მშენებელი მოინდომებს ამას. თუმცა, მას შეუძლია, უფრო ძვირად – საბაზრო ფასად გაყიდოს. ამრიგად, ბანკი ხედავს გარანტიას, მშენებელს კი ეძლევა ფინანსები დასასრულებლად. ფართის 400 დოლარად შეძენა მერიისთვისაც მომგებიანი შეიძლება იყოს. 2-3 მილიონი ჯდება, როდესაც ფორსმაჟორული გამოსახლების შემდეგ ავარიული სახლებიდან, ხალხს ბინის ქირას ვუფარავთ. ყველა მხარე მოგებულია და, რაც მთავარია, ყველანაირი გარიგება გამორიცხულია, რადგან გასარიგებელიც არაფერია (უგულავა 2012).

მთლიანობაში, „ძველი ქალაქის ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში, თბილისის მთავრობა გამოყოფდა კაპიტალს, რომლის მეშვეობით, დეველოპერებს საცხოვრებელი ბლოკების დასრულება უნდა შესძლებოდათ. პროგრამის თანახმად, თანხმობის შემთხვევში, სავალალო მდგომარეობაში მყოფ ძველ შენობებში მცხოვრები მოქალაქეები ძველ ბინებს ტოვებდნენ და მათ ახალ საცხოვრისს სთავაზობდნენ. მთავრობას დაცლილი ტერიტორია ტენდერზე გაჰქონდა, ტენდერში გამარჯვებულ დეველოპერებს კი ტერიტორია უნდა განევითარებინათ, შემდეგ - გაეყიდათ და მიღებული მოგებით ბანკიდან აღებული საწყისი სესხი დაეფარათ (Salukvadze and Golubchikov 2015,48). პროექტის სამიზნე

ცალკეული უბნები იყო და ქმნიდა სივრცეების გაუმჯობესების შესაძლებლობას როგორც ძველ ქალაქში, ისე - აღმაშენებლის გასწვრივ, მარცხენა სანაპიროზე მდებარე მე-19 საუკუნის განაშენიანების მქონე ნაწილში. ამ სქემის მეშვეობით, პროგრამის პირველი ორი ეტაპის განმავლობაში დასაქმდა ეკონომიკური საფრთხის წინაშე მდგარი 20-ზე მეტი სამშენებლო კომპანია, ხოლო საცხოვრებელი პირობებისა თუ საცხოვრისის უსაფრთხოების გაუმჯობესების შანსი 400-ზე მეტ ოჯახს მიეცა (მჭედლიძე 2011). თუმცა, ამავე დროს, სალუქვაძე და გოლუბჩიკოვი (Salukvadze and Golubchikov 2015,48) ამ პროცესს სახელმწიფო "პოლიტიკის მიერ წარმართულ ჯენტრიფიკაციად" მიიჩნევენ, რამდენადაც მის შედეგად, მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ტრადიციული სამეზობლოს სისტემებსა და უბნის არამატერიალურ კულტურულ პრაქტიკებს აწარმოებდა, სივრციდან გაედინებოდა. მათ ადგილს კი ახალი, უფრო შეძლებული მოქალაქეებისაგან შემდგარი ჯგუფები იკავებდნენ, რომლებსაც ახლადაშენებულ საცხოვრებელ ბლოკებში ბინის შესაძენი სახსრები ჰქონდათ. ეს კი ისტორიული სივრცეების სოციალურ შემადგენლობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას ცვლიდა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისადმი საფრთხეს ქმნიდა. ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი ამ საფრთხეს ძველ ქალაქში ტურიზმის ზრდას უკავშირებს, რომელიც, მისი თქმით, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" ფარგლებში თბილისის ძველი უბნების განახლებას მოჰყვა.

> *[ძველი უბნების განახლებამ] მართლაც მოიზიდა ტურისტული ნაკადები, უბრალოდ ველურ ჯენტრიფიკაციას შეუწყო ხელი. ნელ-ნელა ეს ტურიზმი მართლა რომ განვითარდა, ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა მოხდა. სამეზობლო კავშირები, რაც ჯერ კიდევ მეტნაკლებად შემორჩენილი იყო, ისინი მოირღვა (ზაზანაშვილი 2022).*

ამ ცვლილებას ზაზანაშვილი საჯარო და კერძო ინტერესების კონფლიქტის ჭრილში აანალიზებს და მაგალითად ძველ ქალაქში მდებარე, ყოფილ თბილისურ ეზოში განთავსებული და შესაბამისად სტილიზებული ერთ-ერთი რესტორანი მოჰყავს, რომელსაც ტურისტები ხშირად სტუმრობენ. მისი თქმით, ოდესღაც მხოლოდ ადგილობრივი სამეზობლოს სარგებლობისათვის განსაზღვრული ამ სივრცის

პრივატიზაციამ კონფლიქტი შექმნა - თუკი რესტორნის გაჩენამდე, მკვიდრი მოსახლეობა თავს დაცულად გრძნობდა, რადგან მის სივრცეში, ძირითადად, ნაცნობი მოქალაქეები ხვდებოდნენ, რესტორნის გაჩენამ და ვიზიტორების მუდმივმა ცვლამ მათი უსაფრთხოების განცდა დაარღვია. ტრადიციული სამეზობლოს ცხოვრების წესი, როგორც არამატერიალური კულტურისა და კულტურული პრაქტიკების ფორმა და ჯეიკობსისეული „ქუჩისკენ მიმართული თვალები“ (Jacobs 1961,35) ადგილობრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციასაც ასრულებდა, კერძო ობიექტის შემოჭრამ კი, ზაზანაშვილის დაკვირვებით, ეს სისტემა დაარღვია.

> *[რესტორნის მიმდებარე სამეზობლოში] კონფლიქტები გაჩნდა, იმიტომ რომ ვიღაცისთვის, ვინც იქ ცხოვრობს მუდმივად, შეიძლება სულ არ იყოს სასიამოვნო ვიღაცა უცხოების ... ის არ არის საჯარო სივრცე, ნახევრად საჯარო სივრცეა და ხდება ამისი კომერციალიზაცია, მითვისება, იმის გამოყენება, რაც იქამდე სამეზობლო სივრცის დანიშნულებით გამოიყენებოდა (ზაზანაშვილი 2022).*

ზაზანაშვილი იმავე ჭრილში განიხილავს თბილისის ძველ უბნებში ბინების AirBnb-ს[32] საშუალებით გაქირავებისა და ადგილობრივ მოსახლეთა ყოფილი საცხოვრისების ჰოსტელებად[33] ტრანსფორმაციას. მისი თქმით, ტრადიციულ უბანში ჰოსტელის გაჩენა მისი მუდმივად ცვალებადი სტუმრებით იმავე პრინციპით არღვევს ტრადიციული უბნის ცხოვრების წესსა და მასშტან დაკავშირებულ უსაფრთხოების სისტემას, როგორც მის მიერ ზემოთ აღწერილი რესტორანი:

> *იგივე, სოლოლაკს რომ შეხედო, კატასტროფული სიტუაციაა [...]. ხდება ჰოსტელებისთვის ამ სივრცეების გამოყენება. საცხოვრებელი დანიშნულება*

---

[32] „AirBnb“ ამერიკული კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ბინის ქირავნობის ონლაინბაზარს ქმნის. მისი დანიშნულება, უპირველესად, სამოგზაურო - არდადეგების გასატარებელი, ან ტურისტული ვიზიტებისათვის განსაზღვრული ბინების გამქირავებელთა და მოქირავნეთა დაკავშირებაა.

[33] „ჰოსტელი“ იაფფასიანი, ხანმოკლე ღამის გასათევია, სადაც სტუმრები, ჩველებრივ, საერთო საცხოვრებელში განთავსებულ საწოლს ქირაობენ.

რაც ჰქონდათ ამ უბნებს, ეს იკარგება. შემდეგ ჩნდება კონფლიქტები. ჰოსტელი ხომ ძაან სპეციფიკურია - მუდმივად იცვლება იქ მოსარგებლე [...] და როცა სამეზობლოში AirBnb-თ აქირავებს ვიღაცა, ის მიდის, მოდის, უცხოა - ის რაც იყო უსაფრთხოება, რომ ყველა ყველას იცნობს, სახეზე, ესალმება, თუ ვინმე უცხო შევიდა, ყველა გეკითხება - სად მიდიხარ? - ეს არაფორმალური უსაფრთხოების მექანიზმები მოარღვია ამან. ან განდევნა, ან ძალიან სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა (ზაზანაშვილი 2022).

ძველი თბილისის ტრადიციული სამეზობლო სისტემის სპეციფიკურ ხასიათსა და განსაკუთრებულ კულტურულ ღირებულებაზე 1987 წელს დაბადებული დათოც საუბრობს, რომელიც საბჭოთა ხანაში განაშენიანებულ საბურთალოზე გაიზარდა, თუმცა, როცა ოჯახს გამოეყო და დამოუკიდებლად ცხოვრება დაიწყო, საცხოვრებლად ძველ თბილისში გადავიდა. ძველი თბილისური ეზოები დათოს აღქმაში სამეზობლოს განსაკუთრებული შეჭიდულობით, სიახლოვითა და სილაღით არის აღბეჭდილი:

თბილისური ეზოები ძალიან შემიყვარდა მახსოვს პირველად როცა მომიწია დამოუკიდებელი გაა ზრება - ნათესავებთან რომ მივდიოდი სტუმრად, ისე არა, მე თვითონ რომ აღვიქვი და ვიცხოვრე იქ. ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. თავისი მინუსებით, თავისი პლუსებით, მაგრამ იდენტობაში რაღაც შტრიხი დატოვა ამ ნაწილმა. მომწონდა თვითონ ურთიერთობა როგორი იყო ჩამოყალიბებული მეზობლებს შორის. არ ვიცი სიმჭიდროვის ბრალია, არ ვიცი - ტრადიციების. არ ვიცი რისი, ზუსტი ახსნა არ ვიცი, მაგრამ სხვანაირი, თითქოს უფრო ლაღი დამოკიდებულება, ურთიერთობა ჰქონდათ, უფრო უშუალო. უფრო შინაურული. ოღონდ ამავე დროს, დისტანცირებულიც. მაგრამ, აი ეს სილაღე მომწონდა ალბათ, ნაკლები გარჩევადობა. ნაკლებად იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისგან ურთიერთობებში.

სამეზობლო სისტემების რღვევისა და ჯენტრიფიკაციის პარალელურად, კულტურული მემკვიდრეობის დამცველების კრიტიკას იწვევდა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო და სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხიც. რესტავრაციის ნაცვლად, შენობებს ზოგჯერ ანგრევდნენ და „თავიდან აშენებდნენ“ ტრადიციული შენობის რეპლიკებს, რაც სამეზობლოების ავთენტურობას საფრთხეს

უქმნიდა (Salukvadze and Golubchikov 2015,48). 2011 წლის ნოემბრის ინტერვიუში გამოცემა „ნეტგაზეთთან“[34] კულტურული მემკვიდრეობის დამცველთა წარმომადგენელი, ხელოვნებათმცოდნე ცირა ელისაშვილი აღნიშნავდა, რომ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციისას არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული - მაგალითად, რესტავრაციის წესების დარღვევით რეაბილიტირდა შენობათა ფასადები და გაკეთდა „არასწორი დაშენებები“ იქ, სადაც ადრე ასეთი დაშენებები არ იყო, რაც გასამაგრებელ ნაგებობებს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აგდებდა. ამავე გამოცემასთან ინტერვიუში, ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელის თქმით, რესტავრატორები შენობების ორიგინალურ დეტალებს - მაგალითად, კარებსა და აივნებს - არაავთენტური მასალით ანაცვლებდნენ. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2010 წელს აღმაშენებელზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა, თვლიდა, რომ რეაბილიტაცია ამ სივრცეს კიდევ უფრო უკეთასად წარმოაჩენდა, ვიდრე თავის დროზე მის დამგეგმარებლებს ჰქონდათ დაგეგმილი და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კრიტიკის მიუხედავად, მთავრობა სამუშაოებს აუცილებლად მიიყვანდა ბოლომდე. კულტურული მემკვიდრეობის დამცველებს ოფიციალური საჩივარი არ შეუტანიათ, რადგან თვლიდნენ, რომ საჩივრის შეტანა უკვე დაგვიანებული იყო, თუმცა, აღნიშნავდნენ, რომ ეცდებოდნენ, აღმაშენებლის გამზირის დარჩენილი ნაწილის დაგეგმილი რეაბილიტაციის პროცესისათვის გაეწიათ უფრო ფხიზელი მეთვალყურეობა (ნეტგაზეთი 2011).

კულტურული მემკვიდრეობის დამცველების - უმეტესად, ხელოვნებათმცოდნეებისა და არქიტექტორებისაგან - განსხვავებით, რეაბილიტაციის პროცესში დაშვებული შეცდომები ყველა მოქალაქისათვის არ იყო თვალსაჩინო, ან ავთენტური დეტალების რეპლიკებით ჩანაცვლებას პრობლემურად არ აღიქვამდნენ. ჩემი რესპონდენტი, 1988 წელს დაბადებული რუსკა, რომელიც თბილისის ცენტრში „გიგანტური შენობების“ გაჩენას აპროტესტებს, აღმაშენებლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს დადებითად აფასებს,

[34] „აღმაშენებლის გამზირის ახალი სიცოცხლე“, ნეტგაზეთი. 17.11.2011. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://netgazeti.ge/art/11493/

რადგან მხოლოდ „ფასადების გარემონტებას“ ქალაქის ავთენტური იერსახის უხეშ ცვლილებად არ მიიჩნევს:

აღმაშენებელი რაც გაარემონტეს, მომწონს ძალიან, იმიტორო ულამაზესი ძველი შენობებია და უბრალოდ ფასადი გაარემონტეს.

თბილისის ტრადიციული ქსოვილის ერთ-ერთი სივრცე, რომლის მოსალოდნელ ტრანსფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დამცველების განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოხმაურება და საპროტესტო აქციები მოჰყვა, ძველი თბილისის რაიონში მდებარე ლადო გუდიაშვილის ისტორიული მოედანი იყო, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღრიცხულ 10-მდე ნაგებობას მოიცავდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გუდიაშვილის მოედანი და მასზე განლაგებული ისტორიული შენობები ქალაქის ერთ-ერთ „სარემონტო“ სივრცედ განისაზღვრა. 2007-2008 წლებში მოედანზე მდებარე შენობების ნაწილი მფლობელობაში სახელმწიფოსაგან გადაეცა თბილისის მერიას დაქვემდებარებულ ააიპ „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს“ (შემდეგში, „თბილისის განვითარების ფონდს“) (Dundua, Amashukeli, and Tabatadze 2022). 2011 წელს ფონდმა მოედნის რეაბილიტაცია დააანონსა და გამოაცხადა, რომ მოედანზე არსებული უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებულ ნებისმიერ ორგანიზაციას ევალებოდა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება (იქვე). თბილისის მერიისა და „თბილისის განვითარების ფონდს“ თავდაპირველად, კულტურული მემკვიდრეობის დამცველი ორგანიზაცია, „ტფილისის ჰამქარი“ დაუპირისპირდა, რომელიც მიიჩნევდა, რომ დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტი მოედნის ავთენტურობის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნიდა. როგორც დუნდუა, ამაშუკელი და ტაბატაძე (იქვე) აღნიშნავენ, ფონდის ინტერესებში შენობების სარფიანად გაყიდვა იყო და ამისათვის მზად იყო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო, „ტფილისის ჰამქარი“ კი მოითხოვდა, რომ მოედნის ორიგინალური ისტორიული იერსახე შენარჩუნებულიყო. მოგვიანებით, „ტფილისის ჰამქრის“ პროტესტს მოქალაქეთა უფრო დიდი ჯგუფი შეუერთდა, რომელთა მონაწილეობით გუდიაშვილის მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები ეწყობოდა. გუდიაშვილის მოედნის დასაცავ საპროტესტო

კამპანიაში ჩემი რესპონდენტი, 1987 წელს დაბადებული დათოც მონაწილეობდა, რომელიც აღნიშნავს:

მე თვითონ ვიყავი ქალაქთან დაკავშირებულ აქტივიზმში ჩართული, როცა ვიგრძენი ჩემი წილი პასუხისმგებლობაც. გუდიაშვილის აქციები იყო და ბევრი ძალიან საინტერესო ადამიანიც გავიცანი. ქალაქის მაიდენტიფიცირებელი ნიშნების მოშლა და იქ კომერციის მიზნით რაღაც შოპინგ მოლის აშენება ამპუტაციას აკეთებს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის. ხელოვნური ჩარევა ხდება.

2011 წელს გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობები იყიდა ინვესტორმა კომპანიამ "Irao Magnat Gudiashvili", ხოლო მოედნის განვითარებისათვის გამოცხადებულ კონკურსში დეველოპერულმა კომპანიამ "Zechner&Zechner" გაიმარჯვა. 2011 წლიდან ინვესტორი და დეველოპერი კულტურული მემკვიდრეობის დამცველ მოქალაქეთა პროტესტის ადრესატად იქცნენ, რომლებიც შიშობდნენ, რომ დეველოპერი კომპანია მოედანზე მდებარე შენობებს დაანგრევდა, ან დააზიანებდა. საბოლოოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა 2012 წლის შემდეგ მოხდა, როცა „ვარდების რევოლუციის" მთავრობა მისმა მემკვიდრემ, „ქართული ოცნების" მთავრობამ შეცვალა. წინამორბედი მთავრობისგან თავის მკაფიოდ გამიჯვნის ფარგლებში, სხვა ნაბიჯების კვალდაკვალ, ახალმა მთავრობამ გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებული პოლიტიკაც შეცვალა. 2013 წელს მთავრობამ და ქალაქის მერიამ გაწყვიტეს კონტრაქტი IMG-სთან და შენობები ფონდის საკუთრებაში დაბრუნდა. 2014 წელს, თბილისის მერის საარჩევნო კამპანიისას, მერობის ყველა მსხვილმა კანდიდატმა მოაწერა ხელი გუდიაშვილის მოედნის დაცვის მემორანდუმს, ხოლო არჩევნებში „ქართული ოცნების" კანდიდატ დავით ნარმანიას გამარჯვების შემდეგ, მოედნის აღდგენის პროცესი დაიწყო. დუნდუას, ამაშუკელსა და ტაბატაძეს (Dundua, Amashukeli, and Tabatadze 2022) გუდიაშვილის მოედნის აღდგენითი სამუშაოების შეფასებისას პროტესტის ერთ-ერთი ორგანიზატორის ციტატა მოჰყავთ, რომელიც ამბობს, რომ გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროექტი საქართველოში მეთოდოლოგიურად სწორი აღდგენითი სამუშაოს ერთადერთი ნიმუშია. მოქალაქეთა ნაწილი ამ მოსაზრებას შესაძლოა არ იზიარებდეს, თუმცა როგორც არ უნდა

იყოს, მთლიანობაში, გუდიაშვილის მოედნის საპროტესტო მოძრაობა თბილისში ერთ-ერთ იშვიათ წარმატებულ სამოქალაქო კამპანიად ითვლება, სადაც საჯარო ინტერესებმა კერძოს წინააღმდეგ გამარჯვებას მიაღწია.

სახელმწიფო ურბანული პოლიტიკის თვალსაზრისით, როგორც გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის, ისე - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მაგალითი ციგლერის (Ziegler 2009) მიერ აღწერილი „საქართველოს უნიკალური პოსტრევოლუციური ურბანული პოლიტიკის“ ილუსტრაციაა, სადაც ქალაქგანვითარების კერძო აქტორებისათვის მინდობისა და ცენტრალიზებული მართვის პრაქტიკები ერთმანეთს ერწყმის და სახელმწიფო მონაცვლეობით ასრულებს „ურბანული ანტრეპრენერისა“ და „ურბანული მენეჯერის“ როლებს. „ტაბულასთან“ 2012 წლის ინტერვიუში ქალაქის მერი, გიგი უგულავა აღნიშნავდა, რომ „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეს“, კულტურული მემკვიდრეობის დამცველების გარდა, „მემარჯვენე მოქალაქეებიც“ აკრიტიკებდნენ, რომლებიც ამ პროგრამას თავისუფალი ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევად აფასებდნენ. უგულავა აღნიშნავდა, რომ თავადაც „მემარჯვენე პოზიციაზე“ იყო და ამ პროგრამას მხოლოდ „დროებით ჩარევად“ მიიჩნევდა, რის შემდეგაც მშენებლობის „კერძო სფეროში“ სახელმწიფო აღარ უნდა ჩარეულიყო:

> *ამ პროგრამას სხვადასხვა მიმართულებიდან აკრიტიკებენ. მათ შორის მემარჯვენეები, რომელთა აზრითაც, ეს ბაზარზე ინტერვენცია იყო. მსოფლმხედველობით მეც მემარჯვენე ვარ. თუმცა, აქ დიდ ინტერვენციას ვერ ვხედავ. პროგრამამ შეიძლება 2-3 წელი იმუშაოს და შემდეგ ამის საჭიროება აღარ იყოს. ეს კერძო სფეროა და სასურველია, სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ ჩაერიონ. პირიქით, ჩვენი პოლიტიკა ემყარება პრინციპს – სადაც შეიძლება, კერძომ დახარჯოს ფული, ასეც უნდა მოხდეს. იგივე, როდესაც სკვერებზე იყო ლაპარაკი – სკვერები გაყიდეს და ა.შ., არაფერი გაყიდულა, სკვერებს კანონით ვერ გაყიდი. თუმცა, შესაძლებელია, რეკრეაციული ფუნქციების შენარჩუნებითა და ბუნებრივი კომერციალიზაციით, კერძომ აიღოს თავის თავზე მისი მოვლა იჯარით. მაგალითად, როგორც მუშტაიდის ბაღის შემთხვევაში (უგულავა 2012).*

მოყვანილ ციტატაში უგულავა „სკვერებისა“ და მწვანე სივრცეების საკითხსაც ახსენებს, რომელთა მოვლა, მისი აზრით, სასურველი იქნებოდა, სახელმწიფოს ნაცვლად, კერძო სექტორს „გადაებარებინა“. შემდეგ ქვეთავში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქალაქის ბუნებრივ გარემოსა და მწვანე საზოგადოებრივ სივრცეებთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და უსაფრთხოებებს განვიხილავ.

ეკოლოგიური და საზოგადოებრივი საფრთხე და უსაფრთხოება

პოსტსოციალისტური ქალაქების ერთ-ერთ საერთო მახასიათებლად სონია ჰირტი (Hirt 2012) მწვანე სივრცეების მკაფიო შემცირებას მიიჩნევს, რომელიც სივრცის მზარდ პრივატიზაციას მოსდევს. საზოგადოებრივი, მათ შორის - მწვანე სივრცეების შემცირება თბილისში ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაიწყო, როცა მოქალაქეთა ნაწილმა „უპატრონო“ მიწების მითვისება-მიტაცებას მიჰყო ხელი. „უპატრონო“ ტერიტორიად ითვლებოდა საცხოვრებელ შენობებს შორის არსებული მონაკვეთები, საზოგადოებრივი მწვანე სივრცეები, საზოგადოებრივი დანიშნულების, ან - კერძო შენობების მიმდებარე აუთვისებელი ადგილები, ფერდობები, მდინარის ნაპირები და ქალაქის განაპირა ტყეებიც კი (Salukvadze 2009,174). მიტაცებული ტერიტორიების დამტკიცებას აქტორები ხშირად შესაბამის სამსახურებში დასაქმებულ პირებთან კორუფციული გარიგებების მეშვეობით ცდილობდნენ (იქვე). 2000 წლისათვის პარკების, სკვერების, ტროტუარების, საბავშვო მოედნებისა და უფასო ღია სპორტული მოედნების რაოდენობა თბილისში მკვეთრად იყო შემცირებული (Shavishvili 2009). თუკი საბჭოთა სტანდარტებით, გამწვანებული უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი უბნების სივრცის სულ ცოტა, 30%, 2000-იანი წლების ბოლოსათვის შემუშავებული ქალაქგანვითარების გეგმა დასაშვებად განსაზღვრავდა 10%-ს და ნაკლებს (იქვე). 2000-იანი წლების ბოლოსათვის, ახალი საცხოვრებელი და კომერციული შენობები ტროტუარებზე, პარკებსა და სკვერებშია აღმართული (Shavishvili 2009; Sherouse 2018).

პოსტსაბჭოთა 1990-იანების „მტაცებლური“ ტაქტიკების შემდეგ, თბილისის საჯარო ალაგების, მათ შორის, მწვანე სივრცეების შემცირებაზე „ვარდების რევოლუციის“ შემდგომმა დერეგულაციის პოლიტიკამაც მოახდინა გავლენა. ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი აღნიშნავს, რომ პოსტრევოლუციურ თბილისში ურბანული პოლიტიკა, უპირველესად, სამშენებლო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და შედეგად, სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე იყო ფოკუსირებული, ეს კი ხშირად, ქალაქის ეკოლოგიური უსაფრთხოების ხარჯზე ხდებოდა:

> *[სამშენებლო სექტორის] მაქსიმალური ხელშეწყობა პოლიტიკის მკაფიო ნაწილი იყო. [მთავრობის პოლიტიკური ხედვა ასეთი იყო]: „გენგეგმა კი ამას გვეუბნება, მაგრამ ზონის ცვლილება, პარამეტრის მომატება - ეს ყველაფერი არაუშავს, იმიტომ რომ მოხდეს სამშენებლო სექტორის მაქსიმალური სტიმულირება და მერე ვიფიქროთ შედეგებზე. ჯერ ისეთი მდიდრები არა ვართ, რომ ჩვენ თავს მივცეთ ეკოლოგიურ პრობლემებზე ფიქრის უფლება, ურბანულ გარემოზე ფიქრის უფლება. არა, ახლა უნდა მოხდეს თანხების და პროცესის აკუმულირება“ (ზაზანაშვილი 2022).*

გამოცემა „ნეტგაზეთთან“ 2021 წლის ინტერვიუში (ბოგვერაძე 2021)[35] თბილისის 2019 წლის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, მერაბ ბოლქვაძე აღნიშნავდა, რომ ზუსტი მონაცემები თბილისში ერთ სულ მოსახლეზე არსებული გამწვანების შესახებ არ არსებობდა და სხვადასხვა მონაცემით, მაჩვენებელი ამ დროისათვის 4.7 და 5.2 კვადრატული მეტრი იყო. ამავე პერიოდში, შვედეთისა და ნორვეგიის ზოგიერთ ქალაქში, გამწვანებული სივრცის ფართობი ერთ სულზე 65 მ²-ს აღწევდა. პოსტსოციალისტური ქვეყნების დედაქალაქებში კი მაჩვენებლები ერთმანეთისგან თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა (ბუქარესტი - 7.11 მ², ვარშავა - 28.44 მ², ბუდაპეშტი - 16.61 მ²; პრაღა - 35.71%; რიგა - 42.07 მ²; ტალინი - 40.51 მ²; ვილნიუსი - 56.22 მ² (იქვე).

[35] მარიამ ბოგვერაძე, „ქალაქი, რომელსაც პარკები არ ჰყოფნის“, ნეტგაზეთი. 01.06.2021. უკანასკნელად ნანახია: 08.07.2022. https://netgazeti.ge/news/545122/

1953 წელს დაბადებული ლევანი, რომელიც მშობლიურ აღმაშენებლის უბანში დერეგულაციით გამოწვეულ სამშენებლო ქაოსზე მესაუბრება, ამ პროცესის თანამდევ ეკონომიკურ საფრთხეებთან ერთად, საცხოვრებელი გარემოს ხარისხთან დაკავშირებული საფრთხეების ზრდასაც ახსენებს და კერძო მოგების ხარჯზე ქალაქის მწვანე სივრცეების შემცირებას აკვირდება:

> *[ბუნების გაფრთხილება] აღარავის მიაჩნია საჭიროდ. „ხე მოჭერი - მოჭერი, რად გვინდა". აქ რომ ზაფხულის პარკი იყო, ზამთრისაც იყო. ზამთრისა შეინარჩუნეს, გადააკეთეს შვიდჯერ, პოლიკლინიკები, რაღაცეები შეუშვეს, კბილის ექიმები ... ვიღაც ნიანგმა იყიდა, წილში ჩაჯდა, ეზო გაყო შუაზე, ზაფხულის პარკი ვიღაც ტიპმა დაანგრია, ააშენა სახლი, დაყიდა რაღაცეები.*

რესპონდენტების თქმით, თბილისის მზარდი განაშენიანება, კერძო საკუთრებასთან (მაგალითად, მოქალაქის საცხოვრისის ღირებულებასთან) ერთად, მოქალაქეთა საერთო, საზოგადოებრივ საკუთრებასაც აზარალებს, რადგან კერძო მშენებლობა, ხშირად, საზოგადოებრივი მწვანე სივრცეების მითვისების ხარჯზე მიმდინარეობს. ქალაქი თითქოს პარკებსა და სკვერებში „იჭრება", მოქალაქეებს მყუდროებას ურღვევს და დაუცველობის განცდას უქმნის. 1987 წელს დაბადებული დათოს თქმით:

> *ჩემი დაკვირვებით, იმან, რომ მოხდა უბნებში შენობების ხელოვნური ჩაშენება და მოქალაქეებს წაერთვათ საჯარო სივრცეები, ბოლო რამდენიმე წელია გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდა თაობა საზოგადოებრივ სივრცეებს ნაკლებად იყენებს. თითქოს არის ტენდენცია, რომ ხალხი ნელ-ნელა ბრუნდება პარკებში,, სკვერებში. სეზონზე განსაკუთრებით, მაგრამ რაც იყო, იმასთან შედარებით საერთიდ აუთვისებელია. მე თვითონ მიყვარს სკვერებში სიარული, განსაკუთრებით მარტოს, მაგრამ ამის უფრო ნაკლები და ნაკლები სურვილი მიჩნდება. რაც მთავარი მიზანია - რომ ქალაქს გამოვეთიშო - ეს აღარ გამოდის, იმიტომ რომ ქალაქი არის უკვე შიგნით შემოჭრილი.*

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მწვანე სივრცეების სიმცირეს მიიჩნევს 1990 წელს დაბადებული ლუკაც:

[თბილისი] შეიძლება, რომ უფრო კომფორტული იყოს. მაგალითად ცოტა მეტი პარკი არ იქნებოდა ურიგო.

ღია საზოგადოებრივი სივრცის მითვისება და იქ „კორპუსის ჩადგმის“ საშიშროება მოქალაქეებისთვის თითქოს მუდმივ მოსალოდნელ საფრთხედ იქცა:

შეიძლებოდა აშენება სახლების, კი ბატონო, მაგრამ ნუ დაანგრევ პარკს, იპოდრომზე ნუ ამიშენებ ამ შენობას [...]. ხვალ ალბათ გეგეშიძის ბაღში ააშენებენ კორპუსს. არ შეიძლება ყველგან ვაშენოთ კორპუსი.

ამბობს 1988 წელს დაბადებული რუსკა, რომელიც თბილისის ცენტრში, ვერასა და ვაკეში გაიზარდა და რომლის ბავშვობის მოგონებები ყველაზე ხშირად, ვაკის პარკში სეირნობის ამბებს უტრიალებს. თბილისის სიმყუდროვის განცდას სხვა რესპონდენტი ქალაქის მწვანე სივრცეებს უკავშირებს, რომლებიც „ახალ თბილისში“ ნელ-ნელა ქრება:

თბილისი შედგებოდა იმ ხეებით, რაღაცებით რაც სიმყუდროვეს ქმნიდა და ამხელა ქალაქი იყო ერთი მყუდრო ოთახივით და ეხლა შანსი არ არი, სად უნდა წახვიდე. ერთადერთი სადაც თბილისში ვგრძნობ თავს მყუდროდ არის გამოფენაზე, დიდუბეში ჩემთან და ვაკის პარკში, იმიტომ რომ ბავშვობა მაქ გატარებული იქ.

- მიყვება 1986 წელს დაბადებული ანდრო.

1987 წელს დაბადებული დათო ამბობს, რომ ქალაქის მწვანე სივრცეების დაკარგვით შეწუხებული სხვა მოქალაქეების ჯგუფსაც შეუერთდა, რომლებიც, მაგალითად, ვაკის პარკში კერძო მესაკუთრის მიერ სასტუმროს აშენების განზრახვას აპროტესტებდნენ:

[ვაკის პარკის საპროტესტო მოძრაობის ფარგლებში] საინიციატივო ჯგუფი - ჩვეულებრივი მოქალაქეები დავუკავშირდით ერთმანეთს, ვისაც გვაწუხებდა ღია სივრცეების უკმარისობა და ქალაქის ფუნქციონირებაზე წარმოდგენა გვქონდა. მწვანე, ღია სივრცეების გარეშე ქალაქი გაუსაძლისი ხდება და ამას ვიცავდით.

ვაკის პარკის მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რატომ სდევთ მოქალაქეებს მუდმივად იმ საფრთხის განცდა, რომ მწვანე სივრცეში, უეცრად, „კორპუსი“ შეიძლება ჩადგან. ვაკის პარკის დამცველი აქტივისტების მიერ შექმნილ საგანგებო ბლოგზე[36] განთავსებული ისტორიისა და დოკუმენტების მიხედვით, 1990-იან წლებამდე, ვაკის პარკში მდებარე რესტორანი „ბუდაპეშტს“ სახელმწიფო სტატუსი ჰქონდა. 90-იან წლებში რესტორანი სხვადასხვა კერძო მფლობელის საკუთრებაში იყო. 2007 წელს ის შპს „გრაალის“ საკუთრება გახდა, რომელმაც 2013 წელს რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილას სასტუმრო დაარეგისტრირა და იმავე წელს მიჰყიდა „აგრო ლენდ ჯორჯიას“. ტერიტორია, რომელზეც სასტუმრო უნდა აშენებულიყო, „სარეკრეაციო ზონა 2“-ს განეკუთვნებოდა, სადაც, 2009 წელს თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული რეგულაციების თანახმად, სასტუმროს მშენებლობა დაუშვებელი იყო. თუმცა, 2011 წელს რეგულაცია შეიცვალა და მოცემულ ტერიტორიაზე სასტუმროს აშენება დასაშვები გახდა. 2013 წელს თბილისის მაშინდელმა მერმა, გიგი უგულავამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობისათვის ნებართვას გასცემდა. რამდენადაც ვაკის პარკის საზღვრები ოფიციალურად არ იყო განსაზღვრული, თბილისის მერია აცხადებდა, რომ სასტუმროს მშენებლობისთვის განსაზღვრული სივრცე ოფიციალურად, არა პარკს, არამედ ჭავჭავაძის გამზირს მიეკუთვნებოდა, თუმცა აქტივისტები აჩვენებდნენ, რომ სასტუმრო პარკის სივრცეში შენდებოდა. პარკის დამცველები შიშობდნენ, რომ პარკის ათვისება სასტუმრო „ბუდაპეშტის“ აშენებით არ დასრულდებოდა და მერია ვაკის პარკის ტერიტორიის ეტაპობრივად გასხვისებას გეგმავდა. პარკის დასაცავად მოქალაქეები 2013 წლიდან მართავდნენ საპროტესტო აქციებს და მერიისაგან მოითხოვდნენ, გაეუქმებინა პარკში მშენებლობის ნებართვა და ინვესტორისათვის სხვა სივრცეში შეეთავაზებინა იმავე ღირებულების ნაკვეთი სასტუმროს ასაშენებლად. 2014 წელს ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში განათლების მკვლევარი, ისტორიკოსი სიმონ

[36] "სადაო ნაკვეთის ისტორია". *Vakisparki* (ბლოგი). *Wordpress.com*. უკანასკნელად ნანახია: 21.07.2022. https://vakisparki.wordpress.com/%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%90/

ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ვაკის პარკში დაგეგმილი მშენებელობა არამხოლოდ სასტუმროსათვის განსაზღვრულ სივრცეში არსებულ გამწვანებას დააზიანებდა, არამედ პარკს, როგორც საჯარო სივრცეს, ფუნქციას შეუცვლიდა.

კერძო სარგებელი, როგორიც არის კერძო პირების დასაქმება, კერძო ინვესტორისთვის სასურველი პირობების შექმნა, არ არის საკმარისი არგუმენტი საზოგადო სიკეთის შეზღუდვისთვის. კაპიტალის დაბანდებისთვის საზოგადოება არ არის ვალდებული მსხვერპლი გაიღოს. ნორმალურ ვითარებაში კაპიტალი თავის გზას მაინც იპოვნის და სასტუმრო მაინც აშენდება, ოღონდ ამგვარი შეზღუდვების გარეშეც, თუნდაც პარკთან ახლოს, სწორედ სასტუმროსთვის შესაფერის ადგილას (ჯანაშია 2014).

საბოლოოდ, ვაკის პარკში სასტუმროს აშენების საკითხზე, გუდიაშვილის ბაღის მსგავსად, ქალაქის მთავრობის ცვლილებამ მოახდინა გავლენა. 2019 წელს უზენაესმა სასამართლომ 2013 წლის განკარგულება ძალაში დატოვა და ინვესტორს სასტუმროს აშენების ნებართვა დაუბრუნა. თუმცა, 2019 წლის ბოლოს თბილისის მერმა „ქართული ოცნებიდან“, კახა კალაძემ განაცხადა, რომ ვაკის პარკის ტერიტორიაზე სასტუმრო არ აშენდებოდა და ინვესტორს, სანაცვლოდ, სხვა ტერიტორიას შესთავაზებდნენ.

თბილისელების მონათხრობში ხშირად ისმის ექოდ ქალაქის ბუნებრივი გარემოს განადგურების შესახებ წუხილი და ქალაქს მიღმა წარმოსახული ბუნების ჰარმონიისკენ სწრაფვა. ჩემი რესპონდენტი - 1976 წელს დაბადებული, მთაწმინდის უბანში მცხოვრები მარი თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს მიზიარებს. მის პოეტურ თხრობაში „გიგანტური შენობებისა“ გლობალური ქალაქის მშოფთვარე ამაოების ხატი სოფლის, ქალაქს მიღმა მდებარე მწვანე გარემოს იდილიურ სურათთან არის შეპირისპირებული:

ერთხელ ამასწინათ კახეთში ვსეირნობდი და ვენახებში ღრმად ვიყავი შესული, მეცხვარეს მოყავდა საღამოს თავისი ცხვარი და ეს კაცი მთვრალი იყო და მღეროდა. ჩავწექი, რომ არ შემეშალა ხელი, იმიტომ რომ ძაან კარგად მღეროდა. მეთქი, ცოტა ხანი მოვუსმენ და ამ ვენახებში ჩავწექი და ეს ცა ... და ეს მღერის და რა ბედნიერი ... ეეეი - ჩამიღიღინა და წავიდა. და ვიფიქრე, რომ რა აზრი

აქვს იმას, რომ ცხოვრება შეალიო კინოებში რასაც ვუყურებთ, რომ „ემპაიერის“ მეხუთე სართულიდან მეთხუთმეტეზე გადახვიდე, როცა სასტუმროში მიდიხარ და ფანჯარა არის ჩაკეტილი, რომ არ გადახტე. ანუ, ეს „სუეტა“ არის საშინელი - არ ჩერდები.

რესპონდენტების მონათხრობი აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი მწვანე სივრცეების გაქრობა, ქალაქის სივრცის დაკავება „გიგანტური შენობების“ მიერ, მუდმივი სამშენებლო ხმაური და ჰაერის დაბინძურება ქალაქში ყოველდღიურ ცხოვრებას გაუსაძლისად აქცევს და მოქალაქეები სულ უფრო ხშირად ეძებენ საცხოვრებელ სივრცეს ქალაქგარეთ:

თბილისში არ ვიცხოვრებ და რაღაც მომენტში აუცილებლად გავგაზავ აქედან, სადმე ახლოს. იმიტომ რომ უკვე აღარაა თბილისი. ჰაერიც აღარ არი. აღარც ხალხი აღარ არი. ისეთი რაღაცეებია, რაც ძაან არ მომწონს და მგრუზავს მაგრად. აი ეს დიდი კორპუსები და რაღაცეები მაგრად მთრგუნავს. მონსტრული, რაღაცა ჟუტკი. სიმშვიდე მინდა ძაან. სიჩუმე, სიმშვიდე. აქედან გავიქცევი, იმის მიუხედავად რო ძაან მიყვარს.

- ამბობს 1991 წელს დაბადებული სერგი, რომელიც სოლოლაკში დაიბადა და გაიზარდა. ქალაქის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციით გამოწვეული მოქალაქეთა ეს განწყობა 2000-იანი წლების ბოლოდან თანდათანობით თბილისის სუბურბანიზაციის ტენდენციაში გადაიზრდება, რომელსაც მომდევნო თავში, ქალაქის ურბანული ტრანსფორმაციისა და ჯენტრიფიკაციის საკითხების კონტექსტში უფრო დაწვრილებით განვიხილავ.

თავის შეჯამება

მოცემულმა თავმა აჩვენა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის ურბანული სხეულის ტრანსფორმაცია ერთი მხრივ, სახელმწიფოს უშუალო ჩართულობით

წარმართულმა „მოდერნიზაციამ“ და „ქალაქის გარემონტებამ“ განაპირობა, მეორე მხრივ კი - დერეგულაციისა და დებიუროკრატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკამ, რომლის მიხედვით, სახელმწიფო აგენტობას ნაწილობრივ ჩამოიშორებდა და ქალაქის განაშენიანების საკითხს კერძო სექტორს ანდობდა. პოსტრევოლუციური თბილისის განვითარების საქმეში სახელმწიფოს ეს ორგვარი როლი კომპლექსური გზებით თანაარსებობდა. ზოგჯერ, სახელმწიფო, ერთსა და იმავე დროს, „არაფორმალური ჩარევის“ და „ფორმალური ჩაურევლობის“ პოლიტიკას მიმართავდა, რაც, ციგლერის (Ziegler 2009) თქმით, ურბანული პოლიტიკისადმი „საქართველოს უნიკალურ მიდგომას“ ქმნიდა, რომელშიც საბაზრო ეკონომიკა და ცენტრალიზებული მართვა ერთმანეთს სპეციფიკურად ერწყმოდა. სახელმწიფო კი მონაცვლეობით ასრულებდა „ურბანული მენეჯერისა“ და „ურბანული ანტრეპრენერის“ როლს (Harvey 1989).

ქალაქის მოდერნიზაცია და „გარემონტება“ - ქუჩების განათება, ფასადების შეღებვა, ძველი შენობების აღდგენა და ახალი, „დასავლური ტიპის“ თანამედროვე არქიტექტურის გაჩენა - მოქალაქეებისათვის, ზოგ შემთხვევაში, აღქმულ უსაფრთხოებას გულისხმობდა. თუკი პოსტრევოლუციურ თბილისში ქუჩების განათება, „ბნელი 90-იანების“ საპირისპიროდ, გამვლელთა პერსონალურ დაცულობას უზრუნველყოფდა, ძველი, ან დაზიანებული შენობების „გარემონტება“ მოქალაქეების ნაწილისთვის პოსტსაბჭოთა სიღატაკისა და ნგრევის დასასრულის მომასწავებელი ნიშანი იყო. ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ნიშანსვეტები კი თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის „პროგრესულ, დასავლურ“ სივრცედ მონიშვნას გულისხმობდა. „მოდერნიზაცია“ ქალაქის ცენტრის მზარდ პრივატიზაციასაც გულისხმობდა, რომლის ტროტუარებზე განლაგებულ კაფეებს, ან ყოფილ საზოგადოებრივ სივრცეში გაჩენილ სუპერმარკეტებსა და სასტუმროებს, ქალაქის მესვეურთა პერსპექტივიდან, თბილისისათვის უფრო „არასაბჭოთა“, დასავლური იერი უნდა შეეძინა. ამავე დროს კი, ეს ქალაქის ცენტრის ეკონომიკურ გააქტიურებასაც გულისხმობდა. თუკი ეს ვითარება მსხვილი ბიზნესსექტორის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, მოქალაქეთა უფრო მოწყვლადი, ხშირად, პრეკარიული შრომით დაკავებული ნაწილისათვის ეს ეკონომიკურ საფრთხეს გულისხმობდა. ასეთ ჯგუფებს

მიეკუთვნებოდნენ, მაგალითად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განახლებულ სასტუმრო „ივერიაში“ მცხოვრები დევნილები და გარემოვაჭრეები, რომლებიც ქალაქის ცენტრიდან განიდევნებოდნენ, შედეგად კი ქალაქის ცენტრის სიკეთეებზე, ვაჭრობისა და ყოველდღიური საქმიანობისთვის ხელსაყრელ სივრცეზე წვდომა ეზღუდებოდათ.

ქალაქის სხეულთან დაკავშირებულ აღქმულ უსაფრთხოებაზე კომპლექსურად აისახა დერეგულაციისა და დებიუროკრატიზაციის პოლიტიკაც. თუკი სამშენებლო რეგულაციების შემსუბუქებამ და მათში ისეთი „ნაპრალების“ არსებობამ, რომლებიც მანიპულირების საშუალებას იძლეოდა, დეველოპერებსა და მენაშენეებს მოგების მაქსიმიზაციისა და საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სახარბიელო გარემო შეუქმნა, სამშენებლო ნორმების დარღვევით მიმდინარე „მშენებლობის ბუმი“ ხშირად სხვა მოქალაქეების ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, კულტურულ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას ემუქრებოდა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. კერძო სამშენებლო სექტორის სტიმულირებისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების „ხათრით“, სახელმწიფო თვალს ხუჭავდა მშენებლობის დარღვეულ მასშტაბებზე, ქალაქის ინფრასტრუქტურაზე გაზრდილ წნეხზე და საინჟინრო თუ გეოლოგიური სამშენებლო სტანდარტების უგულებელყოფაზე. შედეგად, თბილისის პოსტრევოლუციურ ურბანულ სივრცეში კერძო ინტერესი სარგებელს, ხშირად, საზოგადოებრივი ინტერესის ხარჯზე იღებდა. ამ განგრძობადმა პროცესმა თბილისში მოქალაქეთა ცხოვრების ზოგადი ხარისხი საგრძნობლად გააუარესა. დერეგულირებული მშენებლობის შედეგად, ქალაქის განაშენიანება გამჭიდროვდა, მშენებლობის მასშტაბები უკონტროლოდ გაიზარდა, სამშენებლო ხმაური და დაბინძურება კი თბილისელების ყოველდღიურობის ნაწილად იქცა. ამის შედეგად კი თბილისის სულ უფრო მეტ მოქალაქეს აღეძრა „ქალაქიდან გაქცევის“ სურვილი. მომდევნო თავში თბილისის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციისა და კლასის მიმართების საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდები და დეტერიტორიზაციისა და რეტერიტორიზაციის პროცესების უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავ.

თავი III - ქალაქი, კლასი და ტერიტორია - დეტერიტორიზაცია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში

დალოცვილო! როგორ თუ რა მაჯავრებს,

გული მტკივა, მინდა გაგიზიარო;

რათა, ძმაო, ერთი მითხარ, რისათვის -

მე - ტრახტირში, შენ - თეატრში იარო?

- ყარაჩოღლური ხალხური პოეზიიდან. იოსებ გრიშაშვილი, *ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა*

შესავალი

მოცემული კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერას 2016 წლიდან შევუდექი, ამ ჯაჭვის უკანასკნელი ინტერვიუ კი 2020 წლის მიწურულს ჩავწერეთ. მოქალაქეების რეტროსპექტული რეფლექსია თბილისში ცხოვრების შესახებ დროის ამ მონაკვეთიდან იწყებოდა და ყველაზე ინტენსიურად უახლეს ეპოქას - ვარდების რევოლუციის შემდეგ თბილისს უტრიალებდა, რომელიც ჩემს რესპონდენტებს ყველაზე მკაფიოდ ახსოვდათ. თუმცა, ამ მონათხრობებში საფრთხის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გააზრების საკითხები ერთი ზედაპირით როდი შემოიფარგლებოდა. ეს ისტორიები მრავალშრიან, პალიმფსესტურ წარმოდგენებს შლიდა, რომელშიც ერთმანეთს მუდმივად კვეთდა ტროპები საბჭოთა მეხსიერების, პოსტსაბჭოთა გამოცდილებისა და „ვარდების რევოლუციის“ შესახებ. მათი მონათხობი ისევე ქმნიდა „წარსულისა და აწმყოს, ლოკალურისა და გლობალურის, სტანდარტულისა და სპეციფიკურის, რეალურისა და ვირტუალურის კოლაჟს“ (Sykora and Bouzarovski 2012), როგორც თავად „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი თბილისის

ურბანული სხეული. რესპონდენტთა მონათხრობებში „წარსულისა“ და „აწმყოს“ ეს მუდმივი ურთიერთგადაფარვა ცხადი იყო როგორც პერსონალური საფრთხე-უსაფრთხოების, ისე - ქალაქის სხეულთან დაკავშირებული საფრთხე-უსაფრთხოების საკითხებზე რეფლექსიისას. თუმცა, ყველაზე მძაფრად ის თბილისის სივრცის ტერიტორიზაციის დინამიკასთან დაკავშირებული საფრთხისა და უსაფრთხოების ფოკუსში გამოიკვეთა.

მოცემულ თავში **„ტერიტორიზაციის“** ცნებით აღვნიშნავ მოქალაქეთა სოციალური იდენტობისა და სოციალური პრაქტიკის „მიმაგრებას“ გარკვეულ სივრცით ტერიტორიაზე. „კლასის ტერიტორიზაცია“, ამ თვალსაზრისით, სოციალური კლასის ამა თუ იმ სივრცესთან ორმხრივ მიმართებას გულისხმობს - ერთი მხრივ, კლასი განსაზღვრავს ტერიტორიის სტატუსს, მეორე მხრივ კი - ტერიტორია და მისდამი კუთვნილება ხდება მოქალაქის კლასის ნიშანი და განმსაზღვრელი. **„დეტერიტორიზაციის“** ცნებას განვსაზღვრავ, როგორც ტერიტორიზაციის საპირისპირო მოვლენას, როცა მოქალაქეთა სოციალურ იდენტობასა და ტერიტორიას შორის წინანდებური მიჯაჭვულობა მსუბუქდება, ან - უქმდება. არჯუნ აპადურაისათვის (Appadurai 1996) ადამიანების, გამოსახულებებისა და იდეების დეტერიტორიზაცია გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ახალი ყაიდის ეთნოგრაფიის მიზნად ის მიიჩნევს ცხოვრებისეულად განცდილ (lived) ადგილობრივ გამოცდილებებზე დეტერიტორიზაციის გავლენის ანალიზს და პასუხის ძიებას შეკითხვაზე: „როგორია ლოკალურობის, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილების ბუნება გლობალიზებულ, დეტერიტორიზებულ სამყაროში?“(იქვე, 52). აპადურაის კვალდაკვალ, მოცემულ თავში შევეცდები, დეტერიტორიზაციის თბილისელთა ცხოვრებისეული გამოცდილება გავაანალიზო როგორც ლოკალური და ნაციონალური, ისე - გლობალური ცვლილებების კონტექსტში და ვაჩვენო, როგორ ეხმიანება, კვეთს, ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს გამოცდილებათა ეს მასშტაბები. ტერიტორიზაციისა და დეტერიტორიზაციის ცნებებთან ერთად, მოცემულ ნაწილში **რეტერიტორიზაციის** ცნებასაც ვიყენებ. ამ უკანასკნელს განვმარტავ, როგორც

დეტერიტორიზაციის შემდგომ და ზოგჯერ, მის პარალელურ პროცესს, როცა ამა თუ იმ სივრცეს ახლებური დატვირთვა ენიჭება. ამ გაგებით, კლასის რეტერიტორიზაცია აღნიშნავს პროცესს, რომლის ფარგლებში, წინანდელ სივრცეს მოწყვეტილი ესა თუ ის სოციალური კლასი ახალ ტერიტორიას „მიემაგრება“ და მას შესაბამის სოციალურ შინაარსს ანიჭებს, ან - ძველ ტერიტორიას ეჯაჭვება, რომელსაც ახლებური მნიშვნელობით ტვირთავს.

წინამდებარე თავში ჩემი რესპონდენტების ლოგიკას მივყვები და თბილისის ტერიტორიზაციის, დეტერიტორიზაციისა და რეტერიტორიზაციის დინამიკას, მათთან ერთად, დიაქრონულ ჭრილში დავაკვირდები. ანალიზის საფუძველზე შევეცდები, ვუპასუხო შეკითხვებს: 1. როგორია კლასისა და ტერიტორიის მიმართება თბილისში „ვარდების რევოლუციამდე“ და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ? 2. რა მიმართებაა დეტერიტორიზაციის გლობალურ, ნაციონალურ და ლოკალურ ასპექტებსა და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ურბანულ ცვლილებებს შორის? 3. „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ რა ძირითადი შინაარსები უკავშირდება კლასისა და ტერიტორიის მიმართების ადგილობრივ გამოცდილებებს?

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას შესაბამის ლიტერატურაზე, სხვადასხვა მედიაზე, ოფიციალურ საჯარო გამოსვლებსა და დოკუმენტებზე და ჩემს რესპონდენტებთან ჩაწერილ ინტერვიუებზე დაყრდნობით შევეცდები. თავს თბილისში კლასისა და ტერიტორიის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მიმართების განხილვით დავიწყებ. მომდევნო ქვეთავებში კი თბილისში კლასისა და ტერიტორიის მიმართების „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დინამიკას აღვწერ. ნაშრომის ამ ნაწილს სამ ქვეთავად გავყოფ, რომლებიც შესაბამისი თანმიმდევრობით, ტერიტორიისა და კლასის მიმართების ლოკალური, გლობალური და ნაციონალური ასპექტების ანალიზს დაეთმობა.

კლასი და ტერიტორია საბჭოთა თბილისში

თბილისის ტერიტორიზაციის შესახებ ჩემი რესპონდენტების მეხსიერება საბჭოთა წარსულის რეტროსპექტულ გააზრებას უკავშირდება. ამ წარმოდგენაში ერთმანეთს კომპლექსურად ებმის „თბილისისა და სოფლის“ და „თბილისის ცენტრისა და გარეუბნის“ ასიმეტრიული ძალაუფლებრივი მიმართებები. სიუზენ გალის (Gal 2002)[37] მიხედვით, ამ მიმართებებს „ფრაქტალურობის“ ცნებით განვსაზღვრავ, ფრაქტალი სიმრავლეა, რომელსაც რეკურსიის (თვითმიმსგავსების) უნარი აქვს, ე.ი. იმავე ბუნებას ატარებს/იმავე ფორმულაზეა აგებული, რომელზეც მისი შემადგენელი ნაწილაკები. სხვაგვარად, რეკურსია გულისხმობს ამა თუ იმ ობიექტის ანარეკლს თავად ამ ობიექტში - ვითარებას, როცა ობიექტი ერთსა და იმავე დროს, საკუთარ თავსაც წარმოადგენს და საკუთარი თავის ნაწილსაც (ამის საილუსტრაციო მაგალითად „რუსული თოჯინა“ გამოდგება). მოქალაქეთა ხედვაში, „თბილისის ცენტრი“ ისე მიემართება „თბილისის გარეუბნებს“, როგორც „თბილისი“ „სოფელს“. ეს უკანასკნელი კოლექტიური წარმოსახვითი გეოგრაფიული აბსტრაქციაა და რესპონდენტების წარმოდგენაში, მოიცავს „ყველაფერს, რაც საქართველოს შეადგენს და თბილისს მიღმაა“. მის სინონიმურ აღმნიშვნელად მოქალაქეები ხშირად ცნება „რაიონს“ (საბჭოთა გეოგრაფიული მეხსიერება), ან „რეგიონს“ (შედარებით ახალი, პოსტსაბჭოთა გეოგრაფიული ცოდნა) იყენებენ. იმავე ლოგიკას ემყარება წარმოდგენა თბილისის პერიფერიული სივრცეების შესახებ, რომლებიც რესპონდენტების ხშირად ასეთივე მონოლითურ სოციოგეოგრაფიულ სივრცედ წარმოისახავენ და მხოლობით რიცხვში, კრებსით „გარეუბნად“ მოიხსენიებენ.

[37] Gal, Susan. "A semiotics of the public/private distinction." *Differences: a journal of feminist cultural studies* 13, no. 1 (2002): 77-95.

რესპონდენტების მონათხრობებში ეს ხედვა თბილისის კლასობრივ უთანასწორობას მოხაზავს, სადაც ქალაქის ცენტრის წარმოსახვითი განზოგადებული მცხოვრები დანახულია, როგორც ყველაზე მაღალი სტატუსის - კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და სიმბოლური კაპიტალის (Bourdieu 1986; Bourdieu and Wacquant 2013) მქონე. თბილისის „გარეუბნის“ მცხოვრებს მასზე მკვეთრად დაბალი სოციალური სტატუსი მიეწერება. ყველაზე დაბალი სტატუსი კი, ამ წარმოსახვის მიხედვით, „არათბილისელს“ აქვს, რომელსაც რესპონდენტები ინტერვიუებში ზოგჯერ ირონიით ან თვითირონიით, „სოფლელად“ მოიხსენიებენ. ფრაქტალური რეკურსიის გეოგრაფიული მოდელის მიხედვით, „სოფელი“ („რეგიონი“) „რუსული თოჯინის“ ყველაზე დიდი თოჯინაა, თუმცა, მისი აღქმული სოციალური სტატუსი ყველაზე მცირეა.

რესპონდენტების მონათხრობებში, ეს თავისთავად ნაგულისხმევი, კულტურულად ინტიმური (Herzfeld 2000) ცოდნაა. ამასთან, მონათხრობებში იკვეთება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ეს იერარქიული მიმართება რღვევას იწყებს, თუმცა, ნაწილობრივ, კვლავ განსაზღვრავს თბილისელთა თამაშის წესებს. ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა მოქალაქის პოზიცია ერთმანეთისგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ძველი ელიტებისათვის, ამ იერარქიული სტატუს კვოს რღვევა ძალაუფლების ველში პრივილეგირებული პოზიციის დაკარგვის საფრთხედ არის გაგებული. ახალი, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ელიტებისათვის კი ის აღმავალი სოციალური მობილობის უკეთეს შესაძლებლობას და მათთვის არახელსაყრელი თამაშის წესების შესაძლო ცვლილებას ნიშნავს. თუმცა, „ტრადიციული“ კლასობრივი იერარქიის შესახებ ნაგულისხმევი ცოდნა ორივე ჯგუფს აერთიანებს და როგორც პირველ თავში აღვნიშნე, საწინააღმდეგო პოზიციების მიუხედავად, ზოგჯერ ახალი ელიტების თამაშის წესები იმავე „გრამატიკას“ ეფუძნება, რომელსაც ძველი ელიტებისა. ამის მაგალითი თბილისის მუშათა კლასის უბანში გაზრდილი ჩემი რესპონდენტის, სანდროს მონათხრობია, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მკვეთრ აღმავალ სოციალურ მობილობას მიაღწია. სანდრო მეუბნება, რომ ძველ ურბანულ ელიტას ბავშვობაში „ქვევიდან“ შესცქეროდა „ტრფობისა და სიძულვილის ერთდროული განცდებით“. ამ „ელიტას“ მის

წარმოდგენაში, ჩვეულებრივ, „ტელევიზორიდან ჭკუის დამრიგებელი“, ქალაქის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები „გამოჩენილი“ მოქალაქეები განასხეულებდნენ. სანდრო ახლა თავად არის ცნობილი „ტელესახე“, რომელიც ეკრანიდან ხშირად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს, ვაზისუბნიდან კი საცხოვრებლად ქალაქის ცენტრში გადავიდა. ახალი ელიტა, რომელიც ძველს უპირისპირდება და ანაცვლებს, ზოგჯერ კლასობრივი უპირატესობის იმავე მარკერებს ითვისებს, რომლებსაც ძველ ელიტას მიაწერდა და მისსავე თამაშის წესებს იშინაგანებს. როგორც ზევით აღვნიშნე, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თბილისი/სოფლის და თბილისის ცენტრი/გარეუბნის მკაფიო სიმბოლური უთანასწორობა, ნაწილობრივ, რღვევას იწყებს. თუმცა, ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდე, ჩნდება შეკითხვა - რამ განაპირობა ამგვარი „გეოგრაფიული უთანასწორობის“ ჩამოყალიბება „ვარდების რევოლუციამდელ“ თბილისში და როგორ ჩამოყალიბდა წარმოდგენები გეოგრაფიული სივრცისა და კლასის ურთიერთმიმართების შესახებ?

ამაზე მსჯელობისას, რესპონდენტები ხშირად ახსენებენ საბჭოთა პასპორტიზაციისა და ე.წ. „ჩაწერის სისტემის“ საკითხს, რომელიც 1932 წლის შემდეგ საბჭოთა მოქალაქეების შიდა მობილობას მკაცრად აკონტროლებდა.[38] შიდა პასპორტი, ერთი მხრივ, მოქალაქის ვინაობას აღწერდა, მეორე მხრივ კი მის სივრცით მობილობას აკონტროლებდა. საბჭოთა კოლექტიური მეურნეობების მუშახელს - კოლმეურნეს - პასპორტი არ გადაეცემოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს სოციალური კატეგორია მიზანმიმართულად ეჯაჭვებოდა „მიწას“

[38] სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ საქართველოში თბილისის („ქალაქი“) და „სოფლის“ თვალსაჩინო უთანასწორობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩანს, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მთლიანად თბილისში იყრის თავს. იხ.: სტივენ ჯონსი, *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013),12. ასევე იხ. Ronald G. Suny, "The Mother of Cities: Tbilisi/Tiflis in the Twilight of Empire." In *Urban Culture and Urban Planning in Tbilisi: Where West and East Meet, Lewiston* (2009): 17-58.

- აგრარულ ტერიტორიას, სადაც ის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩართული (მარინაშვილი 2008,63-64). 1974 წლიდან კოლმეურნეებმა პასპორტზე უფლება მიიღეს, თუმცა, ამას ვითარება მნიშვნელოვნად არ შეუცვლია, რადგან კოლმეურნეობების განაწესი მათი ბინადრობისა და საქმიანობის სივრცის უცვლელობას კვლავაც მკაცრად აკონტროლებდა. პასპორტი ასევე არ ეძლეოდათ „სულით ავადმყოფებს“ და პირებს, რომლებიც მუდმივად მკურნალობდნენ სხვადასხვა დაწესებულებაში (იქვე). შიდა პასპორტის ფლობა მობილობის შეზღუდვისაგან არც სხვა მოქალაქეებსა და სოციალურ ჯგუფებს ათავისუფლებდა. პასპორტში მითითებული ინფორმაცია პირის შესახებ (სოციალური წარმომავლობა, დასაქმების ადგილი, „ეროვნება“, სამხედრო სამსახურის გამოცდილება, ნასამართლევობის სტატუსი) საბჭოთა ხელისუფლებას მოქალაქეების „სანდოებად“ და „არასანდოებად“ კლასიფიცირების საშუალებას აძლევდა. „არასანდოებად“ განისაზღვრებოდნენ, მაგალითად, ე.წ. „ყოფილები“ (Байбурин 2017) - ყოფილი საქმოსნები, ყოფილი არისტოკრატია და ყოფილი სამღვდელოება. ასევე - სახელმწიფო დამნაშავეები და შემდეგ - სისხლის სამართლის დამნაშავეები. ამ თვალსაზრისით, პასპორტიზაციის საბჭოთა პროექტს ბაიბურინი დიდი რეპრესიების „მოსამზადებელ ეტაპად“ განიხილავს(იქვე).

„სანდოდ“ განსაზღვრული მოქალაქეები „ჯილდოდ“ მსხვილ ქალაქებსა და ურბანულ ცენტრებში ბინადრობის უფლებას იღებდნენ, სადაც საუკეთესო საცხოვრებელი პირობები და საყოფაცხოვრებო რესურსებზე პრივილეგირებული წვდომა ელოდათ. „არასანდო“ მოქალაქეები და „არასასურველი ელემენტები“ კი საბჭოთა პერიფერიებისკენ განიდევნებოდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად ისინი ხშირად ოფიციალური რეგულაციებისთვის გვერდის ავლას ცდილობდნენ და მორგების სხვადასხვა ტაქტიკას (ინფორმაციის გაყალბება, ქრთამი) მიმართავდნენ (Байбурин 2017). 1956 წელს თბილისი, როგორც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი, საგანგებო სტატუსის მქონე სივრცედ განისაზღვრა და უკვე ფორმალურად მოინიშნა, როგორც მოსახლეობის პრივილეგირებული კატეგორიით დასახლებული ტერიტორია.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში თბილისისა და რურალური საქართველოს განსხვავებებზე მსჯელობისას, ჯონსი (2013,13) აღნიშნავს, რომ „ქალაქისა და სოფლის ღრმა ფსიქოლოგიური დაყოფა ასახავდა არსებულ განსხვავებებს განათლებაში, ჯანდაცვის რესურსებზე ხელმისაწვდომობაში, სიკვდილიანობის დონესა და პოლიტიკური გემოვნების დახვეწილობაში“, ახალგაზრდა საბჭოთა თბილისელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ „რაიონებში“ სავალდებულო სამსახურისგან თავი დაეძვრინათ, “რაიონში“ მცხოვრებ ქართველ გლეხს კი, რომელსაც საზოგადოება ფორმალურად პატივს სცემდა, ყოველდღიურობაში თბილისელები „გოიმად“ მოიხსენიებდნენ, რითიც მის „უკულტურობას“ უსვამდნენ ხაზს (ურბანული ელიტის „კულტურულობის“ საპირწონედ - რომელსაც თავში მოგვიანებით დავუბრუნდები).[39]

რაც შეეხება საკუთრივ თბილისს, მის საზღვრებში კლასის ტერიტორიზაციის ნაგულისხმევი ლოგიკა „ცენტრისა“ და „პერიფერიის“ („გარეუბნის“) სივრცეებში მოქალაქეების კლასობრივი ნიშნით განაწილებას ეფუძნება. ჩემი რესპონდენტების მონათხრობში თბილისის სივრცის ამგვარი კლასიფიკაცია, ჩვეულებრივ, გულისხმობს დედაქალაქის ცენტრალური უბნებისა და მისი გარეუბნების - უმეტესად, სტალინის შემდგომ ეპოქაში გაშენებული „საძილე სამეზობლოების“ - შეპირისპირებას. თუმცა, როგორც ქვევით ვაჩვენებ, ზოგიერთი რესპონდენტი თბილისში კლასის ტერიტორიზაციის გაცილებით უფრო ადრეულ ფორმებზეც საუბრობს. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა განსახლების პოლიტიკა თბილისზეც (რომელსაც 1936 წლამდე ტფილისი ეწოდებოდა) გავრცელდა. მათ შორის იყო 1918 წლის დეკრეტი „უძრავ ქონებაზე საკუთრების გაუქმების შესახებ“ და 1920 წლის დეკრეტი საბინაო ფართობის „სწორი“ განაწილების შესახებ, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ენიჭებოდა მოქალაქეების ბინებში „გადანაწილების“, ან, საჭიროების შემთხვევაში, მათი

[39] ასევე იხ. Paul Manning, "When Goblins Come to Town: The Ethnography of Urban Hauntings in Georgia." In *Monster Anthropology in Australasia and Beyond*, ed. Musharbash, Yasmine, and G. Presterudstuen (New York: Springer, 2014), 161-177.

„გასახლების“ უფლება (ვარდოსანიძე 2010,136). ამ დეკრეტის მიხედვით, რომელიც კომუნალური ტიპის ბინების ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად, საცხოვრებლით (სულზე 12,6 კვ.მ) უნდა დაკმაყოფილებულიყო ახალი მმართველი საბჭოთა კლასი - „მუშები და მომსახურენი“. ეს კი არსებული საცხოვრებელი სივრცეების გამჭიდროებისა და ყოფილი ბინადრების გამოსახლების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. გამოსახლებულებს შორის იყვნენ ე.წ. „ყოფილები“: ვაჭრობით დაკავებული პირები, „სამრეწველო და კუსტარული საწარმოების მეპატრონეები, რომლებიც დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას ეწეოდნენ“ და „ზოგადად, ყველა მოქალაქე, რომელიც არაშრომითი გზით მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა“ (იქვე, 136-137). როგორც 1920-იან წლებში, ისე - 1930-იანი წლების დიდი რეპრესიების დროს მოქალაქეები ხშირად მიმართავდნენ ხელისუფლებას „არასანდო კატეგორიის“ პირების გასახლებისა და მათ სანაცვლოდ, „სანდო მოქალაქეების“ საბინაო სივრცით დაკმაყოფილების მოთხოვნით. „დიდი ტერორის“ შესახებ მოგონებებს ყველაზე ხშირად ამგვარი დასმენების საფუძველზე გასახლების ისტორიები გასდევს ღერძად, სადაც რეპრესირებულთა შთამომავლები იგონებენ, როგორ გაასახლეს მათი ოჯახის წევრები ბინიდან, რომელიც შემდეგ სხვა მოქალაქეებს გადაეცემოდა, ან - როგორ შეუსახლეს ბინაში ახალი, „პოლიტიკურად სანდო“ მოქალაქე, ზოგჯერ - თავად დამსმენი. ასეთი ბინები, ყველაზე ხშირად, იქ იყო განთავსებული, სადაც ახლანდელი თბილისის ცენტრის „ტრადიციულად“ მიჩნეული დასახლებებია - მაგალითად, სოლოლაკში, რომელიც მე-19 საუკუნის თბილისელი მეწარმეების დიდი, მაღალჭერიანი კერძო სახლებით იყო განაშენიანებული. საქართველოში თბილისის („ქალაქი“) და „სოფლის“ და საკუთრივ თბილისში „პრესტიჟული“ და „არაპრესტიჟული“ სივრცეების თვალსაჩინო უთანასწორობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩანს, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მთლიანად თბილისში იყრის თავს, ხოლო თბილისის ყველაზე პრესტიჟულ სივრცედ სწორედ სოლოლაკი ყალიბდება, სადაც ქალაქის ელიტა სახლდება (Suny 2009; ჯონსი 2013). ამას აღნიშნავს ჩემი რესპონდენტი, 1953 წელს დაბადებული ლევანიც, რომელიც მეუბნება, რომ სოლოლაკი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში მოინიშნა პრესტიჟის სივრცედ:

კომუნისტებს არ დაუწყიათ ცალკე ელიტარული უბნები - [სოლოლაკი] ააშენა შეძლებულმა ხალხმა, უზარმაზარი ნაწილი მაგ რაიონის იყვნენ შეძლებული სომხები.

ლევანის თქმით, ამ სივრცის პრესტიჟი მიმზიდველი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტისთვისაც, რომელიც თბილისში, უმეტესად, სწორედ სოლოლაკში ცხოვრობდა:

ცხოვრობდა [ნოე] ჟორდანია სოფელში და როცა მოხვდა ხელისუფლებაში, [სოლოლაკში] გამოსახლდა. ეხლა ის სახლი დანგრეულია, აღარ არის, კაგებეს შენობა რომ არის, შსსს უშიშროების სამსახურის პირდაპირ. [ნოე] რამიშვილი ცხოვრობდა მაჩაბლის ქუჩაზე. ასე რომ ეს ხდებოდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ეს სივრცე ყველაზე სახარბიელო აღმოჩნდა საბჭოთა პოლიტიკური ელიტებისთვისაც, რომელთა დიდი ნაწილი, თავის მომსახურე პერსონალთან ერთად, ასევე სოლოლაკში, მდიდარი თბილისელი მეწარმეების ყოფილ სახლებში შესახლდა:

სტალინმა აიღო და რაღაცა ფენა გამოყო, სულ გამოყოფდა რაღაცა ფენას, რომ ჩამოეშორებინა რეალური ცხოვრებიდან უქმნიდა იმ პერიოდისათვის საკმაოდ კარგ პირობებს და თავიდან ხელისუფლების ხალხი ყველანი ცხოვრობდნენ სოლოლაკში. ეს იყო სადღაც ველიამინოვის ქუჩიდან მოყოლებული ზევით. მახარაძის ქუჩა რომ იყო, ეხლა არის პაოლო იაშვილის ქუჩა, მანდ ცხოვრობდა საბჭოთა საქართველოში ყველაზე შეძლებული მთავრობის ხალხი. მანდ ცხოვრობდა რევკომის თავმჯდომარე სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძეც, მიხა ცხაკაიაც, და მანდ ცხოვრობდნენ მაგისი შოფრები, მზარეულები, თანაშემწეები, ცნობილი ჩეკისტები, მანდ ცხოვრობდა მამია ორახელაშვილი. ცნობილი ჩეკისტი იყო მოროზოვი - დედაჩემის კლასელის მამა იყო, რაღაცა საშინელი კაცი. [ლევან] ღოღობერიძე, რომელიც ასევე ცეკას მდივანი იყო, მიხა კახიანი - ყველანი ცხოვრობდნენ იქ. ის ძველი სახლები იყო და კარგი. ის ხალხი გამოასახლეს და შესახლდნენ ესენი სუყველა.

-მიყვება ლევანი. თუკი გასაბჭოების შემდგომ თბილისში ელიტების განსახლების მთავარი სივრცე, თავდაპირველად, საბჭოთა ეპოქამდელი თბილისური ელიტების მიერ განაშენიანებული სოლოლაკი იყო, მოგვიანებით, 1940-50 წლებიდან, ყველაზე პრესტიჟულ საცხოვრებლებად ე.წ. „სტალინური სახლები“ განისაზღვრა. ეს სახლები, ერთი მხრივ, „იმპოზანტურობითა და მაღალი ხარისხის მშენებლობით“ გამოირჩეოდა, მეორე მხრივ კი - მათში თითო ბინა, ჩვეულებრივ, თითო ოჯახზე იყო გათვლილი, რაც საბჭოთა მოქალაქისათვის ფუფუნებას წარმოადგენდა (ვარდოსანიძე 2010,142). სტალინურ საცხოვრებელ შენობებს, ჩვეულებრივ, საბჭოთა ქალაქების ცენტრალურ მოედნებსა და გამზირებზე, სანაპიროებსა და ძირითად გამტარ ქუჩებზე აშენებდნენ. ამ თვალშისაცემად მდიდრულად მოპირკეთებულ შენობებში განთავსებული მაღალჭერიანი, ფართო ბინები არა „რიგითი საბჭოთა მოქალაქეების“, არამედ - საბჭოთა პოლიტიკური, სამხედრო, ინტელექტუალური და კულტურული ელიტებისთვის (პარტიული მუშაკები, აკადემიკოსები, სამხედრო მაღალჩინოსნები, მწერლები, მსახიობები, ექიმები, მეცნიერები) იყო განსაზღვრული და მათში ცხოვრება პრივილეგიის თვალსაჩინო ნიშანი იყო.[40] სტალინური საცხოვრებელი სახლები თბილისში, უმეტესად, ვაკისა და საბურთალოს სივრცეებში (მაშინდელ ორჯონიკიძის რაიონში) აშენდა. ვაკეში, რომელიც სასწავლო დაწესებულებებით იყო განაშენიანებული, პოლიტიკური ელიტების შემდეგ, აკადემიური ელიტები უნდა განსახლებულიყვნენ. საბურთალოს შემთხვევაში კი ერთ-ერთი ასეთი ნიშანდობლივი „სტალინური“ შენობა მეცნიერებათა აკადემიის სწავლულებისათვის განკუთვნილი სახლია (პეკინის გამზირი #2-3). ვაკის საბჭოთა ელიტის სივრცედ ტერიტორიზაციას ლიტერატურათმცოდნე ზაალ ანდრონიკაშვილი[41] ამგვარად აღწერს:

---

[40] „სტალინური პროექტი“, Property Georgia, 29.03.2018. უკანასკნელად ნანახია: 19.07.2022. https://propertygeorgia.ge/ge/media/news/504-stalinist-building-project

[41] ზაალ ანდრონიკაშვილი, „სნობიზმი, როგორც კულტურული მექანიზმი“, *ზაალ ანდრონიკაშვილის ბლოგი*, 18.04.2017 https://andronikashvili.blogspot.com/2017/ უკანასკნელად ნანახია: 17.04.2022.

პარტიული ბიუროკრატია, რომელიც ახალ ელიტად იქცა, თბილისში, ექსპროპრიატორებისათვის ექსპროპრიირებულ სახლებში დასახლდა, რაც 1930-იანი წლების ბოლომდე ტრადიციად იქცა [...].ჩემი, შეიძლება მცდარი და ზედაპირული ვარაუდით ისე მოხდა, რომ სტალინიური რეპრესიების დამთავრების შემდეგ ახალი ელიტის კონტურები გამოიკვეთა. ეს იყო ერთი მხრივ პარტიული ნომენკლატურა, რომელმაც ნათესაური კავშირები დაამყარა ძველ ელიტასთან, მეორე მხრივ კი ძველი ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც რეპრესიებს გადაურჩნენ და პარტიულ ნომენკლატურაში შესვლა შეძლეს. ამ ძველ ელიტაში უფრო ინტელიგენცია შედიოდა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ნელ-ნელა კასტად იქცა: მწერლები, მეცნიერები, ხელოვანები. 1960-იანი წლებიდან ამათ დაემატა ჩრდილოვანი ეკონომიკის რაინდები. "დელეცები" ან არჩილ ქიქოძის პერსონაჟს რომ დავესესხო, "არტელშჩიკები", რომლებმაც სიმბოლურ კაპიტალს არალეგალური, მაგრამ სავსებით მატერიალური კაპიტალი ზედ დაადეს. ამ სამი განსხვავებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც ერთმანეთთან დამეგობრებული, დამოყვრებული და ნათელ-მირონით დაკავშირებული ჯგუფის მიერ კოლონიზირებული ერთი უბანი - ესაა ჩვენი ბომონდის მოკლე გენეალოგია. (ანდრონიკაშვილი 2017)

სტალინის ეპოქის შემდგომ თბილისში მასობრივი საბინაო მშენებლობა დაიწყო. როგორც კაიზერი (Kaiser 2015, 2010) აჩვენებს, ჩაწერის სისტემისა და პასპორტიზაციის მეშვეობით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, ამ პერიოდში თბილისის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა მასობრივი მიგრაციის ხარჯზე, რომელთა დიდი უმეტესობა ეთნიკურად ქართველი იყო. ამ დროისათვის, საბჭოთა თბილისში, ისევე, როგორც მრავალ სხვა საბჭოთა ქალაქში, მწვავე საბინაო კრიზისი შექმნა. რომელიც ცენტრისკენული მიგრაციის შედეგად, თბილისის ტრადიციულ საცხოვრებელ უბნებში მოსახლეობის მზარდი გამჭიდროებითა და ძველ ინფრასტრუქტურაზე გაზრდილი წნეხით იყო განპირობებული. სტალინის სხვა მემკვიდრეობათა დაგმობასთან ერთად, ნიკიტა ხრუშჩოვმა 1956 წლიდან სტალინური არქიტექტურის გადაფასების პოლიტიკა გამოაცხადა. ინდივიდუალური პროექტებითა

და მდიდრული მასალით აგებული „სტალინური სახლები“ ხარჯიანად და არაპრაქტიკულად იქნა მიჩნეული და მათ ნაცვლად, გადაწყდა მასობრივი საბინაო მშენებლობა სტანდარტული პროექტით, ხრუშჩოვის თქმით, „სწრაფად, კარგად და იაფად“. თბილისში კი ამ პროცესის მთავარ სცენად საბურთალო იქცა, რომელიც ამ დროისათვის შედარებით განაშენიანებულ ვაკესთან შედარებით, ჯერ კიდევ რურალურ სივრცეს წარმოადგენდა (Kaiser 2015,2019). საბურთალოს განვითარების პროექტი 1940-70-იან წლებში განხორციელდა. აქ, ერთი მხრივ, სტუდენტები (ვაკეში მდებარე სასწავლო დაწესებულებებთან სიახლოვის პრინციპით), მეორე მხრივ კი - მშენებელთა ოჯახები უნდა დაესახლებინათ. „სწრაფად, კარგად და იაფად“ აშენებული საცხოვრებელი სახლების, ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ხარისხი სტანდარტებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა, თუმცა, მასობრივმა მშენებლობამ მოქალაქეთა საბინაო პრობლემები, ნაწილობრივ, გადაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ვაკე და საბურთალო დაახლოებით ერთსა და იმავე დროს განაშენიანდა და იქცა თბილისის ნაწილად (საბჭოთა დარაიონების სისტემაში ეს ორი უბანი „ორჯონიკიძის რაიონად“ ერთიანდებოდა), უფრო პრესტიჟულ - პარტიული, აკადემიური და კულტურული ელიტით დასახლებულ ვაკესა და შედარებით უფრო დაბალი ფენებითაც დასახლებულ საბურთალოს სტატუსს შორის საგრძნობი განსხვავება ჩამოყალიბდა - კაიზერის თანახმად, ზოგიერთი მოქალაქისათვის, ხრუშჩოვისეული სტანდარტული საცხოვრებელი „კორპუსებით“ გაშენებული საბურთალო არაპრესტიჟული იყო (Kaiser 2015).

თუმცა, „ბინის მიღება“ საბურთალოს ახლადაშენებულ ბინებში ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი და მოქალაქეები ხშირად მიმართავდნენ მთავრობას წერილებით, სადაც ბინით დაკმაყოფილებას ითხოვდნენ. არგუმენტებად კი, ხშირად, „საგანგებო დამსახურება“ მოჰყავდათ - მაგალითად, ომის ვეტერანის, „ძველი ბოლშევიკის“, ან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი. კაიზერი ერთგან ეთნიკური ქურთი მოქალაქის საჩივარსაც აღწერს, სადაც ის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას უჩივის და ითხოვს, მთავრობამ ბინით დააკმაყოფილოს (იქვე, 225). თუკი კაიზერის მაგალითში, საბჭოთა თბილისში „დაბალ სოციალურ ფენად“ მიჩნეული ქურთი მოქალაქე საბურთალოზე

ითხოვს ბინით დაკმაყოფილებას, 1951 წელს დაბადებული ზურაბი მიყვება, რომ მისმა უფროსმა ძმამ მთავრობას ბინის გამოყოფა უფრო პრესტიჟულ უბანში - ინტელიგენციით დასახლებულ ვერაზე მოსთხოვა იმ არგუმენტით, რომ მისი მეუღლე საბჭოთა კავშირის დამსახურებული არტისტის სტატუსით სარგებლობდა. როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობისათვის ეს არგუმენტი საკმაოდ წონიანი გამოდგა, რადგან ზურაბის ძმა და მისი მეუღლე, საბოლოოდ მართლაც „დააკმაყოფილეს“ ვერის უბანში მდებარე ბინით.

არქიტექტორი და ქალაქის მკვლევარი ნანო ზაზანაშვილი[42] აღნიშნავს, რომ მიკრორაიონების გაშენებამდე, თბილისში მოქალაქეების თვალსაჩინო „ვერტიკალური სეგრეგაცია“ ხდებოდა - მაგალითად, თბილისის ყველაზე არაპრივილეგირებული მოქალაქეები ყველაზე ხშირად, შენობის ყველაზე არასახარბიელო ნაწილში - სარდაფებში ცხოვრობდნენ. მიკრორაიონების გაშენების შემდეგ კი იქ, სხვებთან ერთად, ასეთი მოქალაქეების დიდი ნაწილი შეასახლეს. საბჭოთა თბილისში ეთნიკური ქურთი თბილისელების, როგორც მოქალაქეთა ერთ-ერთი ყველაზე არაპრივილეგირებული ჯგუფის „ვერტიკალურ სეგრეგაციაზე“ ჩემი რესპონდენტი, 1963 წელს დაბადებული თამრიკოც საუბრობს, რომელიც იხსენებს, რომ აღმაშენებელზე მდებარე მისი სამეზობლოდან ქურთი მეზობლები „სიხარულით გადადიოდნენ“ ახლადაშენებულ საბჭოთა საძილე მიკრორაიონებში - გლდანში და ვარკეთილში, რადგან აღმაშენებელზე ისინი საცხოვრებლად არახელსაყრელ, ნესტიან ნახევრადსარდაფებში იყვნენ შესახლებულები. თამრიკო ირონიით იგონებს მისი მეზობლების სიხარულს, რადგან გლდანსა და ვარკეთილს („გარეუბნებს“) თბილისის ყველაზე არაპრესტიჟულ სივრცეებად მიიჩნევს.

1970-იანი წლებიდან გაშენებული გლდანი და ვარკეთილი და 1980-იან წლებში გაშენებული ვაზისუბანი, თამრიკოს მსგავსად, ჩემი მრავალი რესპონდენტის

[42] თამარ ბაბუაძე, „შიშის პეიზაჟები: ინტერვიუ არქიტექტორსა და ქალაქის მკვლევარ ნანო ზაზანაშვილთან“, *ინდიგო,* 19.03.2022. უკანასკნელად ნანახია: 17.07.2022. https://indigo.com.ge/articles/shishis-peizajeb/

გადმოსახედიდან აღიქმება თბილისის არაპრესტიჟული პერიფერიების, „გარეუბნის“ არქეტიპულ ფორმებად. ეს პერიფერიული დასახლებები, ერთი მხრივ, საცხოვრისის კრიზისის დაძლევის, მეორე მხრივ კი - თბილისის ურბანული გაფართოების და მის „მილიონიან ქალაქად“ ქცევის მიზნით გაშენდა (გურგენიძე 2018). ამ ახალ მიკრორაიონებში სამჭოთა მთავრობა ასახლებდა სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულ მოსახლეობას, რომელიც გლეხებიდან ქარხნების მუშებად იქცეოდნენ და როგორც ზევით აღვნიშნეთ, თბილისის ცენტრის ყოფილ ბინადრებს - მათ შორის, ხშირად, ეთნიკურ უმცირესობებს (Shavishvili 2009, 210). გლდანისა და ვაზისუბნის (და მისი მოსახლეობის) თბილისის ცენტრთან (და მის მოსახლეობასთან) შედარებით დაბალ სტატუსზე ინტერვიუებში საუბრობენ როგორც ქალაქის ცენტრში მცხოვრები ძველი (საბჭოთა) ელიტის წარმომადგენლები და მათი შთამომავლები, ისე - პერიფერიულ უბნებში მცხოვრები მოქალაქეებიც. ამავე დროს, თუკი „ძველი ელიტები“ ამ უთანასწორობას „ბუნებრივ მდგომარეობად“ ხედავენ და სტატუს კვოს რღვევას საფრთხედ აღიქვამენ, თავად პერიფერიული უბნების მაცხოვრებლები ამ წესრიგისათვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ და „დადგენილი“ იერარქიის რღვევას უსაფრთხოების შესაძლებლობად აღიქვამენ (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვევით დავუბრუნდები).

ამრიგად, ერთი მხრივ, პასპორტიზაციისა და ჩაწერის სისტემამ და მეორე მხრივ - განაშენიანებისა და ბინადრობის პოლიტიკამ, დეკლარირებული სოციალისტური „თანასწორობის იდეალების“ საპირისპიროდ, საბჭოთა თბილისში მკაფიო კლასობრივი სეგრეგაცია და კლასის სივრცითი ტერიტორიზაცია განაპირობა. როგორც სალუქვაძე (Salukvadze 2009) აღნიშნავს, საბჭოთა გეგმარების პირობებში, საქალაქო გარემოს ხარისხი თბილისის ცენტრიდან პერიფერიებისაკენ თანდათანობით უარესდებოდა. მიუხედავად მიწის ბაზრის არარსებობისა, მოქალაქეებმა არაფორმალურად კარგად იცოდნენ, ქალაქის რომელი სივრცეები იყო საცხოვრებლად სახარბიელო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება გადაადგილებისა და ბინადრობის არჩევის თავისუფლებას ზღუდავდა და მოქალაქეების სივრცით განაწილებას „ზევიდან“ აკონტროლებდა. მოქალაქეები კი, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, „ზევიდან წამოსული“ რეგულაციებისათვის გვერდის ავლას და

სასურველ ტერიტორიაზე ბინადრობის საშუალების მოპოვებას მორგების ტაქტიკებით - დასმენით (სტალინის ეპოქაში), ნაცნობობით, ან ქრთამით (სტალინის შემდგომ) ცდილობდნენ. ამრიგად, დეკლარირებული საბჭოთა თანასწორობის იდეის საპირისპიროდ, მოქალაქეებს შორის ჩამოყალიბდა მყარი ცოდნა ამა თუ იმ უბნის პრესტიჟულობის შესახებ, რაც თბილისის სივრცეში მოქალაქეთა სპეციფიკურ სეგრეგაციას უყრიდა საფუძველს (იქვე,153-155).

როგორც კაიზერი აკვირდება, საბჭოთა თბილისში კონსტრუირებული ცოდნა უბნების „იერარქიული პრესტიჟის“ შესახებ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომაც ნარჩუნდება - საბჭოთა პოლიტიკური, ინტელექტუალური და კულტურული ელიტებით დასახლებული უბნები - ვაკე, ვერა და მთაწმინდა „სტატუსით ჯაბნის საბურთალოს და დიდუბეს, რომლებიც 50-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა“ და რომელთა კლასობრივი შემადგენლობა ნაკლებად ჰომოგენურია, ხოლო ეს უკანასკნელნი, მოქალაქეთა აღქმაში, სტატუსით აღემატება „მუშებით“, „პროვინციებიდან ჩამოსული ხალხითა“ და საბჭოთა თბილისში არაპრივილეგირებულ ჯგუფად განსაზღვრული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პერიფერიულ მიკრორაიონებს - გლდანს, ვარკეთილსა და ვაზისუბანს (Kaiser 2015, 232). მომდევნო თავებში თბილისის საბჭოთა კლასობრივი ტერიტორიზაციის საკითხს უფრო დეტალურად დავუბრუნდები და შევეცდები, გავაანალიზო, როგორ ითარგმნება ეს უთანასწორობა მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის აღქმულ საფრთხედ თუ უსაფრთხოებად.

კლასი და ტერიტორია პოსტსაბჭოთა თბილისში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში კლასის ტერიტორიზაციის ლოგიკა უმეტესად შენარჩუნდა და გარკვეულწილად, გამძაფრდა. მენინგი (Manning 2009b,71) აღნიშნავს, რომ „ქალაქსა“ და „სოფელს“ შორის სხვაობა ადრეულმა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ აირეკლა და გამოკვეთა. 1992 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ

მოწყობილი გადატრიალების შედეგად, ერთ მხარეს (გამსახურდიას მოწინააღმდეგეები) აღმოჩნდა ურბანული ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს გამოკვეთილად პრივილეგირებულ, საბჭოთა სიკეთეებით მოსარგებლე ჯგუფად ჩამოყალიბდა. მეორე მხარეს (გამსახურდიას მომხრეები) კი, მენინგის თქმით, უმეტესად საქართველოს პერიფერიული მოსახლეობა იყო, რომელიც ეთნიკური ნაციონალიზმის იდეისა და მითოპოეტური რიტორიკის მიმართ უფრო ღია გამოდგა. გვიანდელ საბჭოთა ეპოქაში თბილისური ურბანული კულტურული ელიტა („ინტელიგენცია“) (ჩვეულებრივ პროვინციული წარმოშობის) საბჭოთა პოლიტიკურ ელიტასთან („ნომენკლატურა“) სიმბიოზში იყო - ინტელიგენციას სახელმწიფო აპარატის სოციალური ლეგიტიმაციის ფუნქცია ენიჭებოდა, ნომენკლატურა კი მათ პატრონაჟს ეწეოდა. მენინგის მოსაზრებით, ურბანული ინტელიგენციის დაპირისპირება გამსახურდიას მთავრობასთან იმით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა ფუნქციონერებისგან განსხვავებით, „თავად ინტელიგენტ“ გამსახურდიასა და მის მთავრობას აღარ ესაჭიროებოდათ ინტელიგენციის ლეგიტიმაცია და შედეგად, პატრონაჟის გარეშე დარჩენილი ურბანული ინტელიგენცია მათ წინააღმდეგ განეწყო. ამასთან, პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართული პოლიტიკური სცენის მთავარ აქტორებზე დაკვირვებისას, მენინგი განსაკუთრებულად გამოკვეთს ჯაბა იოსელიანის ფიგურას, რომელიც თავის თავში ერთდრიულად, ურბანული ინტელიგენტისა და „კანონიერი ქურდის“, მოგვიანებით კი - გასამხედროებული შენაერთის ლიდერისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის იპოსტასებს აერთიანებდა. ეს კი აჩვენებდა, რომ თბილისის შემთხვევაში, ურბანული ინტელიგენცია წარმოადგენდა არა „ეროვნული კულტურის საჯარო აპოთეოზს“, არამედ - „ურბანულ ბოჰემურ სუბკულტურას, რომელიც ხაზს უსვამდა დაპირისპირებას ინტელიგენციასა და ხალხს, კერძო ურბანულ სუბკულტურასა და საჯარო ეროვნულ კულტურას შორის“ (იქვე, 72-73).

ადრეული პოსტსაბჭოთა პერიოდის თბილისის ტერიტორიზაციის შესახებ კვლევის რესპონდენტებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვება გამიზიარეს. პირველი დაკვირვება თბილისში მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალებისა და შეიარაღებული კონფლიქტის ტერიტორიზაციას შეეხება, რომელსაც მოქალაქეები „თბილისის ომის“

სახელით მოიხსენებენ. რესპონდენტები, რომლებსაც ეს მოვლენები კარგად ახსოვდათ, აღნიშნავდნენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტი შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე - თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა:

> *მთავრობის სასახლის წინ, ქაშვეთიდან თავისუფლების მოედნამდე - ეს იყო გადაქცეული რაღაც ბერმუდის სამკუთხედად.*

-მეუბნება 1974 წელს დაბადებული რატი, რომლის სტუდენტობის პირველი წლები სამოქალაქო ომს დაემთხვა. „თბილისის ომის“ მკაფიო ტერიტორიზაციაზე საუბრობს 1977 წელს დაბადებული ქეთიც, რომელიც აკვირდება, რომ თბილისის ცენტრში მონიშნული ამ სივრცის მიღმა ომი თითქოს არ აღწევდა და დანარჩენი ქალაქი - მაგალითად, მისი საცხოვრებელი უბანი, საბურთალო - ჩვეულებრივი ყოველდღიურობით აგრძელებდა ცხოვრებას:

> *იქით იყო ომი და დავიდარაბა და აქეთკენ ჩვეულებრივად ვცხოვრობდით. ტაში, ტუში, ხალხი დაბადების დღეებზე დადიოდა [იცინის]. იმელის აქეთ ჩვეულებრივი ცხოვრება, იქითკენ - ხოცვა.*

ქალაქის ცენტრის სიახლოვეს ცხოვრება, რომელიც „თბილისის ომამდე“ მოქალაქეებისათვის პრესტიჟისა და პრივილეგიის ნიშანი და ცენტრში მდებარე რესურსებთან წვდომის საშუალება იყო, ომის დროს საფრთხედ იქცა. 1987 წელს დაბადებული დათო მეუბნება, რომ ვაკეში მცხოვრები მისი ოჯახი „თბილისის ომის“ საშიშროებისგან თავის ასარიდებლად დროებით ვარკეთილში გადავიდა საცხოვრებლად. იმავეს მიყვება 1976 წელს დაბადებული მარიც, რომლის ოჯახის წევრი ქალები მამაკაცებმა ომის დროს თბილისის ცენტრიდან ნაძალადევში გახიზნეს.

ტერიტორიზაციის მეორე, მნიშვნელოვანი საკითხი თბილისის უბნების კიდევ უფრო მკაფიო დიფერენციაციას უკავშირდება. როგორც პირველ თავში აღვნიშნე, სამოქალაქო ომის შემდეგ, სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობის პირობებში, თბილისზე კონტროლი, დიდწილად, არაფორმალური ჯგუფების ხელთ აღმოჩნდა, რომელთა შორის გასამხედროებული შენაერთები და ზოგჯერ, მათთან ასოცირებული, თბილისის უბნებზე „მიბმული“ ჯგუფები იყვნენ. ეს ჯგუფები, ხშირად, უბნის დასახელების მიხედვით

იდენტიფიცირდებოდნენ და უბნის სახელს ატარებდნენ. ჩემი რესპონდენტი რატი, რომელიც თვითონაც ხშირად იყო უბნის კონფლიქტების მონაწილე, მიყვება, რომ უბნებზე მიმაგრებული „საძმოები“ თბილისის „ჩვეულებრივი“ ახალგაზრდა მოქალაქეების სამეგობროებისგან შედგებოდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთ უბანში ცხოვრობდნენ:

> *ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ. საძმაკაცო იყო ჩვეულებრივი. მერე დაარქვეს - ამის საძმო, იმის საძმო. უბნების მიხედვით [...] კონფლიქტების სერია რომ წამოვიდა, საძმაკაცო იარაღებს შოულობდა, იყო საერთო იარაღის მარაგი. ზოგს პირადი ჰქონდა. ეს „საძმოები“ იცი როგორ დაერქვა? ძმაკაცობდნენ ბავშვობიდან ტიპები, ან ფეხბურთზე დადიოდენ, ან კალათბურთზე ერთად, სკოლელები იყვნენ, ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ და სულ ეგ იყო, მეტი კი არაფერი.*

რატი „საძმოებთან“ ერთად ხშირად ახსენებს გასამხედროებულ შენაერთებსაც და მათ „კლასობრივ შემადგენლობას“ უსვამს ხაზს. „მხედრიონში“, რომელიც მისი თქმით, თავდაპირველად, თბილისელთა პრესტიჟულ „კლუბად“ ითვლებოდა, უფრო ხშირად თბილისის ცენტრში მცხოვრები კულტურული ელიტის წარმომადგენლები ერთიანდებოდნენ. აქ რატის მსჯელობა მენინგის ანალიზს ემთხვევა, რომელიც „თბილისის ომს“ ინტელიგენციის ინტელიგენციასთან დაპირისპირებად ხედავს და ჩემი რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგჯერ, ერთი ოჯახის წევრები დაპირისპირების სხვადასხვა მხარეს იდგენენ:

> *თბილისის მხედრიონში - მოკვდები სიცილით რომ გაიგებ რა ხალხი იყო - მხატვრები, მწერლები, რეჟისორები [...]. თბილისის „მხედრიონი“ მოდაში შემოვიდა - სულ გამოსული ბიჭები, ნავაროჩენი პონტი გაიჩითა. ძალიან უცნაურად - მამა შეიძლებოდა ზვიად გამსახურდიას მომხრე იყო, შვილი - მხედრიონში, ამის უამრავი მაგალითია.*

ჩემი რესპონდენტები თბილისის პერიფერიული უბნებიდან (გლდანი, ნაძალადევი) აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო ომის შემდეგ გასამხედროებული შენაერთები და უბნის

საძმოს მსგავსი ჯგუფები მათ უბნებშიც იყვნენ, თუმცა, თბილისის ცენტრის ჯგუფები უფრო გავლენიანები იყვნენ და ამინდს სწორედ ისინი ქმნიდნენ:

> *[საძმოები ნაძალადევშიც] იყო, როგორც ყველა უბანში. მაგრამ რომ გითხრა რომ ასეთი - როგორც კულინარიელები იყვნენ საბურთალოზე - ესეთი მწარე არ ყოფილა. მარტივი მიზეზის გამო - ჯერ ერთი, [ნაძალადეველები] როგორი ღატაკებიც იყვნენ, ისევ ისეთი ღატაკები დარჩნენ, არც იმდენი იარაღი ჰქონდათ და არც იმდენი ზურგი. ის კულინარიელები სულ დიდი ხალხის შვილები იყვნენ. ზურგი ჰქონდათ.*

ქალაქის ცენტრის, განსაკუთრებით - ვაკის - კრიმინალური გავლენის უპირატესობის ფესვებს საბა საბჭოთა განაშენიანებისა და განსახლების პოლიტიკაში ხედავს. მისი აზრით, პოსტსაბჭოთა კრიმინალურობა საბჭოთა ჩრდილოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენების „მემკვიდრეა“, 90-იანი წლების გავლენიანი ქუჩის „საძმოები“ კი - 60-იანების, ქალაქის ცენტრში თავმოყრილი საბჭოთა გავლენიანი ჯგუფების მემკვიდრეები არიან:

> *„[60-იანებიდან] დაიწყო უკვე ვაკის მშენებლობა. იქ [ელიტის წარმომადგენლები] უკვე ერთად ცხოვრობდნენ, 4-სართულიანი სახლები და მთელი ცეკა-ტეკა სულ ვაკეში იყო. მამიდაჩემი [ყვებოდა], 54 წელში სტუდენტები რომ გავხდითო, უნივერსიტეტის იქით მეჯღანეების მეტი - მიწურები რომ ქონდათ - არავინ ცხოვრობდაო. სახლი არ იდგა. მერე წავიდა, 60-იანებში, აშენდა, აშენდა. ეგ ხალხი აკონტროლებდა რა მერე ყველაფერს, ყველაფერს არალეგალურს.*

საბასა და რატის ანალიზი აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა თბილისის ქუჩის კულტურის სივრცითი და კლასობრივი ლოგიკა ნიშანდობლივად განსხვავდება „ბანდების“ შესახებ კლასიკურ ლიტერატურაში აღწერილი სურათისაგან. თუკი, მაგალითად, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ლათინურ ამერიკაში ჩატარებულ კლასიკურ გამოკვლევებში (Whyte 1947; Mares 2001; Rodgers 1999) ქუჩის ბანდების გეოგრაფია, ჩვეულებრივ, მუშათა კლასის უბნებისა და „ჯურღმულების“ (slums) კულტურას უკავშირდება, პოსტსაბჭოთა თბილისში კრიმინალურობა „ცენტრიდანულია“ და მის

ყველაზე გავლენიან აქტორებად ქალაქის პრესტიჟულ, ცენტრალურ უბნებში მცხოვრები ელიტები აღიქმებიან.

დეტერიტორიზაცია პოსტსაბჭოთა თბილისში

პოსტსაბჭოთა საქართველოში, მობილობაზე შეზღუდვების გაუქმებისა და მწვავე ეკონომიკური კრიზისის კვალდაკვალ, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცენტრისკენული მიგრაცია გაიზარდა - დასაქმებისა და სარჩოს მოპოვების უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად, გაღატაკებული რეგიონებიდან მოქალაქეების ნაწილი სულ უფრო ხშირად მიგრირებდა დედაქალაქისაკენ. თბილისში მიგრირებულ მოქალაქეთა რიცხვი გაიზარდა აფხაზეთის ომის შემდეგაც, როცა აფხაზეთიდან დევნილი იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილი დედაქალაქში დასახლდა. თბილისის მოსახლეობის ნაწილისათვის, შიდა მიგრაციის ეს ნაკადები ზოგჯერ საფრთხედ იყო აღქმული. ერთი ნაწილისათვის, ეს ეკონომიკურ საფრთხეს მოასწავებდა, სხვებისათვის კი - სოციალურ და კულტურულ საფრთხეს, რამდენადაც ახალ სოციალურ ჯგუფებს ქალაქის „ორგანულ ნაწილად“ ვერ ხედავდნენ. თავის მხრივ, დევნილებიც ხშირად ვერ ხედავდნენ თავს ქალაქის ნაწილად. თბილისში ურბანული ელიტის მიერ „სოფლელების“, როგორც „უცხო სხეულის“ აღქმა გაამძაფრა და ზედაპირზე ამოიტანა სახელმწიფო გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის ფონმა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამსახურდიას მოწინააღმდეგე ურბანული ინტელიგენცია მის მომხრეებს ხშირად „პროვინციელებს“ უწოდებდა და 1990-იან წლებში ქალაქის ცენტრში მიმდინარე ხშირი საპროტესტო გამოსვლებისას მათ ხილულ რეპრეზენტაციას ურბანული ელიტების ნაწილი „ქალაქში უცხო სხეულის შემოჭრად“ აღიქვამდა, რომელსაც ქალაქში „უკულტურო“, არაურბანული ცხოვრების წესი შემოჰქონდა. ეს წარმოდგენა ნათლად ჩანს გამსახურდიას მოწინააღმდეგის, სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი მონაწილის, პროფესიით მოქანდაკის, თბილისელი თენგიზ კიტოვანის სატელეფონო საუბრის ვიდეოჩანაწერში, სადაც ის გამსახურდიას მხარეს მიმართავს, „გაიყვანონ სოფლელები [ე.ი., რუსთაველის გამზირზე შეკრებილი გამსახურდიას მომხრეები - თ.ხ.] რუსთაველიდან“. „წავიდნენ სახლებში ეს სოფლელები

რომ ჩამოყარეთ“ - ამბობს კიტოვანი 1991 წლის 21 დეკემბრის ცნობილ ვიდეოჩანაწერში, სამოქალაქო ომის დაწყების წინა დღეს (ბჟანია 2012).[43]

ცენტრისკენული მიგრაციის პარალელურად, მეორე მხრივ, გაიზარდა ქვეყნიდან ემიგრაციის მაჩვენებელიც, რადგან სამუშაოსა და შემოსავლის გარეშე დარჩენილი მრავალი მოქალაქე იძულებული იყო, სამუშაო საზღვარგარეთ ეძებნა. მათ შორის მნიშვნელოვან წილს ქალები - მათ შორის, ზოგჯერ უმაღლესი განათლების მქონე თბილისელები - შეადგენდნენ, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში პრეკარიულ შრომას ეწეოდნენ. ჩემი რესპონდენტი, 1976 წელს დაბადებული მარი თვლის, რომ საქართველო კიდევ უფრო მწვავე ეკონომიკური კრიზისისაგან სწორედ პრეკრიული შრომითი მიგრაციით წასულმა ქალებმა გადაარჩინეს:

> *როდესაც ეს ყველაფერი დამთავრდა, ამას ბევრი რკვევა არ უნდა, რომ ქალებმა გადაარჩინეს საქართველო, ხო? ყველა კაცი ლოგინში დაწვა. დეპრესიით. და ქალებმა დაიწყეს ეს თურქეთი, ეს ვაჭრობა, უბედურება. და ამ ვაჭრობით და იმით, უცხოეთში წასვლით [გადაარჩინეს საქართველო]. დღემდე ძაან ბევრი ქალია [საზღვარგარეთ დარჩენილი].*

ამ თვალსაზრისით, ქალების სივრცითი მობილობა მათი ოჯახებისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების წყაროს წარმოადგენდა, თუმცა, თავად მიგრანტებისათვის საზღვარგარეთ - ხშირად, არალეგალურად - დასაქმება საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ერთი მხრივ, ეს ეკონომიკური და პერსონალური საფრთხე შეიძლებოდა ყოფილიყო, მეორე მხრივ კი - საქართველოში დარჩენილ ოჯახთან კავშირის წყვეტისა და ჩვეული სოციალური კავშირების გარემოს დაკარგვის საშიშროება.

რეტერიტორიზაცია პოსტსაბჭოთა თბილისში

---

[43] თენგო ბჟანია, „თბილისის მხატვარი“ საქართველოშია - თენგიზ კიტოვანი დაბრუნდა”. იუტუბის ვიდეო, 2:23, 21.12.2012. https://www.youtube.com/watch?v=z2dml3H9QlQ

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკური ვითარება შედარებით სტაბილური გახდა. ამ პერიოდში ქალაქის სივრცის ისეთი რადიკალური ცვლილება არ განხორციელებულა, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თუმცა, იკვეთება რამდენიმე ცვლილება, რომელსაც თბილისში კლასის რეტერიტორიზაციის (ახლებური ფორმით ტერიტორიზაციის) გარკვეულ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. ადრეული პოსტსაბჭოთა თბილისის სივრცითი ტრანსფორმაციის ტენდენციებს სალუქვაძე ორ ეტაპად ყოფს - თუკი 1991-1996 წლები ურბანული სტრუქტურის გაჩანაგებით არის აღბეჭდილი, 1997-2003 წლებში ქალაქის შეზღუდულ ცენტრალურ არეალებში ახალი ფრაგმენტული მშენებლობები ჩნდება (Salukvadze 2009,167).

პოსტსაბჭოთა ტრანზიციამ საბაზრო ეკონომიკური მოდელისაკენ, მიწის ბაზრის გაჩენამ და უძრავი ქონების პრივატიზაციამ თბილისის მოსახლეობის ნაწილს ქალაქის ტერიტორიის ახლებურად ათვისების შესაძლებლობა გაუჩინა, რომელსაც ზოგჯერ „ველურ ურბანიზაციას“ უწოდებენ. 80-იანი წლების ბოლოდან უძრავი ქონების პრივატიზაციისა და „მიშენებების“ ლეგალიზაციის შემდეგ, ქალაქმა „შიდა გაფართოება“ დაიწყო - მოქალაქეები ყველა ხერხით ცდილობდნენ, სახოვრებელი ფართი გაეზარდათ - მაგალითად, „კამიკაძე ლოჯიების“[44] მიშენების გზით, რომლებიც, ხშირად, სამშენებლო უსაფრთხოების ყოველგვარ ნორმას სცილდებოდა (Salukvadze 2009,179). გარდა ამისა, ამ პერიოდში არაერთმა მოქალაქემ დაიწყო საზოგადოებრივი სივრცეების, მაგალითად, საცხოვრებელი „კორპუსების“ ეზოების სივრცის მითვისება და იქ გარაჟებისა თუ ჯიხურების ჩადგმა. როგორც წინა თავში აღვნიშნე, თუკი სამშენებლო ნორმის დარღვევის

[44] “კამიკაძე ლოჯია“ - ასე უწოდეს პოსტსაბჭოთა თბილისისთვის დამახასიათებელ ამ არაფორმალურ არქიტექტურულ დეტალს თანამედროვე ხელოვანებმა, რომლებმაც 2013 წელს გამართულ ვენეციის 55-ე სახელოვნებო ბიენალეზე საქართველოს პავილიონი ძველ შენობაზე მიშენებული „პარაზიტული ნაგებობით“ წარადგინეს (იდეის ავტორები - გიო სუმბაძე, Joanna Warsza). ეს სახელწოდება 90-იანების თბილისური „მიშენებების“ არამყარ, სასიცოცხლო საფრთხისშემცველ ხასიათს აღწერს. Biennial Foundation, “Kamikaze Loggia – the Georgian Pavilion at the 55th Venice Biennale stays for the Venice Architecture Biennale”, 02.01.2014. უკანასკნელად ნანახია: 09.07.2022. https://biennialfoundation.org/2014/01/kamikaze-loggia-the-georgian-pavilion-at-the-55th-venice-biennale-stays-for-the-venice-architecture-biennale/

გზით ქალაქის შიდა გამჭიდროება ინფრასტრუქტურულ და ზოგჯერ, სასიცოცხლო საფრთხეებს უკავშირდება, საზოგადოებრივი სივრცეების - ეზოების, სათამაშო მოედნების, პარკებისა და სკვერების - კერძო პირების მიერ მიტაცება მოქალაქეებს სარეკრეაციო და სოციალიზაციის სივრცეებს ართმევს და სოციალურ, ფიზიკურ და კულტურულ საფრთხეებს აყალიბებს.

1990-იანებსა და 2000-იანების დასაწყისში მიწის ბაზრის გაჩენის შედეგად, თბილისის საუკეთესო მიწებს პრივილეგირებული ჯგუფები (ბიუროკრატები, ბიზნესმენები, ან კორუფციით ან არალეგალური ვაჭრობით გამდიდრებული კრიმინალები) იძენდნენ, რისთვისაც ხშირად არაფორმალურ გარიგებებს, ქრთამს და „ნაცნობობას“ მიმართავდნენ. მათი მთავარი „სამიზნე“, ჩვეულებრივ, ქალაქის ცენტრში მდებარე, ყველაზე სახარბიელო ტერიტორიები იყო. იმ ჯგუფების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით კი, რომელთაც ამ სივრცეებში ახალაშენებულ საცხოვრებლებზე ხელი მიუწვდებოდათ, ბაზარი ვიწრო იყო (Salukvadze 2009). 90-იანებისა და ადრეული 2000-იანების თბილისში კლასის ახლებური ტერიტორიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო სივრცე საირმის გორა იყო, სადაც ზემოაღწერილმა პრივილეგირებულმა ჯგუფებმა თანდათანობით ახალი, კერძო, გალავნით შემოსაზღვრული ვილების შენება დაიწყეს. პოლ მენინგი (2009b) ამ ტენდენციის ანალიზისას აღნიშნავს, რომ ამ ვილების მეპატრონეები მისი ინფორმანტების, ტრადიციული თბილისური კულტურული ელიტების გადმოსახედიდან, „ახალი ქართველები“ - ნუვორიში „ქაჯები“ არიან, რომლებიც თბილისს, ერთი მხრივ, სიმბოლურად, მეორე მხრივ კი - მატერიალურად გარდაქმნიან. „ქაჯი“ მენინგთან პოსტსაბჭოთა „პარვენიუს“- სოფლიდან ჩამოსული ნუვორიშის აღმნიშვნელი ცნებაა, რომელიც თბილისურ „კულტურულობას“ არ იცნობს და რომელსაც ქალაქისათვის არაორგანული ცხოვრების წესი „ჩამოაქვს“. ამ ანალიზში, პრესტიჟული თბილისის არქეტიპულ სახეს ქალაქის ტრადიციული, მე-19 საუკუნეში განაშენიანებული უბნები და მისი მოსახლეობა (ურბანული კულტურული ელიტა, „ინტელიგენცია“) წარმოადგენს, ხოლო მათი ცხოვრების წესის არქიტექტურული სიმბოლო ღია აივნებია, რომლებიც „ღია სოციალურობას“, საჯაროობას გამოხატავს. ამის საპირისპიროდ, სახელდახელოდ გამდიდრებული „ახალი ქართველების“ („ქაჯების“) ცხოვრების წესის

არქიტექტურული განსხეულება „გალავნებით შემოსაზღვრული“ კერძო სივრცეები და „უგემოვნო ვილებია“, რომლებიც ქალაქურობის, როგორც ღია სოციალურობის შესახებ წარმოდგენასთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის. ამრიგად, თბილისის პოსტსაბჭოთა რეტერიტორიზაცია ქალაქში ახალი, „ნუვორიშების“ კლასის „შეჭრას“ და ტერიტორიის მონიშვნას გულისხმობს, რაც, თბილისის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კულტურული ელიტების აღქმაში, მათთვის ნაცნობი ღირებულებების რღვევისა და პრივილეგირებული სოციალური სტატუსის დაკარგვის საშიშროებას - სოციალურ და კულტურულ საფრთხეებს ქმნის.

დასკვნა

თბილისის სივრცის საბჭოთა ტერიტორიზაციის ზევიდან ქვევით მიმართული (top-down) პოლიტიკის შედეგად, ქალაქის ბირთვი (ერთი მხრივ, „ძველი თბილისის“ ტრადიციული ცენტრალური სამეზობლოები, მეორე მხრივ კი - საბჭოთა პერიოდში განაშენიანებული ვაკე და საბურთალოს ნაწილი) საბჭოთა თბილისის პოლიტიკური, ინტელექტუალური, ფინანსური და კულტურული ელიტების განსახლების სივრცეებად მოინიშნა. „ვარდების რევოლუციამდელმა“ პოსტსაბჭოთა ცვლილებებმა ეს სურათი, ნაწილობრივ, უფრო გამოკვეთა, ნაწილობრივ კი მასში კორექტივები შეიტანა. 1990-2000-იან წლებში ცენტრალური უბნების გაღარიბებული მოსახლეობის ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ნაწილმა კი ქალაქის ცენტრში მდებარე ბინა გაყიდა და პერიფერიებში მდებარე უფრო იაფ საცხოვრებელ სივრცეებში გადაინაცვლა. ქალაქის სოციალური შემადგენლობა შეცვალა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მზარდმა ცენტრისკენულმა მიგრაციამაც. თბილისის ტრადიციული მოსახლეობისათვის ქალაქში ახალი სოციალური ჯგუფების (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან, ან შრომითი მიგრანტები საქართველოს პერიფერიებიდან) გაჩენა, მკვიდრი თბილისელების აღქმაში, ზოგჯერ ეკონომიკურ (მიგრანტთა მიერ სამუშაო ადგილების მითვისების საშიშროება) და კულტურულ საფრთხედ („პროვინციელების“ ქალაქში შემოჭრა და ჩვეული კულტურული ნორმების რღვევის საშიშროება) აღიქმებოდა, რასაც „ქალაქსა“ და

„სოფელს“ შორის განსხვავების შესახებ სოციალური წარმოდგენები ზედაპირზე ამოჰქონდა. თავად თბილისის შიგნით „უბნურ ექსკლუზიურობას“ და სხვადასხვა უბნის სტატუსებს შორის უთანასწორო, იერარქიულ მიმართებას უბანზე მიმაგრებული „ბანდები“ გამოხატავდნენ, რომლებიც უბნის მაკონტროლებელ არაფორმალურ „პატრონებად“ იკვეთებოდნენ. 2000-იანების დასაწყისისათვის კი თბილისში „ახალი ქართველების“ ფენა გამოიკვეთა, რომლებსაც ძველი ურბანული ელიტები „უკულტუროებად“, ქალაქში შემოჭრილ „უცხო სხეულებად“ მიიჩნევდნენ. ეს სურათი დახვდა თბილისში 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციას“, რომელსაც თბილისში ახალი ტიპის დეტერიტორიზაცია და რეტერიტორიზაცია მოჰყვა.

თბილისის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციის ლოკალური ასპექტები

როგორც ზევით აღვნიშნე, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თბილისის მოქალაქეების საზიარო ცოდნა კლასის ტერიტორიზაციის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლოგიკის შესახებ (და ამ ლოგიკაზე აგებული სოციალური ტაქტიკები) ნაწილობრივ, შენარჩუნდა. ამას რესპონდენტების რეფლექსია მოწმობს, რომელიც მკაფიოდ ირეკლავს მეხსიერებას საბჭოთა „ჩაწერის“ სისტემისა და მოქალაქეთა ტერიტორიული ლოგიკის შესაბამისად კლასიფიკაციის შესახებ. თუმცა, რევოლუციის შემდგომმა ცვლილებებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებთან ერთად, კლასისა და ტერიტორიის მიმართების შესამჩნევი ტრანსფორმაცია განაპირობა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დეტერიტორიზაციასა და რეტერიტორიზაციაზე საუბრისას ვგულისხმობ პროცესებს, როცა თბილისში კლასის ტერიტორიული განფენის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლოგიკა ნაწილობრივ რღვევას იწყებს და ყალიბდება ახალი მიმართება, რომელიც ძველს ნაწილობრივ ანაცვლებს, ნაწილობრივ კი - ზედ დაეშენება. დეტერიტორიზაციისას ადამიანები, იდეები და კულტურული წარმოდგენები წინანდელ

ტერიტორიულ მიჯაჭვულობას კარგავენ. რეტერიტორიზაცია კი სივრცეში მათ ახლებურ განფენას გულისხმობს.

თბილისის ლოკალურ კონტექსტში, დეტერიტორიზაცია და რეტერიტორიზაცია მჭიდროდ უკავშირდება თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციას. ჩემი ყველაზე ხანდაზმული რესპონდენტი, 1933 წელს დაბადებული თენგიზი თავის მონათხრობს ასე იწყებს:

მე, მოგეხსენება ჩემო კარგო, ხანდაზმული კაცი ვარ, უკვე მეცხრე ათასწლეულში ვარ გადამდგარი და სულ სხვა თბილისსაც მოვესწარი, რომელიც ცნობიერად რომ გაგღვიძებოდა დღეს და გცოდნოდა, რა იყო უკან, იმხელა განსხვავებაა, რომ შეიძლებოდა რაღაც სხვა სამყაროში მოხვედრილად ჩაგეთვალა თავი. იმდენად, რომ წარმოიდგინე, ახმაურებულ თბილისში ერთადერთი, რასაც ვისმენდი, სიონის ზარების რეკვა იყო. აი ეს ხმა გვესმოდა. რატომ? - ქალაქში არ იყო ხმაური. არ იყო ასეთი მოძრაობები. ჰოდა, ამოდიოდა ხარფუხში. ის ზარების რეკვა ახლაც კი მაქვს ყურში და არ მავიწყდება.

თუკი თენგიზის ამ ნოსტალგიურ მონათხრობში თბილისის „მთავრი ხმაური“ ეკლესიის ზარის ხმაა, 2010-იანი წლებისათვის ქალაქს სხვა ხმაური იპყრობს.

თუკი 1990-იანი წლების ეკონომიკურ სიდუხჭირეს, შიდა სამოქალაქო თუ ეთნიკურ დაძაბულობასა და მზარდ ემიგრაციას მოსახლეობის 15%-ის შემცირება მოჰყვა, 2000-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ცენტრისკენული მიგრაციის შედეგად, ქალაქის მოსახლეობამ ზრდა დაიწყო. თბილისის მოსახლეობა დამატებით გაიზარდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა ახალი ნაკადების ხარჯზეც. მოსახლეობის ზრდამ კი საცხოვრისზე მოთხოვნა გაზარდა, რასაც ბაზრის მხრიდან საპასუხო „მიწოდება“ - არსებული სამეზობლოების შიდა გამჭიდროების ხარჯზე საცხოვრებელი შენობებით მზარდი ახალგანაშენიანება მოჰყვა (Gentile, Salukvadze and Gogishvili 2015,144).

აი ამდენი მშენებლობაა ... მცირე ქვეყნების მე მგონი, დიდი შეცდომა ის არის, რომ სამყაროს დიდ ქვეყნებს რაღაცნაირად აყვე და მოისურვო რომ ... მეგაპოლისს შენ ვერ შექმნი.

ჩემი რესპონდენტი, თენგიზი აქ პოსტრევოლუციურ თბილისში დაწყებულ „სამშენებლო ბუმს“ ეხმიანება, რომელიც ქალაქს სამშენებლო ხმაურით ავსებს. გამალებულ მშენებლობებს კი ის თბილისის „მეგაპოლისად“ ქცევას უკავშირებს. ამავე ცნებას ახსენებს 1977 წელს დაბადებული ქეთიც, რომელიც მეუბნება:

ნელ-ნელა თბილისი გახდა რაღაცა, ვითომ პრეტენზია მეგაპოლისზე. მაგრამ ჩემ ბავშვობაში სხვანაირი იყო, თბილისი იყო აი ესეთი, როგორიც ააშენეს. მშენებლობები ესე არ იყო. მშენებლობები იყო რაღაცა ახალ უბნებში - ვარკეთილი, რაღაცა შენდებოდა. ეს იყო ჩვენს მიღმა აბსოლუტურად. ცენტრში ესე სტიქიურად არ მიდიოდა მშენებლობები. და მოსახლეობაც სხვა იყო.

ქეთი ერთი მხრივ, გამალებულ სამშენებლო ბუმს აკვირდება, რომელიც უფრო ინტენსიურად ქალაქის ცენტრში მიმდინარეობს. ამავე დროს, ქეთისათვის ეს ახალი განაშენიანება ქალაქის ცენტრში ახალი მოსახლეობის გაჩენას უკავშირდება. ახალი მოსახლეობა, ერთი მხრივ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული მოქალაქეებისგან შედგება, მეორე მხრივ კი - პერიფერიების ყოფილი მოსახლეობისაგან, რომლებიც ქალაქის ცენტრში იწყებენ ცხოვრებას. ქეთის აღქმაში, ეს ქალაქის ცენტრის კლასობრივი შემადგენლობის ცვლილებას გულისხმობს, როცა მკვიდრი მოსახლეობა ქალაქის ცენტრს ტოვებს და მათ ადგილს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ან - თბილისის პერიფერიული უბნებიდან მიგრირებული ჯგუფები იკავებენ, რომლებიც ქეთისთვის „ჩამოსულის“, ან „პროვინციელის“ საერთო კატეგორიაში თავსდებიან. ამ პროცესს, მისი პერსპექტივიდან, „თბილისელების“ - ქალაქის ცენტრის მკვიდრი ელიტების - „უხერხემლობა“ (ახალ ეკონომიკურ სისტემასთან ადაპტაციის სირთულე) და „პროვინციელების“ სიყოჩაღე განაპირობებს:

ცოტა ხანში შენ, უხერხემლო იდიოტი აღმოჩნდები სადღაც ვაზისუბნის რაიონში და შენს სახლს აუცილებლად იყიდის ის პროვინციელი, რომელიც ჩამოვიდა, მაგრამ შენგან განსხვავებით ძაან ბევრი აკეთა.

თუმცა, ჯენტილე, სალუქვაძე და გოგიშვილი (Gentile, Salukvadze, and Gogishvili 2015) ქალაქის ცენტრის გაღარიბებული ადგილობრივი მოსახლეობის ახალი, უფრო შეძლებული ჯგუფებით ჩანაცვლების უფრო სისტემურ ხასიათზე მიუთითებენ. თბილისში მიმდინარე ამგვარ ტრანსფორმაციას ავტორები „ახალმშენებლობითი ჯენტრიფიკაციის“ (newbuild gentrification) ცნებით აღწერენ და აღნიშნავენ, რომ „გლობალური ჩრდილოეთისაგან“ განსხვავებით, „გლობალურ სამხრეთში“[45] ჯენტრიფიკაცია არა უბრალოდ, ცენტრად მიჩნეულ ურბანულ სივრცეში ახლებური სოციალური პატერნების წარმოქმნას გულისხმობს, არამედ - მასშტაბურ ახალმშენებლობით პროექტებსაც, რომლებიც ქალაქის სოციალურ-სივრცით მახასიათებლებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ ცვლის. ამ პერსპექტივიდან, ჯენტრიფიკაცია კლასის ხელახალი წარმოქმნის პროცესია, რომელსაც თავისი „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“ ჰყავს (იქვე). თბილისის ცენტრის კონტექსტში, ასეთი „დამარცხებულები“, ხშირად, არა „მუშათა კლასი“, არამედ გაღარიბებული ადგილობრივი ინტელიგენციაა, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნე, ჩვეულებრივ, საბჭოთა თბილისის ცენტრად ჩამოყალიბებულ სივრცეში იყო განსახლებული (მაშინ, როცა „მუშათა კლასი“ ჩვეულებრივ, ქალაქის გვიანდელ საბჭოთა ეპოქაში განაშენიანებულ პერიფერიებში ცხოვრობდა). ახალგანაშენიანებითი ჯენტრიფიკაციის ფარგლებში უბანში ახალი, უფრო შეძლებული ფენის მიერ და ძველი, უფრო ღარიბი ჯგუფების ჩანაცვლება ორგვარად შეიძლება მოხდეს: პირველი - ახალი, უფრო შეძლებული მოსახლეები ძველებისაგან ბინას ყიდულობენ, ძველი მოსახლეები კი - სხვა სივრცეში ინაცვლებენ. მეორე - მოსახლეობის ზრდა და ახალი, უფრო შეძლებული ფენის გაჩენა უბანში საცხოვრებელი ხარჯების - მაგალითად, სურსათისა და სხვა

[45] „გლობალური ჩრდილოეთისა“ და „გლობალური სამხრეთის“ განსაზღვრება არა გეოგრაფიულ მიჯნებს, არამედ ეკონომიკური განვითარების ლოგიკას ემყარება, სადაც პირველი მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებსა და რეგიონებს მოიცავს, მეორე კი - ეკონომიკურად განუვითარებელს. თბილისს ავტორები პოსტკომუნისტურ მეგაპოლისად განმარტავენ, რომელიც, ამავე დროს, გლობალურ სამხრეთს მიეკუთვნება და ამრიგად, „პოსტკომუნისტურ სამხრეთს“ წარმოადგენს. Gentile, Salukvadze, and Gogishvili. "Newbuild Gentrification," 135.

რესურსების - გაძვირებას იწვევს, რომელსაც ძველი, გაღარიბებული მოსახლეები ვერ სწვდებიან და შედეგად, უფრო იაფ სივრცეებში უწევთ საცხოვრებლად გადასვლა (Marcuse 1986):

ძალიან შეიძლება გამიჭირდეს მალე ვაკეში ცხოვრების გაგრძელება. უნდა წავიდე, ბაზარში, იქიდან მოვიტანო [პროდუქტი], ან ნავთლულში. ხომ ხვდები. მე კიდევ პრივილეგირებული ჯგუფი ვარ, მაგრამ [უბანში] შემორჩენილია საბჭოთა ხანდაზმული ინტელიგენცია, რომელმაც ასე ადვილად ადაპტაცია ვერ მოახერხა ამ სისტემაში და გაჭირვებულია.

მეუბნება ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი. ამასთან, ჯენტრიფიკაციამ არამხოლოდ „ყოფილი ელიტები“, არამედ „ჩამოსულების“ მოწყვლადი ჯგუფებიც შეიძლება დააზარალოს და განდევნოს ქალაქის ცენტრიდან, რომლებიც ჯენტრიფიკაციამდე ბინას ქალაქის ცენტრში ქირაობდნენ, რაც მათ ქალაქის ცენტრის სიკეთეებზე წვდომას უზღუდავს. თუმცა, ამ პროცესზე დაკვირვებას ქირავნობის არაფორმალობა ართულებს, რაც მოქირავნეებს „უჩინარ ჯგუფად“ აქცევს:

ჯენტრიფიკაციის პროცესში მოქირავნეები არსებობენ, უბრალოდ არსად არ ჩანან. უბრალოდ, ეს სექტორი იმდენად არაფორმალურია, რომ ჩვენ ვერც ვხედავთ. აბსოლუტურად უჩინარია. ვინც მოქირავნეა [იჩაგრება]. [ამათ] ქალაქის ცენტრზე წვდომა ეზღუდებათ - თუ მანამდე არსებობდა გარკვეული მრავალფეროვნება თუნდაც ფასების თვალსაზრისით, ქირავნობის კუთხით - რეაბილიტაციის და უცხოური კაპიტალის მოწოლის შემდეგ [...], აღარ რჩება ქალაქის ცენტრზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ჯგუფებისთვის. [...] რაღაცა ჯგუფი იქმნება, რომელსაც აქვს ამ ცენტრზე წვდომა, მაგრამ იქნება ყოველთვის ჯგუფი, რომელსაც ეს წვდომა არ ექნება - თუნდაც ის, რომ იცხოვროს. იქირაოს, ან სიკეთეები, რაც შეიძლება ცენტრს ჰქონდეს - ეს გამოიყენოს. სამსახურთან ახლოს ცხოვრება და ა.შ.

თუმცა, „ჯენტრიფიკაციასთან დამარცხება“ მშობლიური სივრციდან მხოლოდ „ფიზიკურ განდევნას“, „ფიზიკურ ადგილნაცვალობას“ არ ნიშნავს. ჯენტრიფიკაციის პროცესში ფიზიკური განდევნის არარსებობის შემთხვევაშიც კი (ან ჯერ კიდევ ფიზიკურ

განდევნამდე) მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობა „სიმბოლურ განდევნას“ განიცდის. უბნის მატერიალური, სოციალური და კულტურული მახასიათებლების ცვლილება მასში ახალი ელემენტების (ურბანული „ჩანართებისა“ თუ ახალი მოსახლეებისა და ცხოვრების წესის) გაჩენის გზით ძველ ადგილობრივ ბინადრებს ადგილისადმი კუთვნილების განცდას უკარგავს (Gentile, Salukvadze, and Gogishvili 2015). მაშინაც კი, თუკი ისინი ახალ სივრცეში არ განიდევნებიან, თავად ახალი სივრცე „მიდის“ მათთან, როცა ჩვეული საცხოვრებელი გარემო ახალი ვიზუალური და სოციალური მახასიათებლებით იტვირთება (Davidson and Lees 2010). ეს გამიუსაფრების (un-homing) პროცესი მშობლიურ მატერიალურ ურბანულ გარემოსთან კავშირის, ჩვეული ცხოვრების წესისა და სამეზობლო სისტემების წყვეტას გულისხმობს, რომელიც ყოველდღიური გამოცდილებისეულ, ფინანსურ, სოციალურ, ოჯახურ და ეკოლოგიურ განზომილებებს მოიცავს (Cooper, Hubbard, and Lees 2020). ჩემი რესპონდენტები, რომლებიც წინა თავში ქალაქის გაუსაძლისად ქცევასა და მისგან გაქცევის სურვილზე ლაპარაკობენ, სწორედ ამ გამიუსაფრების განცდას აღწერენ. ეს განცდა, ერთი მხრივ, ეს ქალაქისა და მათი მშობლიური უბნების ჩვეული ლანდშაფტის ცვლილებით არის გამოწვეული. ეს ცვლილება მოიცავს ქალაქის „მოდერნიზაციის“ მანიშნებელი ახალი, ფოლადის და შუშის „გიგანტური ცათამბჯენებისა“ და ურბანული ნიშანსვეტების გაჩენას, საცხოვრებელი შენობების „სამშენებლო ბუმის“ შედეგად ქალაქის ცენტრის შინაგან გამჭიდროებასა თუ ქალაქის სივრცის მზარდი პრივატიზაციის ხარჯზე საზოგადოებრივი სივრცეების შემცირებას, რასაც მუდმივ ფონად სამშენებლო ხმაური, დაბინძურება და სივრცის ქაოტიზაცია ერთვის. მეორე მხრივ კი ამ პროცესებს უბნის სოციალური შემადგენლობის ცვლილება და ჩვეული სოციალური ურთიერთობების სისტემის რღვევა ახლავს. ამ ყველაფერს 1991 წელს დაბადებული სერგის ციტატა ერთობლივად აღწერს:

> *[თბილისი] უკვე აღარაა თბილისი. ჰაერიც აღარ არი. აღარც [ის] ხალხი აღარ არი. ისეთი რაღაცეებია, რაც ძაან არ მომწონს და მგრუზავს მაგრად. აი ეს დიდი კორპუსები და რაღაცეები მაგრად მთრგუნავს. მონსტრული, რაღაცა ჟუტკი. სიმშვიდე მინდა ძაან. სიჩუმე, სიმშვიდე. აქედან გავიქცევი, იმის მიუხედავად რო ძაან მიყვარს.*

როგორც მოცემულ და წინა თავებში აღვნიშნე, თბილისის პოსტრევოლუციური ჯენტრიფიკაცია, უმეტესად, ქალაქის ცენტრალურ სივრცეებს მოიცავს და მისით „დამარცხებულები“, ჩვეულებრივ, ქალაქის ცენტრის გაღარიბებული ტრადიციული ბინადრები არიან. ჩემი რესპონდენტი, 1988 წელს დაბადებული რუსკა თავისი ბავშვობისდროინდელი ვერის უბნის სამეზობლოს დღევანდელ სოციალურ შემადგენლობას აკვირდება. რუსკა ამჟამად ვაკეში ცხოვრობს, ვერაზე კი მისი მეორე სახლია, რომელშიც ახლა მისი ოჯახის ნაწილი ცხოვრობს. ის მეუბნება, რომ ძალიან უყვარს თავისი ბავშვობის უბანი, თუმცა სამეზობლოში მისი ძველი მეზობლებიდან ცოტაღა თუ შემორჩა, რის გამოც მისი ბავშვობისდროინდელი, განსაკუთრებულად ახლო და თბილი მეზობლური ურთიერთობები, რუსკას აზრით, იქ ვეღარასდროს დაბრუნდება. რუსკას ოჯახი ჯერ კიდევ ვერის უბანში ცხოვრობს, თუმცა მშობლიური უბნის გარეგნული იერსახისა თუ ძველი სამეზობლოს მზარდი ცვლილების გამო, სულ უფრო მეტად გრძნობენ თავს გაუცხოებულად. რუსკას აზრით, ახალ საცხოვრებელ გარემოსთან შეგუება უჭირთ მის ყოფილ მეზობლებსაც, რომლებმაც უბანი სიდუხჭირის გამო დატოვეს,

ვინც წავიდნენ - იმიტომ რომ გაუჭირდათ და [სხვა უბანში] გადავიდნენ - იმათ მოუწიათ გადასვლა იქით, სადაც ინტეგრაცია მათაც გაუჭირდათ.

-მეუბნება რუსკა.

კუპერი და მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ: „ქალაქების თანამედროვე გარდაქმნის პროცესში, ელიტები, რომლებმაც „ჯენტრიფიკაციის“ ნეგატიური შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ იციან, ამ ტერმინს არასდროს ახსენებენ და მას უფრო პოზიტიური დატვირთვის მქონე ტერმინებით (რეგენერაცია, რენესანსი, განახლება, რედეველოპმენტი) ანაცვლებენ“ (Cooper, Hubbard, and Lees 2020,494).

2012 წელის ინტერვიუში „ტაბულასთან“[46] ძველი ქალაქის რეაბილიტაციის პროექტის („ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“) აღწერისას ამ ტერმინს არც თბილისის მაშინდელი მერი, გიგი უგულავა იყენებს (უგულავა 2012). თუმცა, პროგრამაზე საუბრისას ის სახელმწიფოს მიერ წარმართული (state-led) ჯენტრიფიკაციის კლასიკურ მოდელს აღწერს - ქალაქის ცენტრის ავარიულ ბინებში მცხოვრებ მოსახლეობას ქალაქის მთავრობა სხვაგან გადასვლას სთავაზობს, დაცლილი ტერიტორია მთავრობას ტენდერზე გააქვს, ტენდერში გამარჯვებული დეველოპერი ტერიტორიას გაანაშენიანებს, შემდეგ კი - ყიდის (Salukvadze and Golubchikov 2015,48). უგულავა აღნიშნავს, რომ ამ პროცესით „ყველა მოგებულია“ - ადგილობრივი მოსახლეობაც, დეველოპერიცა და ქალაქიც. მართლაც, პროექტის შედეგად, ძველი ქალაქის ამორტიზებულ ბინებში მცხოვრებმა ასობით ოჯახმა უკეთესი საცხოვრისი პირობები შეიქმნა. თუმცა, ამასთან, სალუქვაძე და გოლუბჩიკოვი (იქვე) ჯენტრიფიკაციის უფრო ფართო საზოგადოებრივ ზეგავლენას აკვირდებიან და აღნიშნავენ, რომ ტრადიციული მოსახლეობის ახალი ჯგუფებით ჩანაცვლება ადგილობრივი სოციალური სისტემებისა და უბნის ტრადიციული კულტურულ პრაქტიკების წყვეტას, ძველი ქალაქის სოციალური შემადგენლობისა და კულტურული მრავალფეროვნების ცვლილებას იწვევს. ეს, ერთი მხრივ, როგორც წინა თავში ვაჩვენე, ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას უქმნის საფრთხეს, მეორე მხრივ კი, როგორც ზევით აღვნიშნე, უბანში დარჩენილი ტრადიციული მოსახლეობის „სიმბოლურ განდევნაში“ და „გამიუსაფრებაში“ ითარგმნება, რომელსაც, საბოლოოდ, მათი ფიზიკური დეტერიტორიზაციაც შეიძლება მოჰყვეს.

ჩემთან ინტერვიუში ქალაქის მკვლევარი, ნანო ზაზანაშვილი (2022) აღნიშნავს, რომ თბილისში პოსტრევოლუციური სამშენებლო ბუმით “ყველა წაგებულია იმის გარდა, ვინც აშენებს, კვლავაწარმოებს ამ ფართებს“. ვინ შეიძლება იყოს ახალმშენებლობითი ჯენტრიფიკაციის „გამარჯვებული“, გარდა მენაშენეების და დეველოპერებისა? თბილისის ცენტრის შემთხვევაში, როგორც ზევით აღვნიშნე, „ჯენტრიფაიერებს“

[46] სალომე უგულავა, „ინტერვიუ გიგი უგულავასთან“, ტაბულა, 17.02.2012. https://tabula.ge/ge/news/545656-interviu-gigi-ugulavastan

(ახალგანაშენიანების შედეგად, ძველ სივრცეში დასახლებულ ახალ ჯგუფებს) შედარებით შეძლებული მოქალაქეები წარმოადგენდნენ, მათ შორის - როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მიგრირებული, ისე - ქალაქის პერიფერიებიდან წამოსული მოქალაქეები. თუმცა, როგორც ჯენტილესა და მისი კოლეგების გამოკვლევამ აჩვენა, ამ ჯგუფში ქალაქის ცენტრის შეძლებული მკვიდრი მოსახლეებიც შედიან (Gentile, Salukvadze, and Gogishvili 2015). ასევე, ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს საქართველოზე უფრო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში მიგრირებული ქართული დიასპორები ასრულებენ - მიგრანტების ფულად გზავნილებს საქართველოში დარჩენილი მათი ოჯახის წევრები ხშირად სწორედ ახლადაშენებულ უძრავ ქონებაში აბანდებენ. ამასთან, პოსტრევოლუციურ პერიოდში ახალგანაშენიანებული საცხოვრისების მეპატრონეებს შორის საშუალო კლასის დომინირება 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან იპოთეკურ სესხებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებითაც აიხსნება (იქვე). ჯენტილესა და მისი კოლეგების მიერ გამოკითხული „ჯენტრიფაიერები“ საცხოვრებელი პირობებით, ერთი მხრივ, კმაყოფილებას გამოხატავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ დეველოპერმა მათი მოთხოვნები დააკმაყოფილა. თუმცა, მეორე მხრივ, საცხოვრებელი გარემოს მახასიათებლების ნაწილი - „განაშენიანების მაღალი სიმჭიდროვე, გარემომცველი შენობების გადაჭარბებული სიმაღლე, რომელიც ბუნებრივ განათებას ზღუდავდა და დაბალი არქიტექტურული თუ ესთეტიკური ხარისხი“ - თავად ჯენტრიფაიერების წუხილს ისევე იწვევდა, როგორც მკვიდრი ტრადიციული მოსახლეებისას (იქვე,153-154). იმავეს აჩვენებს ჟვანიაც, რომელიც აკვირდება, რომ თბილისის ტრადიციული უბნის ხშირად ქაოტური ახალგანაშენიანება ისევე აზარალებს „ახალმოსახლეებს“, როგორც - მკვიდრ მოსახლეებს და ირონიის ძალით, ახალმოსახლეებს თავად შეაქვთ საკუთარი საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუარესებაში წვლილი (Zhvania 2015).

ამრიგად, თბილისის ცენტრის ახალგანაშენიანებითი ჯენტრიფიკაცია მოქალაქეების აღქმული საფრთხისა და უსაფრთხოების რთულ მიმართებებს ქმნის. მოქალაქეთა ერთი ნაწილის - დაზიანებული ძველი შენობებიდან ახალ, უფრო უსაფრთხო საცხოვრებელ

სივრცეებში გადასული და მათი ძველი საცხოვრისების ადგილას გაჩენილი ახალი ბინების მეპატრონეებისათვის - ის, ერთი მხრივ, საბინაო პირობების გაუმჯობესებას შეიძლება მოასწავებდეს. ამავე დროს, ქაოტური განაშენიანება ქალაქის ცენტრის როგორც ძველი, ისე - ახალი მოსახლეობისათვის ხშირად საცხოვრებელი გარემოს მახასიათებლებს აუარესებს და მათ ცხოვრების ხარისხს საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, ახალგანაშენიანება და ძველი ქალაქის მკვიდრი მოსახლეობის გადინება ქალაქის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ქალაქის ტრადიციული იერსახის) ავთენტურობას და არამატერიალურ კულტურას - ტრადიციულ სამეზობლო სისტემებსა და ცხოვრების წესს არღვევს. ამ ყველაფრის ფონზე კი, ის მკვიდრი მოქალაქეებიც კი, რომლებიც ფიზიკურ დეტერიტორიზაციას არ განიცდიან, სიმბოლური განდევნის, გამიუსაფრების, მშობლიურ ურბანულ გარემოსთან ფიზიკური და ემოციური გაუცხოების წინაშე დგებიან. ახალი მოსახლეები კი, რომლებსაც ქალაქის ცენტრში ბინის შეძენისკენ, მისი პრესტიჟულობის გარდა, ტრადიციული უბნების განაშენიანების ადამიანური მასშტაბები, არქიტექტურული და ესთეტური ღირებულება და სამეზობლო სისტემების ხიბლიც უბიძგებდა, თავადვე იღებენ მონაწილეობას იმის განადგურებაში, რამაც ისინი თავდაპირველად მიიზიდა.

საცხოვრებელი გარემოს სიმყუდროვის დარღვევა, განაშენიანების მასშტაბების ზრდა და მშენებლობებით გამოწვეული ხმაური და მტვერი მხოლოდ თბილისის ცენტრში მცხოვრებ მოქალაქეებს არ აწუხებთ. ქალაქიდან გაქცევის სურვილს ინტერვიუებში თბილისის განაპირა უბნების მოსახლეებიც მიზიარებენ:

> *აქაც შენდება [ახალი საცხოვრებელი სახლები], ისევ ისეთი ცივი კორპუსები, როგორიც იყო. ისე აშენდა იქით კერძო სახლები. მეც ვიყიდე ეხლა აგარაკი მუხიანში და კერძო სახლი მინდა ავაშენო, იქ დავსახლდეთ. სადაც ურთიერთობა გვაქვს, ყველა ამბობს, „მიწა უნდა ვიყიდო, სახლი ავაშენო და გადავიდე“. ბევრი აშენებს, უფრო შემოვიდა ჩვენთან ქალაქგარეთ [ცხოვრება], როგორც საზღვარგარეთ არის.*

- მეუბნება 1978 წელს დაბადებული მაგდა, რომელიც გლდანის მიკრორაიონში, გვიანდელ საბჭოთა ეპოქაში აშენებულ „ცივ კორპუსში“ ცხოვრობს. 1953 წელს დაბადებული ლევანი ქალაქგარეთ, კერძო სახლებში ცხოვრებისკენ მოქალაქეების მზარდ სწრაფვას კლასის პერსპექტივიდან აკვირდება და ამ ტენდენციას, მაგდას მსგავსად, ისიც „საზღვარგარეთის“ - ამერიკის შეერთებული შტატების - სუბურბანიზაციის მოდელს ადარებს. თუკი შეძლებული მოქალაქეები უკანასკნელ პერიოდამდე ქალაქის ცენტრში დასახლებისკენ ისწრაფვოდნენ, ლევანის დაკვირვებით, ახლა ისინი თანდათანობით ქალაქის შემოგარენში ინაცვლებენ, სადაც დახურულ ანკლავებს, კლასობრივად ჰომოგენურ სამეზობლოებს ქმნიან:

> *ეხლა ჩემი აზრით, უბნები იქმნება ქალაქგარეთ მომატებული, სადაც ავტობანი გადის. ავტობანის გვერდზე იქმნება რაღაც შემოღობილი, როგორც ამერიკაში არის დასახლებები რაღაცა ცალკე, იმას თავისი საავადმყოფოც ექნება, საბავშო ბაღი ცალკე, სკოლაც, რომ კაცმა იქ იარსებოს მთლიანად. ქალაქში აღარავინ აღარ იცხოვრებს ნორმალური ვინც არის. როგორც ამერიკაშია, შემოღობილი რომ აქვთ, თავისი აუზი, დაკეტილ სივრცეებში რომ არიან. მაგისკენ წავა მე მგონი ცხოვრება. რაღაცა დასახლებები იქნება ჩაკეტილები და ბუნებრივია, კაცს რომელიც ვთქვათ, იურისტია, იმას გვერდზე არ უნდა ჰყავდეს მუშა, რომელიც შეიძლება მოვიდეს, ხან დათვრეს და რაღაცა. არ მოუნდება. იმას უნდა გვერდზე ჰყავდეს თავისი კოლეგა.*

თბილისის სუბურბანიზაცია პოსტსოციალისტურ სივრცეში ექსკლუზიური მოვლენა როდია. სუბურბანიზაციისა და დახურული ტიპის სამეზობლოების გაჩენა მრავალ ყოფილ სოციალისტურ ქალაქს ახასიათებს (Stanilov and Sykora 2014, Hirt 2012). თუმცა, თბილისში ამ ტენდენციას სპეციფიკური ადგილობრივი მახასიათებლებიც აქვს. თუკი მრავალ პოსტსოციალისტურ ქალაქში სუბურბანიზაციის ტენდენცია ჯერ კიდევ პოსტსოციალისტური ეპოქის პირველ დეკადაში გაჩნდა, რომლის საფუძველი, ხშირად, ქალაქებში საცხოვრისზე შეზღუდული წვდომა იყო (Sykora and Bouzarovski 2012), ამავე პერიოდის თბილისში მიგრაციას ცენტრისკენული ხასიათი ჰქონდა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების ძიებაში, მოქალაქეები საქართველოს პერიფერიებიდან

დედაქალაქის ბირთვისკენ ისწრაფვოდნენ (Van Assche, Salukvadze, and Shavishvili 2009). ამის საპირისპიროდ, თბილისის შესამჩნევი სუბურბანიზაცია 2000-იანი წლების ბოლოდან იწყება (Sulukhia 2009; Salukvadze and Van Assche 2022) და როგორც ქვევით შევეცდები ვაჩვენო, მისი განმსაზღვრელი არა იმდენად ქალაქის ბირთვში საცხოვრისზე წვდომის შეზღუდულობაა, რამდენადაც „უკეთეს“ - ეკოლოგიურად ჯანსაღ, ხმაურისა და დაბინძურებისგან თავისუფალ, ნაკლებად მჭიდრო განაშენიანების მქონე, კლასობრივად ჰომოგენურ - საცხოვრებელ გარემოზე წვდომისკენ სწრაფვაა. მისი აქტორები კი თბილისში ახლადჩამოყალიბებულ საშუალო კლასს მიეკუთვნებიან.

სუბურბანულ სივრცეებად სულუხია (Sulukhia 2009) ერთი მხრივ, თბილისის შემოგარენს აღწერს, რომლის ნაწილი ოფიციალურად იქცა თბილისის „სუბურბიებად“ (დიღომი, წყნეთი, ოქროყანა, წავკისი), მეორე მხრივ კი - ტერიტორიებს, რომლებიც ფორმალურად თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმაა, თუმცა, არაფორმალურად, თბილისის „სუბურბიების“ სახით ფუნქციონირებს (მაგ. საგურამო). სუბურბანულ სივრცეებში ცხოვრების მსურველთა მოტივაცია კი, ავტორის თანახმად, ისეთივეა, „როგორიც ყველგან - ბალანსის ძიება ურბანული ცხოვრების უპირატესობებსა და ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის“ (იქვე, 227). 2009 წლისათვის, სულუხიას თანახმად, თბილისში სუბურბანიზაცია უფრო ინტენსიური გახდა, რასაც, ავტორის დაკვირვებით, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიწის ბაზრის განვითარება, ურბანული დერეგულაცია და მაღალშემოსავლიან მოქალაქეთა ფენის გაჩენა განაპირობებდა. ვერულაშვილი (2021), რომელმაც ლისის ტბის მიმდებარე დახურული სამეზობლო სულუხიას ნაშრომის გამოქვეყნებიდან ერთი დეკადის შემდეგ იკვლია, ამ ტიპის დასახლების გაჩენას ეკონომიკის პოსტრევოლუციურ დერეგულაციასა და სივრცითი გეგმარების სისტემის რღვევას უკავშირებს, რაც კერძო სექტორს ახალ, უფრო სახარბიელო შესაძლებლობებს უქმნის და მაღალი თუ საშუალო კლასების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელ პირობას აძლევს. ჩემი რესპონდენტის, ლევანის მსგავსად, ვერულაშვილი (იქვე) აჩვენებს, რომ მოქალაქეებისათვის სუბურბანული ცხოვრების წესისკენ სწრაფვის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები პრესტიჟი, სოციალური ჰომოგენურობა და საცხოვრებელი გარემოს ხარისხია. კვლევის ავტორი აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების

საკითხი, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. თუმცა, თუკი „უსაფრთხოებას“ არამხოლოდ პერსონალური ფიზიკური დაცულობის, არამედ უფრო ფართო ვერნაკულური მნიშვნელობით შევხედავთ, პრესტიჟი, სოციალური ჰომოგენურობა და გარემოს ხარისხი სოციალური, ეკოლოგიური, ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების მდგენელებად შეგვიძლია დავინახოთ.

ჩემი რესპონდენტები აჩვენებენ, რომ თბილისის მზარდი პოსტრევოლუციური სუბურბანიზაცია მოქალაქეთა მიერ აღქმული საფთხისა და უსაფრთხოების იმ მნიშვნელობებით არის განპირობებული, რომლებიც მათი ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობისა და სოციალური დაცულობის განცდასთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. სამშენებლო ბუმის ფონზე, საჯარო სივრცეები და მწვანე საზოგადოებრივი ალაგები „ჩაშენებების“ ხარჯზე მცირდება და ვიწროვდება. ქალაქის ხეები, რომლებიც თბილისის „მყუდროებას ქმნიდნენ“, ახალი მშენებლობებისათვის ადგილის გამოსანახად იჩეხება. ქალაქი - ახალი, მაღალსართულიანი შენობების ვიზუალური და აკუსტიკური ხატი - „პარკებში იჭრება“ და მოქალაქეს იქაც არ აძლევს განმარტოების საშუალებას. თბილისის მუდმივ თანამდევ ხმად სამშენებლო ხმაური იქცევა, რომელსაც ჰაერის სამშენებლო მტვრით დაბინძურება ერთვის, მშობლიური უბნები კი ახალი მშენებლობების გაჩენით როგორც გარეგნულად, ისე - სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით, უკანმოუხედავად იცვლება. სივრცის მუდმივი ცვლილების ფონზე კი მოქალაქეები ყოველდღიური სტაბილურობის განცდას კარგავენ. თუკი მათი თვითაღქმა ქალაქის ტერიტორიის, მისი ურბანული სხეულის სტაბილურობას ებმის, ქალაქის სამშენებლო კოლონიზაცია, რომელიც თბილისის იერსახეს განუწყვეტლივ ცვლის, ქალაქსა და მოქალაქეს შორის მიჯაჭვულობას არღვევს. საფრთხისშემცველი, მტრადქცეული ქალაქისგან გაქცევა, ხმაურის, სიმჭიდროვის, დაბინძურებისა და სოციალური გაუცხოებისაგან მოშორებით ცხოვრების შესაძლებლობა, ამ ვითარებაში, პრივილეგიის ნიშნად, პრესტიჟის სიმბოლოდ იქცევა. ეს შესაძლებლობა კი თბილისში ახლადჩამოყალიბებულ საშუალო კლასს აქვს - ჩემი რესპონდენტის, ლევანის თქმით, „იურისტს, რომელსაც მუშის გვერდით ცხოვრება არ უნდა“.

ჯენტრიფიკაციისა და სუბურბანიზაციის ფენომენები საზოგადოებაში მზარდი სოციალური გაუცხოების საფრთხეს უკავშირდება. თბილისის მაგალითში ისინი, ერთი მხრივ, პოსტსოციალისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი პრივატიზმის (Hirt 2012) ტენდენციას გვიჩვენებს, რომელიც საბჭოთა გამოცდილებაზე რეაქციას წარმოადგენს. ამ ხედვაში, „საზოგადოებრივი“, ჩვეულებრივ, ან უარყოფით დატვირთვას ატარებს, ან საზოგადოება მის მიმართ გულგრილია. მოქალაქეთა აღქმაში, „საზოგადოებრივი“, „საჯარო“ ან დაბალ ხარისხს უკავშირდება, ან - რაღაც საეჭვოს, არასანდოს და შესაბამისად - სახიფათოს. ამის საპირისპიროდ, „კერძოს“ ცნება მოქალაქეთა აღქმაში ხშირად „მაღალ ხარისხთან“, „მეტ საიმედოობასთან“ და უფრო მაღალ უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. პირადი - პერსონალური, ან ვიწრო ოჯახური - ინტერესები „პრივატიზმის კულტურაში“ უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება, ვიდრე - საერთო, საზოგადო, კოლექტიური (იქვე). პირადი საბინაო პრობლემის მოგვარება კი უფრო მნიშვნელოვნად ჩანს, ვიდრე საზოგადოებრივი ინტერესების, სამეზობლოს საზიარო ცხოვრების ხარისხისა და ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ამ პროცესებით გამოწვეული შედეგების - ქალაქში ცხოვრების ხარისხის გაუარესების - თავიდან აცილების გზად კი მოქალაქეები ქალაქიდან „გაქცევასა“ და სუბურბანულ სივრცეში განცალკევებული, გალავნით შემოსაზღვრული საცხოვრებელი სივრცის შეძენას ხედავენ, რომელიც ისევე შეიცავს „თვითდაზარალების“ პოტენციალს, როგორც ქალაქის ცენტრის ტრადიციული ქსოვილის საცხოვრებელი შენობებით ახალგანაშენიანება - ახალი საცხოვრისების მუშტრებისათვის. სუბურბანიზაციის კვალდაკვალ, მოქალაქეები ქალაქიდან გარბიან, ქალაქი კი მათ „უკან მოსდევს“ და თან სწორედ ის საფრთხეები მოაქვს, რასაც მოქალაქეები ასე გამალებით გაურბოდნენ - ქაოტური განაშენიანება, მზარდი გამჭიდროება, მწვანე სივრცის შემცირება, ხმაური, დაბინძურება და საზოგადოებრივი გაუცხოება.

ბუბანდტისათვის (Bubandt 2005), „ვერნაკულური უსაფრთხოება“ პოლიტიკურად კონსტრუირებული, კომპლექსური, ხშირად - ამბივალენტური ფენომენია, რომელიც არამხოლოდ ლოკალური და ნაციონალური შინაარსების თანაკვეთის, არამედ - მათთან გლობალური მნიშვნელობების გადაკვეთის საფუძველზეც ყალიბდება. მოცემულ თავში შევეცდები, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ის ადგილობრივი მნიშვნელობები გავაანალიზო, რომლებიც ლოკალურ და ნაციონალურ ტრანსფორმაციებთან ერთად, გლობალურ ცვლილებებს აირეკლავს. ქვევით ორ ასეთ მაგალითს განვავრცობ. პირველ მაგალითში „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ ადგილობრივი მნიშვნელობების კონსტრუირებაზე გლობალური საინფორმაციო ქსელის - ინტერნეტის - გავრცელების გავლენას - კლასისა და ტერიტორიის მიმართების პოსტრევოლუციურ ტრანსფორმაციაში ინფორმაციის გლობალური დეტერიტორიზაციის როლს დავაკვირდები. მეორე მაგალითში კი შევეცდები, ადამიანთა ნაკადების მზარდ დეტერიტორიზაციასთან - თბილისში „ორიენტალურ უცხოებად“ აღქმული მიგრანტების მზარდი ჯგუფების გამოჩენასთან დაკავშირებული „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ შინაარსები გავაანალიზო.

„აქ მინიგლობალიზაცია გვაქვს“ - ინტერნეტი, სოციალური ქსელები და კლასის დეტერიტორიზაცია თბილისში

დეტერიტორიზაციასთან დაკავშირებული ტრანსფორმაციები თბილისში არამხოლოდ უშუალოდ „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის ადგილობრივი პოლიტიკით, არამედ - გლობალური ცვლილებებითაც იყო განპირობებული. ისინი, ნაწილობრივ, ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო, თუმცა, მათი ინტენსიფიკაცია და კულმინაცია სწორედ რევოლუციის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. გლობალიზაციისეული დეტერიტორიზაციის ერთ-ერთ ცენტრალურ განმსაზღვრელად არჯუნ აპადურაი

(Appadurai 1996,3) ელექტრონულ მედიას მიიჩნევს, რომელიც „წარმოსახვითი „მეებისა“ და წარმოსახვითი სამყაროების კონსტრუირების ახალ რესურსებსა და ახალ დისციპლინებს ქმნის“. ელექტრონული მედიის მიერ წარმოებული ვიზუალური ხატები დეტერიტორიზებული, გლობალურ საინფორმაციო ნაკადში მოძრავი გამოსახულებებია. მათი მეშვეობით, ოდესღაც ფიზიკურ ტერიტორიაზე „მიმაგრებული“ და კლასის განმსაზღვრელი კულტურული წარმოდგენები, იდეები და ცხოვრების წესი ადგილს სწყდება, თავისუფლად იწყებს მოძრაობას და ხელმისაწვდომი ხდება იმ სოციალური ჯგუფებისათვის, რომელთაც წინანდელი წესრიგის პირობებში, მათზე წვდომა არ ჰქონდათ.

თბილისელებისათვის ასეთ მედიუმად, ციფრულ ტელემედიასთან ერთად, ინტერნეტი იქცა, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოჩნდა, თუმცა, ამ პერიოდში ის საქართველოს მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი. ამ საკითხზე 2007 წელს გახსნილ თემაში პირველი ქართული ონლაინფორუმის, “თბილისის ფორუმის“ მომხმარებლები მსჯელობენ. ერთ-ერთი მომხმარებელი, ფსევდონიმით “bull73” აღნიშნავს:

> *ნამდვილად მახსოვს, რომ [საქართველოში ინტერნეტი] 95 -ში იყო, მაგრამ მე პირადად 96-ში შევედი პირველად. „სანეტი“ [ერთ-ერთი პირველი ინტერნეტ-პროვაიდერი - თ.ხ.] იყო მაშინ. თვეში 300$ იყო გადასახადი და რამდენიმე დოლარი ღირდა ერთი წუთი. სამსახურიდან შევედით.*[47]

თავდაპირველად, ინტერნეტით თბილისელების მცირე იმ ნაწილს შეეძლო სარგებლობა, რომელსაც შინ, ან - სამსახურში პერსონალური კომპიუტერი ჰქონდათ, მოგვიანებით კი

[47] Bull73, პოსტი თემაში: “როდის შემოვიდა საქართველოში ინტერნეტი? და პირველი ქართული ინტერნეტ გვერდი”, თბილისის ფორუმი, 28.12.2007. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022.
https://forum.ge/?s=7f3c1f70f6924a5042cdabb44e9715f1&f=19&showtopic=33803749&st=15

ქალაქში ინტერნეტკაფეებიც გაჩნდა. „მსოფლიო ბანკის“[48] სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2000 წლისთვის ინტერნეტით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 0.5% სარგებლობდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ - 2004 წლისათვის - ინტერნეტს მოსახლეობის უკვე თითქმის 4%-ს იყენებდა. ინტერნეტის მოხმარების სტატისტიკის ყველაზე მკვეთრი, გაორმაგებული ზრდა კი 2008 (10%) და 2009 (20%) წლებს შორის გამოვლინდა (იქვე). მედიისა და ინტერნეტის ტრანსფორმაციულ ძალაზე 2005 წლის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილიც საუბრობს:

> *საქართველო [...] იყო პასიური მოლოდინის პირობებში, როდის დაინგრეოდა დიდი იმპერიები, რომ გავმართულიყავით წელში, უცებ საქართველო მიხვდა, რომ ინტერნეტის, ინფორმაციის გაცვლის და ტელევიზიის პირობებში მას თვითონ შეუძლია შექმნას რეალობა (სააკაშვილი 2005).*[49]

ჩემი რესპონდენტი, 1987 წელს დაბადებული დათო აკვირდება, რომ ინტერნეტის გამოჩენამდე მისი სოციალიზაცია და სოციალური იდენტობა ტერიტორიაზე - საკუთარი საცხოვრებელი უბნის ფიზიკურ სივრცეზე იყო მიბმული. თუკი ინტერნეტამდე ის, უმეტესად, საკუთარ სამეზობლოში მცხოვრებ და იქვე მდებარე სკოლაში მოსიარულე თანატოლებთან ურთიერთობდა, ინტერნეტის შედარებით ფართოდ გავრცელებისა და განსაკუთრებით, ონლაინფორუმების გამოჩენის შემდეგ დათოს სანაცნობო წრე გაფართოვდა:

---

[48] “Individuals Using the Internet (% of population) – Georgia: International Telecommunication Union (ITU) World Telecommunication/ICT Indicators Database”, The World Bank, უკანასკნელად ნანახია: 09.07.2022. https://data.worldbank.org/indicator/IT.NET.USER.ZS?locations=GE

[49] საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 21.04.2005. უკანასკნელად ნანახია: 29.06.2022.
http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2766&i=33

[ჩემს ბავშვობაში] პასუხი კითხვაზე: „რა უბნელი ხარ“ - უკვე რაღაცას განმარტავდა. გეკითხებოდნენ ან ეკითხებოდი: „იმას იქ იცნობ? ამას აქ იცნობ?“. ანუ, ეს სოციალიზაცია და ყველაფერი ხდებოდა გარეთ, ქუჩაში. მაშინ ხომ ინტერნეტი არ არსებობდა, და შესაბამისად, სხვანაირი ფაქტორები თამაშობდა იდენტობის ჩამოყალიბებაში როლს. და ლოკაციებზე ბევრად უფრო მიბმული იყო [იდენტობა]. ძირითადად, საბურთალოზე ვიხარშებოდი დიდი ხანი.

მე-10 კლასიდან დათო უკვე ინტერნეტით სარგებლობდა და სხვადასხვა ფორუმისა და ონლაინ საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, უკვე ახალი ხალხი გაიცნო, რომელიც მისი უბნის მიღმა ცხოვრობდა. ფორუმზე დათო ადამიანებს არა უბნურობის, არამედ - საერთო ინტერესების (მაგ. მუსიკალური ინტერესების) საფუძველზე უმეგობრდებოდა. ინტერნეტის საშუალებით, მას უკვე უფრო მრავალფეროვან ცხოვრების წესსა და კულტურულ ნორმებთან ზიარება შეეძლო:

აი მაშინ მოხდა სერიოზულად „გასვლა“ სხვა უბნებში, მათთან გაცნობა და აღქმა, რომ აი, [არსებობს] სხვანაირი სივრცეები და სხვანაირი [ხალხი].

დათოს თაობის სხვა წარმომადგენელი - სანდრო, რომელიც თბილისის პერიფერიულ უბანში - ვაზისუბნის მიკრორაიონში გაიზარდა, აკვირდება, რომ ინტერნეტის გამოჩენამდე, სოციალურ იერარქიასა და თამაშის წესებს მისთვის სივრცისა და კლასის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლოგიკა განსაზღვრავდა. ბავშვობაში სანდრო თავს თბილისის ნაწილად არ გრძნობდა. „ქალაქად“ ის და მისი უბნელები მხოლოდ თბილისის ცენტრს მოიხსენიებდნენ. ცენტრი კი მისთვის უცხო გარემო იყო:

ჩემს ბავშვობაში არსებობდა ტერმინი „ქალაქში გამოსვლა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უბანი [ვაზისუბნის მიკრორაიონი - თ.ხ.] თბილისის ნაწილი იყო, როცა ჩვენ, მაგალითად, თავისუფლების მოედანზე მოვდიოდით თმის შესაჭრელად, ვამბობდით, რომ „ქალაქში მივდივარ“. დედაჩემიც ამბობდა, რომ: „წამო, ქალაქში წავიდეთ“.

ქალაქის ცენტრის უცხო, საშიშ ადგილად აღქმა, მის წარმოდგენაში, ცენტრის მცხოვრები ტრადიციული ელიტების განწყობას უკავშირდება, რომლებსაც სანდროს თქმით,

პერიფერიული მოსახლეობის მიმართ „ფობია“ ჰქონდათ და ზოგ შემთხვევაში, „ახლაც აქვთ“. ეს დამოკიდებულება კი, სანდროს აზრით, ელიტების პერსპექტივიდან, „აღმატებულ სტატუსზე“ ექსკლუზიური წვდომის დაკარგვის აღქმული საფრთხით არის გამოწვეული:

> *ჩემი აზრით, ფობია, რომელიც ერთი პერიოდი იყო გაჩენილი და პრინციპში, ეხლაც აღენიშნება ბევრს ამ „არათბილისელების“ მიმართ (ბრჭყალებში რომ გამოვიყენოთ), იყო პროვოცირებული იმ ადამიანების მხრიდან, ვინც განსაკუთრებით სარგებლობდა ე.წ. „თბილისელის“ სტატუსით, წარმოადგენდა რაღაც „ინტილიგენციას“: იყო ტრადიციული, ცნობილი ოჯახის შვილი, „გამორჩეული თბილისელი“, ასე ვთქვათ (ასევე ბრჭყალებში რომ გამოვიყენოთ ეს სიტყვა). ბუნებრივია, მათთვის არ იყო სასურველი, რომ „თბილისელის“ იარლიყი მოერგო უფრო და უფრო მეტ ადამიანს. შესაბამისად, მათთვის ეს იყო გამაღიზიანებელი.*

სანდროს აღქმა „გარეუბნისა და ცენტრის“ და „თბილისისა და სოფლის“ დიქოტომიური წყვილების ფრაქტალურ (Gal 2002) ურთიერთმიმართებაზე მიგვითითებს - რესპონდენტის ანალიზში *ცენტრალურუბნელების* დამოკიდებულება *გარეუბნელებთან* „არათბილისელების“(„სოფლელების“) მიმართ „თბილისელების“ ანტიპატიის „მინიმოდელია“. კლასობრივი იერარქია „ვაკელებსა“ და „ვაზისუბნელებს“ შორის სანდროს მონათხრობში ისე ჩანს, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი, კულტურულად ინტიმური (Herzfeld 2000) ცოდნა, რომელიც თბილისის ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეებს, სანდროს თანახმად, ერთნაირად აქვთ გაშინაგანებული. „ვაზისუბნელობა“ მისი მეზობლების აღქმაში ავტომატურად იგულისხმება „დაბალ სტატუსად“, რომლის სიმბოლურ კომპენსაციას „ვაკელებთან მეგობრობაზე“ აპელირებით ცდილობენ:

> *მე ვაზისუბნელი ვიყავი და ძალიან მიკვირდა ხოლმე, რომ ვიღაცებს უტყდებოდათ ვაზისუბნელობა. მე მესმოდა ასეთი ფრაზები, რომ : „ვაზისუბანში ვცხოვრობ, მაგრამ ძმაკაცები ვაკეში მყავს“. ცენტრალური უბნების მაცხოვრებლებსაც ჰქონდათ ანტიპატია გარეუბნელების მიმართ. ესეც ალბათ*

მინიმოდელი იყო იმისა, რასაც ვხედავთ ზოგადად ამ „ინტილიგენციის“ მიდგომაში.

სანდრო ფიქრობს, რომ ეს ვითარება თანდათანობით შეიცვალა - თუკი მისი ბავშვობის „ელიტური თბილისელების“ მიერ „არათბილისელების“ („სოფლელების“) და თბილისის გარეუბნებში მცხოვრები მოქალაქეების გარიყვა და დაცინვა სოციალურ ნორმად ითვლებოდა, ახლა, მისი თქმით, „დამცინავებს“ დასცინიან - ე.ი. თუკი ადრე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებული, ქალაქის ცენტრში თავმოყრილი ელიტების სოციალური უპირატესობის შესახებ წარმოდგენა იყო დომინანტური, ახლა ეს სტატუს კვო იცვლება. ამაში კი, სანდროს აზრით, მნიშვნელოვან როლს ინტერნეტისა და კერძოდ, ონლაინ სოციალური ქსელების ფართოდ გავრცელება უწყობს ხელს - მაგალითად, „ფეისბუკის“, რომელიც საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია:[50]

დადებითს რასაც ვხედავ ბოლოდროინდელ მოვლენებში, არის ის, რომ მასიურად დაიწყო არათბილისელების დამცინავების დაცინვა. ამას, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო სოციალურმა ქსელებმა, მათ შორის, იმიტომ რომ უკვე ძალიან ცუდ ტონად ითვლება „ჩამოსულის“ იარლიყის მირტყმა ადამიანზე. ბუნებრივია, მე მგონი გაქრა და მე აღარ მესმის ხოლმე სიტყვა „ჩამოთრეული“, რომელიც ყველაზე ძალიან იყო ჩემთვის გამაღიზიანებელი - ამას ფეისბუკმა შეუწყო ხელი.

სანდროსათვის „ინტერნეტამდელი“ თბილისის ცენტრისა და პერიფერიის უთანასწორობა სოციალური ექსკლუზიის საფრთხის წყარო იყო. თბილისის ცენტრის სივრცე, მის აღქმაში, არა მშობლიური ქალაქის ნაწილს, არამედ „უცხო ქალაქს“ წარმოადგენდა. იქ “გამაგრებული“ ძველი ელიტა („ინტელიგენცია“) კი - სიმბოლური ძალაუფლების ცენტრი, რომელიც პერიფერიელ მოქალაქეს თბილისის სხვადასხვა

[50] 2010 წლისათვის საქართველოში “ფეისბუკის” მომხმარებლების რიცხვი 340,800-ს შეადგენდა, რაც სომხეთიდან რეგისტრირებული მომხმარებლების რიცხვს თითქმის სამჯერ, აზერბაიჯანიდან რეგისტრირებული მომხმარებლების რიცხვს კი - ორზე მეტჯერ აღემატებოდა. იხ. Transparency International Georgia, “The Caucasus, Social Media and Facebook,” 14.04.2010. https://transparency.ge/en/blog/the-caucasus-social-media-and-facebook

მატერიალური და სიმბოლური რესურსებით აღჭურვილ, პრესტიჟულობით მონიშნულ სიმბოლურ და გეოგრაფიულ ცენტრში „არ უშვებდა“. ინტერნეტის გაჩენამ კი თბილისში კულტურული, სოციალური და სიმბოლური კაპიტალის ტერიტორიული მიჯაჭვულობისგან გათავისუფლება და დეცენტრალიზაცია განაპირობა, რამაც ქალაქის ცენტრში მცხოვრებ ელიტებს მაღალ სტატუსზე წვდომის ექსკლუზიურობა ჩამოართვა. შესაბამისად, ინფორმაციის, კულტურული ცოდნისა და ცხოვრების სტილის გლობალურმა დეტერიტორიზაციამ თბილისის პერიფერიის მცხოვრები მოქალაქეების სოციალური უსაფრთხოების ხარისხი გააუმჯობესა. ამის საპირისპიროდ, თბილისის ცენტრში მცხოვრები ძველი ელიტებისათვის დეტერიტორიზაციის ეს პროცესი აღქმული კლასობრივი უპირატესობის დაკარგვის საფრთხედ იქცა. 1991 წელს დაბადებული სერგი, რომელიც ქალაქის პრესტიჟულ ტრადიციულ ცენტრში გაიზარდა და თავს „ნამდვილი თბილისელების“ კატეგორიაში ათავსებს, მიყვება, რომ მის ბავშვობაში, მისი წრის თბილისელებისათვის ქვეყნის პერიფერიებიდან ჩამოსული მოქალაქეების ჩაგვრა გაზიარებული სოციალური ნორმა იყო:

> *ბავშვობაში რო მახსენდება რეგიონიდან ვინც იყო, ძირითადად ყველა ბულინგდებოდა. მეც დამიბულინგებია. ძაან ... მიტყდება ეხლა, მაგრამ დამიბულინგებია, ბავშვი ვიყავი.*

„რეგიონებიდან ჩამოსულ ხალხს“ და „გარეუბნელებს“, სერგი, შესაძლოა, ღიად აღარ „აბულინგებს“, თუმცა ჩემთან საუბრისას მოქალაქეთა ამ ჯგუფებს „უცხოს“ („გოიმის“) მკაფიო კატეგორიაში ათავსებს. სანდროს მსგავსად, „თბილისელი-არათბილისელი“/“თბილისის ცენტრის მცხოვრები-გარეუბნელის“ დიქოტომიების ფრაქტალურ ბუნებაზე სერგიც მიანიშნებს - მაგალითად, მის ლოგიკაში, „ნახალოვკელი“ ისე მიემართება „თბილისის ცენტრში მცხოვრებს“, როგორც „სოფლელი“ - თბილისელს, ორივე ერთად კი -„გოიმის“ კატეგორიაში თავსდება:

> *ნახალოვკელი თბილისელი სოფლელია რა [...]. გლდანელები ძაან გოიმები არიან, აი ძაან. ქუთაისელები ხო არიან სპეციფიური გოიმები. აი ესენი თბილისში სპეციალურად გოიმები არიან იმიტომ რომ აი არაფერში არ ჯდებიან ვაბშე რა.*

სერგის თანახმად, მონათხრობში ჩანს, „გოიმების“ ღიად ჩაგვრა თბილისელებს შორის დღეს მისაღებად აღარ ითვლება, თუმცა, სერგისათვის, ეს მათდამი დამოკიდებულების ცვლილებას აუცილებლად არ ნიშნავს.

სერგის მიერ ხშირად ნახსენები „გოიმობის“ მნიშვნელობა თბილისელთა ვერნაკულურ წარმოსახვაში მეორე ადგილობრივი კონცეპტის, „კულტურულობის“ საპირისპიროდ კონსტრუირდება. პოლ მენინგთან (Manning 2009b) „გოიმი“ „ქაჯის“ ერთ-ერთი სინონიმია და თბილისის ცენტრში მცხოვრები კულტურული ელიტისათვის, „კულტურის არმქონეს“ ნიშნავს. მენინგი აღნიშნავს, რომ ტერმინ „კულტურაში“ თბილისური ელიტა ამ ცნების საბჭოთა მნიშვნელობას ათავსებს (იქვე).
საბჭოთა *კულტურულობა* (*kul'turnost'*) ვოლკოვისათვის (Volkov 2000) „სტალინის ეპოქისეული ცივილიზების პროცესის“ შედეგია, რომლის აუცილებლობა 1928 წლის შემდგომმა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციამ და შედეგად, საბჭოთა ქალაქების „რურალიზაციამ“ განაპირობა. ქალაქების ინდუსტრიალიზაციას საბჭოთა მოქალაქეების სოფლებიდან ქალაქებში მიგრაცია და „გლეხების მუშებად ქცევა“ მოჰყვა და შედეგად, 1926-1939 წლებში საბჭოთა ქალაქების მოსახლეობა 30 მილიონით გაიზარდა. იმ პირობებში, როცა სოფლიდან მიგრირებულთა შორის „კონტროლისა და ჩვეულებითი სამართლის ტრადიციული რურალური სადავეები ეშვებოდა“, ქალაქები მძიმე დანაშაულმა, ხულიგნობამ, ალკოჰოლიზმმა და მრავალი ფორმის დევიანტურმა ქცევამ მოიცვა (Volkov 2000,214). ამ პირობებში, მასობრივი არეულობის შიშით, საბჭოთა ხელისუფლებამ ახლადმიგრირებული მუშახელის „გაქალაქელება“ დაისახა მიზნად. ეს კი „იმ ნორმებისა და დისციპლინის ტიპების დანერგვას გულისხმობდა, რომელსაც შრომის ინდუსტრიული ორგანიზაციის პრინციპები და ასევე, ურბანული სივრცისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი წესრიგი მოითხოვდა“ (იქვე). *კულტურულობის* საბჭოთა გაგება ამ „ცივილიზების პროცესის“ შედეგია, ხოლო მისი კონსტრუირება 1930-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება. თავდაპირველად, „კულტურულობასთან“ დაკავშირებული ახალი ნორმები გარეგნულად გამოხატულ „ყოფით კულტურას“ - მოქალაქის გარეგნობასა და ჩაცმის სტილს, პირად ჰიგიენას, შესაბამის საყოფაცხოვრებო

ნივთებსა და მატერიალურ ატრიბუტებს გულისხმობდა. მოგვიანებით, 1936 წლიდან კი ის „შინაგანი კულტურის“ - გამართული მეტყველების, *დამოუკიდებელი კითხვის* (*самостоятельное чтение*) ჩვევის, განათლებისა და გარკვეული „კულტურული ჰორიზონტის“ წვდომის - კომპონენტებით დაიტვირთა (იქვე). რამდენადაც „ცივილიზების პროექტი“ სოფლიდან ქალაქებში მიგრირებული საბჭოთა გლეხების „გაქალაქელებას“ გულისხმობდა, თბილისური საბჭოთა ელიტისათვის *კულტურულობა* სწორედ „ქალაქური ცხოვრების წესის ცოდნას“ დაუკავშირდა. მის საპირისპირო მნიშვნელობად კი თბილისელებს შორის სხვა ცნებებთან ერთად (მაგ. „ქაჯი“, „გორსალა“ (Manning 2009b) „გოიმიც“ დამკვიდრდა, რომელიც „ქალაქური ცხოვრების წესის უცოდინრობის“ და შესაბამისად, „სოფლელობის“ მნიშვნელობებს ეჯაჭვება.

ჩემი რესპონდენტი, სერგი „გოიმის“ არქეტიპულ სახედ განზოგადებულ „გლდანელს“ მიიჩნევს და ცდილობს, გლდანის პერიფერიული მიკრორაიონის საშუალოსტატისტიკური მცხოვრები სტილის მარკერების ენაზე ამიწეროს:

> *რაღაც აი დაგლეჯილი მაიკები, დოლჩე გაბანას ამოძენძილები, ჩაჩები და დიდი ბოტასები ადიდასის. აი ეგ არი ჩემთვის გლდანელი და ანუ ეხლაც ალბათ [ასეთები] არიან.*

თუმცა, პაუზის შემდეგ, მეუბნება, რომ ინტერნეტის გავრცელებამ „ცენტრის მცხოვრებისა“ და „პერიფერიელის“ მაიდენტიფიცირებელი გარეგნული ნიშნები წაშალა. თუკი „პრესტიჟის“ გამომხატველი სტილისა და იმიჯის ატრიბუტების შესახებ ცოდნა ინტერნეტის გავრცელებამდე თბილისის ცენტრის მოსახლეობის ექსკლუზიური საკუთრება იყო, ინტერნეტის გავრცელებამ ეს ნიშნები ტერიტორიაზე მიჯაჭვულობას მოსწყვიტა, თავისუფალ დინებაში მიუშვა და მისით მოსარგებლე ნებისმიერი მოქალაქისათვის გახადა ხელმისაწვდომი. სტილი და ცხოვრების წესი თბილისის მოქალაქეებს შორის თითქოს ზიარჭურჭლის პრინციპით გადანაწილდა. „ფეისბუკი“, სერგის აღქმაში, ერთი მხრივ, სტილის მარკერების დეტერიტორიზაციას იწვევს, მეორე მხრივ კი - „გოიმების“ გეოგრაფიულ დეტერიტორიზაციას და მათ მიერ ოდესღაც მხოლოდ „კულტურული ელიტისათვის“ ცნობილი „კარგი ადგილების“ კოლონიზაციას. 1988 წელს დაბადებული, ვაკელი რუსკა მეუბნება, რომ თუ მისი თინეიჯერობის წლებში

თბილისის გასართობი ადგილები, ჩვეულებრივ, ნაცნობებით იყო სავსე, 2010-იანი წლებიდან ასეთ ადგილებში სულ უფრო მეტი უცხო ხვდება. დეტერიტორიზაციის შედეგად თბილისის სოციალური სივრცის ეს ჰეტეროგენიზაცია რუსკას უსაფრთხოების განცდას უკარგავს:

ადრე მახსოვს სადმე რო მივდიოდით 4-5 გოგო, მინიმუმ 4-5 მაგიდას ვიცნობდით. დღეს შეიძლება ისე წახვიდე და წამოხვიდე, რომ კაციშვილი ნაცნობი ვერ ნახო.

სერგი მიყვება, რომ თბილისში მდებარე „კარგი ადგილების“ შესახებ „გოიმები“ ახლა უკვე სოციალური ქსელის მეშვეობით იგებენ და თუკი იქამდე ეს თბილისის ცენტრის მცხოვრებთა ექსკლუზიური „შიდა ცოდნა“ იყო, ახლა ის სხვა სოციალური ჯგუფებისთვისაც ხდება ხელმისაწვდომი. ეს კი სერგის „თავისიანისა“ და „უცხოს“ იდენტიფიცირების შესაძლებლობას ართმევს:

ეხლა მე მგონი ვაბშე მაგრად აირია ეგ პონტი. აი, ინტერნეტმა მგონია რო მაგრად არია. ასე თუ ისე, მაინც შენი პირადი მედიაა და მედია რო გაქ, რაღაცეებს ცვლი ხო? [გოიმებმა] დაიწყეს რაღაცა სხვა სიტუაციებში სიარული, რო სურათი დაედო, დაჩექინებულიყო. კარგ ადგილებში რო დაიწყეს სიარული, რაღაცეების შეცვლა მართლა დაიწყეს რა. აქ რო დაჯდა, სიტუაცია ხო ნახა რა სასტავი ზის, მიხვდა რო თითონ არ არი ეგეთი ტიპი. მერე ეს ტიპი წავა და შენნაირ რაღაცა შარფს მოიგდებს, რაღაცა ჟაკეტს იყიდის, დაგემსგავსება ხო? მერე მიხვდებიან რო ძაან კარგია ესე ცხოვრება, იმიტორო თბილისში ესე ცხოვრობენ კაი ტიპები.

„ფეისბუკის“ სერგის მიერ ნახსენები “check-in” ფუნქცია ვირტუალურ სივრცეში, ქალაქის ვირტუალურ რუკაზე მომხმარებლის ფიზიკური ადგილსამყოფლის მონიშვნას გულისხმობს. ამ ფუნქციის მეშვეობით მომხმარებლებს საკუთარი ადგილსამყოფლის საჯაროდ დემონსტრირება და სხვა მომხმარებლის მიერ მონახულებული სივრცეების აღრიცხვა შეუძლიათ. სერგის თანახმად, ეს „პერიფერიელი“ მოქალაქეებისათვის საგანგებო ინსტრუმენტად იქცევა, რომელიც მათ „ცენტრელ მოქალაქეებზე“ დაკვირვებისა და მათი სტილის კოპირების საშუალებას და შემდეგ, ამ სტილის დემონსტრირების, საკუთარ თავზე „მიწერის“ შესაძლებლობას აძლევს. ჩემი

რესპონდენტის თქმით, „უცხოსა“ და „თავისიანის“, „გოიმისა“ და „ელიტის“ გარჩევა ამ ვირტუალური აღრევის შედეგად სულ უფრო რთული ხდება. სტილის ჰომოგენიზაციას, როგორც კლასის სიმბოლური საზღვრების წაშლას სერგი „გლობალიზაციის“ ცნებით აღწერს. ნიშანდობლივია, რომ თბილისის კონტექსტში ის „მინიგლობალიზაციაზე“ - გლობალური ტენდენციის ლოკალურ მასშტაბში გამოვლინებაზე საუბრობს. აღმატებული სტილის მარკერებად სერგი „კულტურულობის“ ელემენტებს - ჩაცმის მანერასა და ცოდნას (სასაუბრო თემებს) გულისხმობს. მათი ათვისება სერგისათვის გლობალიზაციით გამოწვეულ „იდენტობის დაკარგვას“, კლასის ავთენტური მარკერების გაქრობას მოასწავებს:

> *ადრე ყველას ეტყობოდა [რომ გოიმი იყო]. აი ეხლა ყველა ერთნაირია რა თითქმის. ყველა ერთნაირად იცვამს, ყველა ერთნაირად ლაპარაკობს, ერთი და იგივე თემებზე, ერთი და იგივე იმეებზე. და ის იკარგება რო იდენტობა .. პატარა მინიგლობალიზაცია გვაქ რა. ველარ ვხვდები, უკვე თამაში ისწავლა ყველამ.*

ეს ცვლილება, ვაზისუბანში გაზრდილი სანდროსაგან განსხვავებით, სოლოლაკელი სერგისათვის არა უსაფრთხოების, არამედ - საფრთხის წყაროა. სერგის, ერთი მხრივ, მაღალ სტატუსზე და მის მარკერებზე ექსკლუზიური წვდომის დაკარგვა აშფოთებს - თუკი მის ბავშვობაში „ლევისის ცალჯიბიანი [შარვლის] და კედების“ ჩაცმა სოციალური უპირატესობისათვის საკმარისი იყო, „გლობალიზაციის“ გავლენით, ჩაცმის სტილი, როგორც სტატუსის განმსაზღვრელი ვალუტა, უფასურდება. მეორე მხრივ, სერგის ის აღელვებს, რომ ოდესღაც ექსკლუზიური კულტურული კოდების ყველასთვის ხელმისაწვდომობა „გოიმს“ თავის გარეგნულად შენიღბვის, „ელიტარულობის“ იმიტაციის საშუალებას აძლევს და ის ისე შეიძლება „შემოიპაროს“ შენს სივრცეში, რომ მისი უცხოობა თავიდან შესაძლოა ვერც კი შეამჩნიო:

> *მქონია ვიღაცასთან 3 თვე აქტიური ურთიერთობა და ვაბშე გარტყმაში არ ვიყავი როგორი იყო, ისე უთამაშია ... ბოლოს მაინც იგებ [ვინ არის], მარა თამაში იციან ძაან სტრანნი. სხვა ტიპი იქნება რამდენი ხანიც გინდა. ხოდა ეგ ძაან ართულებს საქმეს.*

სანდროსა და სერგის მონათხრობში ჩანს, რომ ინტერნეტის გავრცელება თბილისში კლასის განფენის სივრცით ლოგიკას არღვევს. თუმცა, 1988 წელს დაბადებული რუსკასათვის ინტერნეტს განსხვავებული ფუნქცია აქვს. რუსკა თბილისის პრესტიჟულ ვერის უბანში გაიზარდა და ელიტურ ვაკეში ცხოვრობს. მისი წინაპრები საბჭოთა კულტურული ელიტის წარმომადგენლები იყვნენ (რუსკას თქმით, „აკადემიკოსები, პროფესორები, პედაგოგები“), რომლებსაც რუსკა *კულტურულობის* ცნებითა და მისი ვოლკოვისეული ატრიბუტებით აღწერს („შინაგანი კულტურა“). ჩემი რესპონდენტისათვის, ანრი ლეფევრის (1996) პერიფრაზი რომ გავაკეთო, ეს *კულტურულობა* „ქალაქის ცენტრზე უფლებას“ ნიშნავს. ეს უფლება კი, რუსკას წარმოდგენაში, „მემკვიდრეობითია“:

> *„[საბჭოთა პერიოდში] ვაკეში დასახლდნენ უფრო აკადემიკოსები, პროფესორები, ისეთი ხალხი ვისაც უნივერსიტეტთან ჰქონდა საქმე. შესაბამისად ამათ ყველას საერთო ჰქონდათ (მასა, ყველა არ იყო ეგეთი). რაღაცა ინტელიგენტი, განათლებული, კულტურული ხალხი, რომლებსაც უყვარდათ კითხვა, პატიოსანი შრომა. ხო უფრო ამის მიხედვით იყო ადრე - მაგალითად, არ შეეძლო რაიონიდან ჩამოსულს პირდაპირ სადმე თბილისში ბინადრობის მოწმობა აეღო. ვთქვათ, მუშები ცხოვრობდნენ უფრო გარეუბნებში. გლდანი, ვარკეთილი, ვაზისუბანი. [იმათ] ყველას ჰქონდათ ერთმანეთთან რაღაც საერთო. შესაბამისად, ესენიც რაღაცნაირად ერთად იზრდებოდნენ და უფრო ერთი წრე იყო. შესაბამისად, რადგან მე უბრალოდ, ასე ვთქვათ, გამიმართლა რომ დავიბადე ეგეთ ოჯახში, სადაც ცხოვრობდნენ აკადემიკოსები, პროფესორები, პედაგოგები.*

რუსკას მიერ აღწერილ სურათში, სოციალური დიფერენციისას მოქალაქეები კვლავ კლასის ტერიტორიზაციის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლოგიკას ეყრდნობიან, რომლის მიხედვით, „გარეუბნელობა“ დაბალი, ქალაქის ცენტრში ცხოვრება კი - მაღალი სტატუსის ნიშანია. სიმბოლური ძალაუფლების წარმოსახვით ველში ორიენტირება, რუსკას აღქმაში, „უბნური“ გეოგრაფიული ლოგიკის მეშვეობით არის შესაძლებელი, რომლის თანახმად, „ცენტრისა“ და „გარეუბნის“ მოსახლეობა წარმოსახვითი საზოგადოებებია, რომლებიც

ერთმანეთისგან განსხვავებული, წარმოსახვით საზღვრებს შიგნით კი - ჰომოგენური „საურთიერთობო წრეებისგან“ შედგება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენტრისა და გარეუბნის მოსახლეობას ერთმანეთისგან მიჯნავს და საკუთარ ჯგუფთან აერთიანებს ერთი მხრივ, მსგავსი კულტურული კაპიტალი („საერთო ცოდნა“), მეორე მხრივ კი - მსგავსი სოციალური კაპიტალი („სანაცნობო წრეები“). თბილისის წარმოსახვითი გეოგრაფია, რუსკას აღქმაში, ასეთი განსხვავებული „მიკროსამყაროებისგან“ შედგება:

> *მე ვთვლი რომ მაინც ყველა აკვირდება [ვინ რომელი უბნიდან არის]. მაინც არი ის მომენტი, რომ თუ ცხოვრობ ვაკეში, ვერაზე, მთაწმინდაზე, საბურთალოზე ... ვიღაცის თვალში ხარ ტიპი. თუ ცხოვრობ ვაზისუბანში, ვარკეთილში ან სადღაც, მაინც ცოტა ისე გიყურებენ. გამოვტყდები ეხლა, მე არ ვარ წმინდანი და მეც ვიღაც რო მეტყვის „ვაზისუბანი“, მეც ცოტა ... ისე ცუდად კი არ ვიღებ, მაგრამ ვიღაცა რომ იტყვის რომ ვთქვათ, ვარ ვერელი, ვაკელი ან საბურთალოელი, ვიცი რომ რაღაცა რაოდენობა ნაცნობების მეყოლება აუცილებლად. საერთო სანაცნობო წრე იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანიც შენი სანაცნობო წრეა და ინტერესები გაქვთ საერთო, საერთოს გამონახავ. მაინც ყველა ეძებს თავისიანს და ყველას თავისი მიკროსამყარო აქვს. ვიღაცა ვინც იგივე უბანშია გაზრდილი, საერთო სკოლაში გივლია და რაღაცა, შენ მიკროსამყაროში ჯდება.*

უბნებსა და სოციალურ სტატუსებზე საუბრისას, რუსკა „მეტოქის“ - თავისი ყოფილი რომანტიკული პარტნიორის ახლანდელი პარტნიორის - შესახებ მიყვება, რომლის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ რუსკას მსგავსად, ისიც ვაკეში ცხოვრობდა. ერთ დღეს რუსკამ მისი ფეისბუკ-პროფილის დათვალიერება გადაწყვიტა, საერთო მეგობრების სიის გადამოწმებისას კი აღმოაჩინა, რომ მეტოქესთან ძალიან ცოტა საერთო მეგობარი ჰყავდა. საერთო მეგობრების სიმცირიდან გამომდინარე, რუსკამ დაასკვნა, რომ მისი მეტოქე, ვაკეში, დიდი ალბათობით, „ახალი გადმოსული“ იქნებოდა. ე.ი., ჩემი რესპონდენტის პერსპექტივიდან, ის არა „მემკვიდრეობითი ვაკელი“ (რუსკას მსგავსად, „ნამდვილი ელიტა“), არამედ „ახალი ქართველი“, „გამდიდრებული გოიმი“ (“ქაჯი“) იქნებოდა, რომელმაც ვაკელობა ახლახან „იყიდა“:

ფეისბუკში რომ შევდივარ ადამიანთან და ვნახულობ რომ მყავს 9 [საერთო] მეგობარი, ამას გარდა შედის მთელი ჩემი სამეგობრო და აღმოჩნდა, რომ ყველასთან ყავს რამდენიმე საერთო მეგობარი. და ის გოგო სადღაც აქ, ვაკეში ცხოვრობს. ვიფიქრე, რომ აუცილებლად ახლადგადმოსულია-თქო, იმიტომ რომ შეუძლებელია, მე და ჩემ ამდენ მეგობარს, ვიღაცასთან, ვინც აქვე ცხოვრობს, გვყავდეს 9 [საერთო] მეგობარი. მეტი უნდა გვყავდეს. იმიტომ რომ გინდა-არ გინდა, ვიცნობთ თუ არ ვიცნობთ, გაგვიგია მაინც. და როცა არავის არ იცნობ და არ გაგიგია, რაღაცა მგონია რო საერთოდ სხვაგან არი ... ალბათ ვიღაც ისეთია, ვისთანაც ვერ მიხვდები, რა საერთო უნდა გქონდეს. დღეს ფეისბუქითაც ვარჩევთ ხალხს - სამი საერთო მეგობარი თუ გყავს, ესე იგი - ღმერთო ჩემო, სად გაიზარდე.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ თუკი სერგისათვის „ფეისბუკი“ საფრთხის წყაროა, რომელიც კლასებს შორის ადრინდელ განსხვავებას შლის და თავგზას უბნევს, რუსკასათვის ეს სოციალური ქსელი „საგამოძიებო ინსტრუმენტი“ და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებაა. რუსკას პერსპექტივიდან, ფიზიკური დეტერიტორიზაციის შედეგად ვაკეში „შეჭრილმა“ და რეტერიტორიზებულმა ახალმა ელიტამ შესაძლოა, საზოგადოებას თვალი აუხვიოს და თავი „ავთენტურ ელიტად“ გაასაღოს. კლასის იდენტიფიცირებისას რუსკა კვლავაც კლასის საბჭოთა განფენის წარმოსახვით რუკას ეყრდნობა, თუმცა „კლასობრივი ავთენტურობის“ გადასამოწმებლად „ფეისბუკს“ მიმართავს. ამ მეთოდით, რუსკა მეტოქის „ჭეშმარიტ იდენტობას“ ამოიკითხავს და შედეგად, მის წინაშე საკუთარ აღქმულ კლასობრივ უპირატესობაში რწმუნდება. ვირტუალური სოციალური ქსელი მისთვის უფრო ზუსტი გამოძიების საშუალებად იქცევა, რომელიც კლასობრივ განსხვავებას კი არ „შლის“ (როგორც ეს სანდროსა და სერგის შემთხვევაში ხდება), არამედ კლასობრივი კუთვნილების ტერიტორიულ ლოგიკაზე დაყრდნობით დიფერენცირების უკეთეს საშუალებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსკასათვის თანამოქალაქეთა სოციალური დიფერენციაციის „მუშა ინსტრუმენტი“ კვლავ კლასის ტერიტორიზაციის საბჭოთა ლოგიკაა, გლობალური ვირტუალური სოციალური ქსელი „ფეისბუკი“ კი მისთვის ამ ლოგიკის ჯაჭვში სავარაუდო ცდომილების იდენტიფიცირების ინსტრუმენტად იქცევა.

ამრიგად, ინტერნეტის, როგორც გლობალური მედიის გავრცელება თბილისელებისათვის, ერთი მხრივ, ლოკალურ მნიშვნელობათა სისტემას, კლასის მიწერის (ascription) სქემას ცვლის, რამდენადაც მედიაიმიჯების თავისუფალი დინების კვალდაკვალ, კლასის მარკერები ტერიტორიულ მიჯაჭვულობას სწყდება და უფრო ფართო, ნაციონალური თუ გლობალური მასშტაბის ინტერნეტ-საზოგადოების საკუთრებად იქცევა, რომელსაც ქალაქის გეოგრაფიულ სივრცეში განსაზღვრული ალაგი აღარ აქვს. ეს ტენდენცია თბილისის ძველი ელიტებისათვის კლასობრივი აღმატების დაკარგვისა და მათ სივრცეში „უცხოს“, განსხვავებული თამაშის წესებით მოთამაშე კონკურენტის შემოჭრის საფრთხეს ქმნის, რომელმაც მათი ადგილი შეიძლება დაიკავოს. „ახალი ელიტებისათვის“ კი აღქმული კულტურული ჰომოგენიზაციის ეს პროცესი უსაფრთხოების უზრუნველმყოფია - ინტერნეტი მათ „აღმატებული კლასის“ სტილის „დასწავლისა“ და კოპირების საშუალებას აძლევს, რაც საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი სოციალური კამუფლაჟის როლს შეიძლება ასრულებდეს. გარდა ამისა, სოციალური ქსელების ფართოდ გავრცელება ოდესღაც პერიფერულად მონიშნულ მოქალაქეებს საკუთარი პოზიციების საჯაროდ გაცხადებისა და დაცვის შესაძლებლობით უზრუნველყოფს (მაგალითად, როგორც სანდრო აღნიშნავს, „ჩამოსულების“ დამცინავების დაცინვის ფართო პლატფორმას უქმნის). მეორე მხრივ, ინტერნეტი ძველი ელიტებისათვის „კლასობრივი უსაფრთხოების“ დამცავი ინსტრუმენტი - ახალი ელიტების ამ ტაქტიკებისაგან სიმბოლური თავდაცვის საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს. როგორც რუსკას მაგალითი აჩვენებს, ძველ ელიტას, რომელიც თანამოქალაქეთა სოციალური კლასიფიცირებისათვის კლასის განფენის საბჭოთა ტერიტორიულ ლოგიკას ეყრდნობა, „ფეისბუკი“ თანამოქალაქის „ჭეშმარიტი კლასობრივი იდენტობის“ დადგენის საშუალებას აძლევს.

გლობალური მიგრაცია და ლოკალური „ორიენტალური საფრთხეები“ პოსტრევოლუციურ თბილისში

„უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის“ 2012 წლის ანგარიშის შესავალში აღნიშნულია, რომ: „დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი ათეული წლის შემდეგ, საქართველოს ღია ეკონომიკამ და უკონტროლო საიმიგრაციო პოლიტიკამ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, ამ რეგიონიდან შორს მდებარე ქვეყნებიდან იმიგრაციის პროცესს შეუწყო ხელი“ (ჟოუ 2012). ამ თვალსაზრისით, თბილისის როგორც ცენტრალური, ისე - პერიფერიული უბნების მცხოვრები რესპონდენტები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მიხეილ სააკაშვილის ღია საიმიგრაციო პოლიტიკას იმ ჯგუფებისადმი, რომლებსაც ისინი განზოგადებულ „ორიენტალურ უცხოებად“ მონიშნავენ. ამ ბრალდებებს თავად სააკაშვილი ხშირად ეხმაურებოდა სხვადასხვა მედიის საშუალებით:

> *არის [...] ხალხი, ვინც ამბობს, რომ სააკაშვილმა შემოყარა თურქები, ირანელები, გზა გაუხსნა, შემოყარა უცხოელები ... და ისინი ტყუიან. მე მართლა ვაძლევდი მოქალაქეობას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ნუ, უფრო ნაკლებად ირანის მოქალაქეებს, მაგრამ ესენი იყვნენ 99% ეთნიკური ქართველები“. (სააკაშვილი 2018ა).*

ამავე წელს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში უცხოელების „შემოყვანას“ სახელმწიფოს პრიორიტეტები უნდა განსაზღვრავდეს. „კარგი უცხოელის“ კრიტერიუმი, მისთვის, ერთი მხრივ, მათი ადგილობრივი კულტურული ინტეგრაციის მომასწავებელი სიმბოლოებია (ქართული ენის შესწავლა), მეორე მხრივ კი - ეკონომიკური სარგებლიანობა (ადგილობრივი ქართველების დასაქმება) და სახელმწიფოს სამსახური (ჯარსა და პოლიციაში გაწევრიანება):

> *სახელმწიფო არის იმისთვის, რომ თავისი პრიორიტეტების მიხედვით შემოიყვანოს უცხოელები. მაგალითად, ბურები რომ შემოვიყვანეთ, ესენი არიან ოქროს ხალხი, სამხრეთ აფრიკელი ფერმერები, ჰოლანდიური წარმოშობის. ნახეთ რამდენმა ბურმა ისწავლა ქართული. რაც გააჩნდათ ყველაფერი ჩადეს*

სოფლის მეურნეობაში, დაასაქმეს ქართველები, ზოგიერთი მათგანი ქართულ ჯარსა და პოლიციაშიც წავიდა. თუ ჩამოიყვან ისეთ უკრაინელს, რომელიც ქართულს ისწავლის, ან ირანელს, რომელიც 1000 ქართველს დაასაქმებს, ჩემი თავი შემოევლოს" (სააკაშვილი 2018 ბ).

როგორც სააკაშვილის ციტატები აჩვენებს, „ოქროს ხალხის", „წარმოშობით ჰოლანდიელი" ბურებისაგან განსხვავებით, „ორიენტალური უცხოელების" (მაგ. ირანელებისა და თურქებისათვის) მოქალაქეობის გადაცემა უფრო ნეგატიურ მოვლენად იგულისხმება. პირველ ციტატაში სააკაშვილი თითქოს თავს იმართლებს თურქებისა და ირანელების საქართველოში „შემოყრის" ბრალდებისაგან. ერთ შემთხვევაში, ის ირანელების ქართული ეთნიკური წარმომავლობის არგუმენტს იშველიებს, მეორე შემთხვევაში კი - მათ ეკონომიკურ სარგებლიანობას („ირანელს, რომელიც 1000 ქართველს დაასაქმებს, ჩემი თავი შემოევლოს").

რატომ იმართლებს თავს სააკაშვილი და რა განაპირობებს მოქალაქეთა უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოში „ორიენტალური უცხოების" შემოსვლის მიმართ? ჩემი რესპონდენტების ინტერვიუებში, რომლებიც ამ საკითხს თბილისის კონტექსტში განიხილავენ, კომპლექსური სურათი იკვეთება. „ორიენტალური უცხოს" აღქმაში ერთმანეთს ისტორიული წარმოდგენის შრე და თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების დისკურსი ებმის. ამასთან, თბილისის მოქალაქეთა პერსპექტივაში „ორიენტალური უცხოების" საშიშროებად წარმოსახვას მათი ეკონომიკურ და სოციალურ საფრთხეებთან დაკავშირებაც ამძაფრებს. ქვევით შევეცდები, ეს კომპლექსური ფენომენი გლობალური დეტერიტორიზაციისა და ნაციონალური და ლოკალური საფრთხე-უსაფრთხოების ცნებების ჭრილში განვიხილო.

„გლობალიზაციაზე" საუბრისას ჩემი რესპონდენტი, 1933 წელს დაბადებული თენგიზი „თურქული ექსპანსიის" საფრთხეს ახსენებს და მას სატელევიზიო მედიას უკავშირებს, რომელიც საქართველოში, თენგიზის თქმით, თურქულ ფილმებსა და სერიალებს ყოველდღიურად აჩვენებს:

ეხლა თუ გლობალიზაცია ქვია არა, ჩვენი სატელევიზიო არხები ალბათ ყოველდღიურად უჩვენებენ ერთი 30 თურქულ ფილმს. არავითარი ის არ გამაჩნია, მაგრამ ექსპანსიის რაღაც-რაღაცეები არსებობს სხვადასხვანაირი. ეგენი ჩავიდნენ ეგერ ე, კორდოვაში ჩავიდნენ. ევროპაში ჩავიდნენ. კავკასიის ამ ორმა საქრისტიანომ გაუძლო ამას.

თენგიზისათვის „თურქული ექსპანსია“ ისტორიული საფრთხეა, რომელსაც, მისი თქმით, თავის დროზე, კავკასიის ორმა საქრისტიანომ (საქართველომ და სომხეთმა) „გაუძლო“. ამ ხედვაში თურქული გავლენა, პირველ რიგში, ისლამიზაციას გულისხმობს, რომელსაც თენგიზი „საქრისტიანოს“ ცნებას უპირისპირებს. რესპონდენტი საუბარს „თურქული ექსპანსიის“ აღწერით იწყებს, თუმცა, ის „ეგენი“, რომელსაც ციტატის შემდეგ ნაწილში ახსენებს („ეგენი კორდობაში ჩავიდნენ. ევროპაში ჩავიდნენ“), უკვე არა თურქები, არამედ - არაბები არიან. ამრიგად, თენგიზი აქ წარმოსახულ განზოგადებულ „მუსლიმ უცხოს“ გულისხმობს, რომელსაც საქართველოსათვის არამხოლოდ ისტორიულ, არამედ - ამჟამინდელ ეროვნულ საფრთხედაც აღიქვამს, რომელიც მისთვის გლობალიზაციის აღქმული საფრთხის ნაწილია. ამ საფრთხის მედიუმი მისთვის თანამედროვე ციფრული ტელევიზიაა, რომელიც ოდესღაც კონკრეტულ ტერიტორიაზე მიჯაჭვულ კულტურულ ცოდნას გამოსახულებების თავისუფალ ნაკადად აქცევს, ხოლო ეს ნაკადი, ტელევიზიის მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეების სივრცეში „იჭრება“.

გურჩიანი (Gurchiani 2021,279-280) საქართველოში მუსლიმის, როგორც „უცხოს“ შესახებ წარმოდგენის კონსტრუირების ორ შრეს აღწერს. პირველი შრე ნაციონალური ნარატივია, რომელიც საქართველოს ისლამურ სამყაროსთან კავშირს არასასურველად განიხილავს. ამ წარმოდგენაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია მთლიანად ქრისტიანობას უკავშირდება, ეროვნული იდენტობა კი მუსლიმების, როგორც „უცხოების“ აღქმის ირგვლივ კონსტრუირდება. მუსლიმი „უცხო“ ამ პერსპექტივიდან, უპირველესად, მტრად ისახება და ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ ცოდნა კოლექტიური წარმოდგენიდან თითქოს გამქრალია. მეორე შრე საბჭოთა პოლიტიკის მიერ მუსლიმთა „გაუცხოებას“ გულისხმობს. ამ წარმოდგენაში, მუსლიმი

მოქალაქეები „ჩამორჩენილებად“ არიან წარმოდგენილნი, საბჭოთა სახელმწიფო კი მათ „ცივილიზებას“ ისახავს მიზნად. ეს პოლიტიკა თბილისზეც აისახა, სადაც ისლამური კულტურის კვალი გაუმნიშვნელოვანდა, კოლექტიური წარმოდგენიდან წაიშალა და შედეგად, კოსმოპოლიტური თბილისი, თანდათანობით, ჰომოგენურ საბჭოთა ქალაქად გარდაიქმნა (იქვე).

მუსლიმის, როგორც „უცხოს“ შესახებ წარმოდგენა კიდევ უფრო გაღრმავდა პოსტსაბჭოთა საქართველოში, როცა ქრისტიანული ნაციონალიზმის წარმოქმნამ „ქართველობა“ პირდაპირ დაუკავშირა „ქრისტიანობას“, ქართველი მუსლიმები საერთო ეროვნული წარმოდგენიდან გარიყა და „საეჭვოებად“ მონიშნა (Zviadadze 2018). დაძაბულობა ეროვნულ და რელიგიურ იდენტობებს შორის ქართველი მუსლიმებისათვის სირცხვილის აფექტად ითარგმნება, რომელიც როგორც გეოგრაფიულ, ისე - ადამიანთა სხეულის პერიფერიებს მსჭვალავს (Khalvashi 2015). 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, როცა ისლამი „ანტიმოდერნულ ძალად“ და ტერორიზმის მუდმივ საფრთხედ განისაზღვრა, ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური პოლიტიკური დისკურსი საქართველოში მუსლიმის „სახიფათო უცხოდ“ აღქმის დამატებით შრედ იქცა. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში ეს გლობალური ხედვა ადგილობრივ წარმოდგენად ითარგმნა, რომელიც „ჰიჯაბიან ქალსა“ და „წვერმოშვებულ მუსლიმ მამაკაცს“ საეჭვო, არასანდო სუბიექტად წარმოისახავს (ბარქაია და ჯანელიძე, 2018).

ჩემი რესპონდენტები „მუსლიმ უცხოებს“ ხშირად საერთო კონტექსტში მოიხსენიებენ. მათ მონათხრობში, თბილისის სივრცეში წარმოსახული, ჩვეულებრივ, ისლამურ იდენტობასთან გაიგივებული თურქები, ირანელები და არაბული ქვეყნების წარმომადგენლები განზოგადებულ „აღმოსავლელ უცხოდ“ ჩანან. ამ ესენციალიზებულ წარმოდგენას, ედვარდ საიდის (Said 1979) მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებაზე დაყრდნობით, „ორიენტალური უცხოს“ ცნებაში მოვაქცევ. საქართველოში „ორიენტალური უცხოს“ ხატის კონსტრუირებას ბარქაია და ჯანელიძე (2018,10) მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიის ნაწილად ყოფნის კოლონიურ გამოცდილებას უკავშირებენ.

თუკი რუსეთის იმპერიამ, დასავლური იმპერიების წაბაძვით, კავკასიის სახით „საკუთარი ორიენტი“ შექმნა, რომელთან შეპირისპირებითაც საკუთარი „დასავლურობა“ უნდა დაემტკიცებინა, ამ იმპერიული ლოგიკის იერარქიაში ადგილის დასაკავებლად, საქართველო მიმიკრიის ტაქტიკას მიმართავს. დასავლეთისკენ საქართველოს პოსტსაბჭოთა სწრაფვა, ავტორების აზრით, ამ გამოცდილების ექოა და ის „არაევროპელი „სხვის“ წარმოებით და მასთან დაპირისპირებაში აგებს საკუთარ „ევროპელობას“ (იქვე).

ჩემი რესპონდენტის, გლდანის მიკრორაიონში მცხოვრები 1978 წელს დაბადებული მაგდას მონათხრობი ამ მიმიკრიასა და იერარქიულ პერსპექტივას პერსონალური აღქმისა და გამოცდილების გავლით აღწერს. მაგდას მზერაში ერთ მხარეს საფრთხედ აღქმული განზოგადებული „ორიენტალური უცხო“ ჩანს. ამ კატეგორიის აღსაწერად რესპონდენტი სხვადასხვა ცნებებს იყენებს: „ჩადრიანები“, „არაბეთიდან ჩამოსულები“, „მუსულმანები“:

> *რა მაღელვებს იცი? ეს ჩადრიანი ხალხი. ჩვენი სკოლის გვერდზე ფრანგული უბანი გაშენდა და 50%-ზე მეტი ეს ხალხია, არაბეთიდან თუ საიდანღაც ჩამოსულები. [...] ჩემმა შვილმა რომ მოიწონოს იმ რასის წარმომადგენელი, მე წინააღმდეგი ვიქნები. ალბათ მეგობრებიც რო ყავდეთ, დავუშლიდით იგივე მუსულმანებთან ურთიერთობას. ქალაქი სავსეა ამ ხალხით, მარჯანიშვილზე რა ხდება.*

მეორე მხარეს კი განზოგადებული „დასავლელია“, რომელთა არქეტიპულ სახეებად მაგდა „ფრანგსა“ და „ამერიკელს“ ხედავს. ჩემი რესპონდენტი სვამს შეკითხვას: მაინც რატომ ხდება, რომ „დასავლელ უცხოელებს“ ის საფრთხედ არ აღიქვამს, „ორიენტალურ უცხოელებს“ კი საშიშროებად ხედავს? ამ შეკითხვას ის თავადვე პასუხობს:

> *რა ვიცი, არ ვემხრობი ამ ხალხს, მაშინებს სულ. თავიანთი წესებით, ხედვებით, ტრადიციებით [...]. ფრანგებს და [ამერიკელებს] სხვა ტრადიციები აქვთ, სხვა მენტალიტეტი.*

ამრიგად, მაგდასათვის „ორიენტალური უცხო“, პირველ რიგში, კულტურული „სხვა“, კულტურული საფრთხეა. „ჩადრიან ქალს“, როგორც ამ „უცხოობის“ სხეულებრივ

გამოხატულებას, ის „უწმინდურად“ ხედავს - წყალი, რომელშიც „ჩადრიანი“ ბანაობს, თითქოს დაბინძურებულია სახიფათო „კულტურულად უცხო სხეულით“ და მაგდა ცდილობს, საკუთარი შვილი დაბინძურების საფრთხეს (Douglas 2003) გამოარიდოს:

> *[ზაფხულში ზღვაზე] წყალში ჩადრიანს რომ ვხედავ, ბავშვს ვეუბნები, გამოდი შვილო.*

მაგდას არ მოსწონს „ორიენტალური უცხოების“ თბილისში ყოფნა, თუმცა, მათ „შემოშვებას“, მისი აზრით, საქართველოს გლობალიზაციის ლოგიკა და საკუთარი ევროპული მისწრაფებები ავალდებულებს:

> *ადრე ხო არ იყო ეს და ძალიან კარგი იქნება, თუ არ შემოვლენ, მაგრამ როგორ უნდა თქვა, 21-ე საუკუნეა, მთელი მსოფლიო ერთი ის არი, ევროპელები ვართ, ისა და ხო ვერ წახვალ ამათ წინააღმდეგ, უნდა შემოუშვა.*

მაგდას ხედვაში საქართველოს მიერ წარმოსახული „დასავლეთის“ მიმიკრიის ექო ჩანს - მის აღქმაში, დასავლეთი „იტანს“ არასასურველ „ორიენტალურ უცხოს“. საქართველომ კი, თუ მას დასავლეთად ყოფნა სურს, მასვე უნდა მიბაძოს და მის მსგავსად „აიტანოს“ საკუთარი „ორიენტალური უცხო“. ჩემი რესპონდენტისათვის, „საქართველო ევროპაა“. ამიტომ, დასავლელი უცხოელი მისთვის საფრთხისშემცველი „უცხო“ როდია. ასეთებად მაგდა განზოგადებულ „მუსულმანებს“, „ჩადრიანებსა“ და „არაბეთიდან ჩამოსულებს“ ხედავს. თუმცა, ამავე დროს, მაგდას მონათხრობი ამბივალენტურობას შეიცავს - „ორიენტალური უცხოების“ თბილისში ყოფნას ის საქართველოს ევროპასთან ერთიანობის დამადასტურებელ ნიშნად და შესაბამისად - ეროვნული უსაფრთხოების[51] ირიბ გარანტიადაც აღიქვამს. ამ თვალსაზრისით, მისთვის „ორიენტალური უცხო“ საფრთხეც არის და ნაწილობრივ - უსაფრთხოებაც.

---

[51] როგორც წულაძე აღნიშნავს, ევროინტეგრაციისკენ საქართველოს მისწრაფება ქართულ საზოგადოებაში, სხვა შინაარსებთან ერთად, რუსეთისგან მომავალი ეროვნული საფრთხისგან დაცვის გარანტიადაც მიიჩნევა. იხ.:Tsuladze, Lia. "Managing Ambivalence: An Interplay Between the Wanted and Unwanted Aspects of European Integration in Georgia." *The Unwanted Europeanness* (2021): 161-183.

მაგდა ახსენებს, რომ „ეს ადრე არ იყო“. მისთვის თბილისის წარსული „უცხოსაგან თავისუფალი“, კულტურულად ჰომოგენური ქალაქის ხატთან არის გაიგივებული. თუმცა, სხვა რესპონდენტების მონათხრობში „კოსმოპოლიტური თბილისის“ მეხსიერება ირეკლება. 1953 წელს დაბადებული ლევანი, რომელიც აღმაშენებელზე ცხოვრობს, თბილისის ტრადიციულ მულტიკულტურულობას საქართველოს დღევანდელ ევროპულ მისწრაფებებს უკავშირებს:

> *ეს გვაქვს შერჩენილი თბილისში, ტოლერანტობა თუ რაც გინდა დაარქვი და ეს რომ შეამჩნია ევროპიელმა, იმიტომ გენდობა მაგაში. უნგრეთში ვერ დაინახა. ხალხმა ერთმანეთის ენა იცოდა. დედაჩემის მეზობლები სვანეთის უბანში ოსები იყვნენ და დედაჩემმა რაღაც სიტყვები იცოდა. მე ეგრე ვისწავლე რუსული. ზოგს ეგრე სომხური აქვს ნასწავლი. ეგეც ის იყო, რომ თანაცხოვრებას სწავლობდა კაცი, რომ ეგეც ისეთივეა, როგორიც შენა ხარ. მე მგონი, ესეც კარგი მაგალითი იყო და ევროპელს ეგ ალბათ მოწონს აქა.*

ამასთან, ლევანის აღქმაში, „ორიენტალური“ მიგრანტები, რომელთა წარმოშობას და უბანში ტერიტორიულ განფენას ის ზუსტად აღწერს, საფრთხის ნაცვლად, სიმპათიურ, „საინტერესო უცხოებად“ ჩანან. თავისუფალ დროს კი ტრადიციული თბილისელების მსგავსად, ისინიც საზოგადოებრივ სივრცეში ნარდის თამაშით კლავენ:

> *მარჯანიშვილის ქუჩა იყოფა ორ ნაწილად. იქით დიდუბეა. იქითა რაიონში ბევრნი არიან თურქები. აქეთა რაიონში დასახლდნენ და კაფეები აქვთ ერაყელებს და სირიელებს. ჰოდა, ესენი რაღაც ისეთი ხალხია, წესიერები [...]. კაფეში არიან საღამოობით, ბელურები რომ დაჯდებიან ხოლმე ზამთარში - 50 კაცია, ორი თამაშობს ნარდს, ორმოცი იმ ორ კაცს უყურებს. იმ კაცის მიმართ მე არ მიჩნდება არავითარი რაღაცა ისა, რომ აი, რა უნდა ამას, წაეთრიოს თავისთან არ მიჩნდება მე ეგ. შეიძლება თბილისში მოსახლეობის დიდ ნაწილს არ უჩნდება ეგა. ეტყობა ამაში გამოვლინდა ის, ღირსება, რომლის თქმაც ძნელია. ის, რის გამოც ჩვენ შეიძლება ვიყოთ ევროპელები.*

ამრიგად, თუკი მაგდასათვის „ორიენტალური უცხოები“ კულტურულ საფრთხედ აღიქმებიან, ლევანისთვის თბილისში მათი ცხოვრება თბილისის ტრადიციის უწყვეტობის - კულტურული უსაფრთხოების სიმბოლოა. ამავე დროს, როგორც მაგდასათვის, ისე ლევანისათვის, „ორიენტალური უცხოების“ თბილისში ყოფნა საქართველოს ევროპულობის ნიშანი და მისი ევროპული მისწრაფებების განხორციელების საწინდარია. ის რაც ერთი მოქალაქისათვის აღქმული ეროვნული კულტურული საფრთხეა, რომელიც ევროპასთან ერთიანობის და შესაბამისად, „უფრო დიდი მასშტაბის ეროვნული უსაფრთხოების“ ხათრით უნდა „აიტანოს“, მეორე მოქალაქისათვის აღქმულ ისტორიულ უწყვეტობაზე დაფუძნებულ ლოკალურ კულტურულ უსაფრთხოებას და პირველ მოქალაქესთან შედარებით, ეროვნული უსაფრთხოების უფრო არაორაზროვან საწინდარს ნიშნავს.

რესპონდენტების ნაწილი, რომლისთვისაც „ორიენტალური უცხო“ საფრთხედ ჩანს, ამ წარმოსახულ ჯგუფს მხოლოდ კულტურულ საშიშროებად არ ხედავს. გლობალური დეტერიტორიზაციით გამოწვეული მიგრაცია და მისი თანამდევი რეტერიტორიზაცია თბილისში ზოგი რესპონდენტისათვის როგორც კულტურულ, ისე - სოციალურ საფრთხედ აღიქმება. 1963 წელს დაბადებული თამრიკო აღმაშენებლის უბანში ცხოვრობს, სადაც ბევრი მაღაზია და კაფე თურქული წარმოშობის მფლობელს ეკუთვნის. რესპონდენტი მიყვება, რომ ერთხელ თურქმა მფლობელმა ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების ტერიტორიის გადაკვეთა აუკრძალა. ამას მისი უბნელები შეესწრნენ და თურქი მამაკაცი სცემეს:

[უცხოელმა] იცის რომ ის არ არი შენიანი და ჯობია იცოდეს ეგ, ვიდრე ვიღაცა თურქი გამომენთოს პლეხანოვზე და მითხრას რომ „ამ ტერიტორიაზე მეორეჯერ თუ გაივლი, პოლიციას დავუძახებ, ჩემი ტერიტორიაა“ და არ ცემონ ისე ეს თურქები, როგორც ჩემს თვალწინ ბიჭებმა, პლეხანოველებმა. აი მიწასთან გაასწორეს რო: „ამათ როგორ გაუბედეს რა, ამ თამრიკოს“. პლეხანოველები არიან რა ... ჩემი ეს უბანი ვიღაცას ეკუთვნის. ჯობია იცოდნენ რომ არ არის ეს მათი და უფლება არ ქონდეთ ამდენი ზედმეტი საუბრის.

თამრიკოს მონათხრობი, სადაც „პლეხანოველი თურქი“ ტერიტორიულ საფრთხედ - მისი მშობლიური უბნის ტერიტორიის მიმსაკუთრებლად არის აღქმული, ერთი მხრივ „თურქის“, როგორც მკაფიო „უცხოს“ შესახებ წარმოდგენას აჩვენებს, რომელმაც „ჯობია, რომ იცოდეს, რომ შენიანი არ არის“ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის ნაცვლად, „უცხოდ“ დარჩეს. მეორე მხრივ კი მასში თბილისის საზოგადოებრივი სივრცეების კერძო აქტორთა მიერ მისაკუთრების ურბანულ საფრთხეს აირეკლავს, რომელიც, როგორც მეორე თავში აღვნიშნე, პოსტსაბჭოთა ეპოქაში დაიწყო, თუმცა უფრო საგრძნობი მასშტაბი, განსაკუთრებით, აღმაშენებლის უბნის მსგავს ტრადიციულ ცენტრალურ სივრცეებში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიძინა. „ჩემი უბანი ვიღაცას ეკუთვნის“, ამბობს თამრიკო, სადაც უბნის, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა საზიარო სივრცის ხასიათზე მიუთითებს. ქალაქის სივრცისათვის საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის ბრძოლას კი კერძო მესაკუთრის „ორიენტალურ უცხოდ“ აღქმა ამძაფრებს, რომელიც თამრიკოსა და მისი უბნელების წარმოდგენაში, მას ერთდროულად სოციალურ და კულტურულ საფრთხედ წარმოაჩენს. კონფლიქტი კი, საბოლოოდ, თბილისის ქუჩის არაფორმალური თამაშის წესებით მიმდინარე ღია ძალადობაში გადაიზრდება, სადაც უბნის მამაკაცები მეზობელი ქალისათვის პერსონალური უსაფრთხოების, უბანში გაჩენილი „უცხოსათვის“ კი - პერსონალური საფრთხის განსხეულებად იქცევიან.

1977 წელს დაბადებული ქეთი თბილისში „ორიენტალური მიგრაციისა“ და „სოფლელების მიგრაციის“ აღქმულ საფრთხეებს ერთ ჭრილში განიხილავს. საუბარს ის საბჭოთა ჩაწერის სისტემის გაუქმების შედეგად, თბილისში რეგიონების მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის აღწერით იწყებს:

კომუნისტების დროს რაღაცა ჩაწერა იყო, რაც აკავებდა ამ ხალხს თავის
კუთხეებში და ეხლა ეს წესები რომ მოიხსნა, ეს მთელი სოფელი,
ამხედრებულები მარშრუტკებზე მოდიან თბილისში და ... აპოკალიფსი რაღაცა,
всадники.

ამ აპოკალიპტურ სურათს, რომელშიც „მარშრუტკაზე ამხედრებული“, თბილისისკენ მომავალი „სოფლელები“ სამყაროს აღსასრულის მომასწავებელ მხედრებად წარმოჩნდებიან, ქეთის აღქმაში კიდევ უფრო ამძაფრებს თბილისში „ორიენტალური უცხოების“ გამოჩენა. ის აგრძელებს:

ჰლუს ეხლა კიდე ეს ირანი და რაღაცა ემატება. რომელიც ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობენ და ქუჩაში რომ დავდივარ, „ჩშშ!“ ვეუბნები. ისინი თავისი წესებით შემოდიან, პროსტა ის კი არა რომ ირანი შემოდის.

ქეთისათვის „ორიენტალური უცხო“ („ირანი და რაღაცა“) ერთი მხრივ, კულტურული საფრთხეა, რომელსაც ადგილობრივისგან განსხვავებული კულტურული ნორმები აქვს და თბილისში „თავისი წესებით შემოდის“. ამასთან, „ორიენტალური უცხო“, რომელიც ქეთის მონათხრობში ამჯერად „ღარიბი არაბის“ სახეს იძენს, რესპონდენტის აღქმაში, კრიმინალურ საფრთხესაც წარმოადგენს:

საქართველო არ არი ის ქვეყანა რომ ჩამოვიდეს მილიონერი არაბი შეიხი და აქ აცხოვრებ, აქ ჩამოდის ვიღაცა ტიპი ჩანჩურაზე ცოტა მეტი. და რა უნდა აკეთოს იმან? უნდა გაყიდოს წამალი.

ქეთის აღქმაში, „შედარებით უსაფრთხო ორიენტალური უცხოს“ ხატი „მილიონერი არაბი შეიხია“. ამის საპირისპიროდ, „ჩანჩურაზე ცოტა მეტი“ ორიენტალური უცხო მისთვის ორმაგად სახიფათო უცხოა - ერთი მხრივ, როგორც „კულტურული უცხო“, მეორე მხრივ კი - ღარიბი და შესაბამისად, „პოტენციურად კანონდამრღვევი („წამლის გამყიდველი“) უცხო“.

გარდა ამისა, ქეთის საუბარში ახლა უკვე „ირანელის“ სახეში განსხეულებული „ორიენტალური უცხო“ ადგილობრივებისთვის ეკონომიკური საფრთხეც არის, რომელიც, სანამ ქართველი „წუწუნით“ არის დაკავებული, დროს იხელთებს და ადგილობრივებისთვის დეფიციტურ სამუშაო ადგილს იკავებს:

საოცარი ის არი, რომ ის ირანელი შოულობს სამსახურს და ქართველს რომ კითხო სამსახური არ იშოვებაო და აი ეგ კიდე სხვა თემაა რა. გააკეთოს რაღაცა ქართველმა ამ წუწუნის და გლოვის გარეშე.

ამრიგად, ქეთის მიერ აღქმულ „ორიენტალურ უცხოს“ კლასობრივი განზომილება აქვს. ქეთისათვის, რომელიც თბილისის საბჭოთა ელიტის მემკვიდრეა, „ორიენტალური უცხო“ „ჩამოსულებთან“ ერთად, ერთ კონტექსტში განიხილება, როგორც თბილისისათვის კულტურულად მიუღებელი, *უკულტურო* ჯგუფი. ამასთან ერთად კი, ქეთის წარმოდგენაში, თბილისში ჩამოსული „ორიენტალური უცხო“ არა „მილიონერი არაბი შეიხი“, არამედ - არაპრესტიჟული, ღარიბი უცხოელი, „დაბალი კლასის წარმომადგენელია“, რომელსაც ადგილობრივ „ჩამოსულებთან“ ერთად, ქეთი „მეორეხარისხოვანი მოქალაქეების“ კატეგორიაში აქცევს.

რომ შევაჯამოთ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ღია საიმიგრაციო პოლიტიკის ერთ-ერთ ასპექტს - საქართველოში და კერძოდ, თბილისში იმ უცხოელების მზარდ მიგრაციას, რომლებიც განზოგადებულ „ორიენტალურ უცხოებად“ არიან აღქმულნი, საზოგადოება „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ კომპლექსური, ზოგჯერ - ამბივალენტური აღქმებით პასუხობს. საქართველოს პოსტრევოლუციური ღია საიმიგრაციო პოლიტიკის შესახებ რეფლექსიისას მისი ერთ-ერთი ავტორი, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც არაერთმნიშვნელოვნად ეხმაურება. საქართველოში მის მიერ „თურქებისა და ირანელების შემოყრის“ გამო საზოგადოების ნაწილის კრიტიკის საპასუხოდ, სააკაშვილი ხან ირანელების „ქართული წარმოშობით“ იმართლებს თავს, ხან კი - ქვეყნისათვის მათი ეკონომიკური სარგებლიანობით. ჩემი რესპონდენტების აღქმაში, „ორიენტალური უცხო“ განზოგადებული ხატია, რომელშიც „მუსლიმი აღმოსავლელის“, როგორც ისტორიული საფრთხის წარმოსახვის შრე „ჩადრიანი ქალისა და წვერებიანი კაცის“, როგორც თანამედროვე გლობალური ტერორიზმის წარმოსახული საფრთხის ადგილობრივ ექოს ერწყმის. რესპონდენტების აღქმაში, „ორიენტალური უცხოს“ წარმოსახვას ლოკალური, ნაციონალური და გლობალური განზომილებები აქვს. ერთი მხრივ, მას კულტურული, სოციალური და

ეკონომიკური საფრთხის აღქმული შინაარსები მიეწერება. თუმცა, მეორე მხრივ, „ორიენტალური უცხოს“ თბილისში არსებობა საქართველოს ევროპული ორიენტაციის, „ევროპასთან მსგავსების“ მოწმობად აღიქმება. „ევროპასთან სიახლოვე“ კი, როგორც წინა თავებში აღვნიშნე, ქართველებისათვის რუსეთისგან მომავალი ეროვნული საფრთხისგან დაცვის საწინდრად მიიჩნევა.

დასკვნა

ლოკალურ და ნაციონალურ ტრანსფორმაციებთან გადაჯაჭვული გლობალური ცვლილებები „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში „საფრთხისა და უსაფრთხოების“ კომპლექსური ადგილობრივი მნიშვნელობების კონსტრუირებაში ითარგმნება. საფრთხისა და უსაფრთხოების ეს ვერნაკულური აღქმები, ერთი მხრივ, თბილისში კლასის დეტერიტორიზაციას უკავშირდება, რომელსაც საქართველოში აპადურაისეული გლობალური დეტერიტორიზაციის მედიუმის - ინტერნეტის - გავრცელება განაპირობებს. თბილისის ძველი ელიტებისათვის ის კლასობრივი პრესტიჟის სიმბოლოებზე წვდომის ექსკლუზიურობის დაკარგვის საფრთხეს მოასწავებს, ახალი ელიტებისათვის კი - მათთვის წინათ მიუწვდომელ ასეთ სიმბოლოებზე ხელიმისაწვდომის გაჩენასა და სოციალური მობილობის შანსს. კლასის ეს სიმბოლური დეტერიტორიზაცია ფიზიკურ რეტერიტორიზაციაში ითარგმნება - ინფორმაციაზე წვდომის ვირტუალური შესაძლებლობების გაჩენის წყალობით, ახალი ელიტები ისეთი ფიზიკური სივრცეების დაკავებას იწყებენ, რომლებსაც იქამდე მხოლოდ ძველი ელიტები იკავებდნენ. ასეთ შემთხვევაში, ინტერნეტი ძველი ელიტებისათვის ზოგჯერ „ჭეშმარიტების დადგენის“ ინსტრუმენტი ხდება, რომელიც ელიტური სივრცის „კოლონიზატორი“ ახალი ელიტის „ავთენტური კლასობრივი იდენტობის“ დადგენის საშუალებას აძლევს.

გლობალიზაციის თანამდევი კიდევ ერთი ასპექტი ადამიანის მზარდ ფიზიკურ მობილობასა და მიგრაციაში გამოხატული დეტერიტორიზაციაა. თბილისის ურბანულ

სივრცეში ის, სხვა ცვლილებებთან ერთად, „ორიენტალური უცხოების“ მზარდ რეპრეზენტაციას ნიშნავს. ეს კი საფრთხედ გაგებულია, ერთი მხრივ, ისტორიული გამოცდილების, მეორე მხრივ კი - თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების დისკურსის გავლენით, რომელიც „მუსლიმი აღმოსავლელის“ ხატს ტერორიზმის საფრთხეს უკავშირებს. ამასთან ერთად, თბილისის კონტექსტში ის სხვადასხვა პერსპექტივიდან, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ საფრთხეებს შეიძლება დაუკავშირდეს. თუმცა, სურათი უფრო კომპლექსურია - საფრთხესთან ერთად, გარკვეულ კონტექსტში ის შეიძლება, საქართველოს „ევროპულობის ნიშნად“ და შესაბამისად, ფართო ეროვნული უსაფრთხოების საწინდრად და ამასთან, ქალაქის კოსმოპოლიტურობის ტრადიციების გაგრძელებად და შესაბამისად - კულტურულ უსაფრთხოებადაც აღიქმებოდეს.

ტრანსფორმაციის ნაციონალური ასპექტები

როგორც პირველ თავში აღვნიშნე, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი „კლასის პოლიტიკა“ საქართველოში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დებატის საგნად იქცა. პოსტსაბჭოთა ელიტებს შორის დაპირისპირებას ზოგი მკვლევარი „წითელი ინტელიგენციისა და გრანტიჭამიების“ ცნებებით აღწერს (Mühlfried 2005), სადაც ძველი საბჭოთა ინტელექტუალური ელიტების სიმბოლო ქართული სუფრაა, ახალი, ახალგაზრდა NGO-ინტელექტუალებისა კი - „ა-ლა ფურშეტი“. ბათიაშვილი (2019) ძველ და ახალ ელიტებს შორის დაძაბულობას პოსტსაბჭოთა სივრცის სოციოპოლიტიკური ლანდშაფტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად ხედავს. მოცემულ ქვეთავში შევეცდები, თბილისელთა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის დაძაბულობა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი, ნაციონალური მასშტაბის „კლასის პოლიტიკის“ ჭრილში განვიხილო და მის ტერიტორიულ ლოგიკას დავაკვირდე.

როგორც პირველ თავში აღვნიშნე, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომმა კლასის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეცვალა თბილისში კლასის სტრუქტურა. შევარდნაძისაგან განსხვავებით და გამსახურდიას მსგავსად, პოსტრევოლუციური საქართველოს პრეზიდენტმა და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი იდეოლოგიის „ფრონტმენმა“, მიხეილ სააკაშვილმა ფსონი „ძველი ურბანული ელიტების“, თბილისური ინტელიგენციის ნაცვლად, ახალგაზრდა თაობაზე გააკეთა, რომელიც, ხშირად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ან თბილისის პერიფერიებიდან იყვნენ. სააკაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად უსვამდა ხაზს და ამაყობდა იმით, რომ მისმა რეფორმებმა და კამპანიებმა განათლების, დასაქმებისა თუ ზოგადი „წარმატებისაკენ“ გზა ისეთ მოქალაქეებს გაუხსნა, რომლებიც „ვარდების რევოლუციამდე“ გეოგრაფიულად, ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად გარიყულები იყვნენ:

წელს ტელევიზიითაც გამოდიოდნენ აღშფოთებული მშობლები და ამბობდნენ: „სახელოვანი ოჯახის შვილები ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და ქიზიყიდან, თუშეთიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსულებმა ჩააბარესო“. უნივერსიტეტიც, თბილისიც და მისი ცენტრიც ერთნაირად გვეკუთვნის ყველას - მე, როგორც თბილისის ცენტრში დაბადებულსა და გაზრდილს და ამბროლაურელსაც, ჩხოროწყუელსაც, ზუგდიდელსაც, კახელსაც, თუშსაც, სვანსაც, აჭარელსაც და სხვა რაიონის მკვიდრსაც. საქართველო ყველასია! მისაღებ გამოცდებზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა, რომელსაც 14-წლიანი უშუქობის პირობებში, სანთლისა და ჭრაქის შუქზე უწევდა წიგნების კითხვა და მეცადინეობა. მან ყველაზე კარგად ჩააბარა გამოცდები. აი, რა არის სამართლიანობა, მომავლის შესაძლებლობები და ჩვენი საერთო მონაპოვარი! (სააკაშვილი 2007).

2013 წლის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ქართული საზოგადოებრიობისადმი, სადაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ განვლილი გზა შეაჯამა, მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ის და მისი მთავრობა, ახალგაზრდებისთვის ყველა სფეროში „გაეხსნათ გზა“. გამოსვლაში ის ასეთ ისტორიას იხსენებს:

ამასწინათ ბათუმში ქუჩის კაფეში ვიჯექი. ახალგაზრდა ქალბატონი მოვიდა სურათის გადასაღებად და თავისი ისტორია მომიყვა. იგი ერთ-ერთი დიდი სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელია. მან მითხრა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ, იგი ძალიან სწრაფად დააწინაურეს. ბევრი მისი მეგობარი და თანატოლი მთავრობაში დაინიშნა მაღალ თანამდებობებზე. [...] მე და ჩვენი უმრავლესობა გავიზარდეთ არათავისუფალ ქვეყანაში. ამიტომ ყველა შემდეგი თაობა ბევრად უკეთესია. თუნდაც ეს პოლიტიკურად არაპოპულარული ნაბიჯი იყო, ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ ახალგაზრდებს ყველა სფეროში გავუხსენი გზა (სააკაშვილი 2013).

სააკაშვილის თქმით, 2013 წლისთვის საქართველოში უკვე დამკვიდრებული იყო „მიშასდროინდელი ახალგაზრდობა“ - ახალი კლასი, რომლებმაც აღმავალ სოციალურ მობილობას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებების - მათ შორის, მერიტოკრატიულ პრინციპზე აგებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დანერგვის - წყალობით მიაღწია:

გაჩნდა მიშასდროინდელი ახალგაზრდობა, სახელმწიფო სტრუქტურებში მიშასდროინდელი ერთიანი ეროვნული გამოცდებით უმაღლესებში მოსული ახალგაზრდობა (იქვე).

ამ ახალ კლასს სააკაშვილი საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებული ელიტის საპირწონედ ხედავდა, რომელიც მისი მოსაზრებით, მერიტოკრატიული პრინციპების ნაცვლად, კორუფციული საქმიანობით ახერხებდა დომინანტური სოციალური პოზიციის შენარჩუნებას.

რატომ არი კორუფცია უბედურება? მარტო იმიტომ არა, რომ ვიღაცამ ქრთამი აიღო და ბიუჯეტში ფული არ შეიტანა. კორუფცია უბედურებაა, იმიტომ რომ ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი შეთანხმების შედეგად ინაწილებს თანხას და სხვისი ნიჭისა და შრომის მიუხედავადა, საკუთარ შვილებს საზღვარგარეთ სასწავლებლად აგზავნის, სამსახურსაც მათივე შვილები შოულობენ (სააკაშვილი 2005ბ).

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ერთ-ერთ მთავარ წარმატებად სააკაშვილი სწორედ ამ კორუფციის დამარცხებას ხედავდა. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის წინაშე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ „კორუმპირებულებისათვის“ ჩამორთმეული თანხით იურიდიული ფაკულტეტის 10 სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლა დაფინანსდებოდა:

ჩვენ უკვე მივედით იმ დონეზე, რომ კორუმპირებულ მოხელეებს ფული არ უნდა გამოვართვათ, კორუმპირებულების ადგილი ციხეშია, ამას ჩვენ ვაშენებთ. ბოლო 340 ათასი, რომელიც პროკურატურის ანგარიშზე დარჩა, მე დღეს ვაცხადებ, რომ ამ ფულით იურიდიული ფაკულტეტის 10 სტუდენტი წავა საზღვარგარეთ. ეს მოხდება იმ ადამიანების ფულებით, ვინც მხოლოდ საკუთარ შვილებს ასწავლიდა საზღვარგარეთ, თვითონ კი ფულს იპარავდა“(სააკაშვილი 2005ა).

როგორც პირველ თავში აღვნიშნე, სააკაშვილისათვის ძველი ურბანული ელიტები არამხოლოდ კორუფციასთან, არამედ „არაკანონმორჩილებასთან“ და „კრიმინალურ მენტალიტეტთან“, მაგალითად - პოლიციასთან თანამშრომლობის უარყოფასთან - იყვნენ დაკავშირებული. ცნობილ გამოსვლაში, სააკაშვილმა ეს კატეგორია მკაცრად გააკრიტიკა და „ჩარეცხილებიც“ უწოდა (სააკაშვილი 2007ბ). სააკაშვილის ეს გამოსვლა მოქალაქეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ მიმართვად იქცა. ჩემი რესპონდენტი, 1988 წელს დაბადებული ვაკელი რუსკა სააკაშვილის მიერ გაკიცხულ ელიტას ესარჩლება და აღნიშნავს, რომ ეს კატეგორია, შესაძლოა, მართლაც ცხოვრობდა სხვა მოქალაქეებზე უკეთ, მაგრამ ამისათვის „ბევრი იშრომეს“ და მათი ერთი ხელმოსმით „გადაყრა“ არ შეიძლება.

პრინციპში ალბათ კარგად ცხოვრობდნენ კიდევაც, იმიტომ რომ მეტი შემოსავალი ჰქონდათ, მეტი ხელფასი. თუმცაღა კვლავ ალბათ ძალიან ბევრი იშრომეს და მაგის გადაყრა ესე არ შეიძლება და „ჩარეცხილები“ არ უნდა ეძახო იმ ხალხს.

თბილისური ელიტა (რომლის შთამომავლადაც ის თავს მიიჩნევს), რუსკას აღწერაში, პირველ რიგში, მაინც *კულტურულობის* (Volkov 2000) ცნებასთან და მის გვიანდელ

მნიშვნელობასთან - „შინაგანი კულტურის“ გაგებასთან ასოცირდება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისში გაჩენილი, ხშირად, საქართველოს სხვა რეგიონებიდან „ჩამოსული“ ახალ ეკონომიკურ ელიტას კი, ვოლკოვის (იქვე) მიერ აღწერილი საბჭოთა ურბანული კლასის მსგავსად, პეტი-ბურჟუებად, „მეშჩანებად“ აღწერს:

მყავს თანამშრომელი გოგო, რომელიც ჩამოსულია ოზურგეთიდან, მამამისს აქვს ძალიან ბევრი ფული და როგორია იცი, მაინც რო ეტყობა რო ხალხს არჩევს ბრენდებით. მისი სალაპარაკო თემა არი ბრენდი, მარკა, „კავალი“ და რაღაცა. მეც მიყვარს ძვირფასი ნივთები, დიზაინერული ტანსაცმელი მეც მომწონს, მაგრამ ადამიანს არ ვარჩევ იმის მიხედვით, ბაზრობაზე აქვს ნაყიდი პულოვერი თუ „მასიმო დუტიში“ შევიდა და საოცარი თანხა მიათხლიშა. არ მაინტერესებს, ის ამითი არჩევს.

რუსკა აკვირდება, რომ მისი „ოზურგეთიდან ჩამოსული“ თანამშრომლისათვის რუსკას ვაკელობა „აღმატებული სტატუსის“ მნიშვნელოვანი ნიშანია, რის გამოც ის ანკას განსაკუთრებულად უწევს ანგარიშს.

რაც გაიგო რო მე ვარ ვაკელი და ვაკეში და ვერაზე ვარ დაბადებული და გაზრდილი, და ოჯახიც იქიდან არიან, დამოკიდებულება აქ ჩემ მიმართ ცოტა სხვანაირი და ამას მაინც აქცევს ძალიან ყურადღებას. სხვასთან თუ ცოტა ისეთია, მე მაინც ანგარიშს მიწევს. აი მაგ ბარიერს ვერ ლახავენ თვითონ. კი, მის ოჯახს დღეს ჩემზე და ჩემ ოჯახზე მეტი ფული აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაცა ის არი.

შესაბამისად, რუსკას აღქმაში, მიუხედავად იმისა, რომ „ახალ ელიტას“ უფრო მაღალი ეკონომიკური კაპიტალი აქვს, ეს მაინც არ არის საკმარისად მაღალი ბანქოს ქაღალდი იმისათვის, რომ ძველი ელიტის მემკვიდრეობითი სიმბოლური კაპიტალი „გაჭრას“. ამრიგად, თამაშის „ძველი წესები“, ძალაუფლების ძველი წესრიგი როგორც რუსკას, ისე - მისი თანამშრომლის აღქმაში, ჯერ კიდევ ვალიდურია.

კლასის ამ გეოგრაფიულ ლოგიკას, ვაკელი რუსკას მსგავსად, 1978 წელს დაბადებული მაგდაც აჩვენებს, რომელიც გლდანის მიკრორაიონში ცხოვრობს. ერთი მხრივ, მაგდა

აპროტესტებს თბილისის ცენტრში მცხოვრები ელიტების ქედმაღლურ დამოკიდებულებას საკუთარი უბნის მოსახლეობისადმი, თუმცა მეორე მხრივ, თბილისის უფრო მოშორებულ გარეუბნებში მცხოვრებ და თბილისში საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულ მოქალაქეებს მიაწერს საკუთართან შედარებით უფრო დაბალ სტატუსს:

> *ძალიან მაღიზიანებდა ინსტიტუტში რომ მივდიოდით ლექტორი რომ ამბობდა, „ვაიმე, გლდანიდან ჩამოვიდნენ". „ჩამოვიდნენ" რა? რაიონიდან ჩამოსული რომ ყიდულობს ცენტრში ბინას, სულ ვაკელი და საბურთალოელი ხდება. და გლდანზე მერე იწყებენ ისინი - „გლდანელი". ხოდა ვამბობ ხოლმე, „ვაიმე, დიდი ხანია ჩამოხვედი?". რაიონიდან, ვისაც ფული აქვს, სულ ცენტრში ყიდულობს. [...] მე არ ვიძაბები მაგაზე [გლდანელობაზე], არ მაქვს გართულება. თუმცა მეც მაქვს ხოლმე გართულება ვიღაც აფრიკაში რომ ცხოვრობს, ვამბობ: „ვაიმე აფრიკა". ისანი, სამგორი ... რაღაც მეც ხო გარეუბნელი ვარ, მაგრამ ეხლა ვიღაცამ რო მითხრას აფრიკაში იცხოვრე ... რაღაცნაირად, რაღაცა გრძნობაა.*

ამ მონათხრობში, თბილისში პერიფერიებიდან ჩამოსული „პარვენიუების" ახალი ეკონომიკური ელიტა მაგდასთვის ისეთივე გამაღიზიანებელია, როგორც რუსკასთვის და ეს დამოკიდებულება სტატუსების ნაგულისხმევ შეჯიბრს, „ქალაქზე უფლებისათვის" გამართულ ძალაუფლების თამაშს აირეკლავს.

„ეგენი ყველაფერზე წამსვლელები არიან" - კლასი, ტერიტორია და პოლიტიკური თამაშები პოსტრევოლუციურ თბილისში

ჩემი რესპონდენტი, 1991 წელს დაბადებული სოლოლაკელი სერგი აღქმულ კლასობრივ დიფერენციაციას პოლიტიკური ძალაუფლებისათვის შეჯიბრის ჭრილში აანალიზებს. მის მონათხრობში „ჩამოსულები" კლასობრივ საფრთხედ, თბილისის ძველი ელიტების პოლიტიკურ კონკურენტებად იკვეთებიან, რომლებთან შეჯიბრში „თბილისელები"

მარცხდებიან. სერგი მიყვება, რომ ჩვენს ინტერვიუმდე რამდენიმე წლით ადრე ახალგაზრდა თანამოაზრეებთან ერთად პოლიტიკური პარტიის დაფუძნება გადაწყვიტა:

ენჯეოთი დავიწყეთ, მერე მე წავედი. მერე რაღაცა საზოგადოებრივი მოძრაობა დაირქვეს, მომადგნენ. დავბრუნდი. მერე იყო ეგ რომ აი პარტია უნდა გავხდეთ, არ უნდა გავხდეთ, უნდა გავხდეთ, ის უნდა გახდეს თავმჯდომარე ...

ამასობაში, საქმეში სერგის ერთ-ერთი პოლიტიკური თანამოაზრის მამა, საქართველოს დასავლეთის ერთ-ერთი რეგიონიდან „ჩამოსული“ გავლენიანი კაცი ჩაერია:

მერე იმ თანამდებობის პირ მამასთან ბავშვები რაღაცეებს ვხმალაობდით და იასნად მოგვიგო, იმიტომ რომ ეგეთი შებერტყილები ჩვენ არ ვიყავით და არც კი გვიფიქრია ის ისეთ რაღაცეებს ფიქრობდა. ძაან ბევრი [იყო მაგ რეგიონიდან], აი კლანი გაიჩითა უცბად. რეგიონებიდან ჩამოყავდათ ტიპები, ისე ეხმარებიან ერთმანეთს.

სერგის აღქმაში, წარმოსახვით „კოლექტიურ ჩამოსულებს“ თბილისელების მიერ შექმნილი კლასობრივი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული სოლიდარობა ჰქონდათ:

ეს რაღაცა ინსტინქტი აქვთ რა გამომუშავებული. რო აი უნდა იომონ რა, და ერთმანეთს უნდა დაუგდნენ გვერდში იმიტომ რომ ჩვენ რაღაცა პიჟონი ცუდი ტიპები ვართ და სულ რაღაცა დავცინებთ და სულ რაღაცეებს ვეტყვით.

სერგი თვლის, რომ „თბილისელები“ ამ ბრძოლაში მარცხდებიან. ამის მიზეზი კი *კულტურულობაა* (Volkov 2000), რომელიც თბილისელებს „ჩამოსულებისთვის“ უმნიშვნელო (ან უხილავი) ადგილობრივი კულტურული ნორმებისადმი დაქვემდებარებას აიძულებს. სერგის აზრით, „ჩამოსულების“ პოლიტიკურ წარმატებას ეს რისკიანობა და თბილისის ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრისადმი არაკონფორმულობა განაპირობებს:

ახლაც რომ ვაკვირდები ვინ ჩალიჩობს ეხლა - სულ ჩამოსული ტიპები არიან. აი რაღაცეებზე მიდიან რა და მაგის მშურს. მე ეხლა რაღაცეებზე ვერ მივდივარ.

რაღაცა სულ მაბრკოლებს და კაკ რაზ ეგაა - თბილისში აი რაღაცეები ტეხავდა რა სულ. ეხლა მე მგონი აღარაფერი აღარ ტეხავს ვაბშე, მაგრამ ხმამაღლა მაინც ტეხავს რა. აი რაღაცეებში მაგრად დავუბრკოლებვარ და ეხლა სულ ისა მაქვს რა რომ: „დაიკიდე რაღაცეები“. იმათ კიდიათ რა, ჩამოდიან სადღაც და იციან რომ ჩვენზე მაგარი ტიპები უნდა იყვნენ რო რაღაცა ქნან რა. და აკეთებენ კიდევაც და არიან კიდევაც დღეს.

სერგის მსჯელობაში ნიშანდობლივი საკითხი გამოიკვეთა, რომელიც საინტერესო კონტრასტს ქმნის ჩემი მეორე რესპონდენტის - 1990 წელს დაბადებული სანდროს მონათხრობთან. თუკი სანდროს აღმავალი სოციალური მობილობის ტაქტიკა მის მიერ აღქმული თბილისის ცენტრის ელიტების სტილისა და ცხოვრების წესის იმიტაციას ეფუძნება, პოლიტიკურ არენაზე წარმატების მისაღწევად და „ჩამოსულებთან“ კონკურენციაში საკუთარი პოზიციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სერგი ცდილობს, მის მიერ „პარვენიუებად“ აღქმული ახალი ელიტების ტაქტიკას მიბაძოს:

მე სხვათა შორის ერთი პერიოდი სადაც ვმუშაობდი, აი ყოველთვის ვბაძავდი მაგათ. იმათ ტყავში გადავედი, რომ აი როგორ [ახერხებენ ამას]? მაგათი სქილები მინდოდა რა მაგრა, რო აი თავხედები არიან ... აი მე მაგალითად ფულზე ლაპარაკი მეზიზღება დღესაც, მაგრამ ეხლა ვლაპარაკობ. აი ხელფასზეც რო მელაპარაკებოდნენ სამსახურში, რო გამიყვანეს ერთხელ და - ხელფასი რამდენი გინდა? და გავწითლდი, აი მეთქი, „რამდენს მომცემ?“. ეგ იმათ არა აქვთ. ის გეტყვის, „ამდენი მინდა“. ვსო. მაძლევ-მაძლევ, არ მაძლევ-არ მაძლევ. მე დავიწყე რა, ეგეთ ტიპებთან დავიწყე პაძელნიკობა რო აი რას ჩალიჩობენ რა.

რამდენადაც სერგი *კულტურულობას* ძალაუფლებისთვის ბრძოლაში სისუსტედ აღიქვამს, თბილისური *კულტურულობისათვის* დამახასიათებელი სოციალური ნორმებისა და მოქმედების წესის ჩანაცვლებას ის განზრახ ცდილობს *ჩამოსულებისთვის* დამახასიათებელი აღქმული „უკულტურობით“. *კულტურულობის* ერთ-ერთი ტიპური გამოვლინება სერგისთვის, როგორც საბჭოთა თბილისური ელიტის შთამომავლისათვის, ფულთან დაკავშირებული უხერხულობის განცდაა, რომელიც *ჩამოსულებს,* მისი აზრით,

არ ახასიათებთ. ამ აღქმული სისუსტის დაძლევას ის *ჩამოსულების* სამოქმედო სტილის ათვისებაში „ვარჯიშით“ ცდილობს.

სერგის მსგავსად, 1977 წელს დაბადებული, საბურთალოელი ქეთიც მიიჩნევს, რომ „ფუფუნებაში გაზრდილი“ და „გაზარმაცებული“ თბილისელი ელიტები პოლიტიკურ ველზე „ბუნებრივი სელექციის“ შედეგად მარცხდებიან უფრო შრომისმოყვარე, „კარგად გაწვრთნილ სოფლელებთან“:

მერე უკვირთ, რატომ არის მთავრობაში ამდენი პროვინციელი და გოიმი. იმიტომ, რომ იმ პროვინციელმა იმდენი იშრომა და თავპირი მოიკლა რომ მოსულიყო აქ. და შენ, ქალაქელი და ფუფუნებაში გაზრდილი, ამ დროს დადიხარ, დალაყუნებ, ხან იმით ხარ გათიშული, ხან იმით და შენი ადგილი ბუნებრივი სელექციით ჩანაცვლდა და მოვიდა მაგარი გაწვრთნილი სოფლელი.

სერგისა და ქეთის თვალსაზრისს, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში „ჩამოსულები“ იმარჯვებენ, 1988 წელს დაბადებული ვაკელი რუსკაც იზიარებს. თუმცა, მის წარმოდგენაში, „ჩამოსულების“ ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობა ცხოვრების ყველა სფეროზე ვერ ახდენს გავლენას და სოციალური უპირატესობისათვის გაჩაღებულ შეჯიბრში ძველი ელიტების სიმბოლური კაპიტალი ჯერ კიდევ ქმედითი კოზირია. რუსკას აღქმაში, *ჩამოსულების* მიერ *პოლიტიკური* ძალაუფლების მოპოვების მცდელობა თითქოს ძველი ელიტების აღქმული *კულტურული* უპირატესობის საკომპენსაციო ტაქტიკაა:

დღეს მთელი მთავრობა მგონია რომ ჩამოსულია. მაგრამ ყოველდღიური ცხოვრების დონეზე, რაც არ უნდა იმათ შენზე ბევრი ფული ჰქონდეთ და შენზე მეტი თანამდებობა ეკავოთ, რაღაც მომენტში შეატყობ, რომ - კი, აი ამითი გემარიაჟებიან, მაგრამ მაინც ისა აქვთ - მაინც უნდა რომ შენ დაგიმტკიცოს რომ შენზე კარგი ტიპია. და თავის თავს უნდა დაუმტკიცოს, რომ შენზე კარგი ტიპია. ის თვითონ გეჯიბრება. ანუ რეალურად შენ მის თვალში უკვე უფრო მაღლა ხარ.

სერგის, ქეთისა და რუსკას რეფლექსია აჩვენებს, რომ პოსტრევოლუციური დეტერიტორიზაცია და გეოგრაფიულ ლოგიკაზე დაფუძნებული კლასობრივი დიფერენციაცია საჯარო სფეროზე - პოლიტიკური ძალაუფლების თამაშების არენაზეც - აისახება. *ჩამოსულები* და თბილისის *ძველი ელიტები* ამ წარმოდგენაში პოლიტიკურ ველზე დაპირისპირებულ მხარეებად ჩანან. თითოეული მხარე მეორის პოზიციიდან პოტენციურ საფრთხედ, ძალაუფლებისთვის შეჯიბრში სახიფათო კონკურენტად არის აღქმული. თუკი ამ თამაშში „ახალი ელიტების“ მთავარი იარაღი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებაა, „ძველი ელიტები“ მას მემკვიდრეობით სიმბოლურ კაპიტალს უპირისპირებენ. თუკი ამ ქვეთავში თბილისის დეტერიტორიზაციასთან დაკავშირებული აღქმული კლასობრივი საფრთხისა და უსაფრთხოების შინაარსებს საჯარო სფეროს კონტექსტში დავაკვირდი, ქვევით შევეცდები, ეს საკითხი პირადი ურთიერთობების სფეროს კონტექსტში გავაანალიზო.

ტრფობა და სიძულვილი პოსტრევოლუციურ თბილისში - კლასი, გენდერი და რომანტიკული ურთიერთობების ბაზარი

1976 წელს დაბადებული ჩემი რესპონდენტი, მთაწმინდელი მარი ქალაქის, ელიტებისა და რომანტიკული ურთიერთობების საკითხს აკვირდება. თბილისის ელიტის „ჩაკეტილობასა“ და რომანტიკული ურთიერთობების ბაზრის შეზღუდულობაზე ის თბილისის ცენტრში მცხოვრები, ელიტარული ჰეტეროსექსუალი ქალების პოზიციიდან მსჯელობს. „თბილისი“ მარისთვის ქალაქის ელიტურ ბირთვთან ასოცირდება. *ქალაქის* ერთ-ერთი მთავარი განსაზღვრება მოქალაქეთა ანონიმურობის უფრო მაღალ ხარისხს გულისხმობს, ვიდრე სოფლად შეიძლება იყოს. თუმცა, მარის თქმით, თბილისი ქალაქზე მეტად სოფელს ჰგავს, რადგან იმ სოციალურ სივრცეში, რომელსაც ის „თბილისს“ ეძახის, „ყველა ყველას იცნობს“. მარის აზრით, *ნაცნობობის* ეს ჩაკეტილი სისტემა რომანტიკული ურთიერთობების ბაზარს ავიწროვებს, რადგან პოტენციური რომანტიკული პარტნიორების წრის *ელიტით* შემოფარგვლა თბილისის ცენტრში მცხოვრებ ქალებს

მცირე არჩევანს უტოვებს. მარის უკვირს, რომ მისი წრის ქალები რომანტიკულ პარტიორს *ელიტის* მიღმა არ ეძებენ, რადგან, მისი თქმით, რომანტიკული სიყვარულის გაჩენას სპონტანურობა სჭირდება - ადამიანი რომ შეგიყვარდეს, ის უნდა „აღმოაჩინო“. თბილისის ელიტის მუდმივად ნაცნობების წრეში ტრიალი და საყოველთაო ნაცნობობა კი, მარის აზრით, ამ აღმოჩენის შესაძლებლობას არ იძლევა:

> *თბილისი არი ძაან ჩაკეტილი. ეს არის საშინელი ამბავი და აი, პატარა სოფელია, რაზეც ძაან მწყდება გული. ხალხი ჯერ კიდევ არ გაიზარდა იქამდე, რომ ეგ გადალახოს და იფიქროს, რომ გლდანში, ან რეგიონში შეიძლება კარგი ბიჭი ცხოვრობდეს. ანუ რეალურად, ვინც თავის თავს ელიტას ეძახის. ეს არი მოცემულობა, რომ შენ იბადები და ყველას იცნობ უკვე მთელ ქალაქში. ეს არის საშინელება [იცინის]. იმიტომ რომ სიყვარულს ჭირდება, რომ ვიღაცას შეხვდე და აღმოჩენა უნდა იყოს, რაღაცა სპონტანურობა ხო უნდა იყოს. ესე იგი კაცი არ არსებობს, რომელსაც არ იცნობ - ეს არის დიდი უბედურება რა [იცინის].*

მარი თვლის, რომ ამ ჩაკეტილობის შედეგად, თბილისის ცენტრში მცხოვრები ელიტა მარტოობააშია - მისი წრის ქალები პარტნიორებს ეძებენ, თუმცა - ამაოდ, რადგან, მარის აზრით, მცდარ გათვლას აკეთებენ და „დეფიციტურ“ მამაკაცებს „არასწორ ადგილებში“ ეძებენ:

> *ბევრი მეგობარი მყავს გაუთხოვარი და გამოთხოვილი და კაცები რეალური პრობლემაა ... ვერ პოულობ ადამიანს რა. ვერ პოულობ რატო - იმიტომ რომ იმ წრეში ეძებ ისევ, ეძებ შენი სოციალური მდგომარეობის [ადამიანს] - რა[სა]ც შენ მიგაჩნია რომ ვითომ მიეკუთვნები. მე ვეკითხები - სად ეძებ? თუ წახვალ და „რუმსში“ დაჯდები, იქ ერთი კაცი დადის მარტო … არასწორი ის არის. თუ ადამიანი კარგია, საკმარისია, რომ იყოს კარგი. დანარჩენს ყველაფერს მიხვდება თუ კარგია, დააფასებს (...) იმიტომ რომ რეალურად, ხალხი მარტოა. სინამდვილეში არაფერი არ არი საჭირო და მე მიკვირს, რომ ხალხს ეს არ ესმის.*

თბილისის ელიტის ჩაკეტილობა, მარის ანალიზში, ამ სოციალური ჯგუფის წევრ ქალებს „მარტოობის“ საფრთხეს უქმნის. რატომ „ვერ ლახავენ“ *ელიტები* ტერიტორიულ

ლოგიკასთან მიჯაჭვულ ნაგულისხმევ კლასობრივ ბარიერებს და რატომ შეიძლება „არ ესმოდეთ“ მარტოობის დაძლევის ამოცანის მარის მიერ აღწერილი, ერთი შეხედვით მარტივი გადაჭრის გზა? ამის უკეთ გასაგებად ქვევით ორი სხვა რესპონდენტის - რუსკასა და სანდროს მონათხრობებს გავაანალიზებ და შევეცდები, ეს საკითხი სხვადასხვა კლასობრივი და გენდერული პოზიციიდან ვაჩვენო.

თბილისში კლასის ტერიტორიზაციაზე საუბრისას 1990 წელს დაბადებული, ვაზისუბანში გაზრდილი სანდრო *ცენტრის* მცხოვრები *ელიტის* მიმართ *გარეუბნელების* ამბივალენტურ დამოკიდებულებაზე მიყვება. სანდროს თქმით, რამდენადაც მის ბავშვობაში ვაზისუბანი, ელიტის გადმოსახედიდან, *პროვინციად* ითვლებოდა, გარეუბნელები თავს *ცენტრელების* აგრესიის საფრთხის ობიექტად აღიქვამდნენ, რასაც „სიძულვილითვე“ პასუხობდნენ, თუმცა, ამავე დროს, *ელიტის,* როგორც რაღაც შორეულისა და მიუწვდომლის მიმართ „ერთგვარ ტრფობასა“ და ცნობისმოყვარეობასაც განიცდიდნენ:

> *ბავშვობაში [ქალაქის ცენტრში მცხოვრებ ელიტასთან] შეხება არ მქონია, იმიტომ რომ ვიზრდებოდი ადგილას - ვაზისუბანს ვგულისხმობ - რომელიც ასევე ქალაქის პროვინციად ითვლებოდა. ჩვენთანაც იყო ცხადია რაღაც აგრესია ცენტრის, ცენტრალური უბნების მაცხოვრებელთა მიმართ. ეს რაღაცნაირი ტრფობა იყო, თან რომ სძულდათ და თან რომ აინტერესებდათ და მოსწონდათ, როგორები იყვნენ ისინი.*

„ტრფობისა და სიძულვილის“ ეს პოეტური ტროპი ჩემი ვაკელი რესპონდენტის, 1988 წელს დაბადებული რუსკას მონათხრობში კლასის, გენდერისა და რომანტიკული ურთიერთობის შესახებ რეფლექსიაში გარდატყდება. რუსკა ყოფილ პარტნიორთან, კახეთის ერთ-ერთ სოფელში დაბადებულ და ვაზისუბანში გაზრდილ გიორგისთან ურთიერთობის შესახებ მიყვება. რუსკა გიორგის მძიმე ბავშვობას საკუთარ პრივილეგირებულ ფონს ადარებს და ამბობს, რომ ამ პირობებში, გიორგის მიზანდასახული, დამოუკიდებელი სოციოეკონომიკური „წინსვლა“ საქებარია:

ძალიან ვაფასებ მის მიზანდასახულობას. ძალიან უჭირდათ, კარგად ისწავლა, მართლა საოცრებები ატარა, საკმაოდ წინ წავიდა. მიღწევაა, ადამიანი შენით რომ მიდიხარ წინ და ამდენს გაიკვლევ. თავის დროზე ბავშვობაში რომ გიჭირს და ზეთს რომ მოათრევ დედასთან ერთად რომ გადაასხა ეს ზეთი, გააზავო და გაყიდო და პურის ფული იშოვო. მე ვთვლი რო რაც იმ ბიჭმა გააკეთა, 30 წლის ასაკში სამინისტროში რომ დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იქნები, ძალიან დიდი მიღწევაა.

რუსკა ამბობს, რომ მისთვის გიორგის კლასობრივ და გეოგრაფიულ წარმომავლობას მისთვის „მნიშვნელობა არ ჰქონდა“. თავად გიორგისათვის, მისი თქმით, რუსკას „ოჯახიშვილობა და წარმომავლობა“ მნიშვნელოვანი იყო და რუსკასნაირ, ოდესღაც მიუწვდომელ ელიტარულ ქალთან ურთიერთობის დაწყებას პერსონალურ წარმატებად აღიქვამდა. თუმცა, ამავე დროს, გიორგის მუდმივად აწუხებდა და „აკომპლექსებდა“ რუსკას აღქმული კლასობრივი უპირატესობა. ამ მსჯელობაში რუსკა მასა და გიორგის შორის კლასობრივ განსხვავებების ხაზგასმას გეოგრაფიული ლოგიკის მოშველიებით ცდილობს და გიორგის კლასობრივი კუთვნილების აღსაწერად „ვაზისუბანს“ და „კახეთს“ ახსენებს:

სულ ის მომენტი მაინც ქონდა, რომ ... აი ეს მომენტი კლავდა - რომ დავიწყეთ ერთად სიარული, რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ... რაც მას ცხოვრებაში წარმოედგინა, როგორი გოგოც უნდოდა, გვერდით - აი ზუსტად ესეთი უნდოდა. თავისი ოჯახისშვილობით, წარმომავლობით და ყველაფრით - ზუსტად ისეთი ვიყავი, როგორზეც ოცნებობდა. მაგრამ რეალობას რო შეეჯახა, რომ გვერდით ეგეთი ყავდა, ძალიან შეეშინდა. დაიგრუზა, დაიძაბა, სულ მეშპილკავებოდა თვითონ იმიტომ რომ სულ უნდოდა რო ... რაღაცნაირად არ ვიცი, კომპლექსი აწუხებდა. იმისდა მიუხედავად, რომ მე აბსოლუტურად არ მადარდებდა ის, რომ ის ცხოვრობდა ვაზისუბანში და კახეთში იყო დაბადებული, აბსოლუტურად ჩემთვის მნიშვნელობა არ ქონდა.

ურთიერთობის სირთულეს, ჩემი რესპონდენტის თქმით, მათი სხვადასხვაგვარი პოლიტიკური შეხედულებებიც განსაზღვრავდა. რუსკასგან განსხვავებით, გიორგი,

რომელმაც აღმავალი სოციალური მობილობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო, პოსტრევოლუციური მთავრობის იდეოლოგიას იზიარებდა და რევოლუციის შემდგომ რეფორმებს გულშემატკივრობდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად, გიორგისთვის მნიშვნელოვანი იყო პოსტრევოლუციური ოფიციალური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ხაზი - „პროდასავლურობისა და ანტირუსულობის“ დისკურსი. „ანტირუსულობა“ მისთვის, ამავე დროს, საბჭოთა წარსულისგან დისტანცირებასთან იყო გაიგივებული და რუსკას, როგორც საბჭოთა ელიტის შთამომავალს, ხშირად კენწლავდა „საბჭოთა *კულტურულობის*“ და „რუსეთისადმი სენტიმენტების“ გამო:

ვატყობდი, რომ სულ ის ქონდა ამაზე რომ: „ხო, აი - დოსტოევსკი“ და რაღაცა. სულ მიწვევდა ამ თემაზე კამათი და სულ ჰქონდა კომპლექსი, რომ აი მე ვიყავი აი, ესეთი ოჯახიდან და თვითონ ესეთი არ იყო.

რუსკა გიორგის დამოკიდებულებას „კლასობრივ რესენტიმენტად“ აღიქვამს, რომელიც ამავე დროს, გენდერული როლების ადგილობრივ კულტურულ გადააზრებასთან და „პატრიარქალურ რესენტიმენტთან“ არის გადაჯაჭვული. რუსკას ხედვაში, გიორგი, ერთი მხრივ, მამაკაცის „ტრადიციული“ კულტურული როლის შესრულებას და რუსკაზე, როგორც დასაპყრობ ობიექტზე დომინირებას ცდილობს; მეორე მხრივ კი - ნაგულისხმევი კლასობრივი უთანასწორობის დაძლევას და აღმატებულად აღქმულ კლასზე უპირატესობის მოპოვებას. თუმცა, ჩემი რესპონდენტის თანახმად, ძალაუფლებისათვის გაჩაღებულ ამ შეჯიბრში რუსკას „მემკვიდრეობითი სტატუსი“ გიორგის „მოპოვებულ სტატუსს“ და ნაგულისხმევ პატრიარქალურ უპირატესობას ჯაბნის:

თან ძალიან მოწონდა და უნდოდა ეს მომენტი, მაგრამ თან შინაგანი ბოღმა ახრჩობდა. რაც საბოლოო ჯამში ვერ გადალახა. რაღაც მომენტში ალბათ უნდოდა, რომ „აი ესეთი გოგოც მე მემორჩილება“, მაგრამ ამ თავისივე ბოღმამ დაახრჩო.

საუბრის დასაწყისში რუსკა ამბობს, რომ გიორგის წარმომავლობას მისთვის „მნიშვნელობა არ ჰქონდა“, თუმცა მოგვიანებით აღნიშნავს, რომ გიორგის მიერ

კულტურულობის ნორმების არგაზიარება დისკომფორტს უქმნიდა. რუსკას თვალსაზრისით, მამაკაცის გენდერული როლი *კულტურულობის* სოციალურ ნორმებს უნდა ექვემდებარებოდეს, რომლებსაც გიორგი არ იცნობდა, ან - განზრახ არ ემორჩილებოდა:

რაღაც აი ეს მომენტებია, ბიჭის, რაც უნდა გააკეთონ. მგონია, რომ ბიჭი შენ უნდა გეპაკლონნიკოს, ტაქსითაც უნდა მიგაცილოს სახლამდე. ფეხით მიმაცილე, არ აქვს მნიშვნელობა, მოიგონე როგორ, მაგრამ გამოგყვები. მიმაცილე, დამელოდე სანამ შევალ, კარი გამიღე - ესეთი ელემენტარული რაღაცეები ეშლებოდა და უკვე სასაცილოა. ქუჩაზე გადასვლისას გადამიყვანე, გადამაცილე, ნუ მიმაგდებ შუა გზაზე.

რუსკა თვლის, რომ *კულტურულობის* გაგებიდან ამოზრდილ ამ ნორმებს მამაკაცები ოჯახში, ან - ქუჩაში უნდა სწავლობდნენ. ამ თვალსაზრისით, რუსკასათვის თბილისის „ქუჩა“, ოჯახის მსგავსად, *კულტურულობის* წესებით ნაკარნახევი გენდერული ნორმების მედიუმია. გიორგის კი, როგორც „პარვენიუს“, მისი თქმით, ასეთი გამოცდილება არ ჰქონია:

ეგ ყველაფერი მაინც ოჯახიდან მოდის ალბათ პირველ რიგში და მერე ქუჩიდანაც - რამე რომ გაგეკეთებინა, ბიჭები ქუჩაში რას გიზამდნენ.

ამრიგად, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი გეოგრაფიული და კლასობრივი დეტერიტორიზაცია გიორგისათვის აღმავალი სოციალური მობილობის შესაძლებლობას ქმნის - ღარიბი, გეოგრაფიულად და სიმბოლურად გარიყული სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, პოსტრევოლუციურ თბილისში გიორგისთვის შესაძლებლობების ისეთი ფანჯარა იხსნება, რომელიც პოსტსაბჭოთა თბილისში მხოლოდ ქალაქის ცენტრში მცხოვრები „მემკვიდრეობითი ელიტებისთვის“ იყო ხელმისაწვდომი. ეს გიორგის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალ შესაძლებლობას აძლევს, თუმცა ძველი ელიტების სიმბოლური ძალაუფლება მისთვის ჯერ კიდევ წარმოადგენს „კლასობრივ საფრთხეს“. საბჭოთა ელიტის მემკვიდრე რუსკასათვის კი კლასის დეტერიტორიზაცია სიმბოლურ კლასობრივ საფრთხეს ქმნის,

როცა ახალი ეკონომიკური ელიტა მისი სოციალური ჯგუფის ნაგულისხმევ სოციალურ დომინაციას უტევს და კულტურულობის, როგორც კლასობრივი უპირატესობის განმსაზღვრელი კრიტერიუმის რელევანტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

ქალაქის, სიყვარულისა და გაუცხოების შესახებ მარის, სანდროსა და რუსკას ამ მონათხრობებში კლასობრივი, გენდერული და პოლიტიკური საკითხები ერთმანეთს რთული და წინააღმდეგობრივი ტრაექტორიებით კვეთს. თავის ძირითად ნაწილს სწორედ ამ ამბით დავასრულებ, რომელიც ოპოზიციურ მნიშვნელობათა ყველა იმ წყვილის თანაკვეთას აჩვენებს, რომელსაც მოცემული თავი უტრიალებდა. ესენია: „ტერიტორიზაცია“ და „დეტერიტორიზაცია“, „სოფელი“ და „ქალაქი“, „გარეუბანი“ და „ცენტრი“, „თბილისელები“ და „ჩამოსულები“, „საბჭოთა წარსული“ და „პოსტრევოლუციური აწმყო“ და ბოლოს - „საფრთხე“ და „უსაფრთხოება“, რომელიც ყველა ზემოაღწერილ ბინარულ ოპოზიციას გამჭოლ ხაზად გასდევს და მათ კულტურულად, სოციალურად და გენდერულად სპეციფიკურ აღქმას განაპირობებს.

დასკვნა

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ნიშანდობლივ ტრანსფორმაციებს შორის „კლასობრივი პოლიტიკის“ ცვლილებაც იყო. წინამორბედის - ედუარდ შევარდნაძისაგან განსხვავებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ საყრდენად საბჭოთა ურბანული ელიტების ნაცვლად, ახალ ჯგუფებს - იმ ოდესღაც პერიფერიულებად მონიშნულ ახალგაზრდებს ხედავდა, რომელსაც მისმა პოლიტიკამ აღმავალი სოციალური მობილობისაკენ გზა გაუხსნა. სააკაშვილის საჯარო გამოსვლებში იკვეთება, რომ მისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი საქართველოში კლასის „სიმბოლური დეცენტრალიზაციაა“. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ოდესღაც პერიფერიული ჯგუფების სოციალურ წინსვლას ის ხედავს, როგორც მათთვის თბილისში თავმოყრილი რესურსების (კულტურული, სოციალური თუ სიმბოლური კაპიტალის), ათვისების შესაძლებლობის შექმნას, რაც

მოქალაქეების აღქმაში, ისევ თბილისის, როგორც „ცენტრის“ აღქმულ უპირატეს პოზიციას განამტკიცებს. მოცემულ ქვეთავში ორი შემთხვევა განვიხილე, რომელიც თბილისის ელიტებსა და „ჩამოსულებს“ შორის კლასობრივ დაძაბულობას აჩვენებს - პოლიტიკური ძალაუფლების საჯარო არენა და რომანტიკული ურთიერთობების პირადი სფერო.

ჩემი რესპონდენტების აღქმაში, პოლიტიკური არენა ის სფეროა, რომელშიც „ჩამოსულები“ იმარჯვებენ, რასაც ძველი ელიტების წარმომადგენელი რესპონდენტები ახალი ელიტების *უკულტურობით* ხსნიან. მათ წარმოდგენაში, *კულტურულობის* სოციალური ნორმები, რომლებიც თბილისის ძველ ელიტას ნაკლები რისკიანობის, არამატერიალისტური ღირებულებებისა და საზოგადოებრივი აზრისათვის მეტი ანგარიშის გაწევას აიძულებს, პოლიტიკურ ორთაბრძოლაში მათი სუსტი წერტილი ხდება. ჩამოსულების *უკულტურობა* - ამ სოციალური ნორმების არცოდნა, ან მათდამი ანგარიშის არგაწევა კი, ჩემი რესპონდენტების ხედვაში, პოლიტიკურ ორთაბრძოლაში უპირატესობის მოპოვების ინსტრუმენტად აღიქმება. თუკი სხვა სფეროებში ახალი ელიტები ძველი ელიტების კლასობრივი მარკერების მიმიკრიას მიმართავენ, პოლიტიკურ ასპარეზზე ვითარება დიამეტრალურად შემობრუნდება და აქ უკვე ძველი ელიტები იწყებენ ახალი ელიტების *უკულტურო* თამაშის წესის იმიტაციას.

მეორე მაგალითი კლასობრივ დაძაბულობას არა საჯარო, არამედ პირადი, რომანტიკული ურთიერთობების სფეროში აკვირდება. ჩემი რესპონდენტის მაგალითში, ჰეტერონორმატიულ ურთიერთობაში გენდერული ძალაუფლებრივი დაძაბულობა კლასობრივ და პოლიტიკურ კონფლიქტს ერწყმის. ახალი, „ჩამოსული“ ელიტის წარმომადგენელი მამაკაცისთვის, რომელიც მისთვის სოციალური მობილობისაკენ გზის გამხსნელ პოსტრევოლუციურ იდეოლოგიას იზიარებს, მისი პარტნიორი - „ძველი ელიტის“ წარმომადგენელი ქალი - საბჭოთა, პრორუსულად განწყობილ და პოსტრევოლუციური იდეოლოგიის შესაბამისად, ჩამორჩენილ ჯგუფად - „კლასობრივ მტრად“ აღიქმება. მისი პარტიორის აღქმაში, ამ დამოკიდებულებით ის საკუთარი

„კლასობრივი არასრულფასოვნების“ კომპენსირებას ცდილობს, თუმცა „მარცხდება“, რადგან „ძველი ელიტის“ ნაგულისხმევი *კულტურული* უპირატესობის გადაწონას ვერ ახერხებს.

თავის შეჯამება

მოცემული თავში თბილისში კლასისა და ტერიტორიის მიმართება და მისი პოსტრევოლუციური ტრანსფორმაცია განვიხილე და შევეცადე, თბილისის მოქალაქეების აღქმაში საფრთხისა და უსაფრთხოების შესახებ კომპლექსური, ხშირად - ამბივალენტური წარმოდგენების კონსტრუირებას დავკვირვებოდი, რომლებიც ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ ლოკალურ, გლობალურ და ნაციონალურ ასპექტებს უკავშირდება.

საბჭოთა განაშენიანების, განსახლების, პასპორტიზაციისა და ჩაწერის სისტემებმა საბჭოთა საქართველოში და მათ შორის - თბილისში - კლასისა და ტერიტორიის ცნებები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. სოციალისტური თანასწორობის იდეალების საპირისპიროდ, ამ პოლიტიკამ საბჭოთა საქართველოში მოქალაქეთა სივრცითი სეგრეგაცია და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი კულტურული წარმოადგენები ჩამოაყალიბა. საბჭოთა თბილისში - სხვადასხვა რესურსითა და მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთეებით დატვირთულ დედაქალაქში - ცხოვრება პრივილეგიის ნიშნად იქცა. ყველაზე პრესტიჟულად კი ქალაქის ცენტრად განსაზღვრული სივრცეები მოინიშნა, სადაც საბჭოთა პოლიტიკური, ინტელექტუალური და ფინანსური ელიტები განსახლდნენ. გვიანდელ საბჭოთა ეპოქაში განაშენიანებული პერიფერიული მიკრორაიონები კი მუშათა კლასისა და ეთნიკური უმცირესობების ნაწილის საცხოვრებელ სივრცედ განისაზღვრა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში გამეფებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსს ერთი მხრივ, საქართველოდან და მისი დედაქალაქიდან ქვეყნის საზღვრებს გარეთ ემიგრაციის, მეორე მხრივ კი - ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ცენტრისკენული მიგრაციის მზარდი ტალღები მოჰყვა. ამ პერიოდისათვის თბილისის

განაშენიანება საგრძნობლად არ შეცვლილა და ის მცირე რაოდენობის საცხოვრებელი სახლებიც კი, რომლებიც ამ ეპოქაში თბილისში გაჩნდა, ძირითადად, ქალაქის ცენტრში, იმდროინდელი შეძლებული ფენების მიერ შენდებოდა. კლასისა და ტერიტორიის მიმართების საბჭოთა ლოგიკა პოსტსაბჭოთა თბილისში ნაწილობრივ შენარჩუნდა. 90-იანი წლების ქუჩის კრიმინალურმა ქაოსმა და ქალაქის არაფორმალური მაკონტროლებელი ჯგუფების უბნებზე „მიბმულობამ“ ეს მიმართება გარკვეულწილად, გაამძაფრა და უბნებს შორის არაფორმალური საზღვრები კი უფრო მკაფიო გახადა. „ვარდების რევოლუციის“ პოლიტიკამ თბილისის ურბანული სხეული და მისი განაშენიანება მკვეთრად შეცვალა. საცხოვრებელი შენობების სამშენებლო ბუმი, რომელიც სამშენებლო დერეგულაციის ფონზე მიმდინარეობდა, საცხოვრისზე გაზრდილ მოთხოვნას პასუხობდა, რომელსაც მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული. მათ შორის: თბილისში პერიფერიული მოსახლეობის მზარდი შიდა მიგრაციით, ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონზე ახალი საშუალო ფენის გაჩენით, იპოთეკურ სესხებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებითა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ფულადი გზავნილების სულ უფრო ხშირად დაბანდებით უძრავ ქონებაში. თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაცია ყველაზე თვალსაჩინოდ ქალაქის ტრადიციულ ცენტრზე აისახა. ერთი მხრივ, ის დერეგულირებული სამშენებლო ბაზრის „უჩინარი ხელის“ მეშვეობით წარიმართა, რომლის მიერ გაჩაღებული სამშენებლო ბუმი ქალაქის ცენტრის სივრცეების საცხოვრებელი შენობებით მაქსიმალურ ათვისებაზე იყო ორიენტირებული, რაც მრავალრიცხოვან, ხშირად - დაგეგმარებისა და მშენებლობის პრინციპების დარღვევით მიმდინარე „ჩაშენებებში“ განსხეულდებოდა. ამ პროცესმა თბილისის ცენტრის რეტერიტორიზაცია - „ახალგანაშენიანებითი ჯენტრიფიკაცია“ განაპირობა, რომლის ფარგლებში ქალაქის ცენტრის გაღარიბებული ადგილობრივი მოსახლეობა, ერთი მხრივ, ფიზიკურად „განიდევნება“ სხვა სივრცეებში და ახალი, უფრო შეძლებული ფენებით ჩანაცვლდება. მეორე მხრივ კი - მაშინაც, როცა ფიზიკურ დეტერიტორიზაციას არ განიცდის - სიმბოლურად „განიდევნება“ მშობლიური სივრციდან, რომელიც ერთი მხრივ, გარეგნული იერსახის ცვლილებას განიცდის, მეორე მხრივ კი - სოციალური შემადგენლობისა და მასთან დაკავშირებული ცხოვრების წესის

ცვლილებას და მოქალაქე მშობლიურ უბანში უცხოდ, მიუსაფრად იქცევა. თბილისის ცენტრის პოსტრევოლუციური ჯენტრიფიკაციის მეორე ფორმა ე.წ. „სახელმწიფოს მიერ წარმართული“ (state-led) ახალგანაშენიანებითი ჯენტრიფიკაციაა, რომელიც ქალაქის მთავრობის ინიციატივითა და შუამდგომლობით განხორციელებული რენოვაციის ფარგლებში მიმდინარეობს და ძველ, ამორტიზებულ ბინებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის ახალი საცხოვრისის შეთავაზებას და გამოთავისუფლებული სივრცის დეველოპერებისათვის გადაცემას გულისხმობს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ახალ საცხოვრებელ შენობებს აგებენ და მათში მოქალაქეთა ახალი ჯგუფები სახლდებიან. ჯენტრიფიკაციას ორი მხარე აქვს - ერთი მხრივ, ის ძველ მოსახლეებს ახალ, უფრო უსაფრთხო საცხოვრებელ პირობებს სთავაზობს და ახალმოსახლეებს ქალაქის ცენტრში საცხოვრისის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, ერთი მხრივ, დერეგულირებული სამშენებლო საქმიანობის პირობებში, ის საფრთხეს უქმნის როგორც მკვიდრი, ისე - ახალი მოსახლეების საცხოვრებელ პირობებს, რომლებიც გადაჭარბებული სიმჭიდროვის, ბუნებრივი განათების დეფიციტის, ხმაურის, საზოგადოებრივი სივრცეების შემცირებისა და სამშენებლო დაბინძურების პირისპირ აღმოჩნდებიან. ამავე დროს კი ეს პროცესი ქალაქის ცენტრის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისადმი წარმოშობილ საფრთხესაც შეიძლება გულისხმობდეს, როცა ერთი მხრივ, ქაოტური ახალგანაშენიანების შედეგად, ქალაქის მატერიალური იერსახის ავთენტურობა ირღვევა, მეორე მხრივ კი ტრადიციული სოციალური შემადგენლობის ცვლილების გზით, ადგილობრივი კულტურული ცოდნა, სამეზობლო სისტემები და ცხოვრების წესის ავთენტურობა განიცდის წყვეტას. ქალაქის პოსტრევოლუციური ქაოტური განაშენიანების შედეგად ჩამოყალიბებულ ამ ეკოლოგიურ, კულტურულ და სოციალურ საფრთხეებზე პასუხად მოქალაქეები „ქალაქიდან გაქცევასა“ ქალაქგარეთ დასახლებას ხედავენ, რაც თბილისის სუბურბანიზაციის მზარდ პატერნზე აისახება. სუბურბანიზაცია კი, როგორც ახალგანაშენიანებითი ჯენტრიფიკაცია, „თვითდაზარალების“ ტენდენციას შეიცავს - მის კვალდაკვალ, ქალაქი „ფართოვდება“ და სუბურბანულ სივრცეებში ის საფრთხეები „მიაქვს“, რომელსაც მოქალაქეები ქალაქიდან გაურბიან.

თბილისის სოციალური შემადგენლობის ცვლილებასა და ქალაქის ახალგანაშენიანებასთან ერთად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კლასისა და ტერიტორიის მიმართების ცვლილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოსტრევოლუციური „კლასის პოლიტიკაც“. მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლები ნათლად აჩვენებს მის კრიტიკულ დამოკიდებულებას საბჭოთა ურბანული ელიტისადმი, რომელსაც ის „ჩამორჩენილ“, საბჭოთა ნოსტალგიით გაჟღენთილ სოციალურ კატეგორიად ხედავდა. მრავალი რეფორმა - მათ შორის, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დანერგვა - სააკაშვილისათვის ახალგაზრდა, ხშირად - პერიფერიელი მოქალაქეებისათვის სოციალური მობილობისკენ „გზის გახსნას“ ისახავდა მიზნად, რომლებსაც მერიტოკრატიული პრინციპით უნდა ჩაენაცვლებინათ „კორუმპირებული საბჭოთა ელიტები“. პოსტრევოლუციურ სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად, თბილისში კლასსა და ტერიტორიას შორის მიჯაჭვულობის წყვეტა გლობალურმა ცვლილებებიც განაპირობა. მათ შორის - ინტერნეტმა, რომელიც ერთი მხრივ, თბილისის გეოგრაფიულ სივრცეზე (უბნებზე) სოციალური იდენტობით მჭიდროდ მიმაგრებული მოქალაქეების ფიზიკურ დეტერიტორიზაციას და მეორე მხრივ, კულტურის - „აღმატებული კლასის“ ცხოვრების წესისა და სტილის - სიმბოლურ დეტერიტორიზაციას შეუწყო ხელი. თუკი პოსტრევოლუციურ ფიზიკურ და სიმბოლურ დეტერიტორიზაციამდე კლასისა და სოციალური სტატუსის აღქმული იერარქია თბილისელებისათვის მკაფიოდ იყო გეოგრაფიულ ლოგიკაზე მიბმული, სადაც ყველაზე მაღალი სტატუსის მქონე მოქალაქედ თბილისის ცენტრში მცხოვრები აღიქმებოდა, მის შემდეგ თბილისის პერიფერიული უბნის მცხოვრები მოდიოდა, ყველაზე დაბალი სტატუსის მქონედ კი განზოგადებული წარმოსახვითი გეოგრაფიული სივრცის, „რეგიონის“ (საქართველოს სხვა ქალაქებისა თუ სოფლების) მცხოვრები მიიჩნეოდა, დეტერიტორიზაცია სურათს მნიშვნელოვნად ცვლის. ერთი მხრივ, ადამიანები „სწყდებიან“ ტერიტორიას და მათი გეოგრაფიული მობილობა იზრდება. მეორე მხრივ, ტერიტორიას „სწყდება“ ცოდნა „აღმატებული კლასის“ ცხოვრების წესისა და სტილის შესახებ და ის საზოგადოების იმ ჯგუფებისთვისაც ხდება ხელმისაწვდომი, რომლებსაც დეტერიტორიზაციამდე მასზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ. ყოფილი „გაბატონებული

კლასის“ - თბილისის ცენტრში მცხოვრები ძველი ელიტებისათვის სოციალური სტატუსის უპირატესობის დაკარგვის საფრთხესა და მათი ჩვეული სოციალური სივრცის ჰეტეროგენიზაციას მოასწავებს, რაც თამაშის წესებს ცვლის და ძველ ელიტებს სოციალური ცხოვრების პროგნოზირებადობისა და დაცულობის განცდას უკარგავს. ახალი ელიტებისათვის (სააკაშვილის სიტყვებით, „მიშას თაობისთვის“) კი ის აღმავალი სოციალური მობილობის მზარდ შესაძლებლობას, საკუთარი გავლენის გაფართოებასა და შესაბამისად, მეტ სოციალურ უსაფრთხოებას ნიშნავს.

თბილისში კლასის პოსტრვოლუციური დეტერიტორიზაცია და რეტერიტორიზაცია კომპლექსურ სურათს გვიჩვენებს. ერთი მხრივ, პოსტრევოლუციურ თბილისში კლასისა და ტერიტორიის საბჭოთა მიმართების გეოგრაფიული ლოგიკა თითქოს რღვევას იწყებს, თუმცა, ამავე დროს, მისი პატერნი ნაწილობრივ ნარჩუნდება. ერთი მხრივ, მოქალაქეები ქალაქის ცენტრისა და პერიფერიის მცხოვრებთა, „თბილისელებსა“ და „ჩამოსულებს“ შორის განმასხვავებელი სტატუსის ნიშნების გაუქმებაზე, კლასის სიმბოლური საზღვრების გაბუნდოვანებაზე საუბრობენ, რომელიც ძველი ელიტებისათვის საფრთხედ აღიქმება, ახალი ელიტებისათვის კი - უსაფრთხოებად. თუმცა, ამავე დროს, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ ნაწილად ისევ მისი ცენტრი რჩება, რასაც ერთი მხრივ, ყველაზე მაღალი ინტენსივობის ახალგანაშენიანების ცენტრში თავმოყრა მოწმობს, მეორე მხრივ კი - ქალაქის ცენტრში დროის გასატარებელი პრესტიჟული სივრცეების უცვლელობა, როცა იცვლება არა ადგილი, არამედ - მისი ვიზიტორების სოციალური შემადგენლობა. მაშ, რა იცვლება, როცა თბილისში კლასისა და ტერიტორიის მიმართების ცვლილებაზე ვსაუბრობთ?

იმაზე საუბრისას, თუ როგორ გაუხსნა მისმა განათლების რეფორმამ გზა სოციალური მობილობისაკენ იქამდე სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გარიყულ საქართველოს პერიფერიის ახალგაზრდებს, მიხეილ სააკაშვილი (2007) ამბობს: „თბილისიც და მისი ცენტრიც ერთნაირად გვეკუთვნის ყველას - მე, როგორც თბილისის ცენტრში დაბადებულსა და გაზრდილს და ამბროლაურელსაც, ჩხოროწყუელსაც, ზუგდიდელსაც, კახელსაც, თუშსაც, სვანსაც, აჭარელსაც და სხვა რაიონის მკვიდრსაც“. ეს

გამოსვლა მართლაც ასახავს საქართველოში კლასისა და ტერიტორიის მიმართების ცვლილებასა და კლასის „სიმბოლურ დეცენტრალიზაციას“. თუმცა, ამ სიმბოლურ დეცენტრალიზაციას გეოგრაფიული დეცენტრალიზაცია არ ერთვის. სააკაშვილი ისეთ სურათს აღწერს, სადაც არა „მთა მიდის მუჰამედთან“, არამედ - „მუჰამედი მიდის მთასთან“ - დედაქალაქის ცენტრში თავმოყრილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სიმბოლური ძალაუფლება კი არ დეცენტრალიზდება პერიფერიებისაკენ, არამედ საქართველოსა და თბილისის პერიფერიების მოსახლეობა დეტერიტორიზდება და რეტერიტორიზდება ფიზიკურად და იქ ინაცვლებს, სადაც „უკეთესი ცხოვრებისათვის“ საჭირო რესურსებია თავმოყრილი. სოციალური მობილობის მიღწევის გზა, სააკაშვილის მიერ აღწერილ სცენარში, ადამიანების გეოგრაფიული, ცენტრისკენული მობილობის გზაზე გადის. კლასის და ტერიტორიის მიმართების ცვლილება არა პრესტიჟის გეოგრაფიის გადანაცვლებას, არამედ - მოქალაქეების პრესტიჟით დატვირთული სივრცისკენ გეოგრაფიულ გადანაცვლებას ნიშნავს. შესაბამისად, კლასის სიმბოლური დეცენტრალიზაცია არა გეოგრაფიულ დეცენტრალიზაციაში, არამედ - თბილისის (და განსაკუთრებით, მისი ცენტრის) გაძლიერებულ ცენტრალიზაციაში ითარგმნება. პოსტრევოლუციური აღმავალი სოციალური მობილობის ერთ-ერთი მაგალითი, ჩემი რესპონდენტი სანდრო ინტერვიუში ამბობს, რომ პოსტრევოლუციურ თბილისში „კარგ ტიპად ითვლება უკვე ჭკვიანი ადამიანი, ზოგადად. რომელიც შეიძლება ცხოვრობდეს ვარკეთილშიც, მუხიანშიც, ვაკეშიც“. თუმცა, სოციალური მობილობის შემდეგ, ის საცხოვრებლად ვაზისუბნიდან ქალაქის ცენტრში გადადის. ხოლო თუკი ბავშვობაში *ელიტად* ის ტელევიზორიდან მოსაუბრე ინტელიგენციას თვლიდა, ახლა თავად არის „ტელესახე“. მისი სოციალური მობილობის ტაქტიკა არა „ახალი თამაშის წესების შექმნას“, არამედ ბავშვობაში ვაზისუბნიდან დანახული ქალაქის ცენტრის ელიტის თამაშის წესების, სტილისა და ცხოვრების ყაიდის იმიტაციას ეფუძნება. შესაბამისად, ძველ ელიტას, რომელმაც თბილისის ფიზიკურ და სიმბოლურ ცენტრში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო, ფიზიკურად და სიმბოლურად ანაცვლებს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი ელიტა („მიშას თაობა“), რომელიც ძველი ელიტის ძალაუფლებრივი უპირატესობის ამსახველ გარეგნულ ნიშნებს (ქალაქის

ცენტრში ცხოვრება, მედიაში გამოჩენა, ქალაქის „კარგ ადგილებში სიარული“) ითავისებს. თუმცა, გარეგნული ნიშნებისგან განსხვავებით, ახალი ელიტა ძველი ელიტისთვის დამახასიათებელ საბჭოთა *კულტურულობის* („შინაგანი კულტურის“) ნორმებს როდი იშინაგანებს. როგორც პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული სერგის ტაქტიკური მიმიკრიის მაგალითი გვიჩვენებს, ძველი ელიტების მიერ „პარვენიუების“ სოციალური ტაქტიკის იმიტაცია უფრო მოსალოდნელია, ვიდრე - პირიქით. საბჭოთა ყაიდის *კულტურულობა* ახალი კაპიტალისტური თამაშის წესების ფარგლებში სტატუსის განმსაზღვრელი „კოზირი“ აღარ არის და მხოლოდ სიმბოლური ფუნქციაღა შერჩენია. ამრიგად, ქალაქის ცენტრი ერთი მხრივ, ახალი ელიტების სივრცედ მოინიშნება, მეორე მხრივ კი - იმ ძველი ელიტების ალაგად, რომლებმაც ახალ ეკონომიკურ და კულტურულ სისტემასთან ადაპტაცია უკეთ შეძლეს. თუკი ასეა, მაშ, რა ბედი ეწია იმ პერიფერიულ მოსახლეობას, რომელმაც ახალ რეალობასთან ადაპტაცია ვერ შეძლო? – „როგორი ღატაკებიც იყვნენ, ისევ ისეთი ღატაკები დარჩნენ“, მპასუხობს 1954 წელს დაბადებული საბა ნაძალადევიდან, „მიხვდნენ რომ თავის თავთან დარჩნენ მარტო, აი ესე არ ყოფილა ეს ქვეყანა, მარტო საბჭოთა კავშირი არ ყოფილა და სხვა რამეებიც არსებობს. მაგრამ, საუბედუროდ, მზად ვერ დახვდნენ ამას“.

დისერტაციის დასკვნა

მოცემული ნაშრომი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში ურბანული საფრთხისა და უსაფრთხოების ვერნაკულური მნიშვნელობების შესწავლას ისახავდა მიზნად. ოფიციალური პოსტრევოლუციური პოლიტიკური დისკურსისა და თბილისის მოქალაქეთა პერსპექტივების ურთიერთმიმართების ანალიზის გზით, ის აკვირდებოდა, როგორ ყალიბდება საფრთხისა და უსაფრთხოების მნიშვნელობები სამი მიმართულებით: 1) პერსონალური საფრთხე და უსაფრთხოება თბილისის საჯარო სივრცეში. 2) თბილისის

ურბანული სხეულის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხე და უსაფრთხოება. 3) დეტერიტორიზაციისა და რეტერიტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებული საფრთხე და უსაფრთხოება. კვლევის ფარგლებში შევეცადე, მეპასუხა შემდეგი შეკითხვებისათვის: 1. როგორი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ანტიკრიმინალური, ურბანული და კლასის პოლიტიკა? 2. რა ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ ცვლილებებს მოიცავდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი თბილისში? 3. საფრთხისა და უსაფრთხოების რა შინაარსები უკავშირდება ამ ცვლილებებს მოქალაქეთა აღქმაში? 4. როგორ მიემართება ეს შინაარსები ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსსა და ერთმანეთს?

როგორც კვლევამ აჩვენა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის ზევიდან ქვევით მიმართულ „გაუსაფრთხოებას“ მრავალი მიმართულება ჰქონდა. ერთი მხრივ, ეს ანტიკრიმინალური რეფორმების განხორციელებასა და უსაფრთხოების ფორმალიზაციას გულისხმობდა, რომელიც უფრო ფართო შინაარსს - საბჭოთა/პოსტსაბჭოთა, კორუფციითა და კრიმინალურობით გაჟღენთილი წარსულისაგან და რუსეთის განგრძობადი საფრთხისაგან დისტანცირებასა და საქართველოს ევროპეიზაციასა და მოდერნიზაციას.

საქართველოს მოდერნიზაციის იდეას უკავშირდებოდა თბილისის გარეგნული იერსახის პოსტრევოლუციური ტრანსფორმაციაც. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თბილისში ამ აღქმული მოდერნიზაციის სიმბოლოდ აღქმული თანამედროვე არქიტექტურული ნიშანსვეტები გაჩნდა, ძველი შენობები „გარემონტდა“, საბჭოთა/პოსტსაბჭოთა „ნაცრისფერი ქალაქისგან“ მკაფიო დისტანცირების მიზნით, შენობების ფასადები შეიღება, „ბნელი 90“-იანების ტრავმული მოგონებების გასაქარწყლებლად კი თბილისის ქუჩები საგანგებოდ განათდა. სხვა პოსტსოციალისტური ქალაქების მსგავსად, თბილისის სივრცეში, განსაკუთრებით მის ცენტრში, ახალი, კერძო ობიექტები გაჩნდა, რომლებსაც ასევე თბილისის „დასავლურობა“ უნდა დაედასტურებინა (სასტუმროები, ღია კაფეები, სუპერმარკეტები). ქალაქის ცენტრი აღმოჩნდა საცხოვრებელი შენობებით სულ უფრო

მზარდი ახალგანაშენიანების სივრცეც, სადაც თბილისის მოსახლეობის პოსტსაბჭოთა ზრდისა და ქალაქის ცენტრში ცხოვრების მსურველი ახალი შემლებული ჯგუფების ჩამოყალიბების შედეგად, საცხოვრისზე მოთხოვნა გაზრდილი იყო.

თბილისის ურბანული სხეულის პოსტრევოლუციური ცვლილების კვალდაკვალ, როგორც კლასის პოლიტიკის ნაციონალური მასშტაბის ტრანსფორმაციამ, ისე - გლობალურმა ფიზიკურმა და სიმბოლურმა დეტერიტორიზაციამ - თბილისში კლასისა და ტერიტორიის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ურთიერთმიმართება შეცვალა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ეს ცვლილება არა ტერიტორიის სტატუსის ცვლილებას ემყარებოდა, არამედ - იქამდე პერიფერიულად მონიშნული მოქალაქეების სოციალური მობილობის ზრდას, რომლისკენ მიმავალი გზა ისევ თბილისის ცენტრზე გადიოდა. გეოგრაფიული ლოგიკა, რომლის თანახმად, ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ სივრცედ თბილისის ცენტრი იგულისხმებოდა, მის შემდეგ თბილისის პერიფერიული უბნები მოდიოდა, „ბოლო ადგილას“ კი განზოგადებული წარმოსახვითი „რეგიონი“ (საქართველოს სხვა ქალაქები და სოფლები - „ყველაფერი, რაც თბილისი არ არის) იდგა, თბილისელების წარმოსახვაში უცვლელი დარჩა. ამის ნაცვლად, ვითარება პერიფერიელი მოქალაქეების მზარდმა ფიზიკურმა და სიმბოლურმა მობილობამ შეცვალა. ამის შესაძლებლობა მათ, ერთი მხრივ, „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის პოლიტიკამ მისცა, რომელიც სხვადასხვა რეფორმის გზით, პერიფერიულ ახალგაზრდებისათვის სოციალური მობილობისკენ „გზის გახსნას“ ცდილობდა, ამისათვის კი თბილისში თავმოყრილი რესურსების ათვისებას სთავაზობდა („თბილისი ყველასია“ - მიმართავდა მათ პოსტრევოლუციური საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი). მეორე მხრივ, თბილისის სივრცეში კლასის შემადგენლობა სამშენებლო ბუმმა შეცვალა, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნე, ყველაზე მეტად ქალაქის ცენტრში - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა თბილისელი ელიტების განსახლების სივრცეში - იყო კონცენტრირებული. გაღარიბებული ძველი ელიტა ამ უბნებში ახალ ელიტებს - ზოგჯერ, მათზე შემლებულ ახალ, რეგიონებიდან ჩამოსულ მოქალაქეებსა და ჯგუფებს - უთმობდა საცხოვრებელ სივრცეს. ამასთან ერთად, საქართველოში 2000-იანი წლებიდან შედარებით ფართოდ

გავრცელებული ინტერნეტი აღმატებული კლასის სტილისა და ცხოვრების წესის შესახებ ოდესღაც ექსკლუზიურ ცოდნას ინფორმაციის თავისუფალ ნაკადში აქცევდა და ისეთი ჯგუფებისთვის აქცევდა ხელმისაწვდომად, რომლებსაც იქამდე მასზე წვდომა ვერ ექნებოდათ. ამ ინფორმაციის დახმარებით (მაგალითად, „ფეისბუკის“ check-in ფუნქციის გამოყენებით) იმ ჯგუფებს, რომლებიც ადრე ელიტებისათვის „გოიმებს“, „პარვენიუებს“ წარმოადგენდნენ, „აღმატებული კლასის“ სტილისა და ცხოვრების წესის მიმიკრიის და ქალაქის ისეთი სივრცეების დაკავების შესაძლებლობა გაუჩნდათ, რომელთა შესახებ ადრე მხოლოდ ძველი ელიტის ვიწრო ჯგუფებმა იცოდნენ. ვითარებაში, როცა კლასის გეოგრაფიული ლოგიკა თბილისის მოქალაქეებისათვის თანამოქალაქეების კლასიფიცირების კვლავ მუშა სქემას წარმოადგენს, პერიფერიული ჯგუფების ტაქტიკა არა ახალი თამაშის წესების შექმნა, არამედ ძველი ელიტის ცხოვრების წესის (საცხოვრებელი უბანი, ჩაცმის სტილი, სასაუბრო თემები, თავისუფალი დროის გასატარებელი სივრცეები) კოპირებაა. ეს მიმიკრია „ახალი ელიტებისათვის“ უსაფრთხოების - აღმავალი სოციალური მობილობის უზრუნველყოფის - შესაძლებლობად იქცევა. „ძველი ელიტებისათვის“ კი ის კლასობრივი უპირატესობის დაკარგვისა და მათი სიმბოლური კაპიტალის ინფლაციის საფრთხეს მოასწავებს. ეს დაძაბულონა კი როგორც საჯარო, ისე - პირადი ცხოვრების სფეროებში - პოლიტიკური საქმიანობისა და რომანტიკული ურთიერთობის ველზე - იკვეთება.

ზემოაღწერილი სურათი „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ მრავალფეროვან, წინააღმდეგობრივ შინაარსებს მოიცავს. უსაფრთხოების მოდერნიზაციის განმახორციელებელი რეფორმები მოქალაქეებისათვის, ერთი მხრივ, უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, აუქმებს რა ქალაქის საჯარო სივრცეზე არაფორმალური აქტორებისა და პრაქტიკების დომინაციას. თუმცა, ამავე დროს, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ფორმალური ინსტიტუციებისადმი უნდობლობის ფონზე, მოქალაქეები ხშირად ისევ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი არაფორმალური აქტორებისა (მაგ. „კანონიერი ქურდები“, ქუჩის „ავტორიტეტები“) და პრაქტიკების იმედად არიან, მათი

საზოგადოებრივი სივრციდან გაქრობა კი, შესაბამისად, საფრთხედ აღიქმება. ამ დამოკიდებულებას კლასობრივი განზომილება აქვს - მაშინ, როცა ძველი ელიტები და არაპრივილეგირებული ჯგუფები უფრო მეტად იხრებიან უსაფრთხოების უზრუნველყოფის არაფორმალური აქტორებისა და პრაქტიკებისკენ, „ახალი ელიტები“ - ყოფილი პერიფერიული მოქალაქეები, რომლებმაც აღმავალ სოციალურ მობილობას „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი რეფორმების შედეგად მიაღწიეს, არაფორმალობისადმი მეტ სკეფსისს გამოხატავენ.

ასევე წინააღმდეგობრივია ქალაქის ურბანული სხეულის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხისა და უსაფრთხოების აღქმა. თუკი სახელმწიფოს მიერ სამშენებლო კერძო სექტორის მაქსიმალური ხელშეწყობა და სამშენებლო დერეგულაცია ამ ჯგუფებს მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას აძლევს და ბიზნესის კეთებისათვის უსაფრთხო გარემოს უქმნის, მოქალაქეთა ნაწილს კი საცხოვრისით აკმაყოფილებს, მოქალაქეთა სხვა ჯგუფებისათვის ის ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, ეკოლოგიურ და კულტურულ საფრთხეებს მოასწავებს. ასეთი საფრთხის ქვეშ, ერთი მხრივ, თბილისელთა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები ხვდება - მაგალითად, გარემოვაჭრეები, რომლებიც საჯარო სივრცის მზარდი პრივატიზაციის შედეგად ქალაქში სივრცეს და შემოსავლის წყაროს კარგავენ, ასევე - ქალაქის ცენტრის გაღარიბებული მოსახლეობა, რომელიც ჯენტრიფიკაციის შედეგად საცხოვრებელი სივრციდან ფიზიკურად, ან სიმბოლურად განიდევნება. თუმცა, ამავე დროს, ქალაქის ქაოტური განაშენიანება თბილისის ცენტრის ახალმოსახლეებსაც უქმნის საფრთხეებს, რომელშიც, რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, თავად ახალმოსახლეებს შეაქვთ წვლილი - სამშენებლო ხმაური და მტვერი, უკონტროლო გამჭიდროება, ბუნებრივი განათებისა და აერაციის უკმარისობა, მწვანე სივრცეების შემცირება, ქალაქის იერსახისა და სოციალური კავშირების სისტემის წყვეტა - ეს ფაქტორები თბილისის ცენტრის როგორც ძველი, ისე - ახალი მოსახლეების ცხოვრების ხარისხს მკვეთრად აქვეითებს. ამაზე პასუხად კი თბილისელების ახლადჩამოყალიბებული საშუალო კლასი სუბურბანიზაციას - ქალაქიდან გაქცევასა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი სივრცეებით ათვისებას -

ხედავს, რომელიც ჯენტრიფიკაციის მსგავსად, თავადვე შეიცავს მოქალაქის „თვითდაზარალების“ ტენდენციას.

ახლა, როცა „ვარდების რევოლუციიდან“ თითქმის ოცი წელია გასული, ნაშრომის ეს ძირითადი შედეგები დამატებით კითხვებს ბადებს. ვფიქრობ, მომავალი კვლევებისათვის მნიშვნელოვანი ასეთი შეკითხვები 2012 წლიდან „ვარდების რევოლუციის მთავრობის“ მემკვიდრის, „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების პოლიტიკასა და ურბანულ პოლიტიკას შეიძლება მიემართებოდეს. საინტერესოა, პოლიტიკის რა ნაწილი იცვლება და რა ნაწილია უწყვეტი ამ ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, თუკი, როგორც პირველმა თავმა აჩვენა, „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის პოლიტიკამ უსაფრთხოების სრული ფორმალიზაცია ვერ შეძლო, როგორია მისი მემკვიდრის პოლიტიკა და როგორ ინტერპრეტირდება ის მოქალაქეების აღქმაში? როგორია ქალაქგანვითარების პოლიტიკა 2012 წლის შემდეგ და რითი ჰგავს/განსხვავდება ის „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის პოლიტიკისაგან? საფრთხის/უსაფრთხოების რა შინაარსები იწარმოება ლოკალური, ნაციონალური და გლობალური ცვლილებების ფონზე თბილისში, განსაკუთრებით 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და საქართველოში რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეთა მზარდი მიგრაციის კონტექსტში? როგორ აისახება მზარდი იმიგრაციის ეს სურათი თბილისში კლასისა და ტერიტორიის მიმართებაზე, ქალაქგანაშენიანების, ჯენტრიფიკაციისა და სუბურბანიზაციის პოსტრევოლუციური ტენდენციების დინამიკაზე? როგორც მოცემულმა კვლევამ აჩვენა, პოსტრევოლუციურ თბილისში „ისტორიული მტრებად“ თუ „გლობალურ საფრთხედ“ აღქმული „ორიენტალური უცხოების“ მზარდი იმიგრაცია მოქალაქეებში „საფრთხისა“ და „უსაფრთხოების“ წინააღმდეგობრივი წარმოდგენების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ვფიქრობ, ამ კონტექსტში, ამდენადვე საინტერესო იქნება 2022 წლის შემდგომ თბილისში რუსეთის მოქალაქეთა მზარდი რეპრეზენტაციის ადგილობრივი აღქმების შესწავლა, რამდენადაც, როგორც მოცემულ ნაშრომში გამოვლინდა, „რუსეთის“ ხატი საქართველოში არამხოლოდ ეროვნული საფრთხის ოფიციალურ დისკურსს, არამედ - ლოკალურ აღქმულ საფრთხეებსაც უკავშირდება. ვფიქრობ რა ამ საკითხებზე „ვარდების რევოლუციიდან“

თითქმის 20 წლის შემდეგ. ვიმედოვნებ, მოცემული ნაშრომი მოკრძალებული, მაგრამ საიმედო საყრდენი გამოდგება საქართველოს უახლესი ისტორიული მემკვიდრეობის გააზრებისა და ქალაქის, უსაფრთხოების, კლასისა და ტერიტორიის მიმართებების სამომავლო კვლევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Appadurai, Arjun. 1996. *Modernity at Large: Cultural Dimensions of Globalization.* Minneapolis, MN: University of Minnesota Press.

Batiashvili, Nutsa. 2019. "Power/Memory: New Elite, Old Intelligentsia, and Fixing of the Georgian Mind." *Nationalities Papers 47(6)* 1083-1099.

Biennial Foundation. "Kamikaze Loggia – the Georgian Pavilion at the 55th Venice Biennale stays for the Venice Architecture Biennale", 02.01.2014. უკანასკნელად ნანახია: 09.07.2022. https://biennialfoundation.org/2014/01/kamikaze-loggia-the-georgian-pavilion-at-the-55th-venice-biennale-stays-for-the-venice-architecture-biennale/

Bourdieu, Pierre. 1986. *Distinction.* London: Routledge and Kegan Paul.

—. 2005. *The Forms of Capital*. London: Routledge.

Bourdieu, Pierre, and Loïc Wacquant. 2013. "Symbolic Capital and Social Classes." *Journal of Classical Sociology 13(2*) 292-302.

Bourdieu, Pierre, and Randal Johnson. 1993. *The Field of Cultural Production: Essays on Art and Literature.* New York: Columbia University Press.

Bubandt, Nils. 2007. "Vernacular Security: The Politics of Feeling Safe in Global, National and Local Worlds ." *Security Dialogue 36 (3)* 275-296. doi:10.1177/0967010605057015.

Bull73, პოსტი თემაში: "როდის შემოვიდა საქართველოში ინტერნეტი? და პირველი ქართული ინტერნეტ გვერდი". *თბილისის ფორუმი,* 28.12.2007. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://forum.ge/?s=7f3c1f70f6924a5042cdabb44e9715f1&f=19&showtopic=33803749&st=15

Chigholashvili, David (Data). "Future Image(s) of Tbilisi." In *From Private to Public Transformation of Social Spaces in the South Caucasus*, 151-175. Tbilisi: South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation, 2015.

Closson, Stacy. 2009. "State Weakness in Perspective: Strong Politico-Economic Networks in Georgia's Energy Sector." *Europe-Asia Studies 61 (5)* 759-778.

Croft, Stuart, and Nick Vaughan-Williams. 2017. "Fit for Purpose? Fitting Ontological Security Studies 'Into' the Discipline of International Relations: Towards a Vernacular Turn." *Cooperation and Conflict 52 (1)* 12-30. doi:10.1177/0010836716.

Curro, Costanza. 2017. "A Critical Assessment of Informal Practices as Resistance: The Case of Birzha in Georgia." *Caucasus Survey 5 (1)* 65-84. doi:10.1080/23761199.2017.1280949.

Davidson, Mark, and Loretta Lees. 2010. "New-Build Gentrification: its Histories, Trajectories, and Critical Geographies." *Population, Space and Place 16(5)* 395-411.

Devlin, Paul, director. 2003. *Power Trip.* 1:26:00. https://www.amazon.com/Power-Trip-Piers-Lewis/dp/B01BIK526C

Douglas, Mary. 2003. *Purity and Danger: An Analysis of Concepts of Pollution and Taboo*. London: Routledge, 2003.

Dundua, Salome, Tamar Amashukeli, and Sandro Tabatadze. 2022. "What Makes Social Movements Successful: The Case of Gudiashvili Square." *Europe-Asia Studies*: 1-20.

Elliott-Cooper, Adam, Phil Hubbard, and Loretta Lees. 2020. "Moving Beyond Marcuse: Gentrification, Displacement and the Violence of Un-homing." *Progress in Human Geography 44 (3)* 492-509.

Gal, Susan. 2002. "A Semiotics of the Public/Private Distinction." *Differences: A Journal of Feminist Cultural Studies 13(1)* 77-95.

Gehl, Jan. 2013. *Cities for People*. Washington: Island Press, 2013.

Gentile, Michael, Joseph Salukvadze, and David Gogishvili. 2015. "Newbuild Gentrification, Teleurbanization and Urban Growth: Placing the Cities of the Post-Communist South in the Gentrification Debate." *Geografie 120(2)* 134-163.

Gurchiani, Ketevan. 2017. "How Soviet is the Religious Revival in Georgia: Tactics in Everyday Religiosity." *Europe-Asia Studies 69(3)* 508-531.

—. 2021. "Baptizing into Kin: Religion and Peace in a Multi-ethnic Village in Georgia." *Journal of Religion in Europe 14(3-4)* 272-296.

Grant, Bruce. 2014."The Edifice Complex: Architecture and the Political Life of Surplus in the New Baku." *Public Culture 26 (3)* 501-528.

Harvey, David. "The Right to the City." In *The City Reader,* edited by Richard T. LeGates and Frederic Stout, 23-40. London: Routledge, 2008.

—1989. "From Managerialism to Entrepreneurialism: The Transformation in Urban Governance in Late Capitalism." *Geografiska Annaler: series B, Human Geography 71(1)* 3-17

Herzfeld, Michael. 2014. *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State.* New York: Routledge.

Hirt, Sonia A. 2012. *Iron curtains: Gates, Suburbs and Privatization of Space in the Post-Socialist city*. Vol. 27. John Wiley & Sons.

Hobsbawm, Eric J. 1971. *Primitive Rebels Studies in Archaic Forms of Social Movement in the 19th and 20th Centuries*. Manchester: Manchester University Press.

"Individuals Using the Internet (% of population) – Georgia: International Telecommunication Union (ITU) World Telecommunication/ICT Indicators Database", The World Bank, accessed: 09.07.2022. https://data.worldbank.org/indicator/IT.NET.USER.ZS?locations=GE

Jacobs, Jane. 1961. *The Death and Life of Great American Cities.* New York: Random House.

Janashia, Simon."Chareckhilebi." YouTube video, 4:36. June 2, 2009. https://www.youtube.com/watch?v=jNvTl71U8Jo&t=116s

Jarvis, Lee. 2019. “Toward a Vernacular Security Studies: Origins, Interlocutors, Contributions, and Challenges.” *International Studies Review 21 (1)* 107-126. doi:10.1093/isr/viy017.

Jarvis, Lee, and Michael Lister. 2013. “Vernacular Securities and Their Study: A Qualitative Analysis and Research Agenda.” *International Relations 27 (2)*:158–79. doi:10.1177/0047117812460880.

Jgerenaia, Emzar, and Giorgi Sabanadze. 2018. “Georgia: Between a State and a Homeland.” In *Modernization in Georgia: Theories, Discourses and Realities*. Edited by Giga Zedania, 271-301. Bern: Peter Lang. doi:10.3726/b12792.

Kaiser, Claire Pogue. "Lived Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia, 1945-1978." PhD diss., University of Pennsylvania, 2015.

Keller, Reiner. 2013. *Doing Discourse Research.* Los Angeles: SAGE Publications.

—. 2011. “The Sociology of Knowledge Approach to Discourse (SKAD).” *Human studies 34(1)* 43-65.

Khalvashi, Tamta. Peripheral Affects: Shame, Publics and Performance on the Margins of the Republic of Georgia.” PhD diss., University of Copenhagen, 2015.

Khomeriki, Tinatin. 2022. "Modernising Security: Vernacular (In) Securities in the Public Space of Tbilisi after the Rose Revolution." *Caucasus Survey 10 (3)*:245-270.

Kupatadze, Alexander. 2012. *Organized Crime, Political Transitions and State Formation in Post-Soviet Eurasia.* London: Palgrave Macmillan.

Lefebvre, Henri, Eleonore Kofman, and Elizabeth Lebas. 1996. *Writings on Cities*. Vol. 63. Oxford: Blackwell.

Luckham, Robin. 2017. “Whose Violence, Whose Security? Can Violence Reduction and Security Work for Poor, Excluded and Vulnerable People?.” *Peacebuilding 5 (2)* 99–117.

Manning, Paul. “The Hotel/Refugee Camp Iveria: Symptom, Monster, Fetish, Home.” In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet*. Edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze and Nick Shavishvili, 319-349. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009a.

—. "The City of Balconies: Elite Politics and the Changing Semiotics of the Post-Socialist Cityscape." In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili,71-102. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009b.

—. "When Goblins Come to Town: The Ethnography of Urban Hauntings in Georgia." In *Monster Anthropology in Australasia and Beyond*. Edited by Musharbash, Yasmine, and G. Presterudstuen, 161-177. New York: Springer, 2014.

Marcuse, Peter. "Abandonment, Gentrification, and Displacement: The Linkages in New York City." In *Gentrification of the City*, edited by Neil Smith and Peter Williams, 121–152. Boston: Allen and Unwin, 1986.

Mares, Dennis. "Gangstas or Lager Louts?: Working Class Street Gangs in Manchester." In *The Eurogang Paradox: Street Gangs and Youth Groups in the US and Europe*, edited by Malcolm Klein, Hans-Jürgen Kerner, Cheryl Maxson, and Elmar Weitekamp,153-164. New York:Springer, 2001.

Mühlfried, Florian. 2005. "Banquets, Grant-Eaters and the Red Intelligentsia in Post-Soviet Georgia." *Central Eurasian Studies Review 4 (1)* 16-19.

—. 2019. *Mistrust: A Global Perspective.* New York: Springer.

Paris, Roland. 2001. "Human Security: Paradigm Shift or Hot Air? ." *International Security 26 (2)* 87-102 .

Pelkmans, Mathijs. 2003. "The Social Life of Empty Buildings: Imagining the Transition in Post-Soviet Ajaria." *Focaal: Journal of Global and Historical Anthropology (41)* 121-136.

Property Georgia. „სტალინური პროექტი", 29.03.2018. უკანასკნელად ნანახია: 19.07.2022. https://propertygeorgia.ge/ge/media/news/504-stalinist-building-project

Rekhviashvili, Lela. 2015. "Marketization and the Public-Private Divide: Contestations Between the State and the Petty Traders Over the Access to Public Space in Tbilisi." *International Journal of Sociology and Social Policy 35 (7/8)* 478-496.

Rodgers, Dennis. 1999. Youth Gangs and Violence in Latin America and the Caribbean: A Literature Survey. Latin America and Caribbean Region Sustainable Development

Working Paper no. 4, Urban Peace Program Series. Washington, D.C.: World Bank Group. http://documents.worldbank.org/curated/en/474291468770479198/Youth-gangs-and-violence-in-Latin-America-and-the-Caribbean-a-literature-survey

Roy, Ananya. "The 21st-Century Metropolis: New Geographies of Theory." In *The Futures of the City Region*, edited by Michael Neuman and Angela Hull, 59-70. London: Routledge, 2013.

Said, Edward W. 1979. *Orientalism*. New York: Vintage Books.

Salukvadze, Joseph, and Kristof Van Assche. 2022. "Multiple Transformations, Coordination and Public Goods. Tbilisi and the Search for Planning as Collective Strategy." *European Planning Studies* 1-19.

Salukvadze, Joseph, and Oleg Golubchikov. 2016. "City as a Geopolitics: Tbilisi, Georgia—A Globalizing Metropolis in a Turbulent Region." *Cities 52* 39-54.

Salukvadze, Joseph. "Market Versus Planning? Mechanisms of Spatial Change in Post-Soviet Tbilisi." In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili, 160-170. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009.

Sennett, Richard. "The Open City." In *The Post-Urban World: Emergent Transformation of Cities and Regions in the Innovative Global Economy*, edited by Tigran Haas, Hans Westlund, 97-106. London: Routledge, 2017.

Shavishvili, Nick. "Decline of Public Space in Capitalist Georgia." In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili, 209-224. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009.

Sherouse, Perry Maxfield Waldman. 2018. "Where the Sidewalk Ends: Automobility and Shame in Tbilisi, Georgia." *Cultural Anthropology 33 (3)* 444-472.

Slade, Gavin. 2012a. “Georgia's War on Crime: Creating Security in a Post-Revolutionary Context.” *European security 21 (1)* 37-56.

—. 2012b. “No Country for Made Men: The Decline of the Mafia in Post-Soviet Georgia .” *Law & Society Review 46 (3)* 623-649.

Stanilov, Kiril, and Luděk Sýkora, eds. 2014. *Confronting Suburbanization: Urban Decentralization in Postsocialist Central and Eastern Europe*. Hoboken, New Jersey: John Wiley & Sons.

Stefes, Christoph H. 2006. *Understanding Post-Soviet Transitions: Corruption, Collusion and Clientelism.* Basingstoke/New York: Palgrave Macmillan.

Sulukhia, Tamara. "Suburbanization in Tbilisi: Global Trend in Local Context." In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili, 225-242. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009.

Suny, Ronald G. 2009. "The Mother of Cities: Tbilisi/Tiflis in the Twilight of Empire." In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili, 17-58. Lewiston, NY: Edwin Mellen.

Sýkora, Luděk, and Stefan Bouzarovski. 2012. "Multiple Transformations: Conceptualising the Post-Communist Urban Transition." *Urban Studies 49, no. 1* 43-60.

Tchiaberashvili, Zurab. "Energy Crisis Sparks Growing Unrest: Georgia Faces a Bleak Mid-Winter as Electricity Supplies Fall to an all-time Low," *Reliefweb*, 08.01.2022, https://reliefweb.int/report/georgia/energy-crisis-sparks-growing-unrest-georgia-faces-bleak-mid-winter-electricity

"The Caucasus, Social Media and Facebook," *Transparency International Georgia*, 14.04.2010. https://transparency.ge/en/blog/the-caucasus-social-media-and-facebook

The Eduard Shevardadze Center. 2011.„ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე დღემდე აქტუალურია". ატვირთულია 28.10.2011, 5:29 PM. ფეისბუკის ვიდეო, 1:30 წუთი. უკანასკნელად ნანახია: 30.06.2022. https://www.facebook.com/392260934947245/videos/1533368543682820/

Tsuladze, Lia. "Managing Ambivalence: An Interplay Between the Wanted and Unwanted Aspects of European Integration in Georgia." In *The Unwanted Europeanness? Understanding Division and Inclusion in Contemporary Europe*, edited by Branislav Radeljić, 161-183. Berlin: De Gruyter, 2021.

Tsuladze, Lia. 2017. “On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia.” *Communist and Post-Communist Studies 50(2)* 125-133.

United Nations Development Programme. 1994. *Human Development Report.* New York: Oxford University Press.

Volkov, Vadim. “The Concept of Kulturnost': Notes on the Stalinist Civilizing Process”. In *Stalinism: New Directions*, edited by Sheila Fitzpatrick, 210-230. London and New York: Psychology Press, 2000.

Whyte, William Foote. 1947. *Street Corner Society: The Social Structure of an Italian Slum.* Chicago: University of Chicago Press.

Wright, Erik Olin. 2015. *Understanding Class*. New York: Verso Books.

Zhvania, Irakli. "Transformation of the Historic District through Residential Developments in Tbilisi." In *From Private to Public: Transformation of Social Spaces in the South Caucasus*, 120-50. Tbilisi: South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation, 2015.

Ziegler, Karl. “The Evolution of Spatial Planning in Georgia from Socialism to Market Economy.” In *City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet,* edited by Kristof Van Assche, Joseph Salukvadze, and Nick Shavishvili, 141-158. Lewiston, NY: Edwin Mellen, 2009.

Zviadadze, Sophie. 2018. "The Unbearable Lightness of Being Muslim and Georgian: Religious Transformation and Questions of Identity Among Adjara's Muslim Georgians." *Region 7(1)* 23-42.

ანდრონიკაშვილი, ზაალ. „სნობიზმი, როგორც კულტურული მექანიზმი“. *ზაალ ანდრონიკაშვილის ბლოგი*, 18.04.2017 https://andronikashvili.blogspot.com/2017/ უკანასკნელად ნანახია: 17.04.2022.

„აღმაშენებლის გამზირის ახალი სიცოცხლე“. *ნეტგაზეთი*, 17.11.2011. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://netgazeti.ge/art/11493/

ბაბუაძე, თამარ. „შიშის პეიზაჟები: ინტერვიუ არქიტექტორსა და ქალაქის მკვლევარ ნანო ზაზანაშვილთან“, *ინდიგო,* 19.03.2022. უკანასკნელად ნანახია: 17.07.2022. https://indigo.com.ge/articles/shishis-peizajeb/

ბარქაია, მაია და ბარბარე ჯანელიძე. 2018. *უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

ბოგვერაძე, მარიამ. „ქალაქი, რომელსაც პარკები არ ჰყოფნის“. *ნეტგაზეთი,* 01.06.2021. უკანასკნელად ნანახია: 08.07.2022. https://netgazeti.ge/news/545122/

„გოიმის“ განმარტებები“. *ბიძერი,* 18.03.2018. უკანასკნელად ნანახია: 18.07.2022. https://www.bidzer.ge/word/294

ბჟანია, თენგო. „თბილისის მხატვარი“ საქართველოშია - თენგიზ კიტოვანი დაბრუნდა”. იუტუბის ვიდეო, 2:23, 21.12.2012. უკანასკნელად ნანახია: 07.05.2022. https://www.youtube.com/watch?v=z2dml3H9QlQ

გრიშაშვილი, იოსებ. 1986. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

გურგენიძე, თინათინ. „სტანდარტიზებული ცხოვრება“. *დანართი,* 2018. უკანასკნელად ნანახია: 19.03.2022. https://danarti.org/ka/article/standartizebuli-cxovreba---tinatin-gurgenidze/69

დემურია, ვახტანგ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 21-დან 6 გადასახადი დატოვა, მაგრამ ამან მოიტანა შემოსავლების ზრდა, ბიზნესის კეთების გამარტივება. ვერდიქტი: „ფაქტ-მეტრის“ დასკვნით, მიხეილ სააკაშვილის განცხადება არის მეტწილად სიმართლე“. ფაქტ-მეტრი,14.02.2022. https://bit.ly/3Cqf41Q უკანასკნელად ნანახია: 9.03.2022.

ვარდოსანიძე, ვლადიმერ. „პოსტსაბჭოთა თბილისის სივრცითი ტრანსფორმაცია: ქალაქგეგმარების კრიზისი და საბაზრო მექანიზმების როლი“. წიგნში *თბილისი ცვლილებების ხანაში: ურბანული სივრცისა და ქალაქდაგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი,* შემდგენელები კრისტოფ ვან აშე, იოსებ

სალუქვაძე და ნიკა შავიშვილი, 189-208. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

ვერულაშვილი, თათა. 2021. *დახურული სამეზობლოები - განსახლების ახალი ფორმა თბილისში.* თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი.

ზაზანაშვილი, ნანო (არქიტექტორი, ქალაქის მკვლევარი). ინტერვიუერი: თინათინ ხომერიკი. თბილისი, 19.03.2022. *ტრანსკრიპტი.*

მარინაშვილი, მარინე. 2008. *მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.* თბილისი: უნივერსალი.

„მიხეილ სააკაშვილი: "ვარდების რევოლუციით" რევოლუცია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაშიც დაიწყო“. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 06.10.2009. უკანასკნელად ნანახია: 30.06.2022. https://www.ghn.ge/news/216

მორჩილაძე, აკა. 2014. *ჩრდილი გზაზე.* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

მჭედლიძე, კახა, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ახალი ეტაპი“. *რადიო თავისუფლება,* 23.04.2022. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/9502795.html

მჭედლიძე, ნონა. “არასრულწლოვანი გიორგი ზერეკიძის დაცვა იმედოვნებს, რომ მკაცრი განაჩენი შემსუბუქდება”. *რადიო თავისუფლება,* 14.07.2006. უკანასკნელად ნანახია: 11.09.2021. https://www.radiotavisupleba.ge/a/1547801.html.

ჟოუ, ძიაი. 2012. “ჩინელები საქართველოში“. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (EMCI) სამუშაო მოხსენება, #54.

სააკაშვილი, მიხეილ. 2005ა. „საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე“, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 29.06.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2766&i=33

— 2005ბ. “ჩვენ კიდევ ერთი რევოლუცია უნდა მოვახდინოთ, რომელიც ბიუროკრატიის წინააღმდეგ იქნება მიმართული” - განცხადა მიხეილ სააკაშვილმა”. საქართველოს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 9.03.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2767&i=1

—.2005გ. "საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ქართველი ერისადმი. თბილისის საკრებულოში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდა.".საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2765&i=33

—2006. "საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე", საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 13.09.2021.http://president.spl.ge/ge/PressOffice/Documents/AnnualReports-p=4951&i=1.html

—2007ა. „საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის ყრილობაზე", საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 30.06.2022 http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2355&i=1

—2007ბ. „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებულებს სიტყვით მიმართა". საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 12.07.2022. http://www.saakashviliarchive.info/print.aspx?t=1&i=2393

—2011. "საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში კიდევ ერთი მსოფლიო ბრენდის სასტუმრო Radisson Blu ოფიციალურად გახსნა", საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 30.06.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=6683&i=12

—2013. „საქართველოს პრეზიდენტმა ქართულ საზოგადოებრიობას მიმართა“. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022. http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News?p=8508&i=1

„სააკაშვილი: ფსევდოლიბერალებს ვურჩევ, კარგად წაიკითხონ მაკკეინის წიგნი, სადაც ჩემზე წერს“, *ტაბულა*, 10.11.2018. უკანასკნელად ნანახია: 26.04.2022. https://tabula.ge/ge/news/612398-saakashvili-psevdoliberalebs-vurchev-kargad

„სააკაშვილი: რა მნიშვნელობა აქვს ირანელებს მოქალაქეობა მისცეს თუ ბინადრობის ნებართვა?“. *ტაბულა,* 17.11.2022. უკანასკნელად ნანახია: 26.04.2022. https://tabula.ge/ge/news/612664-saakashvili-ra-mnishvneloba-akvs-iranelebs

საქართველოს მთავრობა. *საქართველოს მთავრობის დადგენილება "ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 ივლისის №121 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.* №238. თბილისი: საქართველოს მთავრობა, 2011. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://www.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=154&info_id=30074

ტიმი, ქრისტიან. „საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე“. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი თბილისი, სამხრეთ კავკასია. 5.05.2017. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sakartvelo-saxelmcipo-bazarshi-neoliberalizmidan-martul-kapitalizmamde უკანასკნელად ნანახია: 9.03.2022.

უგულავა, სალომე. „ინტერვიუ გიგი უგულავასთან“. *ტაბულა,* 17.02.2012. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://tabula.ge/ge/news/545656-interviu-gigi-ugulavastan

ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" დამატებითი ეტაპის გამოცხადებისა და მისი განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. №08.38.321. თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2011. უკანასკნელად ნანახია: 07.07.2022. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1304249?publication=0

ჯანაშია, სიმონ. „დავიცვათ ვაკის პარკი არასათანადო განვითარებისგან“. *ლიბერალი,* 11.01.2014. უკანასკნელად ნანახია: 08.07.2022. http://liberali.ge/articles/view/3498/davitsvat-vakis-parki-arasatanado-ganvitarebisgan

ჯონსი, სტივენ. 2013. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

—. 2018. *სოციალიზმი ქართულ ფერებში - სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Байбурин, Альберт. 2017. *Советский Паспорт: История-Структура-Практики.* Санкт-Петербург: Изд. Европейского Университета в Санкт-Петербурге.

Захарова, Евгения. 2010. “Тбилисская Улица Как Среда Мужской Социализации”. *Laboratorium:Журнал Социальных Исследований, 2 (1)* 182-204.

დანართები

დანართი 1: რესპონდენტები

რესპონდენტი	საცხოვრებელი უბანი ინტერვიუს ჩაწერისას	საქმიანობის სფერო	დაბადების წელი
მაია	საბურთალო	ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი	1926
თენგიზი	ვერა	ლიტერატორი	1933
ალექსანდრე	ვაკე	ინჟინერი	1937
გულიკო	ვარკეთილი	მოლარე	1943
ზალინა	ფონიჭალა	მესაფლავე	1946
მარინა	ლოტკინი	ლაბორანტი	1948
ლევანი	აღმაშენებელი	ისტორიკოსი	1953
საბა	ნაძალადევი	მშენებელი	1954
ირაკლი	ვაკე	არქიტექტორი	1956
გია	ვაკე	საქმოსანი	1956

ნანა	აღმაშენებელი	ხელოვნებათმცოდნე	1957
თამრიკო	აღმაშენებელი	გიდი	1963
ხათუნა	საბურთალო	ოჯახში დამხმარე	1964
რატი	საბურთალო	ჟურნალისტი	1974
ეკა	ისანი	დაბალი რგოლის მენეჯერი	1974
მარი	მთაწმინდა	დიასახლისი	1976
ქეთი	საბურთალო	დიასახლისი	1977
მაგდა	გლდანი	მასწავლებელი	1978
ნიკო	საბურთალო	დაბალი რგოლის მენეჯერი	1980
რეზო	საბურთალო	ბუღალტერი	1980
ნანო	ვაკე	არქიტექტორი, ქალაქის მკვლევარი	1984
ანდრო	დიდუბე	ფოტოგრაფი	1986
მირანდა	დიღმის მასივი	დაბალი რგოლის მენეჯერი	1986
დათო	საბურთალო	მკვლევარი	1987
რუსკა	ვაკე	მაღალი რგოლის მენეჯერი	1988

ლაშა	ჩუღურეთი	ისტორიკოსი	1989
სანდრო	ვაზისუბანი	ჟურნალისტი	1990
ლუკა	რუსთაველი	მასწავლებელი	1990
სერგი	სოლოლაკი	აქტივისტი	1991
ელენე	საბურთალო	ტურისტთა გიდი	1992
ტატა	საბურთალო	თარჯიმანი	1992

დანართი 2: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში



Map data ©2023 Google Maps™ mapping service.

დანართი 3: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული პერიფერია



1 of 2 2/5/2023, 5:51 PM

Map data ©2023 Google Maps™ mapping service.

დანართი 4: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული გარდამავალი/ნეიტრალური ზონები

Map data ©2023 Google Maps™ mapping service.

დანართი 5: რესპონდენტების საცხოვრებელი უბნები თბილისში - აღქმული ცენტრი



Map data ©2023 Google Maps™ mapping service.